unlawful * [ʌnˈlɔ:ful *] უკანონო, მართლსაწინააღმდეგო დაპატიმრება ან პატიმრობაში ყოლა

voluntary * [ˈvɔləntərɪ *] პატიმრობაში ყოლა პირის საკუთარი შეხედულებით; ნებაყოფლობითი პატიმრობა

deter [dɪˈtɜ:] *v.* თავის შეკავება *(რაიმეს ჩადენისგან)*, გადათქმევინება

deterioration [dɪˌtɪərɪəˈreɪʃən] *n.* გაფუჭება, ცვეთა, გაუარესება

determinable [dɪˈtɜ:mɪnəbl] *adj.* 1. განსაზღვრადი; 2. სარესოლუციო პირობებს დამორჩილებული; 3. შეწყვეტას; ამოწურვას დაქვემდებარებული

determinate sentence [dɪˈtɜ:mɪnət ˈsentəns] განაჩენი პატიმრობის დადგენილი ვადით

determination [dɪˈtɜ:mɪneɪʃən] *n.* 1. განსაზღვრება, ჩამოყალიბება; 2. გადაწყვეტა, გაღაჭრა *(დავისა)*; 3. გადაწყვეტილება, დადგენილება *(სასამართლოსი)*; 4. შეწყვეტა *(მაგ. კონტრაქტისა)*

* **of foreign law** [* ɔv ˈfɔ:rən lɔ:] საქმეზე უცხოური სამართლის ნორმების არ-

სტაბობის და ახრის დადგენა
• of guilt [• ɔv gilt] ბრალის დადგენა, განსაზღვრა
• of indigency [• ɔv ɪn'dɪdʒənsi] გადახდისუუნარობის მდგომარეობის დადგენა, განსაზღვრა
• of law [• ɔv lɔ:] 1. გადაწყვეტილება სამართლის საფუძველზე, სამართლებრივი გადაწყვეტილება; 2. საკითხის გადაწყვეტა იმაზე, თუ რა არის სამართალი *(კონკრეტულ შემთხვევაში)*
• of proceeding(s) [• ɔv prə'si:dɪŋ(z)] საქმეზე წარმოების შეწყვეტა
administrative • [ɔd'mɪnɪstrətɪv •] ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება
bail • [beɪl •] გირაოს თანხის განსაზღვრა
final • [ˈfaɪnəl •] საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც არ ექვემდებარება გასაჩივრებას
initial • [ɪ'nɪʃəl •] პირველსაწყისი გადაწყვეტილება
procedural • [prə'si:dʒurl •] გადაწყვეტილება სამართლის საპროცესო საკითხზე
restitution • [ˌrestɪ'tju:ʃən •] სასამართლოს გადაწყვეტილება რესტიტუციის საკითხზე ან რესტიტუციის სასარგებლოდ
waiver • [ˈweɪvə •] სასამართლოს გადაწყვეტილება უფლებაზე უარის თქმის შესახებ

determine [dɪ'tɜ:mɪn] *v.* 1. განსაზღვრა, დადგენა; 2. გადაწყვეტა *(დავისა)*; 3. შეწყვეტა, დამთავრება, გასვლა *(ვადისა)*
◊ **to • a controversy** [tu • ə 'kɔntrəvɜ:si] დავის გადაჭრა; **to • a criminal case** [tu • ə 'krɪmɪnəl keɪs] სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა *(კვერდიქტის, განაჩენი, განსაზღვრა, დადგენილება)*; **to • conclusively** [tu • kən'klu:sɪvlɪ] საბოლოო გადაწყვეტილების მიღება; **to • guilt** [tu • gilt] ბრალის დადგენა, ბრალდებულად ცნობა; **to • innocence** [tu • 'ɪnəsns] უდანაშაულოების დადგენა, უდანაშაულოდ ცნობა; **to • on a case-by case basis** [tu • ɔn ə keɪs-baɪ keɪs 'beɪsɪs] გადაწყვეტა ერთი შემთხვევიდან მეორე შემთხვევამდე *(თითოეულის განსაკუთრებულობაზე მხედველობაში მიღებით)*

deterrence [dɪ'terəns] 1. მოქმედებისგან თავის შეკავება *(დაშინებით)*; 2. თავის შეკავების, შეჩერების საშუალება; შემაკავებელი ფაქტორი *(დაშინებით: იღება იმის თაობაზე, რომ დამნაშავის მკაცრი დასჯა შეაჩერებს სხვებს; დანაშაულის პრევენციის პრინციპი)*
crime • [kraɪm •] 1. დანაშაულის ჩადენისგან თავის შეკავება დაშინებით; 2. დანაშაულისგან თავის შეკავების საშუალება
criminal • [ˈkrɪmɪnəl •] დანაშაულების ჩადენისგან თავის შეკავების სისხლის სამართლებრივი საშუალება
general • [ˈʤenrəl •] საერთო გაფრთხილება ან საერთო გაფრთხილების საშუალება *(დანაშაულის ჩადენისგან)*
penal • [ˈpi:nl •] დანაშაულის ჩადენისგან თავის შეკავებისთვის სადამსჯელო საშუალება
special • [ˈspeʃəl •] სპეციალური *(კერძო)* გაფრთხილება *(ახალი დანაშაულის ჩადენისგან)*

deterrent [dɪ'terənt] *n.* შემაკავებელი ფაქტორი, წინააღმდეგობა, მუხრუჭი; შეკავების, შეჩერების საშუალება; დასჯა, რომელსაც გააჩნია პრევენციული ხასიათი, რომ სხვებმა თავი შეიკავონ დანაშაულის ჩადენისგან; გამაფრთხილებელი საშუალება
• of law [• ɔv lɔ:] სამართალი, კანონი, როგორც შემაკავებელი საშუალება; სანქციის მუქარა
crime • [kraɪm •] დანაშაულის ჩადენისგან თავის შეკავების საშუალება
effective (efficient) • [ɪ'fektɪv (ɪ'fɪʃənt) •] ეფექტური შემაკავებელი საშუალება
weak • [wi:k •] არაეფექტური შემაკავებელი საშუალება

detraction [dɪ'trækʃən] *n.* ცილისწამება
detractive [dɪ'træktɪv] *adj.* ცილისწამებლური, მაგინებელი
detractor [dɪ'trɪmɔntɔ] *n.* ცილისმწამებელი
detriment [ˈdetrɪmənt] *n.* ზარალი, ზიანი
◊ **to the • of** [tu ðə • ɔv] ვინმეს ან რამეს საზიანოდ
detrimental [ˌdetrɪ'mentəl] *adj.* ზარალიანი, წამგებიანი, ზარალის მომტანი,

მავნე, დამლუპველი ◊ * **to the novelty** [* tu ðə ˈnɔvlti] სიახლისთვის სახელის გამტეხი

devalue [ˌdi:ˈvælju] *v.* გაუფასურება *(კანონისა)*; დევალვაციის მოხდენა

devastate [ˈdevəsteɪt] *v.* სამემკვიდრო ქონების გაფლანგვა

devastation [ˌdevəˈsteɪʃn] *n.* 1. გაკოტრება; 2. გარდაცვლილის ქონების გაფლანგვა *(ანდერძის ამსრულებელის ან ადმინისტრატორის მიერ)*

devastavit [ˈdevəstəvɪt] *n.* სანდეარის ქონების გაფლანგვაზე *(ანდერძის ამსრულებელის ან მემკვიდრეობის ადმინისტრატორის მიერ)*

development [dɪˈveləpmənt] *n.* 1. განვითარება, ევოლუცია, ზრდა, გაფართოება, გაშლა; გაუმჯობესება; დინამიკა; 2. შეცვლა, ტენდენცია *(მაგ. ეკონომიკაში)*; 3. საქმის ვითარება; 4. *pl.* მოვლენა; სიტუაცია; საქმის ვითარება, გარემოება ◊ * **reserve** [* rɪˈzɜ:v] რეზერვი საწარმოს გაფართოებისთვის

current *s [ˈkʌrənt *z] მიმდინარე მოვლენები

economic * [ˌi:kəˈnɔmɪk *] ეკონომიკური განვითარება

price * [praɪs *] ფასების დინამიკა

priority * [praɪˈɔrəti *] პრივილეგიდი, პრიორიტეტული მოვლენა

rapid * [ˈræpɪd *] სწრაფი განვითარება, ზრდა

recent *s [ˈri:snt *z] *იხ.* **current** *s

deviate [ˈdi:vɪeɪt] *v.* გადახრა *(ნორმიდან, კურსიდან და ა.შ.)*

deviation [ˌdi:vɪˈeɪʃən] *n.* დევიაცია, გადახრა *(ნორმიდან, კურსიდან და ა.შ.)*; სწორი მიმართულებიდან გადახრა *(მაგ. გემისა, თვითმფრინავისა, ჭურვისა და ა.შ.)* ◊ * **doctrine** [* ˈdɔktrɪn] ანდერძის მუხლი, რომელიც უშვებს გადახრას

device [dɪˈvaɪs] *n.* 1. მოწყობილობა, ალჭურვილობა, მექანიზმი; 2. საშუალება, მეთოდი; 3. ემბლემა, დევიზი

advertising * [ədˈvɜ:taɪzɪŋ *] სარეკლამო დევიზი, სარეკლამო ლოზუნგი *(როგორც სამართლებრივი დაცვის საგანი სასაქონლო ნიშნის სახით)*

alarm * [əˈlɑ:m *] განგაშის ამტეხი მოწყობილობა

automatic protective * [ˌɔ:təˈmætɪk *prəˈtektɪv *] ავტომატური დამცავი მოწყობილობა

fraudulent * [ˈfrɔ:djulənt *] ცრუ მაქინაცია

incending * [ɪnˈsendɪŋ *] ცეცხლის გამწვევი მოწყობილობა

infringing * [ɪnˈfrɪndʒɪŋ *] პატ. კონტრაფაქტური მოწყობილობა

listening * [ˈlɪsnɪŋ *] მიკურადების *(მოსასმენი)* ხელსაწყო

oppressive * [əˈpresɪv *] დათრგუნვის, შეიწროების, ტირანიის, დესპოტური მართვის მექანიზმი

unlawful * [ʌnˈlɔ:ful *] კანონსაწინააღმდეგო მაქინაცია

devirginatio *ლათ.* გაუპატიურება

devise [dɪˈvaɪz] *v.* 1. ანდერძით ჯრიპოლდური მიწის დატოვება; 2. *(უძრავი)* ჯრიპოლდური ქონების ანდერძით დატოვება; 3. გამოგონება

contigent (executory) * [kɔnˈtɪdʒənt (ɪgˈzekjətəri) *] საანდერძო უარი უძრავ ქონებაზე გადადების პირობებით

general * [ˈdʒenrəl *] საანდერძო უარის მთლიან უძრავ ქონებაზე

lapsed * [ˈlæpst *] ძალადაკარგული ანდერძი; საანდერძო უარი უძრავ ქონებაზე, რომელიც ბათილი გახდა მემკვიდრის გარდაცვალების შემდეგ

residuary * [rɪˈzɪdjuːəri *] საანდერძო უარი უძრავ ქონებაზე, რომელიც დარჩა ვალდებულების დაფარვის და სხვა საანდერძო უარის თქმის შესრულების შემდეგ

specific * [spəˈsɪfɪk *] საანდერძო უარი უძრავი ქონების კონკრეტულად ნამოთვლილ ნაწილზე

devisee [dɪˈvaɪˈzi:] *n.* მემკვიდრე; პირი, რომელიც ანდერძით იღებს მთლიან უძრავ ქონებას, ლეგატი

residuary * [rɪˈzɪdjuːəri *] "ნარჩენი ლეგატი", *(ანდერძით)* მემკვიდრე განთავისუფებული ვალებისა და ქონებაზე საანდერძო უარისგან

deviser [dɪˈvaɪzə] *n.* 1. გამომგონებელი, გამოგონების ავტორი; 2. მოანდერძე *(უძრავი ქონებისა)*

devisor [dɪˈvaɪzɔ:] *n.* მოანდერძე, ანდერძის დამტოვებელი, ანდერძის დამგდები, მემკვიდრეობის გადამბარებელი, მემ-

კვიდრეობის გადამცემი

devolution [ˌdi:və'lu:ʃən] *n.* 1. უფლების, ვალდებულებების, უფლებრივი ტიტულის ან თანამდებობის გადაცემა; 2. საკითხების გადაცემა განხილვისათვის პარლამენტის და პასუხისმგებელი ორგანოებისთვის; 3. დეცენტრალიზაცია, შეზღუდული ავტონომია *(შოტლანდიასა და უელსში)*

*** of the crown** [* ɔv ðə kraun] ტახტის *(გვირგვინის)* გადაცემა მემკვიდრეზე

devolve [dɪ'vɔlv] *v.* 1. გადაცემა *(უფლებამოსილებისა)*, მემკვიდრეობით გადაცემა; 2. გადასვლა *(თანამდებობისა, მოვალეობისა)* **to * along with** [tu * ə'lɔŋ wɪð] გაყოლა. მიდევნა ვინმეზე *(უფლებაზე, ვალდებულებაზე)*; **to * on** [tu * ɔn] სხვა პირთან გადასვლა *(უფლებაზე, ვალდებულებებზე, უფლებრივ ტიტულზე, თანამდებობაზე)*

diagnostic tests [ˌdaɪəg'nɔstɪk tests] დიაგნოსტიკური ტესტი

dica *ლათ.* სასამართლო დავა

dicatio ლათ. მოქალაქეობის უფლების მიღება *(სხვა სახელმწიფოში)*

dicker ['dɪkə] I. წერილმანი გარიგება; გაცვლა; 2. წერილმანებზე ვაჭრობა; წერილმანი გარიგების დადება

dictate ['dɪkteɪt] *n.* დიქტატი, თავსმოხვეული შეთანხმება; კარნახი; დანიშვნა, დაწესება

dictation [dɪk'teɪʃən] *n.* I. ბრძანების გაცემა, დანიშვნა; 2. დიქტატი

dictum (judicial dictum/obiter dictum) *ლათ.* მოსამართლის მიერ გამოთქმული აზრი, რომელიც არ ატარებს ნორმის *(შემცველ)* დამდგენ ხასიათს; მოსამართლის შეხედულება, რომელიც არ წარმოადგენს გადაწყვეტილების განსახილველ საქმეზე; მოსამართლის გზადაგზა გამოთქმული აზრები, რომელიც არ გახდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველი

judicial * [ʤu'dɪʃəl *] შეხედულება *(მოსამართლის გამონათქვამი, რომელიც არ ატარებს ნორმის დამდგენ ხასიათს; მოსამართლის აზრი, რომელიც არ ატარებს ნორმის წარმოქმნის მნიშვნელობას; მოსამართლის შეხედულება, რომელიც არ წარმოადგენს განსახილველ საქმეზე გადაწყვეტილებას; მოსამართლის გზადაგზა გამოთქმული შეხედულება, რომელიც არ გახდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველი)*

die [daɪ] *v.* 1. კვდომა, გარდაცვალება, გაქრობა, მიყუჩება; 2. შტამპი; შტამპი, ტეიფერა, ფულის მოჭრა ◊ **to * a natural death** [tu * ə 'nætʃrəl deθ] ბუნებრივი გარდაცვალება; **to * a violent death** [tu * ə 'vaɪələnt deθ] ძალადობრივი მოკვდინება; **to * intestate** [tu * ɪn'testeɪt] ანდერძის დატოვების გარეშე გარდაცვალება; **to * seized** [tu * si:zd] გარდაცვალება კონფისკაციადაღებული ქონების დატოვებით; **to * without issue** [tu * wɪ'ðaut ɪ'sju:] გარდაცვალება შთამომავლის დაუტოვებლად

forged * ['fɔ:ʤd *] ყალბი შტამპი

dies *ლათ.* დღე ◊ *** juridicus** *ლათ.* სამუშაო დღე სასამართლოში; *** non (juridicus)** *ლათ.* არასამუშაო დღე სასამართლოში

diet ['daɪət] *n.* I. საკანონმდებლო კრება, პარლამენტი; 2. საერთაშორისო კონფერენცია; 3. *შოტლ.* სასამართლო სხდომა; სასამართლოში გამოცხადების დღე, საქმის განხილვის დღე; მოსმენისთვის მომზადებული საქმე

defference ['dɛfərəns] *n.* I. გადახრა, სხვაობა, სხვადასხვაობა, განსხვავება; 2. უთანხმოება, კამათი, დავა, სადავო საკითხი; 3. განმასხვავებელი ნიშანი ◊ **in field** [* ɪn fi:ld *] *პატ.* გამოყენების სფეროებში სხვაობა

arrange a * [ə'reɪnʤ ə *] უთანხმოების მოგვარება, დარეგულირება

decide the * [dɪ'saɪd ðə *] უთანხმოების დარეგულირება, დავის გადაწყვეტა

legal * ['li:gəl *] სამართლებრივი დავა

settle * ['setl *] უთანხმოების, დავის დარეგულირება

speculate in *s ['spekjuleɪt ɪn *z] *ბირჟ.* თამაში კურსის სხვაობაზე

split the * [splɪt ðə *] ფასზე შეთანხმება, მოლაპარაკება, კომპრომისზე წასვლა; სხვაობის გაყოფა შუაზე

state * [steɪt *] I. საერთაშორისო *(სახელმწიფოთაშორისი)* დავა; 2. შტატთაშორისი დავა

differential [ˌdɪfəˈrenʃəl] *adj.* 1. დიფერენციული, განმასხვაებელი, ნიშანდობლივი, დამახასიათებელი; 2. განსხვავება, სხვაობა, დანამატი
night * [naɪt *] დანამატი ღამის სამუშაოზე
difficulty [ˈdɪfɪkəlti] *n.* სიძნელე, წინააღმდეგობა, სიმძიმე; უთანხმოება
diffusion [dɪˈfjuːʒən] *n.* გაერცელება; გაბნევა, გაფანტვა, განაწილება; დიფუზია
* **of investment** [* ɔv ɪnˈvestmənt] კაპიტალდაბანდების განაწილება
digest [daɪˈʤest] *n.* 1. დიგესტი, კრებული *(სასამართლოს დადგენილებათა, რომელსაც ადვოკატები იყენებენ საცნობაროდ)*; კრებული *(კანონებისა, ნორმებისა)*; სამართლის კერძო კოდიფიკაცია, კრებული; 2. **(the Digests)** იუსტინიანეს დიგესტები *(რომის სამართლის კრებული)*
* **of case law** [* ɔv keɪz lɔː] პრეცედენტების კრებული *(მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულების სერია)*
dignitary [ˈdɪgnɪtəri] *n.* დიდებული, წარჩინებული მოხელე; დიდი თანამდებობის პირი
dignity [ˈdɪgnəti] *n.* 1. ღირსება; 2. წოდება, საპატიო წოდება, ტიტული, ხარისხი
dignity, grant of [ˈdɪgnəti, grɑːnt ɔv] საპატიო წოდების ბოძება
digress [daɪˈgres] *v.* გადახრა, გადახვევა *(საქმის არსიდან)*, უკან დახევა
digression [daɪˈgreʃən] *n.* გადახვევა *(საქმის არსიდან)*, უკან დახევა
"no * please" [nəʊ * pliːz] "გეთაყვა, ილაპარაკეთ საქმის არსზე"
dilapidation [dɪˌlæpɪˈdeɪʃən] *n.* 1. დამქრალებლის მიერ ქონების გაფუჭება; დაზიანება; 2. სარემონტო სამუშაოს ვალდებულების შეუსრულებლობა *(დამქირავებლის მხრიდან)*
dilatory [ˈdɪlətəri] *adj.* 1. დილატორული, ძალიან ნელი, შემაფერხებელი; დაყოვნებული; 2. საქმის გამჭიანურებელი
diligence [ˈdɪlɪʤəns] *n.* 1. სიბეჯითე, შრომისმოყვარეობა, მონდომებულობა; მცდელობა, მზრუნველობა; 2. *შოტლ.* ქონების დაყადაღება ვალის უზრუნველსაყოფად ან აღსრულების საწარმოებლად; 3. *შოტლ.* ბრძანება სასამართლოში გამოცხადების შესახებ; 4. *შოტლ.* ბრძანება სასამართლოში წერილობითი მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ
due * [djuː *] სავალდებულო, სათანადო მზრუნველობა
extraordinary * [ɪkˈstrɔːdnri *] საგანგებო ყურადღება, ზრუნვა
great * [greɪt *] დიდი ზრუნვა, ყურადღება
necessary * [ˈnesɪsəri *] აუცილებელი ყურადღება
ordinary * [ɔːˈdɪnri *] ჩვეულებრივი მზრუნველობა
reasonable * [ˈriːzənəbl *] გონიერული, შესაბამისი ყურადღება
special * [ˈspeʃəl *] განსაკუთრებული ყურადღება
diligent [ˈdɪlɪʤənt *] *adj.* ბეჯითი, მონდომებული, მზრუნველი
diligent inquiry [ˈdɪlɪʤənt ɪnˈkwaɪəri] ზედმიწევნით გამოკითხვა.
dilution [daɪˈljuːʃən] *n.* გახსნა, დასუსტება, დაწვეა, გაზავება, შერევა, შემცირება *(აქციების ფასის დაწევა მიმოქცევაში ახალი აქციების გამოშვების ხარჯზე)*
diminish [dɪˈmɪnɪʃ] *v.* შემცირება, კლება
diminishing [dɪˈmɪnɪʃɪŋ] *adj.* შემცირებადი; კლებადი ◊ * **returns** [* rɪˈtɜːnz] კლებადი შემოსაელები
diminition (of the price) [dɪˈmɪnɪʃən (ɔv ðə praɪs)] *n.* დაწევა, დაკლება *(ფასისა)*
diminution [ˌdɪmɪˈnjuːʃən] *n.* 1. შემცირება *(მაგ. მოგებისა)*, დაკლება, დაკნინება; 2. დოკუმენტების არასისრულე
dimission [dɪˈmɪʃən] *n.* დათხოვნა
ding-a-ling (or dingaling) [dɪŋ-ə-lɪŋ (ɔː ˈdɪŋəlɪŋ)] *n. სლ.* შეურაცხადი, ექსცენტრული პიროვნება
diocese [ˈdaɪəsɪs] *n.* ეპარქია, საეპისკოპოსო
dip [dɪp] *v. n.* დაცემა *(ფასების)*
diploma [dɪˈplɔʊmə] *n.* 1. ოფიციალური დოკუმენტი; 2. დიპლომი; მოწმობა
diplomacy [dɪˈplɔʊməsi] *n.* დიპლომატია; პრობლემების მოგვარების ან ადამიანთა დარწმუნების მშვიდი და ტაქტიანი მახერა
diplomat [ˈdɪpləmæt] *n.* დიპლომატი

diplomatic [ˌdɪplə'mætɪk] *adj.* 1. დიპლომატიური; 2. ტექსტუალური, ზუსტი ◊ *** immunity** [***** ɪ'mju:nɪtɪ] დიპლომატიური იმუნიტეტი; *** staff** [***** stɑ:f] დიპლომატიური პერსონალი

direct [daɪ'rekt] *v.* 1. მითითება, ბრძანება; 2. მიმართვა, მისამართით გაგზავნა; 3. ხელმძღვანელობა, მართვა; 4. ბრძანების გაცემა, ინსტრუქციის მიცემა; 5. პირდაპირი, უშუალო, სწორი ◊ *** acces to a market** [***** 'ækses tu ə 'mɑ:kɪt] პირდაპირი ხელმისაწვდომობა ბაზარზე; *** an acquittal** [***** ən ə'kwɪtəl] ნაფიც მსაჯულთათვის რეკომენდაციის მიცემა ბრალდებულის გამართლების თაობაზე; *** attack** [***** ə'tæk] პირდაპირი შეტევება სასამართლო გადაწყვეტილებაზე; *** authority** [***** ɔ:'θɔrətɪ] პირდაპირი წყარო; *** cause** [***** kɔ:s] უშუალო მიზეზი; *** evidence** [***** 'evɪdəns] თვითმხილველის ჩვენება; პირდაპირი მტკიცებულება; *** financing** [***** 'faɪnənsɪŋ] პირდაპირი დაფინანსება; *** to home retailing** [***** tu həum 'ri:teɪlɪŋ] პროდუქციის პირდაპირ კლიენტისთვის მიყიდვა ბინიდან *(საცალო ვაჭრობით)*; *** injury** [***** 'ɪndʒərɪ] უშუალო, პირდაპირი ზიანი; *** labour cost** [***** 'leɪbə kɔst] საწარმოს მუშაკთა ხელფასი; პროდუქციის დასამზადებლად დაქირავებული მუშების ხარჯები; *** loss** [***** lɔs] უშუალო ზარალი, დანაკარგი; *** placement** [***** 'pleɪsmənt] ფასიანი ქაღალდების უშუალო განთავსება; *** selling** [***** 'selɪŋ] უშუალო გაყიდვა *(უშუალოდ მომხმარებელზე ან საცალო ვაჭრობით)*; *** suffrage** [***** 'sʌfrɪdʒ] უშუალო საარჩევნო უფლება; *** tax** [***** tæks] პირდაპირი გადასახადი, დაბეგვრა; *** vote** [***** vəut] უშუალო ხმის მიცემა; *** worker** [***** wɔ:kə] ძირითადი მუშა; **the judge *ed the verdict for the defendant** [ðə dʒʌdʒ *****ɪd ðə 'vɜ:dɪkt fɔ: ðə dɪ'fendənt] მოსამართლემ საქმე გადაწყვიტა მოპასუხის სასარგებლოდ; **to * an acquittal** [tu ***** ən ə'kwɪtəl] რეკომენდაციის გაწევა მსაჯულებთან, რათა გაამართლონ განსასჯელი *(მოსამართლის მიერ)*; **to * the jury** [tu ***** ðə 'dʒuərɪ] მსაჯულების რეკომენდირება; ნაფიცი მსაჯულისთვის ინსტრუქციების მიცემა *(მოსამართლის მიერ)*

direction [daɪ'rekʃən] *n.* 1. მიმართულება; ხელმძღვანელობა, მართვა; 2. მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის მიცემული ინსტრუქციები; 3. მოსამართლის ბრძანებები, რომლებიც ეხება საქმის წარმოების წოგად წესსა და ხარისხს; 4. დირექცია, სამმართველო, გამგეობა; 5. მითითება; ინსტრუქცია; განკარგულება; დარიგება; 6. მსაჯულებისთვის ინსტრუქციების მიცემა ◊ *** in case of need** [***** ɪn keɪs əv ni:d] მესამე პირის მითითება თამასუქის გაპროტესტების შემთხვევაში

verbal * ['vɜ:bəl *****] ზეპირი, სიტყვიერი განკარგულება

written * ['rɪtn *****] წერილობითი განკარგულება

directive [daɪ'rektɪv] *adj. n.* 1. წარმმართველი, სადირექტივო; 2. დირექტივა

director [daɪ'rektə] *n.* დირექტორი, უფროსი, ხელმძღვანელი

*** of Public Prosecutions** [***** əv 'pʌblɪk ˌprɔsɪ'kju:ʃənz] საჯარო დევნის დირექტორი *(გენერალური პროკურორი დიდ ბრიტანეთში)*

administrative * [əd'mɪnɪstrətɪv *****] ადმინისტრაციული დირექტორი, დირექტორ-ადმინისტრატორი; გამგეობის წევრი ადმინისტრაციული ფუნქციებით

associate * [ə'səuʃɪɪt *****] დირექტორი, რომელიც ესწრება დირექტორთა საბჭოს კრებებს, მაგრამ არ არის აქციონერების მიერ არჩეული

deputy * ['depjutɪ *****] დირექტორის მოადგილე

executive * [ɪg'zekju:tɪv *****] 1. აღმსრულებელი დირექტორი; 2. მთავარი დირექტორი

managing * ['mænɪdʒɪŋ *****] დირექტორ-განმკარგულებელი

directorate [də'rektərət] *n.* 1. დირექტორატი, გამგეობა; 2. დირექტორების ჯგუფი

interloking * [ˌɪntə'lɔkɪŋ *****] გაერთიანებული დირექტორატი *(ერთი კომპანიის დირექტორი, რომელიც იმავდროულად სხვა კომპანიის გამგეობის წევრია; "თეთრსაყელოიანთა" სახესხვაობა დანაშაულებრივ ბიზნესში)*

director-general [daɪ'rektə-'dʒenərəl] *n.*

გენერალური დირექტორი
directory [dəɪˈrektəri] *n.* 1. ცნობარი, საძიებელი; 2. მითითებების, ინსტრუქციების შემცველი, სადირექტიო, ინსტრუქციული, საინსტრუქციო; 3. დირექტორია; 4. *adj.* დისპოზიტიური
disability [ˌdɪsəˈbɪlətɪ] *n.* 1. უუნარობა; ქმედუუნარობა; უფლებაუუნარობა; 2. უფლების შესრულება; უფლებების ჩამორთმევა; აცრა; 3. შრომისუუნარობა; 4. გადახდისუუნარობა; 5. ინვალიდობა ◊ *** compensation** [* ˌkɔmpenˈseɪʃən] კომპენსაცია არაქმედითუნარიანობის გამო; *** insurance** [* ɪnˈʃuərəns] დაზღვევა შრომის უუნარობაზე *(არაქმედითუნარიანობის გამო)*; *** in the nature of a punishment** [* ɪn ðə ˈnetʃə əv ə ˈpʌnɪʃmənt] თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა სისხლის სამართლებრივი დასჯადობის წესის თანახმად *** of infancy** [* əv ˈɪnfənsɪ] ქმედუუნარობა ჩვილი ასაკის გამო *** of judge** [* əv ʤʌʤ] I. მოსამართლის ქმედუუნარობა; 2. მოსამართლეობის უფლების ჩამორთმევა *** pension** [* ˈpenʃən] ინვალიდობის პენსია **mental *** [mentəl *] ფსიქიკური არასრულფასოვნება; ქმედუუნარობა და/ან უფლებაუუნარობა ფსიქიკური დაავადების გამო **partial *** [ˈpɑːʃəl *] ნაწილობრივი ქმედუუნარობა **pensionable *** [ˈpenʃənəbl *] შრომისუუნარობა, რომელიც პენსიის უფლებას ანიჭებს **permanent *** [ˈpɜːmənənt *] მუდმივი *(პერმანენტული)* ქმედუუნარობა *(სრული ან ნაწილობრივი)* **presidential *** [ˌprezɪˈdenʃəl *] I. საპრეზიდენტო ქმედუუნარობა; 2. პრეზიდენტობის უფლების ჩამორთმევა *(იმპიჩმენტის წესით)* **temporary *** [ˈtempərərɪ *] დროებითი ქმედუუნარობა **total *** [ˈtəutl *] სრული ქმედუუნარობა
disable [dɪsˈeɪbl] *n.* 1. ქმედუუნაროდ ან უფლებაუუნაროდ გამოცხადება, უუნაროდ ქცევა; უფლების შეზღუდვა და ან ქმედუნარიანობა; შეზღუდვა უფლებებში; უფლებების აცრა, ჩამორთმევა; 2. შრომისუუნაროდ გახდომა, შრომისუნარიანობის დაკარგვა; 3. დასახიჩრება, მწყობრიდან გამოყვანა; 4. იურიდიული ძალის დაკარგვა; ბათილად ცნობა ◊ **to * the victim** [tu * ðə ˈvɪktɪm] I. დაზარალებულისთვის წინააღმდეგობების გაწევით უნარის წართმევა; 2. დაზარალებულის დასახიჩრება
disabled [dɪsˈeɪbld] *adj.* 1. შრომისუუნარო, ფიზიკური ნაკლის მქონე პირი *(მაგ. ბრმა, ყრუმლაშო და ა.შ.)*, ქმედუუნარო, უუნარო; 2. დასახიჩრებული **disabled person** [dɪsˈeɪbld ˈpɜːsn] ხეიბარი, შრომისუუნარო, ქმედუუნარო
disablement [dɪsˈeɪblmənt] *n.* 1. შეზღუდვა, ჩამორთმევა, უფლებების აცრა; 2. შრომისუნარიანობის დაკარგვა
disadvantage [ˌdɪsədˈvɑːntɪʤ] *adj.* 1. არახელსაყრელი მდგომარეობა; არახელსაყრელი პირობები, არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაგდება; 2. ზარალი, ზარალის მიყენება **legal *** [ˈliːgəl *] იურიდიულად არახელსაყრელი მდგომარეობა ან პირობები
disadvantaged [ˌdɪsədˈvɑːntɪʤd] *adj.* I. არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი; 2. დაზარალებული
disaffection [ˌdɪsəˈfekʃən] *n.* 1. უკმაყოფილება; 3. არალოიალურობა
disaffiliate (with) [ˌdɪsəˈfɪlɪeɪt (wɪð)] *v.* გამოსვლა *(დან)*
disaffiliation (with) [ˌdɪsəˈfɪlɪeɪʃn (wɪð)] *n.* გამოსვლა *(დან)*
disaffirm [ˌdɪsəˈfɜːm] *v.* გაუქმება *(მაგ. გადაწყვეტილებისა)*, უარყოფა, უარის თქმა; თანხმობის უკან წაღება; თანხმობის, დადასტურების უარყოფა
disaffirmance [ˌdɪsəˈfɜːmənts] *n.* გაუქმება; თანხმობის უკან წაღება, დადასტურების უარყოფა
disagree [ˌdɪsəˈgriː] *n.v.* დაუთანხმებლობა, შესიტყვება, წინააღმდეგობა; ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრის ქონა
disagreement [ˌdɪsəˈgriːmənt] *n.* აზრთა, შეხედულებების სხვადასხვაობა, უთანხმოება, სხვადასხვა აზრის ქონა
disallow [ˌdɪsəˈlau] *v.* უარის თქმა, უარყოფა, აუღიარებლობა, უკუგდება, აცილება, აკრძალვა, ნების დაურთველობა ◊

to * a charge [tu * ɔ ʧɑ:ʤ] ბრალდების აცილება; to * a claim [tu * ɔ kleim] სარჩელზე უარის თქმა, აცილება; to * a question [tu * ɔ 'kwesʧən] საკითხის უკუგდება; to * in chief [tu * in ʧi:f] დაუშვებლობა, ნების დაურთველობა, გამორიცხვა *(ჩვენებისა, მტკიცებისა, მისაბეჭდრი კითხვისა)* მთავარ, ძირითად დაკითხვაზე; to * in cross-examination [tu * in ˌkrɔs-ɪˌgzæmɪ'neɪʃən] არდაშვება, გამორიცხვა *(ჩვენებისა, მტკიცებისა, მისაბეჭდრი კითხვისა და სხვ.)* ჯვარედინ დაკითხვაზე; to * in re-examination [tu * in ˌri:ɪˌgzæmɪ'neɪʃən] დაუშვებლობა, გამორიცხვა *(ჩვენებისა, მტკიცებისა, მისაბეჭდრი კითხვისა და სხვ.)* განმეორებით დაკითხვაზე

disallowance [ˌdɪsə'lauəns] *n.* უარი, უარყოფა; აკრძალვა

disambiguity [dɪsˌæmbɪ'gju:ɪtɪ] *n.* ორაზროვნების, არაერთმნიშვნელოვნების თავიდან აცილება; სხვადასხვაგვარი განმარტების შესაძლებლობების თავიდან აცილება

disannul [dɪs'ɔnjul] *v.* ანულირება

disappropriate [ˌdɪsə'prəuprɪeɪt] *v.* საკუთრების უფლების ჩამორთმევა

disappropriation [ˌdɪsəˌprəuprɪ'eɪʃən] *n.* საკუთრების უფლების ჩამორთმევა

disapproval [ˌdɪsə'pru:vəl] *n.* დაწუნება *(ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებისა)*

disapprove [ˌdɪsə'pru:v] *v.* დაწუნება, უარყოფა

disarm [dɪs'ɑ:m] *v.* განიარაღება, იარაღის აყრა

disarmament [dɪs'ɑ:məmənt] *n.* განიარაღება ◊ * commission [* kə'mɪʃən] განიარაღების კომისია *(გაერო)*; * subcommitte [* 'sʌbkəmɪti] განიარაღების ქვეკომიტეტი *(გაეროს განიარაღების კომისიისა)*

disarrange [ˌdɪsə'reɪnʤ] *v.* აშლა, უწესრიგობის შეტანა, დეზორგანიზება

disarrangement [ˌdɪsə'reɪnʤmənt] *n.* უწესრიგობა, აშლილობა, დაბნეულობა, დეზორგანიზაცია

* of settlement relations [* əv 'setlmənt rɪ'leɪʃənz] საანგარიშო თანაფარდობათა დისპროპორცია

disaster [dɪ'zɑ:stə] *n.* უბედურება, კატასტროფა, მარცხი

natural * ['næʧrəl *] სტიქიური უბედურება

political * [pə'lɪtɪkəl *] პოლიტიკური მარცხი

disavow [ˌdɪsə'wau] *v.* 1. უარყოფა, უარის თქმა; 2. პასუხისმგებლობის მოხსნა; 3. დეზავუირება

disavowal [ˌdɪsə'wauəl] *n.* 1. უარყოფა; 2. უარის თქმა; 3. დეზავუირება

disbar [dɪs'bɑ:] *v.* ადვოკატისთვის *(ბარისტერისთვის)* წოდების ჩამორთმევა; საადვოკატო პრაქტიკის უფლების ჩამორთმევა

disbarment [dɪs'bɑ:mənt] *n.* ადვოკატის *(ბარისტერი, - სასამართლო პროცესზე გამომსვლელი ადვოკატი, დიდი ბრიტანეთი)* უფლების ჩამორთმევა, ადვოკატის პრაქტიკის უფლების ჩამორთმევა

disburse [dɪs'bɜ:s] *v.* გადახდა *(ფულისა)*; გასავალი, ხარჯი

disbursement [dɪs'bɜ:smənt] *n.* 1. გადახდა 2. ხარჯი, გასავალი *(სახელმწიფო სახსრებიდან)*

discard [dɪs'kɑ:d] *v.* უკუგდება *(შეხედულებისა)*, გათავისუფლება, უარყოფა

dishnarge [dɪs'ʧɑ:ʤ] *v.* 1. განთავისუფლება, დათხოვნა *(მოსამსახურისა სამსახურიდან, ჯარიდან)*, რეაბილიტაცია, გამართლება; 2. შესრულება *(მოვალეობისა)*; 3. უფლებებში აღდგენა; 4. დაფარვა, გადახდა *(ვალისა)*; 5. გაღმოტვირთვა, გადმოცლა, განტვირთვა; 6. ანულირება; 7. გამოყოფა; 8. გამოშვება, ჩადენა, ღერა ◊ * a person absolutely [* ɔ 'pɜ:sn 'æbsəlu:tlɪ] პირის გათავისუფლება სრული პასუხისმგებლობისგან; * a person subject to a condition [* ɔ 'pɜ:sn 'sʌbʤekt tu ɔ kən'dɪʃən] პირის პირობით *(პასუხისმგებლობისგან)* განთავი-სუფლება; * for inaptitude [* fɔ: ɪn'æptɪtju:d] შეუფერებლობის გამო პირის განთავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან; to * witness [tu * 'wɪtnɔs] *(სასამართლოში)* მოწმის განთავისუფლება ჩვენების მიცემისგან; to * conditionally [tu * kən'dɪʃənlɪ] პირობითად განთავისუფლება; to * from custody [tu * frɔm 'kʌstədɪ] პატიმრო-

ბიდან განთა-ვისუფლება; **to * from employment** [tu * frɔm ɪm'plɔɪmənt] სამუშაოდან განთა-ვისუფლება; **to * from imprisonment** [tu * frɔm ɪm'prɪznmənt] პატიმრობიდან, ციხიდან განთავისუფლება; **to * from liability** [tu * frɔm ˌlaɪə'bɪlɪtɪ] პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება; **to * from parole** [tu * frɔm pə'rəʊl] პირობით-ვადა-მდელი განთავისუფლება; **to * from prison** [tu * frɔm 'prɪzn] ციხიდან განთავისუფლება; **to * grand jury** [tu * grænd 'ʤuərɪ] დიდი ჟიურის განთავის-უფლება *(საქმის განხილვისგან და საბრალდებლო აქტის მიღებისგან)*; **to * jury** [tu * 'ʤuərɪ] მსაჯულების განთაყის-უფლება *(საქმის განხილვისა და ვერდიქტის გამოტანისგან)*; **to * liability** [tu * ˌlaɪə'bɪlɪtɪ] ვალდებულების შესრულება; ვალის დაფარება; **to * on habeas corpus** *ლათ.* "habeas corpus"-ის პროცედურის თანახმად პატიმრობიდან განთავისუფლდეს *იხ.* **habeas corpus; to * a bankrupt** [tu * ə 'bæŋktrʌpt] I. ბანკროტის დავალიანების დაფარება; 2. ბანკროტის აღდგენა უფლებებში; სასამართლოს გადაწ¡ეეტილება ვინმეს ბანკროტად გამოცხადების გაუქმების შესახებ; **to * absolutely** [tu * 'æbsəluːtlɪ] სრულიად, მთლიანად განთავისუფლება; **to * on preliminary** [tu * ɔn prɪ'lɪmɪnərɪ] ბრალდებულის განთავისუფ-ლება პასუხისმგებლობისგან ან წი-ნასწარი პატიმრობიდან; **to * subject to condition** [tu * 'sʌbʤekt kən'dɪʃən] პირობითად განთავისუფლება; **to * the term of sentence** [tu * ðə tɜːm ɔv 'sentəns] სასჯელის ვადის მოხდა; **to * the defendant** [tu * ðə dɪ'fendənt] მოპასუხის, განსასჯელის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება; **to * unconditionally** [tu * ˌʌnkən'dɪʃənlɪ] მთლიანად, სრულად, უპირობოდ განთავისუფლება *(პასუხისმგებლობისგან; სასჯელისგან, შემდგომი სასჯელის აღსრულებისგან)*; **to * wrongfully** [tu * 'rɔŋfulɪ] მართლსაწ-ინააღმდეგოდ განთავისუფ-ლება

*** of contract** [* ɔv 'kɔntrækt] კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დასრულება

*** of debt** [* ɔv det] ვალის დაფარება

*** of debtor** [* ɔv 'detə] მევალის ვალისგან განთავისუფლება

*** of defendant** [* ɔv dɪ'fendənt] მოპასუხის ან განსასჯელის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება

*** of duty** [* ɔv 'djuːtɪ] მოვალეობის შესრულება; სამსახურებრიეი მოვალეობის შესრულება

*** of grand jury** [* ɔv grænd 'ʤuərɪ] დიდი ჟიურის განთავისუფლება *(საქმის განხილვისგან და)* საბრალდებლო აქტის მიღებისგან

*** of jury** [* ɔv 'ʤuərɪ] მსაჯულების განთავისუფლება *(საქმის განხილვისგან)* ვერდიქტის გამოტანისგან

*** of surety** [* ɔv 'ʃuətɪ] თაედების განთავისუფლება პასუხისმგებლობისგან

absolute * ['æbsəluːt *] სრული განთავისუფლება; დამნაშაყის გაშვება ყოველგვარი დასჯის გარეშე

administrative * [ədˈmɪnɪstrətɪv *] *ამერ. სამხ.* სასამართლოს გარეშე არმიიდან განთავისუფლება, დათხოვნა, გაშვება

air-force * [eə-fɔːs *] დემობილიზაცია ან თადარიგში გაშვება, დათხოვნა *(სამხედრო-საჰაერო ძალებიდან)*

army * ['ɑːmɪ *] დემობილიზაცია ან თადარიგში გაშვება *(არმიიდან)*

bad conduct * [bæd kɔn'dʌkt *] არმიიდან გაშვება *(დათხოვნა)* უღირსი საქციელის გამო

conditional * [kɔn'dɪʃənəl *] პირობით განთავისუფლება

final * ['faɪnəl *] საბოლოო, სრული განთავისუფლება; ვალიდან დარჩენილი თანხის საბოლოო გადახდა

lawful * ['lɔːful *] გაკოტრებული, ვალაუვალი მევალის აღდგენა უფლებებში

military * ['mɪlɪtərɪ *] დემობილიზაცია ან თადარიგში გაშვება *(დათხოვნა)*

naval * ['neɪvəl *] დემობილიზაცია ან თადარიგში დათხოვნა სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან

order of * ['ɔːdə ɔv *] სასამართლო ბრძანება ვალაუვალი მევალის უფლებებში აღდგენის შესახებ

period of conditional * ['pɪərɪəd ɔv kən'dɪʃənəl *] პირობითი გათავისუფლების ვადა

person on conditional * ['pɜːsn ɔn kən'

ძსაიsl *] პირობითად განთავისუფლებული
port of * [pɔ:t ɔv *] გადმოტვირთვის პორტი
safe * [seıf *] l. უდავოდ სწორი განთავისუფლება; 2. *(პასუხისმგებლობისგან, სასჯელისგან, შეშდგომი სასჯელის მოხდისგან)* განთავისუფლება, რომელიც საზოგადოებისთვის სარისკო არ იქნება
suspensive * [sɔs'pensıv *] აღდგენა გაკოტრებული მეკალისა გადაკადებული მოქმედების უფლებებში
unconditional * [ˌʌnkɔn'dıʃənl *] უპირობოდ, სრული განთავისუფლება
dischargee [dıs'ʃɑ:ʤ] *adj.* არმიიდან დათხოვნილი, დემობილიზებული
disciplina *ლათ.* l. მოძღვრება, მეცნიერება; 2. წესი, წყობილება
disciplinable [dı'səplınəbl] *adj.* ანაზღაურებას დაქვემდებარებული დასჯადი *(ფართო გაგებით)*
disciplinary [dı'səplınərı] *adj.* l. დისციპლინური, გამასწორებელი; 2. მადისციპლინირებელი
discipline ['dısəplın] *n.* l. წესი, დისციპლინა; 2. დისციპლინური დასჯა; დისციპლინური სასჯელის დაკისრება
exact (harsh) * [ıg'zækt (hɑ:ʃ) *] l. მკაცრი დისციპლინა; 2. მკაცრი სასჯელი
regimented * ['reʤımentıd *] მკაცრად რეგლამენტირებული დისციპლინა
stern (strict) * [stɜ:n (strıkt) *] l. მკაცრი დისციპლინა 2. მკაცრი სასჯელი
disclaim [dıs'kleım] *v.* l. უარის თქმა *(უფლებაზე)*, 2. უარყოფა; არცნობა *(სარჩელისა, უფლებისა)*, 3. პრეტენზიის არქონა *(რაიმეზე)*
disclaimer [dıs'kleımə] *n.* l. იურიდიულად უარის თქმა *(უფლებაზე, პასუხისმგებლობაზე)*, 2. უარი გამოგონების ფორმულაზე ან ფორმულის პუნქტზე; სასაქონლო ნიშნის ელემენტის დისკლამაცია; 3. უარყოფა, არცნობა *(სარჩელისა, უფლებისა)*
terminal * ['tɜ:mınl *] უარის თქმა საპატენტო მოთხოვნებზე, პატენტის მოქმედების გარკვეული ვადის ნაწილზე
disclose [dıs'klɔuz] *v.* გამოაშკარავება, გამომჟღავნება *(დეტალებისა)*, გახმაურება აღმოჩენა, გახსნა; გამოცხადება, შეტყობინება ◊ **to * records** [tu * 'rekɔ:dz] არქივის გამოქვეყნება
disclosure [dıs'klɔuʒə] *n.* გამოაშკარავება, გახმაურება; შეტყობინების გაცემა; შეტყობინება *(იმ მონაცემებისა, რომლებიც არ ექვემდებარება გახმაურებას)*, გამჟღავნება
*** of agreement** [* ɔv ə'gri:mənt] მხარეთა შორის შეთანხმების ფაქტის დადგენა, გამოცხადება, გახმაურება
*** of alibi** [* ɔv 'ælıbaı] ალიბის განცხადება
*** of documents** [* ɔv 'dɔkumənts] l. დოკუმენტების შინაარსის გახმაურება; 2. საქმეში არსებული დოკუმენტების გახსნა
*** of evidence** [* ɔv 'evıdəns] l. მტკიცებულების წარდგენა; 2. მონაცემების გახმაურება
*** of invention** [* ɔv ın'venʃən] l. გამოგონების გამჟღავნება, გამოგონების ინფორმირება; 2. გამოგონების გახმაურება
*** of official information** [* ɔv ə'fıʃəl ˌınfə'meıʃən] ოფიციალური ცნობების გახმაურება
mandatory * ['mændətərı *] საჯაღდებულო გამოქვეყნება *(ოქმისა)*
discommon [dıs'kɔmən] *v.* საერთო სარგებლობის მიწით სარგებლობით უფლების ჩამორთმევა
discontent [ˌdıskɔn'tent] *n.* l. უკმაყოფილება, დაუკმაყოფილებლობა; 2. *adj.* უკმაყოფილო, დაუკმაყოფილებული; 3. *v.* უკმაყოფილების გამოწვევა ◊ **to raise** * [tu reız *] უკმაყოფილების გამოიწვევა
discontinuance [ˌdıskən'tınju:əns] *n.* l. შეწყვეტა *(მოქმედებისა)*, 2. საქმის წარმოების ავტომატური *(ნებაყოფლობის გარეშე)* შეწყვეტა
discontinued [ˌdıskən'tınju:d] *adj.* შეწყვეტილი; გაუქმებული
discontinue [ˌdıskən'tınju:] *v.* შეწყვეტა, უმოძრაოდ მიტოვება *(საქმისა)*
discount [dıs'kaunt] *n.* l. *v.* ფასდაკლება, ფასდათმობა, შეღავათის გაკეთება; 2. დისკონტი, თამასუქის აღრიცხვა,

დისკონტირება; 3. დისკონტის პროცენტი, რომელსაც აკავებენ თამასუქის განაღდებისას, საალრიცხვო პროცენტი; 4. ლოდინის კომპენსაცია *(წინასწარი მომსახურების შეძენისას)*; ფულის გასესხებისას პროცენტების მიღება წინასწარ; 5. ანგარიშთა ჯამი *(ბალანსზე)*; 6. შესწორება *(მაგ. მმართველის ძალაუფლებისა)*; 7. ანგარიშში მიუღებლობა; 8. მოთხოვნათა ჩათვლა ◊ *** assets** [***** ˈæsets] აღრიცხული თამასუქები; *** bond** [***** bɔnd] ობლიგაცია, რომლის ფასი დაფარვისას ნომინალზე ნაკლებია; *** loan** [***** lɔun] სესხი, რომელიც გაიცემა წინასწარ გამოკლებული პროცენტებით; *** market** [***** ˈmɑːkɪt] საალრიცხვო ბაზარი *(საფონდისო ბაზრის ნაწილი, რომელიც ეწევა კომერციული თამასუქებით ვაჭრობას)*; *** rate** [***** reɪt] საალრიცხვო განაკვეთი; *** shares** [***** ʃeəz] დისკონტური აქციები; **to * a bill** [tu ***** ə bɪl] თამასუქის აღრიცხვა

discover [dɪˈskʌvə] *ი.* აღმოჩენა, გამოჩენა, გამომჟღავნება; ცნობა; 2. *ი. მოძ.* მოღალატეობა, გამყიდველობა ◊ *** a plot** [***** ə plɔt] შეთქმულების გახსნა

discovert [dɪˈskʌvə(r)t] *n.* გაუთხოვარი, ქვრივი *(ქალზე)*

discovery [dɪˈskʌvərɪ] *n.* 1. სამოქალაქო სასამართლოში საქმის მოსმენის დაწყებამდე მხარეების მიერ ურთმანეთისთვის დოკუმენტების გაცნობა; 2. გახსნა, წარდგენა ცნობების, მონაცემების, დოკუმენტების; 3. აღმოჩენა *(ახალი ფაქტისა, დანაშაულისა)*, გამოაშკარაება; 4. კელეფით მიღებული შედეგი ◊ *** and occupation** [***** ənd ˌɔkjuːˈpeɪʃən] აღმოჩენა და დაუფლება *(ქვეყნის სახელით ტერიტორიის დაუფლების ფორმა)*

*** of documents** [***** əv ˈdɔkjumənts] დოკუმენტების მოთხოვნა; დოკუმენტების წარდგენა; საქმესე არსებული დოკუმენტების წაკითხვა

*** of evidence** [***** əv ˈevɪdəns] მტკიცებულების აღმოჩენა ან წარმოდგენა

*** of law** [***** əv lɔː] იმის დადგენა, რომ არსებობს კანონი *(მოცემული შემთხვევისთვის)*

omnibus pretrial [ˈɔmnɪbəs ˌpriːˈtraɪəl] სასამართლომდე დაპირისპირებული მხარეების მიერ მოწმეთა სიების წარდგენა

pretrial [ˌpriːˈtraɪəl] მოწმეთა სიების წარდგენა სასამართლომდე

discredit [dɪsˈkredɪt] *ი.* 1. დისკრედიტაცია, დისკრედიტირება; 2. სახელის გატეხა; 3. *n.* უნდობლობა; ნდობის დაკარგვა, ეჭვი; 4. კრედიტის შეწყვეტა; კრედიტის დაკარგვა; 5. უფლებამოსილების მოხსნა ◊ **to * an expert** [tu ***** ən ˈekspɜːt] ექსპერტის კომპეტენტურობის ეჭვის ქვეშ დაყენება; **to * a witness** [tu ***** ə ˈwɪtnəs] დისკრედიტირება, მოწმის სახელის გატეხა; მოწმის გამოცხადება არასანდოდ

discreet [dɪˈskriːt] *adj.* კეთილგონიერული, ფრთხილი, წინდახედული ◊ *** search** [***** sɜːʧ] ფრთხილი დათვალიერება; *** surveillance** [***** sɜːˈveɪləns] ნუმი თვალთვალი

discrepancy [dɪsˈkrepənsɪ] *n.* უთანხმოება, აზრთა სხვაობა; განსხვავება, წინააღმდეგობა, შეუსაბამობა ◊ **to benefit from * in price relationship** [tu ˈbenɪfɪt frɔm ***** ɪn praɪs rɪˈleɪʃənʃɪp] ფასთა სხვაობიდან სარგებლის ნახვა

price * [praɪs *****] ფასთა "მაკრატელი"

discretion [dɪˈskreʃən] *n.* 1. მიხედულობა, შეხედულება, შინაგანი რწმენა, დისკრეცია, მოქმედების თავისუფლება; დისკრეციული უფლება; 2. კეთილგონიერება; სიფრთხილე *(სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს)*; 3. კომპეტენცია

*** of the court** [***** əv ðə kɔːt] სასამართლოს დისკრეციულობა, *იხ.* **judicial discretion**

abused * [əˈbjuːzd *****] დისკრეციის ბოროტად გამოყენება, თვითნებობა

administrative * [ədˈmɪnɪstrətɪv *****] ადმინისტრაციული თანამდებობის შესრულებისას გადაწყვეტილების მიღება დისკრეციით; ადმინისტრაციული კომპეტენცია

executive * [ɪgˈzekjuːtɪv *****] აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენცია

informal * [ɪnˈfɔːməl *****] არაფორმალური კომპეტენცია

judicial * [ʤuˈdɪʃəl *****] სასამართლოს

შეხედულება; სასამართლო მოქმედების თავისუფლება, რაც გამოიხატება შინაგანი რწმენით გადაწყვეტილების მიღებაში

legal * [ˈli:gəl *] სასამართლოს შეხედულება, *იხ.* **judicial discretion**

prosecutorial * [ˌprɔsɪˈkju:tɔrɪəl *] ბრალმდებელი ხელისუფლების დისკრეციულობა

reasonable * [ˈri:znəbl *] გონივრული გადაწყვეტილება *(დაფუძნებული შინაგან რწმენაზე)*

restrained * [rɪˈstreɪnd *] შეზღუდული დისკრეცია, შეზღუდული მოქმედების თავისუფლება

sentencing * [ˈsentənsɪŋ *] გადაწყვეტილება სასჯელის ზომასთან დაკავშირებით

sound * [saund *] გონივრული გადაწყვეტილება, დისკრეციული უფლებების გონივრული განხორციელება

unrestrained * [ˌʌnrɪˈstreɪnd *] შეუზღუდავი დისკრეცია; შეუზღუდავი მოქმედების თავისუფლება

discretionary [dɪˈskreʃənri] *adj.* დისკრეციული; გადასაწყვეტად, განსახილველად შესაფასებლად წარმოდგენილი

discreminate [dɪˈskrɪmɪneɪt] *v.* 1. განსხვავება, გამორჩევა, გამოყოფა; 2. დისკრიმინირება, დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარება; 3. სხვადასხვაგვარად მიდგომა; მიკერძოების გამოჩენა; *adj.* 4. განმასხვავებელი; 5. განსხვავებული *(ვარიანტი)*; ცალკეული *(თავი, შუხლი, პუნქტი და ა.შ.)*

discrimination [dɪˌskrɪmɪˈneɪʃən] *n.* 1. დისკრიმინაცია; 2. გარჩევის უნარი; 3. მოთხოვნილება; 4. გამჭრიახობა; 5. განმასხვავებელი ნიშანი; 6. განსხვავების დადგენა; არაერთნაირი დამოკიდებულების გამოყენება; 7. ფაეორიტიზმი, განსაკუთრებული შეღავათების მიცემა

employment * [ɪmˈplɔɪmənt *] დისკრიმინაცია სამუშაოზე დაქირავებისას, მიღებისას

flag * [flæg *] დროშის დისკრიმინაცია

gender * [ˈʤendə *] სქესის დისკრიმინაცია

racial * [ˈreɪʃəl *] რასობრივი დისკრიმინაცია

sex * [seks *] *იხ.* **gender discrimination**

unlawful * [ʌnˈlɔ:ful *] უკანონო დისკრიმინაცია

discussion [dɪˈskʌʃən] *n.* 1. განხილვა; მოლაპარაკება; დისკუსია, კამათი, პაექრობა; 2. ვალის დაფარვა ძირითადი მევალის ქონებიდან *(როგორც თავდების პასუხისმგებლობის დადგომის პირობა)*; 2. მემკვიდრეთა პასუხისმგებლობის რიგითობა გარდაცვლილის ვალის დაფარვაში *(ჯერ კანონიერი მემკვიდრე, შემდეგ ანდერძით მემკვიდრე)*

freedom of * [ˈfri:dəm ɔv *] სიტყვის თავისუფლება

group * [ˈgru:p *] განხილვა პატიმართა ჯგუფში *(ხელახალი აღსრდის (რესოციალიზაციის) ერთ-ერთი მეთოდი)*

disease [dɪˈzi:z] *n.* ავადმყოფობა, სენი, სნეულება

*** of mind** [* ɔv maɪnd] ფსიქიკური დაავადება

industrial (occupational) * [ɪnˈdʌstrɪəl (ˌɔkjuˈpeɪʃənəl) *] პროფესიული დაავადება

mental * [ˈmentəl *] ფსიქიკური დაავადება, მოშლა

venereal * [vəˈnɪərɪəl *] ვენერიული დაავადება

disengage [ˌdɪsɪnˈgeɪʤ] *v.* 1. გათავისუფლება, გამოთავისუფლება, თავიდან მოშორება; 2. გამოყვანა *(ჯარისა ბრძოლიდან)*; 3. განცალკევება *(ჯარებისა)*; თანაზიარი გაყვანა სახელმწიფოთა ჯარებისა *(გარკვეული ზონიდან)*

disengaged [ˌdɪsɪnˈgeɪʤd] *adj.* თავისუფალი, დაუსაქმებელი; 2. განცალკევებული, გათიშული; 3. შეუბოჭავი ვალდებულებებით

disengagement [ˌdɪsɪnˈgeɪʤmənt] *n.* 1. გათავისუფლება; 2. ბრძოლიდან გამოსვლა, მოწინააღმდეგისგან მოწყვეტა; 3. სახელმწიფო ჯარების გაყვანა *(გარკვეული ზონიდან)*; განცალკევება; 3. ნიშნობის ჩაშლა

disentail [ˌdɪsɪnˈteɪl] *n.* ქონების მემკვიდრეობით მიღების შემსლუდავი პირობის გაუქმება

disentailment [ˌdɪsɪnˈteɪlmənt] *n.* ქონების მემკვიდრეობით მიღების შემსლუდავი პირობების გაუქმება

disestablishment [ˌdɪsɪsˈtæblɪʃmənt] *n.* 1.

გაუქმება; 2. ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსგან

disfiguration [dɪsˌfɪgjʊˈreɪʃn] *იხ.* **disfurement**

disfigure [dɪsˈfɪgə] *v.* 1. დამახინჯება, დასახიჩრება; 2. გაფუჭება, შერყვნა ◊ **to * a face** [tu * ə feɪs] სახის დამახინჯება

disfigurement [dɪsˈfɪgə:mənt] *n.* 1. დამახინჯება, დასახიჩრება; 2. დაუშნოება

disfrachise/disenfranchise [dɪsˈfrænʧaɪz/ ˌdɪsɪnˈfrænʧaɪz] *v.* 1. სამოქალაქო ან საარჩევნო უფლების ჩამორთმევა *იხ.* **franchise**; 2. პრივილეგიების, შეღავათების ჩამორთმევა; 3. წეერობის ჩამორთმევა; 4. *ამერ.* სამრეწველო საწარმოს პროდუქციით ვაჭრობის უფლების განსაკუთრებული კონტრაქტის მოქმედების შეწყვეტა

disfrachisment [dɪsˌfrænʧaɪˈzmənt] *n.* 1. სამოქალაქო უფლების ჩამორთმევა; 2. საარჩევნო უფლებების ჩამორთმევა; 3. პრივილეგიების, შეღავათების ჩამორთმევა; 4. წეერობის ჩამორთმევა

disgorge [dɪsˈgɔ:ʤ] *v.* მიცემა, დაბრუნება *(რაიმესი, უკანონოდ მითვისებულის)* ◊ **to * property** [tu * prɔpətɪ] უკანონოდ მითვისებული ქონების დაბრუნება

disgrace [dɪsˈgreɪs] *v.* 1. შერცხვენა, შეურაცხყოფა; 2. *სამხ.* სამოქმედოება *(წოდება სამოყვრთოას)* ◊ **to * an officer** [tu * ən ˈɔfɪsə] ოფიცრის სამოქმედოება

disgraceful [dɪsˈgreɪsful] *adj* სამარცხვინო, შეურაცხმყოფელი,

disguise [dɪsˈgaɪz] *v.* 1. შენილბვა; გარეგნობის შეცვლა; დაფარვა; 2. ტანსაცმლის გამოცვლა, შენიღბვა, დაფარვა

disherison [dɪsˈherɪsən] *n.* მემკვიდრეობის, ანდერძის ჩამორთმევა

disherit [dɪsˈherɪt] *v.* მემკვიდრეობის ჩამორთმევა, დაკარგვა

dishonest [dɪsˈɔnɪst] *adj.* უპატიოსნო, უსირცხვილო, თაღლითი

dishonesty [dɪsˈɔnəstɪ] *n.* 1. უპატიოსნობა; უპატიოსნო, უსირცხვილო ქცევა; 2. მოტყუება; 3. თაღლითობა **employee * [ɪmˈplɔɪi:] დაქირავებული მუშის უპატიოსნო ქცევა

dishono(u)r [dɪsˈɔnə] *n.* 1. უსინდისობა, უპატიოსნობა; 2. უარი გადახდაზე ან აქცეპტზე *(თამასუქზე ან ჩეკზე)*

disimprison [ˌdɪsɪmˈprɪzn] *n.* ჰატარაობიდან (ციხეში მყოფის, განთავისუფლება

disincarcerate [ˌdɪsɪnˈkɑ:səreɪt] *v.* თავისუფლების ბოძება, (ციხიდან *(კარცერიდან)* განთავისუფლება

disinherison [dɪsˈherɪsən] *n.* მემკვიდრეობის, ანდერძის ჩამორთმევა

disinherit [dɪsˈɪnherɪt] *იხ.* **disherit**

disinheritance [dɪsˈɪnherɪtəns] *იხ.* **disinherison**

disinter [ˌdɪsɪnˈtə:] *n.* ეგზეგუმაცია

disinterested [dɪsˈɪntrəstɪd] *adj.* დაუინტერესებელი; უარგარო; მიუკერძოებელი

disinterestedness [dɪsˈɪntrəstɪdnəs] *n.* დაუინტერესებლობა; მიუკერძოებლობა; უანგაროება

disinterment [ˌdɪsɪnˈtɔmənt] *n.* ეგზეგუმაცია

disinmenditation [ˌdɪsɪnˌmendɪˈteɪʃən] *n.* ფულადი რესურსების ღენა საკრედიტო საფინანსო ინსტიტუტებიდან სასესხო კაპიტალის არაორგანიზებულ ბაზარზე

disinvestment [ˌdɪsɪnˈvestmənt] *n.* კაპიტალდაბანდების შემცირება; კაპიტალდაბანდების შეწყვეტა

disjunctive [dɪsˈʧʌnktɪv] *adj.* ალტერნატიული *(პირობა, ვალდებულება და ა.შ.)*

disloyal [dɪsˈlɔɪəl] *adj.* 1. არალოიალური 2. ვერაგული, მოღალატური

disloyalty [dɪsˈlɔɪəltɪ] *n.* 1. არალოიალურობა; 2. ვერაგობა; ღალატი

dismember [dɪsˈmembə] *v.* დანაწევრება *მოძვ.* წეერობის ჩამორთმევა

dismemberment [dɪsˈmemhəmənt] *n.* დანაწევრება

dismiss [dɪsˈmɪs] *v.* 1. უარყოფა *(ბრალდებისა, სარჩელისა)*; უარის თქმა *(სარჩელზე)*; 2. შეწყვეტა *(საქმისა)*; გადადება *(გეგმისა)*; 3. განთავისუფლება; თანამდებობიდან განთავისუფლება; 4. დათხოვნა *(სამსახურიდან)* ◊ **to * a case** [tu * ə keɪs] სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის აცილება; საქმის შეწყვეტა; **to * a charge** [tu * ə ʧɑ:ʤ] ბრალდებაზე უარის თქმა; ბრალდების უარყოფა; **to * a complaint** [tu * ə kəmˈpleɪnt] საჩივრის უარყოფა; საჩივრის დაკმაყო-

ფილებაზე უარის თქმა; **to * a motion (a petition)** [tu * ə ˈmoʊʃn (ə pəˈtɪʃn)] შუამდგომლობის უარყოფა; შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა; **to * appeal** [tu * əˈpiːl] აპელაციის უარყოფა; **to * indictment** [tu * ɪnˈdaɪtmənt] საბრალდებო აქტის უარყოფა; **to * testimony** [tu * ˈtestɪmənɪ] I. მოწმის ჩვენებათა უარუგდება. მიიღებლობა. უარყოფა; 2. მოწმის ჩვენების შეწყვეტა; **to * the matter** [tu * ðə ˈmætə] საქმის დახურვა, საქმის წარმოების შეწყვეტა

dismissal [dɪsˈmɪsəl] *n.* I. აცილება, გაუქმება *(სარჩელის)*; 2. შეწყვეტა *(საქმის)*; 3. მოხსნა, გათავისუფლება თანამდებობიდან; 4. დათხოვნა ◊ *** and nonsuit** [* ænd nɒnsjuːt *] საქმეზე წარმოების შეწყვეტა; *** agreed** [* əˈgriːd] საქმის შეწყვეტა მხარეთა შეთანხმებით; *** at action** [* ət ˈækʃn] I. სარჩელის უარყოფა; სარჩელზე უარის თქმა; 2. საქმის დახურვა; *** with prejudice** [* wɪð ˈpredʒudɪs] სარჩელის აცილება მოსარჩელესთვის იმავე საფუძველზე სარჩელის წამოყენების უფლების შენარჩუნების გარეშე; *** without prejudice** [* wɪˈðaʊt ˈpredʒudɪs] სასამართლოს მიერ სარჩელის აცილება მოსარჩელესთვის იმავე საფუძველზე მომავალში სარჩელის წამოყენების უფლების შენარჩუნებით

*** of appeal** [* əv əˈpiːl] აპელაციის უარყოფა; აპელაციის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

*** of case** [* əv keɪs] საქმის დახურვა, შეწყვეტა

*** of charge** [* əv ʧɑːʤ] ბრალდების უარყოფა; ბრალდებაზე უარის თქმა

*** of jury** [* əv ʤʊərɪ] მსაჯულთა დათხოვნა

*** of license** [* əv ˈlaɪsns] ლიცენზიის გაცემის ნებართვაზე უარის თქმა

*** of review** [* əv rɪˈvjuː] ხელახალ განხილვაზე უარის თქმა *(სასამართლოს გადაწყვეტილების)*

judgement of * [ˈʤʌʤmənt əv *] გადაწყვეტილება სარჩელის აცილების შესახებ

lawful * [ˈlɔːful *] I. სამართლიანი დათხოვნა, თანამდებობიდან განთავისუფლება; 2. საქმის სამართლიანად შეწყვეტა

prejudicial * [ˌpreʤuˈdɪʃəl *] სარჩელის უარყოფა მოსარჩელესთვის იგივე საფუძველზე სარჩელის აღძერის უფლების გარეშე

pretrial * [ˌpriːˈtraɪəl *] საქმის შეწყვეტა სასამართლო განხილვამდე

summary * [ˈsʌmərɪ *] ფორმალურ საფუძველზე *(აპელაციის)* უარყოფა

voluntary * [ˈvɒləntərɪ *] საქმის შეწყვეტა მხარეთა შეთანხმებით ან მოსარჩელეს შუამდგომლობით

wrongful * [ˈrɔŋful *] I. უსამართლო დათხოვნა, თანამდებობიდან განთავისუფლება; 2. არამართლზომიერად საქმის შეწყვეტა

dismission [dɪsˈmɪʃən] *n.* დათხოვნა, გადადგომა, თანამდებობიდან განთავისუფლება

dismissive [dɪsˈmɪsɪv] *n.* თავისუფლების მიმცემი, გამათავისუფლებელი

dismortgage [dɪsˈmɔːgɪʤ] *v.* ნადებული ქონების გამოსყიდვა

disobedience [ˌdɪsəˈbiːdɪəns] *n.* დაუმორჩილებლობა

civil * [ˈsɪvɪl *] სამოქალაქო დაუმორჩილებლობა

willful * [ˈwɪlful *] განზრახ დაუმორჩილებლობა

disobedient [ˌdɪsəˈbiːdənt] *adj.* დაუმორჩილებელი, ურჩი ◊ *** child** [* ʧaɪld] უდრეკი, დაუმორჩილებელი, ურჩი ბავშვი

habitually * [həˈbɪʧuəlɪ *] სისტემატურად დაუმორჩილებელი

disobey [ˌdɪsəˈbeɪ] *v.* დაუმორჩილებლობა, ურჩობა ◊ **to * an order** [tu * ən ˈɔːdə] ბრძანების დაუმორჩილებლობა

disobeyance [ˌdɪsəˈbeɪəns] *n.* დაუმორჩილებლობა

disoblige [ˌdɪsəˈblaɪʤ] *v.* ვალდებულებისგან განთავისუფლება

disorder [dɪsˈɔːdə] *n.* უწესრიგობა, უკონტროლობა; საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა

civil *(s) [ˈsɪvɪl *(z)] საზოგადოებრივი უწესრიგობები

mental * [ˈmentəl *] ფსიქიკური აშლილობა, ფსიქიკური დაავადებები

political *(s) [pəˈlɪtɪkəl *(z)] პოლიტიკური უწესრიგობები, არეულობა

violent *(s) [ˈvaɪələns *(z)] საზოგადოებ-

რიეი წესრიგის დარღვევა ძალადობის გამოყენებით

disorderly [dɪs'ɔ:dəli] *adj.* 1. უწესრიგოდ, მოუწესრიგებლად; 2. კანონსაწინააღმდეგო; აკრძალული; უწესრიგო, მოუწესრიგებელი, დაუდევარი ◊ *** conduct** [* kən'dʌkt] წვრილი ხულიგნობა; *** house** [* haus] საროსკიპო; *** person** [* 'pɜ:sn] საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი

disparage [dɪs'pærɪʤ] *v.* 1. დამცირება *(ადამიანის ღირსების)*; ღირსების შელახვა; 2. სახელის გატეხა, ძაგება, კიცხვა; 3. *n.* აგდებულად ლაპარაკი

disparagement [dɪs'pærɪʤmənt] *n.* 1. ღირსების დამცირება; 2. კიცხვა, ღირსების შელახვა; 3. ღირსების დამცირება *** of competitor** [* əv kəm'petɪtə] კონკურენტის ან მისი პროდუქციის ძაგება, კონკურენტზე ან მის პროდუქციაზე უარყოფითი ცნობების გავრცელება *** of goods** [* əv gudz] კონკურენტული საქონლის სათანადოდ შეუფასებლობა, დამცირება *** of title** [* əv 'taɪtl] სამართლებრივი ტიტულის მნიშვნელობის დამცირება

disparaging [dɪs'pærɪʤɪŋ] *adj.* დამამცირებელი ◊ *** words, acts or gestures** [* wɜ:dz, ækts ɔ: 'ʤestʃəs] დამამცირებელი სიტყვები, ქმედებები ან ჟესტები

disparity [dɪs'pærɪtɪ] *n.* უთანაბრობა, დისპროპორცია, შეუსაბამობა

dispatch [dɪ'spæʧ] *n.* 1. დისპაში *(პრემია, რომელსაც ეხდის გემის მფლობელი ტვირთის პატრონს გემის ვადაზე ადრე დატვირთვასა და გადმოტვირთვაში; ფულადი ჯილდო ნატვირთის ან ამოტვირთვისას დაზოგილი დროისთვის)*; 2. გაგზავნა; 3. ოფიციალური შეტყობინება, პატაკი, ცნობა; 3. ლეპეშა, შეტყობინება; ცნობება, კორესპონდენცია; 5. სწრაფი შესრულება; 6. შეკვეთის მიცემა პროდუქციის დამზადებაზე; 7. შეტყობინების მიღება წარმოების დასრულებამდე ◊ *** money** [* 'mʌnɪ] დისპაში, ფულადი ანაზღაურება დატვირთვის *(გადმოტვირთვის)* დროის დაზოგვისთვის

*** of business** [* əv 'bɪznɪz] საქმის გადაწყვეტა; ფუნქციის აღსრულება

costomary * [ˈkʌstəmərɪ *] სატვირთვა ან გადმოტვირთვა პორტის წესების შესაბამისად

reasonable * [ˈriːznəbl *] გონიერად, სწრაფი შესრულება

dispatch-bearer [dɪs'pæʧ-'beərə] *n.* დიპლომატიური კურიერი

dispauper [dɪs'pɔ:pə] *n.* საზოგადოებრივი ქველმოქმედებით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა *(ლატაკისთვის; დარიბთა სტატუსთან დაკავშირებული უფლებების ჩამორთმევა)*

dispel [dɪs'pel] *v.* დარბევა, გაფანტვა *(ბრბოსი, დემონსტრაციისა)*, მირეკ-მორეკვა

dispensation [ˌdɪspen'seɪʃən] *n.* 1. გამონაკლისის დაშვება; გათავისუფლება *(ვალდებულებისგან)*; კანონის მოთხოვნათა შერბილება; სამართლებრივი ნორმებიდან *(წესიდან)* გადახრის ნებართვა; 2. აღსრულება *(მართლმსაჯულებისა)*; სპეციალური ნებართვა რაიმეს გასაკეთებლად, რაც ჩვეულებრივ არ არის ნებადართული ან კანონსაწინააღმდეგოა ◊ *** from imprisonment** [* frɔm ɪm'prɪzmənt] პატიმრობიდან განთავისუფლება;

*** of justice** [* əv 'ʤʌstɪs] მართლმსაჯულების აღსრულება

marriage * [ˈmærɪʤ *] ქორწინებაზე ნებართვის მიღება; ნათესაებს შორის ქორწინების ნებართვა

medical * from imprisonment [ˈmedɪkəl * frɔm ɪm'prɪznmənt]პატიმრობიდან განთავისუფლება სამედიცინო ჩვენებების საფუძველზე

dispensatory [ˌdɪspen'sətərɪ] *n. წიგნ.* ნების დამრთველი, გამათავისუფლებელი *(მოვალეობისგან, აღთქმისგან და ა.შ.)*

dispense [dɪs'pens] *v.* 1. განთავისუფლება *(ვალდებულებისგან)*; 2. რაიმეს გარეშე იოლად გასვლა; რაიმეს მოუთხოვნელობა; 3. აღსრულება *(მართლმსაჯულების)* ◊ **to * from duty** [tu * frɔm 'djuːtɪ] ვალდებულებისგან განთავისუფლება; **to * justice** [tu * ʤʌstɪs] მართლმსაჯულების აღსრულება; **to * with a law** [tu * wɪð ə lɔ:] კანონით უგულებელყოფა; **to * with an oath** [tu * wɪð ən əuθ] ფიცისგან განთავისუფლება; **to**

*** with a rule** [tu * wɪð ə ru:l] წესით უგუ-ლებელყოფა; **to * with formalities** [tu * wɪð ˈfɔ:məlɪtɪz] ფორმალურობის გარეშე იოლად გასვლა; **to * with witnesses** [tu * wɪð ˈwɪtnəsɪz] მოწმეების გარეშე იოლად გასვლა

dispensing [dɪsˈpensɪŋ] *n.* გათავისუფლება ◊ *** power** [* ˈpauə] კანონით დაკის-რებული ვალდებულებისგან გათავისუ-ფლების უფლება

displace [dɪsˈpleɪs] *v.* 1. გადაადგილება, გა-დანაცვლება; 2. შეცვლა, არევა, გან-თავისუფლება ◊ **to * evedence** [tu * ˈevɪdəns] მტკიცებულების უარყოფა; **to * the law** [tu * ðə lɔ:] კანონის შეცვლა

displaced person [dɪsˈpleɪst ˈpɜ:sn] ადგილ-ნაცვალი პირი

displays and exhibit materials [dɪsˈpleɪs ænd ɪgˈzɪbɪt] გამოფენის მასალები და ექსპონატები

dispone [dɪsˈpəun] *v. შოტლ.* გაცემა, გა-სხვისება *(ქონების)*

disponent [dɪsˈpəʊnənt] *n.* განმკარგულე-ბელი

disposable [dɪsˈpəuzəbl] *adj.* განკარგულე-ბაში მყოფი; თავისუფალი; ერთჯერა-დი ხმარების საგანი

disposal [dɪsˈpəuzəl] *n.* 1. განკარგვა, გა-სხვისება *(ნივთისა, ქონებისა)*; გადაცე-მა *(ფულისა)*; გაყიდვა; 2. განხილვა, გადაწყვეტა *(საქმისა, კამათისა)*; 3. დას-რულებული საქმე, დასრულებული პრო-ცესი *(საქმის წარმოება)*; 4. თავის დაღ-წევა, განთავისუფლება

*** of radioactive materials** [* əv ˌreɪdɪəuˈ ækɪtɪv məˈtɪərɪəlz] რადიოაქტიური მასა-ლების, ნარჩენების მოშორება

dispose (of) [dɪsˈpəuz (əv)] *v.* 1. გასხვისება, განკარგულება *(ქონებისა)*; განკარგუ-ლების გაცემა; 2. მოცილება, უარყო-ფა *(არგუმენტისა, წინააღმდეგობისა)*; 3. განხილვა, გადაჭრა *(საქმისა, კამა-თისა)*; 4. დასრულება *(მაგ. მონაწილეო-ბის დასრულება კორპორაციის საარ-ქიო კაპიტალში)*; 5. ამოღება *(კაპიტა-ლის)*; ლიკვიდაცია; თავიდან მოშო-რება

*** of an argument** [* əv ən ˈɑ:gjumənt] არგუმენტის უარყოფა, უკუგდება

*** of one's opponent** [* əv wʌns əˈpəunənt] მოწინააღმდეგესთან გასწორება

disposing mind (sound mind) [dɪsˈpəuzɪŋ maɪnd (saund maɪnd)] საღი აზრი, გონება

disposition [ˌdɪspəˈzɪʃən] *n.* 1. განკარულებ-ის გაცემა, გასხვისება *(ქონებისა)*; 2. დადგენილება, დებულება *(შეთანხმებ-ის, კანონის)*; 3. საქმის გადაჭრა, საქმის გადაწყვეტა; 4. მიდრეკილება, ზნეობა, ხასიათი, ჩვეულება; 5. განლაგება, გაწ-ყობა; 6. ლიკვიდაცია; 7. დისპოზიცია ◊ *** to commit crimes** [* tu kəˈmɪt kraɪmz] მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისკენ

*** of case** [* əv keɪs] საქმის გადაწყვეტა; გადაწყვეტილება საქმის მიხედვით

*** of funds** [* əv fʌnds] ფინანსური სახს-რების განაწილება

*** of profits** [* əv ˈprɒfɪts] მოგების გამო-ყენება

*** of offender** [* əv əˈfendə] დამნაშავის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილე-ბა **court's * of the case** [kɔ:ts * əv ðə keɪs] საქმეზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება

criminal * [ˈkrɪmɪnəl *] დანაშაულებრივი მიდრეკილება; დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილება

delinquent * [dɪˈlɪŋkwənt *] დელინკვენტუ-რი მიდრეკილება

former * [ˈfɔ:mə *] საქმეზე ადრე გამო-ტანილი გადაწყვეტილება

lenient * [ˈli:nɪənt *] შემამსუბუქებელი ხასიათი *(მსჯავრდებულის ფაქტორი, გათვალისწინებული პირობითად ვადა-ზე ადრე განთავისუფლებისას)*

police * [pəˈli:s *] პოლიციის მიერ მიღე-ბული გადაწყვეტილება საქმის არსის მიხედვით

post-mortuary * [ˌpəʊstˈmɔ:tʃəri *] ქონე-ბის განკარგვა სიკვდილის შემთხვევა-ში

previous (prior) * [ˈpri:vɪəs (ˈpraɪə) *] საქმეზე ადრე მიღებული გადაწყვეტი-ლება

family ['fæmɔlɪ] *n.* 1. ოჯახი, დინასტია; 2. *სლ.* ორგანიზებული მაფიის განგსტერების ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბოსი ან ნათლიმამა ◊ **• court** [• kɔ:t] საოჯახო საქმეების სასამართლო; **• disturbance** [• dɪ'stɜ:bəns] სამართალდარღვევა, რომელიც ეხება ოჯახს, საოჯახო ურთიერთობებს; **• partnership** [• 'pɑ:tnəʃɪp] ოჯახური ამხანაგობა

diplomatic • [ˌdɪplə'mætɪk •] დიპლომატიური ამალა

immediate • [ɪ'mi:dɪət •] ახლო ნათესაეები

(organized) crime • [('ɔ:gənaɪzd) kraɪm •] ორგანიზებული დამნაშაეების "ოჯახი" *(კლანი, სინდიკატი)*

president's official • ['prezɪdənts ə'fɪʃəl •] *ამერ.* პრეზიდენტის *(ალმასრულებელი)* უწყების მოხელეები

fare [feə] *n.* მგზავრობის გადასახადი; სამგზავრო ფული

farm [fɑ:m] *n.* 1. ფერმა, ფერმერული მეურნობა; საშენი; 3. ნაკრძალი; 4. საცხოვრებელი სახლი ფერმაში; 5. იჯარა, საიჯარო უფლება; საიჯარო გადასახადი; 6. იჯარით აღება; იჯარით გაცემა; 7. გამოსყიდეით აღება; გამოსყიდეით გაცემა ◊ **to • let** [tu • let] ნატურით გადახდის პირობით იჯარით გაცემა; **to • out** [tu • aut] l. იჯარით აღება; 2. იჯარით მიცემა; 3. გამოსყიდვით გადაცემა; 4. გადაცემა *(სხვა ორგანიზაციის ან დარგისთვის)*

country • ['kʌntrɪ •] *ამერ.* 1. ლატაკთა სახლი; 2. საპატიმრო *(მასში დაპატიმრებულ პირთა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე გამოყენებით)*

farm labour or labourer [fɑ:m 'leɪbə ɔ: 'leɪbərə] *n.* ფერმერობა; სასოფლო-სამეურნეო სამუშაო; ფერმერი

farmer ['fɑ:mə] *n.* 1. ფერმერი, მიწათმოქმედი; 2. მოიჯარე; 3. გამომსყიდველი; 4. პირი, რომელიც იყვანს ბავშვებს აღსაზრდელად *(გასამრჯელოთი)*

tenant • ['tænənt] მოიჯარე ფერმერი

farmhold ['fɑ:mhauld] *n* ფერმერის კუთვნილი მიწა

farming ['fɑ:mɪŋ] *n.* 1. ფერმერული მეურნეობის გაძღოლა, ფერმერული მეურნეობა; 2. მიწათმოქმედება, ფერმერობა; 4. ბავშვების აყვანა აღსაზრდელად *(გასამრჯელოს მიღებით)*

tenant • ['tenənt] მიწათმოქმედება იჯარით აღებულ მიწაზე

fatal [ˈfeɪtl] *adj.* სამკვდისწერო, ფატალური, საჭალალო, სასიკვდილო ◊ *** error** [***** ˈerə] სამკვდისწერო, ფატალური შეცდომა; *** injury** [***** ɪnˈʤʊərɪ] სასიკვდილო ჭრილობა

fatetur facinus qui judicium fugit *ლათ.* მართლმსაჯულებას ვინც ემალება, ის აღიარებს თაკის ბრალს.

father [ˈfɑːðə] *n.* 1. მამა, მამამთავარი, გვარის ფუძემდებელი; 2. შემოქმედი, შემქმნელი; 3. უხუცესი, წევრი *(პარლამენტის)* ◊ **the Holy *** [ðə həʊlɪ *****] მისი უწმინდესობა *(რომის პაპი)*

*** of the bar** [ɔv ðə bɑː] უფროსი ბარისტერი

abortive * [əˈbɔːtɪv *****] მამინაცვალი

natural * [ˈnæʧrəl *****] ქორწინების გარეშე შობილის მამა

putative * [ˈpjuːtətɪv *****] სავარაუდო მამა

the *s (of the Constitution) [ðə *****z (ɔv ðə ˌkɔnstɪˈtjuːʃən)] "მამები", ა'შ'შ-ის კონსტიტუციის შემოქმედნი

Founding *s [ˈfaundɪŋ *****z] "მამები" ა'შ'შ-ის კონსტიტუციის დამფუძნებლები

fatherhood [ˈfɑːðəhʊd] *n.* მამობა

father-in-law [ˈfɑːðər ɪn lɔː] *n.* 1. მამამთილი; 2. სიმამრი

fault [fɔːlt] *n.* 1. ბრალი; 2. დაუდევრობა; 3. გადაცდომა; დანაშაული, შეცდომა, დარღვევა *(კანონის)*; 4. ნაკლი, არასრულყოფილება, დეფექტი; *adj.* 5. არასწორი, მცდარი; 6. გაფუჭებული, დაზიანებული, უვარგისი ◊ **to overtake in a *** [tu ˌəʊvəˈteɪk ɪn ə *****] წასწრება დანაშაულის ადგილზე; **with all *s** [wɪð ɔːl *****z] მკაცრად ნიშნის ნაკლის არსებობის რისკის დაკისრება

chargeable * [ˈʧɑːʤəbl *****] გადაცდომა ან ნაკლი, რომელიც შეიძლება დაედოს ბრალად

human * [ˈhjuːmən *****] ადამიანური გადაცდომა *(განსხვავებით ბუნებრივი გადაულახავი ძალის მოქმედებისგან)*

personal * [ˈpɜːsnəl *****] პირადი ბრალი

faultless [ˈfɔːltlɪs] *adj.* უნაკლო, უბადო, უმწიკვლო, წესდაუდებელი

faulty [ˈfɔːltɪ] *adj.* არასწორი, დეფექტური, მცდარი

favo(u)r [ˈfeɪvə] *n.* 1. მხარდაჭერა, დახმარება, ხელის შეწყობა; 2. კეთილგანწყობილება; 3. სარგებელი, ინტერესი, შეღავათი; 4. გარჯეობა; 5. უსასყიდლო ვალდებულება; *v.* 6. კეთილგანწყობით მოპყრობა; 7. სამსახურის გაწევა, ქურადღებით მოპყრობა; 8. მფარველობა; 9. დახმარება, მხარის დაჭერა, ხელის გამართვა; 10. უპირატესობის მიცემა, მინიჭება ◊ **in * of** [ɪn ***** ɔv] ...თვის, სასარგებლოდ

favo(u)rable [ˈfeɪvərəbl] *adj.* 1. ხელსაყრელი, მოხერხებული; 2. კეთილგანწყობილი; 3. შეღავათიანი

favo(u)red [ˈfeɪvəd] *adj.* 1. პრივილეგირებული, პრივილეგიანი; 2. *დიპლ.* უფრო ხელმისაწვდომი; უპირატესად მოსარგებლე

fealty [ˈfiːlti] *n. ისტ.* ვასალის ერთგულება ფეოდალისადმი; ერთგულების ფიცი ◊ **to do (make, swear) *** [tu duː (meɪk swɛə)] დაფიცება ერთგულებაზე; **to receive *** [tu rɪˈsiːv *****] ერთგულების ფიცის მიღება

feasance [ˈfiːzəns] *n* 1. მოხდენა; 2. შესრულება; 3. გამოცემა *(კანონის)*

feasant [ˈfiːzənt] *n.* მომხდენი, გამკეთებელი, შემსრულებელი

feasor [ˈfiːzə] *n.* 1. პირი, რომელმაც ჩაიდინა რაღაც მოქმედება 2. *მოძ.* კანონმდებელი

federal [ˈfedərəl] *adj.* ფედერალური; საკავშირო

federalism [ˈfedərəlɪzm] n ფედერალიზმი

federalization [ˌfedəˈrəlaɪzeɪʃən] *n.* ფედერალიზაცია

federalize [ˈfedərəlaɪz] *v.* ფედერაციის შექმნა

federate [ˈfedərɪt] I. *adj* ფედერალური; 2. *v.* გაერთიანება ფედერალურ საწყისებზე

federation [ˌfedəˈreɪʃən] *n.* 1. ფედერაცია; 2. გაერთიანება იურიდიული პირის უფლების გარეშე

federative [ˈfedərətɪv] *adj.* ფედერალური

fee [fiː] *n.* 1. გადასახადი, საბაჟოს საკომისიო; 2. *ისტ.* ლენი, მამული, მიწის საკუთრება; ფეოდალის მამული; 3. ჯილდო, დაჯილდოება; 4. ხელფასი, ჰონორარი, ანაზღაურება; 5. შესატანი *(საწევრო)*, გადასახადი; 6. მემკვიდრე-

ობაზე შეუზღუდავი უფლება; 7. საკუთრების აბსოლუტური უფლება; 8. შფლობელისთვის პატენტის ან სუბიექტისთვის საავტორო უფლების გადარიცხვა; 9. *მოძ.* ქრთამის მიცემა; 10. *შოტლ.* დაქირავება ◊ **conditional** [* kən'dɪʃənəl *] *იხ.* **conditional fee; simple (absolute)** [* 'sɪmpl (ˌæbsə'luːt)] მამულის ფრიჰოლდური ფლობა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე; საკუთრების უდავო უფლება; **simple conditional** [* 'sɪmpl kən'dɪʃənəl] *იხ.* **conditional fee; the one time** * **charged by a broker to a customer** [ðɪ wʌn taɪm * ʧɑːʤd baɪ ə 'brəʊkə tu ə 'kʌstəmə] კლიენტის მიერ ბროკერისთვის გადახდილი ერთჯერადი ანაზღაურება

admission * [əd'mɪʃən *] I. საწყისი შესატანი; 2. საწყისი გადასახადი

affiliation * [əˌfɪlɪ'eɪʃən *] საწყისი შესატანი

annual * ['ænjuəl *] I. პერიოდული *(წლის განმავლობაში)* გადასახდელი ჰონორარი *(ადვოკატისთვის)*; 2. წლიური საწევრო გადასახადი; 3. წლიური ფულადი შესატანი

attorney's * [ə'tɜːnɪz *] I. სახელმწიფო ატორნეის გასამრჯელო 2. ატორნეის *(ადვოკატის)* ჰონორარი

base * [beɪs *] უფლება უძრავ ქონებაზე, რომელიც ექვემდებარება რეზოლუციურ პირობებს

brokerage * ['brəʊkərɪʤ *] საბროკერო ანაზღაურება შემდგარი გარიგებისთვის

claims * [kleɪmz *] ბაჟი საპატენტო ფორმულის პუნქტისთვის გარკვეული რაოდენობის ზევით

conditional * [kən'dɪʃənəl *] I. უფლება უძრავ ქონებაზე, რომელიც ექვემდებარება რეზოლუციურ პირობებს; 2. მემკვიდრეობის შეზღუდული უფლება

consular *s ['kɔnsjulə *z] საკონსულო გადასახადი

consultant *s [kən'sʌltənt *z] კონსულტანტების ანაზღაურება

contigent * [kən'tɪʤənt *] ადვოკატის პირობითი ანაზღაურება *(მხოლოდ საქმის მოგების შემთხვევაში)*

customs * ['kʌstəmz *] საბაჟო გადასახადი; საბაჟოს შესატანი

court *s [kɔːt *z] სასამართლო ხარჯების შესატანი

defeasible (determinable) * [dɪ'fiːzəbl (dɪ'tɜːmɪnəbl) *] უფლება უძრავ ქონებაზე, რომელიც ექვემდებარება რეზოლუციურ პირობებს

document supply * ['dɔkjumənt sə'plaɪ *] გადასახადი დოკუმენტის ასლის გადაცემისთვის

determinable * [dɪ'tɜːmɪnəbl *] უძრავ ქონებაზე უფლება, რომელიც ექვემდებარება რეზოლუციურ პირობას

filing * ['faɪlɪŋ *] *პატ.* განაცხადის ბაჟი

final * ['faɪnəl *] *პატ.* საბოლოო ბაჟი, ბაჟი პატენტის გაცემისთვის

handling * ['hændlɪŋ *] *პატ.* ბაჟი დამუშავებისთვის *(გადაიხდება წინასწარი საერთაშორისო ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნებთან ერთად)*

initiation * [ɪˌnɪʃɪ'eɪʃən *] პირველი შესატანი

lawyer's * ['lɔːjez *] ადვოკატის ჰონორარი

licence * ['laɪsəns *] სალიცენზიო ანაზღაურება

limited * ['lɪmɪtɪd *] I. უფლება უძრავ ქონებაზე, რომელიც ექვემდებარება რეზოლუციურ პირობებს; 2. ნაანდერძევი ქონება; ნამოჭრილი, შეკვეცილი საკუთრება *(შეზღუდული მემკვიდრეობისა და გასხვისების წესით)*

litigation * [ˌlɪtɪ'geɪʃən *] სასამართლო გადასახადი

membership * ['membəʃɪp *] საწყისი შესატანი; საწევრო შესატანი

notarial * [nəʊ'təərɪəl *] სანოტარო გადასახადი

patent * ['peɪtənt *] საპატენტო გადასახადი

pilot * ['paɪlət *] ლოცმანის გადასახადი

position * [pə'zɪʃən *] შეამდგომლობისთვის *(სამუშაოზე მოწყობისთვის)* კომისიური ანაზღაურება

postage * ['əʊstɪʤ *] საფოსტო გადასახადი

qualified * ['kwɔlɪfaɪd *] უფლება უძრავ ქონებაზე, რომელიც დაექვემდებარებულია რეზოლუციურ პირობებს

quasi * ['kwɑːzi *] უკანონოდ შეძენილი ქონება

refresher * [rɪ'frɛʃə *] ადვოკატისთვის დამატებითი დროებითი ჰონორარი გან-

სახილველ საქმეზე
registration (registry) • [ˌrɛʤɪsˈtrɛɪʃən (ˈrɛʤɪstrɪ) •] სარეგისტრაციო გადასახადი
renewal • [rɪˈnjuːəl •] ახ. ბეგარა; გადასახადი გაგრძელებისთვის; გადასახადი მოქმედების აღდგენისთვის
retaining • [rɪˈteɪnɪŋ •] ადვოკატის წინასწარი ჰონორარი
special conditional • [ˈspɛʃəl kənˈdɪʃənəl •] მემკვიდრეობის უფლება, განსაზღვრული ანდერძში მითითებული პირის და მემკვიდრის მიერ *(მამკვიდრებლის ხაზით)*
term • [tɜːm •] I. სასესიო სასამართლო ბაეი; 2. ადვოკატის ჰონორარი ყოველი სასამართლო სესიისთვის; სასესიო ჰონორარი
union • [ˈjuːnɪən •] პროფკავშირის შესატანი, საწევრო
witness • [ˈwɪtnɪs •] მოწმის გამოცხადების ხარჯების ანაზღაურება

fee-farm [fiː-fɑːm] *n.* მიწის სამემკვიდრო საიჯარო გამოყენება, ემფიტევზისი

fee-simple [fiː-ˈsɪmpl] *n* საკუთრების უცილობელი უფლება, საკუთრების შეუზღუდავი უფლება

fee-tail [fiː-teɪl] *n.* უძრავი ქონების ფლობის უფლება, რომელიც გადაეცემა მფლობელის პირდაპირ შთამომავლებს და არ გადაეცემა სხვა პირს

feeble-minded [ˈfiːbl-ˈmaɪndɪd] *n.* გონებასუსტი

feed [fiːd] *n. v.* კვება, ფურაჟი; საკვების მიცემა

feedback [ˈfiːdbæk] *n.* I. უკუკავშირი; 2. უკუკავშირი მომხმარებლისგან; ინფორმაცია მომხმარებლისგან; მომხმარებელთა მოთხოვნა საქონლის მიმართ; 3. მასალები, *(მონაცემები, შეცდომები)* საქმიანობის მოცემულ სფეროში ვარგისი, მაგრამ მიუღებელი სხვა სფეროში ◊ • **effect of income upon investment** [• ɪˈfɛkt ɔv ɪnˈkʌm əˈpɔn ɪnˈvɛstmənt] შემოსავლის უკუგავლენა ინვესტიციებზე

feign [feɪn] *v.* I. გამოგონება, მოფიქრება *(მოძღვრების, ვერსიის, ბრალდების)*; 2. გაყალბება *(დოკუმენტის)*; 3. სხვა ადამიანად თაეის გასაღება; 4. სიმულაცია, თვალთმაქცობა, თაეის მოჩვენება ◊ • **a sickness** [• ə ˈsɪknɔs] ავადმყოფობის სიმულაცია; • **an incapacitatig injury** [• ən ˌɪnkəˈpæsɪtɛɪt ˈɪnʤərɪ] ხეიბრობის სიმულაცია

feigned disease [feɪnd dɪˈziːz] *n.* სიმულირებული ავადმყოფობა

fellow heir [ˈfɛləu ɛə] *n.* თანამემკვიდრე

fellowheirship [ˈfɛləuɛəʃɪp] *n.* თანამემკვიდრეობა

fellowship [ˈfɛləuʃɪp] *n.* ამხანაგობა, გაერთიანება, საზოგადოება, დასი, წევრობა *(კოლეგიის სამეცნიერო საბჭოსი)*; თანამონაწილეობა ◊ • **in crime** [• ɪn kraɪm] *მოძ.* დანაშაულში თანამონაწილეობა

fellowswear [ˈfɛləuswɛə] *n.* პირი, რომელიც ფიცს დებს სხვა პირთან ერთად

felo de se *ლათ.* თვითმკვლელობა

felon [ˈfɛlən] *n.* ფელონი *(ფელონიის ჩამდენი, ფელონის სუბიექტი)* სისხლის სამართლის საშიში დამნაშავე; პირი, გასამართლებული და მისჯილი ფელონიისთვის
• **of himself** [• ɔv hɪmˈsɛlf] თვითმკვლელი
convicted • [kənˈvɪktɪd •] ფელონიისთვის განსჯილი, მსჯავრდებული
escaping (fleeing) • [ɪˈskeɪpɪŋ (ˈfliːɪŋ) •] ფელონი, თავის გადარჩენის მიზნით გაქცეული დანაშაულის ადგილიდან
fugitive • [ˈfjuːʤɪtɪv •] ფელონი, რომელიც ემალება მართლმსაჯულებას
imprisoned • [ɪmˈprɪznd •] დაპატიმრებული ფელონი
principal • [ˈprɪnsəpl •] ფელონიის ორგანიზატორი, პრინციპალი
psychopathic • [ˈsaɪkəpæθɪk •] ფელონფსიქოპატი
suspected • [səˈspɛktɪd •] ეჭვმიტანილი ფელონიის ჩადენაში

feloness [ˈfɛlənɔs] n სისხლის სამართლის საშიში დამნაშავე, ფელონი *(ქალი)*

felonia *ლათ.* ფელონია, მძიმე დანაშაული

felonious [fɛlˈəunɔs] *adj.* ფელონიას ან ფელონიის თანრიგს მიკუთვნებული; ფელონიის ნიშნების მქონე; კვალიფიცირებული, როგორც ფელონია; დანაშაულებრივი ◊ • **assault** [• əˈsɔːlt] დანაშაულებრივი თავდასხმა; • **homicide** [• ˈhɔmɪsaɪd] განზრახი *([ანას]არგამიზნუ-*

ლიც. პირობით) მკვლელობა; * **injury** [* ˈɪndʒərɪ] დაზიანებების მიყენება, კვალიფიცირებული, როგორც ფელონია; * **intent** [* ɪnˈtent] დანაშაულებრივი განზრახვა, კვალიფიცირებული, როგორც ფელონია; * **taking** [* ˈteɪkɪŋ] ქურდობა, მოპარვა, კვალიფიცირებული როგორც ფელონია; * **intercourse** [* ˌɪntəˈkɔːs] სქესობრივი კავშირი, კვალიფიცირებული, როგორც ფელონია; * **wounding** [* ˈwuːndɪŋ] დანაშაულებრივი დაჭრა, კვალიფიცირებული, როგორც ფელონია

feloniously [ˈfɛlɔunɪɔslɪ] *adv.* ფელონიის ნიშნებით; ფელონიის ჩადენის განზრახვით ◊ * **to break** [* tu breɪk] წინააღმდეგობის გადალახვით სხეის შენობაში შეღწევა მასში ფელონიის ჩადენის განზრახვით

felony [ˈfɛlənɪ] *n.* ფელონია, სისხლის სამართლის დანაშაული *(მძიმე დანაშაულების კატეგორია. საშიშროების ხარისხის მიხედვით სასჯელმოფიო ღილატსა და მისდამინორს შორის დგას)* ◊ * **at common law** [* ət ˈkɔmən lɔː] ფელონია საერთო სამართლით; * **involving vilence** [* ɪnˈvɔlvɪŋ ˈvaɪələns] ფელონია, რომელიც მოიცავს ძალადობას; **to commit a** * [tu kɔˈmɪt ə *] სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა

* **of violence** [* ɔv ˈvaɪələns] ძალადობის ფელონია

capital * [ˈkæpɪtl *] ფელონია, რომლის სასჯელი ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას

common law * [ˈkɔmən lɔː *] ფელონია საერთო სამართლით

lesser degree of * [ˈlesə dɪˈgriː ɔv *] ნაკლებად საშიში ფელონია

non capital * [nɔn ˈkæpɪtl *] ფელონია, რომლის სასჯელი არ ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას

statutory * [ˈstætʃətrɪ *] ფელონია სტატუტის სამართლით

felony-homicide [ˈfɛlənɪ-ˈhɔmɪsaɪd] *n.* განზრახ მკვლელობა, კვალიფიცირებული, როგორც ფელონია

feme *ლათ.* ქალი; ცოლი ◊ * **covert** [* ˈkʌvət] გათხოვილი ქალი; * **sole** [* soul] 1. გაუთხოვარი ქალი; 2. ქვრივი

femicide [ˈfemɪsaɪd] *n.* ქალის მკვლელობა

fence [fens] *n.* 1. ზღუდე, გალავანი; 2. *არაოფ.* პირი, რომელიც იბარებს და ყიდის მოპარულ ნივთებს; მიმღები, დამფარავი, შემსყიდველი; 3. მოპარული ნივთების მიღება გაყიდვის მიზნით ◊ * **dealer in stolen goods** [* ˈdiːlə ɪn ˈstəulən gudz] მოპარული ნივთების მიმღები, შემსყიდველი, გადამყიდველი; * **for stolen goods** [* fɔː ˈstəulən gudz] 1. მოპარული ნივთების გადამყიდველი, მიმღები, დამმალავი, შემსყიდველი; 2. სახლი, ადგილი, სადაც მიიღება მოპარული ნივთები; * **proceeds** [* prəˈsiːdz] მოპარული ნივთების დაფარავისგან, შესყიდვისგან, გადაყიდვისგან მიღებული შემოსავლები

ancient * [ˈeɪnʃənt *] ხელდეკ, არსებული უხსოვარი დროიდან *(ფაქტობრივი ალიბშია სახაზღერო ზოლისა)*

mob-connected * [mɔb-kəˈnektɪd *] მოპარული ნივთების მიმღები, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზებულ დანაშაულობასთან

fencing [ˈfensɪŋ] *n. ქურდ.* ნაქურდალის დაფარვა

fencing-ken [ˈfensɪŋ-ken] *n ქურდ.* ბუნაგი, სადაც ინახება ნაქურდალი

feneration [ˈfenəreɪʃən] *n.* მევახშეობა

feodum antiquum *ლათ. ისტ.* წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიღებული ლენი, მამული

feoffee [fɛˈfiː] *n.* პირი, რომელიც სასუქრად იღებს უძრავ ქონებას; *ისტ.* ნაწყალობევი ლენი; ლენის პატრონი ◊ * **in trust** [* ɪn trʌst] ანდერძის აღმსრულებელი

feoffment [ˈfefmənt] *n.* 1. უძრავი ქონების სუქება; 2. *ისტ.* ლენის მამული

feoffor [fɛˈfɔ] *n.* უძრავი ქონების მსუქებელი

ferial [ˈfɛrɪəl] *adj.* სადღესასწაულო ◊ * **day (time)** [* deɪ (taɪm)] *შოტლ.* დღე, როცა არ ტარდებოდა სასამართლოს სხდომები

ferry [ˈferɪ] *n.* 1. მგზავრების და ტვირთის გადაზიდვის უფლება მდინარის გადასასვლელზე და ამაში გადასახადის გადახდევინება; 2. გადაზიდვა წყალზე; 3. ბორანი; გადმა გადასას-

ელული ადგილი ◊ * **franchise** [* ˈfræn-ʧaɪz] პრივილეგია საბორნე გადასახადზე

festinum remedium *ლათ.* დროულად აღმოჩენილი დახმარება

fetch [fɛʧ] *v.* მოტანა *(შემოსავლის, ფულის)*;

feticide [ˈfɛtɪsaɪd] *n.* ნაყოფის მოცილება; აბორტი

fetus [ˈfiːtɔs] *n.* ნანასახი; ემბრიონი, ნაყოფი

feu [fjuː] *n. შოტლ.* 1. სახელმწიფო მიწის უვადო იჯარა; 2. სახელმწიფოს მიწა, რომელიც გაცემულია უვადო იჯარით

feu-farm [fjuː-fɑːm] *n.* 1. მიწის იჯარა გარკვეული პირობებით; 2. წლიური საიჯარო გადასახადი მიწაზე

feud [fjuːd] *n.* 1. *ისტ.* ფეოდი, ლენი, ფეოდალური მამული; 2. *(მემკვიდრეობით)* მტრობა, შუღლი

ancient * [ˈeɪnʃənt *] *ისტ.* წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიღებული ლენი

blood * [blʌd *] მესისხლეობა, გვაროვნული მტრობა

feuding [ˈfjuːdɪŋ] *n.* მემკვიდრეობითი მტრობა, შუღლი

feudist [ˈfjuːdɪst] *n.* 1. აქტიური ან კომენტატორი ფეოდალური მიწათმფლობელობის სამართლებრივ საკითხებში; 2. სისხლიანი მტრობის ტერეთის მატარებელი ან სისხლიანი შურისძიების აქტების მონაწილე

fiat *ლათ.* 1. სასამართლოს ბრძანება; განკარგულება, დეკრეტი, ბრძანებულება; 2. მითითება; 3. თანხმობა, მოწონება, სანქცია

fiat justitia, pereat mundus *ლათ.* დაე, აღსრულდეს მართლმსაჯულება, თუნდაც ქვეყანა დაიქცეს

fiction [ˈfɪkʃən] *n.* ფიქცია, მონაგონი, შეთხზული; ბელეტრისტიკა

legal * [ˈliːgəl *] იურიდიული ფიქცია

fictitious [fɪkˈtɪʃəs] *adj.* ფიქციური, ცრუ, ყალბი, გამოგონილი ◊ * **narrative** [* ˈnærətɪv] გამონაგონი; * **person** [* ˈpɜːsn] გამოგონილი პირი; * **plaintiff** [* ˈpleɪntɪf] გამოგონილი *(ფიქტიური)* მოსარჩლე; * **signature** [* ˈsɪgnɪʧə] ყალბი ხელმოწერა

fide, sed cui, vide *ლათ.* ენდე, ოღონდ გაარჩიე ვის *(ენდობი)*

fide-commissary *ლათ.* ბენეფიციარი

fide-jussor *ლათ.* თაყვების გარანტი

fides etiaim hosti servanda *ლათ.* სიდისიერება მტერთანაც უნდა დაიცვათ

fidei-commission *ლათ.* მემკვიდრეობის ნაწილი, რომელიც გადაეცემა ანდერძით ძირითადი მემკვიდრისგან ანრწმუნებული პირისგან

fidei-commissum *ლათ.* ფიდეიკომისი *(მამკვიდრებლის მიერ მემკვიდრისთვის მიცემული დავალება)*

fidei defensor *ლათ.* რწმენის დამცველი *(ინგლისის მონარქის ერთ-ერთი ტიტული)*

fidelity [fɪˈdɛlətɪ] *n.* ერთგულება, ლოიალურობა. კეთილსინდისიერება ◊ * **bond** [* bɔnd] სადაზღვეო კონტრაქტი ვალდებულების დარღვევის შემთხვევისთვის; * **to duty** [* tu ˈdjuːtɪ *] მოვალეობისადმი ერთგულება; კეთილსინდისიერი შესრულება დაკისრებული მოვალეობის

fiducial [fɪˈdjuːsəl] *adj. იხ.* **fiduciary**

fiduciary [fɪˈduːʃərɪ] *n.* რწმუნებული პირი, ფიდუციარი; ნდობაზე დამყარებული

personal * [ˈpɜːsnəl *] პირადი ფიდუციარი

fief [fiːf] *n.* ფეოდი, ფეოდალური მფლობელობა

fief-tenant [fiːf-ˈtenənt] ფეოდის დამქირავებელი

field [fiːld] *n.* 1. სფერო, მოქმედების არე; 2. კომპეტენცია, იურისდიქცია ◊ * **sketching** [* ˈskeʧɪŋ] გეგმა, მონახაზი; * **service** [* ˈsɜːvɪs] გარე სამსახური; * **supervision** [* ˌsjuːpəˈvɪʒən] გარე მეთვალყურეობა

* **of law** [* ɔv lɔː] სამართლის მოქმედების სფერო, სამართალგამოყენების სფერო

correctional * [kəˈrekʃənəl *] გამასწორებელი სასჯების გამოყენების სფერო

criminal * [ˈkrɪmɪnəl *] 1. დანაშაულებრივი სფერო; 2. სისხლის სამართლის გამოყენების სფერო

judicial * [ʤuːˈdɪʃəl *] სასამართლო საქ-

მიანობის სჯერო; სასამართლოს კომპეტენცია; ურისდიქცია

fieri facias *ლათ.* საღსრულებო ფურცელი, რომელიც შერიფს ავალებს სასამართლო გადაწყვეტილების დაკმაყოფილებას *(ქალის დაფარვაზე)* მეუღლის ქონებიდან *(ქონების კონფისკაციით, მისი აუქციონზე გაყიდვითა და ქალის დაფარვით)*

fieri feci *ლათ.* "გადახდილია" *(წარწერა საღმრულებლო ფურცელზე)*

fight [fait] *n. v.* ნხუბი, დავა, კამათი, პაექრობა, შეჯიბრი *(სასამართლოში)* ◊ *** a case** [* ə keis] საქმის გატანა *(სასამართლოზე)*; **to * for (in) defence** [tu * fɔ: (in) di'fens] ნხუბი დაცვის მიზნით; **to * in public** [tu * in 'pʌblik] ნხუბი საზოგადოებრივ ადგილას

family * ['fæmili *] საყოფაცხოვრებო ნხუბი

knife * [naif *] დანით ნხუბი

legal * ['li:gəl *] სასამართლო პაექრობა; შეჯიბრი

figure ['figə] *n.* 1. ფიგურა, პიროვნება, თანამდებობის პირი; 2. გამოსახულება, სახე; 3. ციფრი, სიდიდე, რაოდენობრივი მაჩვენებელი, რიცხვებით აღრიცხვა; 4. *pl.* მონაცემები; 5. დიაგრამა, ნახატი, ნახაზი; 6. ფასი

gang * [gæŋ *] I. აქტიური მოღვაწე. ახალგაზრდული განგსტერული დაჯგუფების მოთავე; 2. განგსტერული სინდიკატის, ბანდის, ჯგუფის ბოსი

filacer ['filəsər] *n.* სასამართლო პროცესის მომზადების კლერკი

file [fail] *n. v.* I. შეტანა *(შეამდგომლობის, სარჩელისა და მისთ. სასამართლოში)*, მიწოდება *(დოკუმენტის)*; 2. კარტოთეკა, დოსიე, საქმე; 3. საქაღალდე, სწრაფნამკერი; 4. განსაზღვრული წესით დოკუმენტების რეგისტრირება და შენახვა; საქმეში ჩაკერება; 5. *pl.* ჩაკერებული დოკუმენტები; არქივი *(მაგ. სასამართლოს, ბანკის)* ◊ *** an action** [* ən 'ækʃən] სარჩელის შეტანა *(სასამართლოში)*; **on *** [ɔn *] საქმეში არსებული, საქმეზე დართული; **to * a bill** [tu * ə bil] სასარჩელო განცხადების შეტანა; **to * a bill in bankruptcy** [tu * ə bil in 'bænkrʌptsi] საკუთარი თაყვის გაკოტრებულად გამოცხადება; **to * a case** [tu * ə keis] სარჩელის შეტანა; **to * a charge** [tu * ə ʧa:ʤ] განცხადება ბრალის შესახებ; ბრალის გახანიერება; **to * claim** [tu kleim] მოთხოვნის განცხადება, უფლების მოთხოვნა; **to * a complaint** [tu * kəm'pleint] I. სანიერის შეტანა; 2. სანიერის საქმეზე დართვა; **to * a criminal charge** [tu * ə 'kriminəl ʧa:ʤ] სისხლისსამართლებრივი ბრალდების გახანიერება; **to * a lawsuit** [tu * ə 'lɔ:sju:t] სარჩელის შეტანა სასამართლოში; **to * an appeal** [tu * ən ə'pi:l] საჩივლიანო საჩივრის შეტანა; **to * an application** [tu * ən ˌæpli'keiʃən] განცხადების, შეამდგომლობის მიღება; **to * an income tax** [tu * ən 'inkəm tæks] I. საგადასახადო დეკლარაციის შეტანა; 2. საშემოსავლო გადასახადის გადახდის შესახებ მონაცემების შეტანა; **to * an indictment** [tu * ən in'ʤaitmənt] I. საბრალდებო აქტის წარდგენა; 2. საბრალდებო აქტის ჩაკერება საქმეში; **to * an information** [tu * ən ˌinfə'meiʃən] I. ბრალდების შესახებ განცხადების შეტანა; 2. ბრალდების შესახებ განცხადების ჩაკერება საქმეში; **to * on objection** [tu * ɔn əb'ʤekʃən] სანიერის წარდგენა; **to * a petition** [tu * ə pə'tiʃən] I. განცხადების, პეტიციის, თხოვნის, შეამდგომლობის წარდგენა; 2. საქმეში განცხადების, პეტიციის, თხოვნის, შეამდგომლობის ჩაკერება; **to * a presentment** [tu * ə ˌprəzə'ntmənt] I. დიდი ჟიურისთვის ცნობილი დანაშაულის გარემოებების შესახებ განცხადების წარდგენა *(ფიცის ქვეშ)*; 2. საქმეში ჩაკერება წარდგენილი განცხადებებისა დიდი ჟიურისთვის ცნობილი დანაშაულის გარემოებების შესახებ; **to * a request** [tu * ə ri'kwest] განაცხადის, შეამდგომლობის შეტანა; განცხადება; **to * a suit** [tu * sju:t] სარჩელის შეტანა *(სასამართლოში)*; **to * for bankruptcy** [tu * fɔ: 'bænkrʌptsi] საკუთარი თაყვის გაკოტრებულად გამოცხადება; **to * out by the jury** [tu * aut bai ðə 'ʤuəri] ვერდიქტის წარდგენა; **to * pleading** [tu * 'pli:diŋ] სარჩელის ან სარჩელის საწინააღმდეგო შეპასუხების საფუძვლის წარდგენა; **to * record with a clerk** [tu *

ˈrekɔːd wɪð ə klɑːk] საქმის არქივში ჩაბარება

active * [ˈæktɪv *] კარტოთეკა იმ პირებზე, რომლებიც ირიცხებიან მოქმედ სამსახურში *(არმიასა და პოლიციაში)*

case assignment * [keɪs əˈsaɪnmənt *] წარმოებით გადაცემული საქმეების კარტოთეკა

counter-intelligence * [ˌkaʊntə-ɪnˈtelɪʤəns *] კონტრდაზვერვის ოპერატიული კარტოთეკა ან არქივი

crime typology * [kraɪm taɪˈpɔlədʒɪ *] ჩადენილი დანაშაულების ტიპების *(სახეების)* ოპერატიული კარტოთეკა ან არქივი

criminal * [ˈkrɪmɪnəl *] 1. დამნაშავის კარტოთეკა; 2. დამნაშავის დოსიე 3. *pl.* დამნაშავეების საარქივო საქმეები

fingerprint * s [ˈfɪŋgəprɪnt *z] დაქტილოსკოპიური კარტოთეკა

first name * [fɜːst neɪm *] დამნაშავეთა სახელების ოპერატიული კარტოთეკა ან არქივი

intelligence * [ɪnˈtelɪʤəns *] დაზვერვის ოპერატიული კარტოთეკა ან არქივი

investigation (investigative, investigatory) *s [ɪnˌvestɪˈgeɪʃən (ɪnˈvestɪgətɪv, ɪnˈvestɪgətərɪ) *z] საგამოძიებო არქივი

known offender(s) * [nəʊn əˈfendə(z) *] პოლიციისთვის ცნობილი დამნაშავეების კარტოთეკა

local search for wanted * [ˈləʊkəl sɜːʧ fɔː wɔntɪd *] ადგილობრივ ძებნაში მყოფი პირების კარტოთეკა

medical * s [medɪkəl *z] სამედიცინო არქივი

mudus operandi * *ლათ.* დამნაშავეთა "ხელწერების" კარტოთეკა *(კონკრეტული დამნაშავეების შესრულებული დანაშაულის მეთოდების, სტილის)*

national search for wanted * [næʃnəl sɜːʧ fɔː ˈwɔntɪd*] ქვეყნის მასშტაბით გამოცხადებულ ძებნაში მყოფი დამნაშავეების კარტოთეკა

nickname * [ˈnɪknem *] დამნაშავეების მეტსახელების კარტოთეკა

parole * [pəˈrəʊl *] 1. პირობით-ვადამდელი განთავისუფლებულების კარტოთეკა; 2. პირობით-ვადამდელი განთავისუფლებულების საარქივო საქმეები

personal *s [ˈpɜːsnəl *z] პირადი არქივი

personnel *s [ˌpɜːsnəl *z] პირადი შემადგენლობის ოპერატიული კარტოთეკა ან საარქივო საქმეები

police * [pəˈliːs *] 1. პოლიციის კარტოთეკა; 2. პოლიციის დოსიე; 3. პოლიციური საქმე; 4. საპოლიციო არქივი

search for wanted * [sɜːʧ fɔː ˈwɔntɪd *] პოლიციის მიერ ძებნილის კარტოთეკა

state search for wanted * [steɪt sɜːʧ fɔː ˈwɔntɪd *] შტატის მასშტაბით გამოცხადებული ძებნაში მყოფი დამნაშავის კარტოთეკა

stolen property *s [ˈstəʊlən ˈprɔpətɪ *z] მოპარული ქონების კარტოთეკა

tattoo * [təˈtuː *] დამნაშავეების სვირინგების კარტოთეკა

filiate [ˈfɪlɪeɪt] *v.* 1. მამობის დადგენა *(სასამართლოს მიერ)*; 2. ფილიალის შექმნა

filiation [ˌfɪlɪeɪʃən] *n* 1. წარმომაელობა, წარმომავლობის დამოკიდებულება; 2. მამობის დადგენა; 3. ფილიალის შექმნა; ფილიალი

filibuster [ˈfɪlɪbʌstə] *n.* 1. მეკობრე, ხელის ყაიაღი; 2. *ამერ.* ობსტრუქციონისტი; ობსტრუქციით საქმიანობა; 3. სამხედრო ავანტიურისტი

filibustering [ˈfɪlɪbʌstərɪŋ] *n.* 1. მეკობრეობა; 2. ობსტრუქცია

filicide [fɪlɪsaɪd] *n.* ბავშვების მკვლელობა

filing [ˈfaɪlɪŋ] *n.* 1. შეტანა *(დოკუმენტის)*; 2. განსაზღვრული წესით დოკუმენტების რეგისტრაცია და შენახვა ◊ * **system** [* ˈsɪstəm] კარტოთეკის სისტემა; * **cabinet** [* ˈkæbɪnət] საკანცელარიო კარადები

assignee * [əˈsaɪniː *] *ტერ.* სამართალმემკვიდრის მიერ განაცხადის შეტანა

fill [fɪl] *v.* შესრულება, შეკვეთა ◊ **to** * **an order** [tu * ɔn ˈɔːdə] დავალების შესრულება

final [ˈfaɪnəl] *adj* საბოლოო; დასკვნითი ◊ * **decision** [* ˈdɪsɪʒən] საბოლოო გადაწყვეტილება; * **determination** [* dɪˌtɜːmɪˈneɪʃən] გადაწყვეტილება, რომელიც არ ექვემდებარება გასაჩივრებას; * **order** [* ˈɔːdə] საქმეზე სასამართლოს დასკვნითი ბრძანება; * **passage** [* ˈpæsɪʤ] საბოლოო ხმის მიცემა *(კანონშემუშავებით)*; * **process** [* ˈprəʊsɛs] სასამართ-

ლოს საალმასრულებო ბრძანება; • **sentence** [• ˈsentəns] საბოლოო გადაწყვეტილება, საბოლოო განაჩენი *(სასამართლოსი)*; • **settlement** [• ˈsetlmənt] მეკვლერეობის საქმეების სასამართლოს მიერ საბოლოო დარეგულირება; • **submission** [• səbˈmiʃən] განსახილველად საქმის საბოლოო შეტანა

finality [faiˈnælɪti] *n.* საბოლოო ხასიათი *(მაგ. გადაწყვეტილება)*

• **of judgement** [• əv ˈʤʌʤmənt •] სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოო ან დასკვნითი ხასიათი

finance [ˈfainæns] *n.* 1. საფინანსო; დაფინანსება; ფულადი ურთიერთობა; 2. *v.* ფისკალური საქმიანობა, საფინანსო ოპერაციების წარმოება; 3. *pl.* ფინანსები, შემოსავლები; *(ფულადი)* სა'შუალებები ◊ • **company** [• ˈkʌmpəni] კომპანია *(არა ბან,კი)*, რომელიც გასცემს სესხებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე; კომერციული საკრედიტო კომპანია; • **lease** [• li:s] საფინანსო იჯარა

financial [faiˈnænʃəl] *adj.* ფინანსური ◊ • **institutions** [• ˌinstiˈtju:ʃənz] საფინანსო დაწესებულებები; • **irregularities** [• ˌiregjuˈlæritiz] ფინანსების ბოროტად გამოყენება. არამი'სნობრივი გამოყენება; • **markets** [• ˈmɑ:kitz] ფინანსური ბაზრები; • **standing** [• ˈstændiŋ] ფინანსური მდგომარეობა; • **statements** [• ˈsteitmənts] ფინანსური ანგარიშგება, ანგარი'შგებიანობა

financialy [faiˈnænʃəli] *adj.* ფინანსური, საფინანსო

financier [faiˈnænsiə] *n.* ფინანსისტი, ფინანსური ოლიგარქიის წარმომადგენელი

financing [faiˈnænsiŋ] *n.* ფინანსირება, დაფინანსება

find [faind] *v.* 1. პოვნა, შოვნა, გამოჩენა. გამომჟღავნება. გამოვლენა; 2. გადაწყვეტა, გადაწყვეტილების გამოტანა; 3. საქმის შესახებ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა; დასკვნის გაკეთება; 4. *n.* ნაპოვნი; აღმოჩენა ◊ • **a verdict** [• ə ˈvə:dikt] ვერდიქტის გამოტანა; • **true bill** [• tru: bil] საქმის სასამართლო'ში გაგზავნა; **to** • **against** [tu • əˈgeinst] *(მოსარჩლის, მოპასუხის)* წინააღმდეგ გადაწყვეტა; **to** • **an indictment** [tu • ən inˈdaitmənt] საბრალდებო აქტის შედგენა; **to** • **an information** [tu • ən ˌinfəˈmeiʃən] ბრალდების განცხადების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა; **to** • **an issue** [tu • ən ˈisju:] სასამართლო დავაზე გადაწყვეტილების გამოტანა; **to** • **a presentment** [tu • ə priˈzentmənt] დიდი ჟიურისთვის ცნობილი დანაშაულის გარემოებების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა; **to** • **a surety** [tu • ə ˈʃuəti] თავდების მითითება; **to** • **bail of indictment** [tu • beil əv inˈdaitmənt] საბრალდებლო აქტის შედგენა; **to** • **for (against) the plaintiff** [tu • fɔ: (əˈgeinst) ðə ˈpleintif] მოსარჩლის სასარგებლოდ *(მოპასუხის საზიანოდ)* გადაწყვეტა; **to** • **guilt** [tu • gilt] ბრალის დადგენა; დამნაშავედ აღიარება; **to** • **guilty** [tu • ˈgilti] დამნაშავედ ცნობა; **to** • **innocence** [tu • ˈinəsns] უდანაშაულობის დადგენა, უდანაშაულოდ ცნობა; **to** • **innocent** [tu • inˈsənt] უდანაშაულოდ აღიარება; **to** • **insane** [tu • inˈsein] შეურაცხადად ცნობა; **to** • **insanity** [tu • inˈsæniti] შეურაცხადად აღიარება; **to** • **no bill** [tu • nəu bil] საბრალდებო აქტის დამტკიცებაზე უარის თქმა, საბრალდებო აქტის უარყოფა; **to** • **no guilt** [tu • nəu gilt] ბრალის დაუდგენლობა; უდანაშაულობის დადგენა, ცნობა; **to** • **not guilty** [tu • nɔt ˈgilti] უდანაშაულოდ ცნობა; **to** • **the bill true** [tu • ðə bil tru:] საბრალდებო აქტის პროექტის მიღება *(დიდი ჟიურის მიერ)*; **to** • **verdict** [tu • ˈvə:dikt] ვერდიქტის გამოტანა

finder's fee [ˈfaində fi:] *n.* კომისია, რომელიც ფულს უხდის შუამავალს გარიგების დადების ხელშეწყობისთვის; გასამრჯელო, რომელსაც უხდიან იმ პირს, ვინც პოულობს მეორე პირისთვის კლიენტს

finding [ˈfaindiŋ] *n.* ||. ნაპოვნი, მონაპოვარი; 2. სასამართლოს დადგენილება, გადაწყვეტილება; სასამართლოს განაჩენი; სასამართლოს *(ნაფიცი მსაჯულთა)* ვერდიქტი; 3. ფაქტის დადგენა; 4. *pl. (სასამართლო გარჩევის შედეგად)* დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები; სასამართლო გადაწყვეტილების მაკონსტატირებელი ნაწილი

• of fact [• ɔv fækt] I. საქმეზე ფაქტის დადგენა; 2. *pl (სასამართლო გარჩევის შედეგად)* დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

• of guilt [• ɔv gilt] დასკვნა ბრალეულობის შესახებ; დამნაშავედ აღიარება

• of guilty [• ɔv ˈgilti] დამნაშავედ აღიარება

• of innocence [• ɔv ˈinəsns] უდანაშაულობის *(ბრალის არარსებობის)* დადგენა;

• of law [• ɔv lɔ:] სამართლებრივი დასკვნა ნორმის გამოყენების დაქვემდებარების შესახებ

• of not guilty [• ɔv nɔt ˈgilti] დამნაშავედ არცნობა

coroner's inquest • [ˈkɔrənəz ˈiŋkwest •] კორონერის მიერ გამოძიებით, გამოკვლევით გაკეთებული დასკვნა

expert •s [ˈekspə:t •z] ექსპერტის დასკვნა; ექსპერტიზის დასკვნა

fact • [fækt •] ფაქტის დადგენა

general • [ˈʤenrəl •] სასამართლოს საერთო დასკვნა მთელ საქმეზე *(ნაფიცი მსაჯულების გარეშე საქმის მოსმენისას)*

preliminary • [priˈliminəri •] წინასწარი დასკვნა, დასკვნა საქმის წინასწარი მოსმენის შესახებ

professional • [prəˈfeʃənəl •] ექსპერტის დასკვნა

special • **of fact** [ˈspeʃəl • ɔv fækt] საქმეზე ყოველი ფაქტის ცალკე დადგენა

fine [fain] *n.* I. ჯარიმა; 2. ფულადი მძიმე გადასახადი მიწის მესაკუთრის სასარგებლოდ; 3. *v.* ჯარიმის დაკისრება, დაჯარიმება

civil • [ˈsivil •] ჯარიმა, დაკისრებული სამოქალაქო წესით

criminal • [ˈkriminəl •] სამოქალაქო ჯარიმა

slap on the wrist • [slæp ɔn ðə rist •] ჯარიმა სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე

fine [fain] *n. v.* ჯარიმა, საურავი; დაჯარიმება

fingerer [ˈfiŋgərə] *n. გარგ.* ქურდი, მექრთამე

fingerprint [ˈfiŋgərprint] *n. v.* თითების ანაბეჭდი; თითების ანაბეჭდების აღება, დაქტილოსკოპირება ◊ **• identification** [• aiˌdəntifiˈkeiʃən] დაქტილოსკოპური ექსპერტიზა

central • repository [ˈsentrəl • riˈpɔzitəri] ცენტრალური დაქტილოსკოპური კარტოთეკა

latent • [ˈleitənt •] თითების ლატენტური ანაბეჭდი

lift • [lift •] თითის ანაბეჭდების აღება

fingerprinting [ˈfiŋgəprintiŋ] *n.* დაქტილოსკოპირება; დაქტილოსკოპია

finish [ˈfiniʃ] *v. სალ.* ბოლოს მოღება, მოკვლა

fire [ˈfaiə] *n.* I. ხანძარი; 2. კრიტიკული შენიშვნები; 3. *adj.* სახანძრო, ცეცხლგამწვანი; *v.* 4. ცეცხლის მოკიდება; 5. სროლა, გასროლა; 6. სამუშაოდან დათხოვნა; თანამდებობიდან დათხოვნა ◊ **• fighting** [• ˈfaitiŋ] სახანძრო ხომების მიღება; **• proof** [• pru:f] ცეცხლგამძლე; **• warden** [• ˈwɔ:dn] ადგილობრივი სახანძრო დაცვის უფროსი; **to set on • (to set • to)** [tu set ɔn • (tu set • tu)] რამესთვის ცეცხლის წაკიდება

• of accidental or natural origin [• ɔv ˌæksiˈdentl ɔr ˈnæʧrəl ˈɔriʤin] შემთხვევითი ან ბუნებრივი წარმოშობის ხანძარი

incendiary • [inˈsendjəri •] ცეცხლის წაკიდებით გაჩენილი ხანძარი

firearms [ˈfaiərɑ:mz] *n.* ცეცხლსასროლი იარაღი

firebug [ˈfaiəbʌg] *n.* ცეცხლის წამკიდებელი

fired [ˈfaiəd] *adj.* სამუშაოდან დათხოვნილი; თანამდებობიდან დათხოვნილი

firing [ˈfaiəriŋ] *n* სროლა ◊ **• arms** [• ɑ:mz] ცეცხლსასროლი იარაღი; **• cartridge case** [• ˈkɑ:triʤ keis] ცეცხლსასროლი ჯაზნის მასრა; **• distance** [• ˈdistəns] ჯასროლის მანძილი; **• pin** [• pin] საკეტი *(თოფის)*

firm [fə:m] *n.* I. ფირმა, კომპანია; 2. ამხანაგობა; 3. უკომპრომისო, მკაცრ ხარისხებში მოთავსებული, 4. მყარი *(მაგ. ფასი)*; 5. მტკიცე; 6. *v.* გამაგრება, გამხნევება ◊ **• offer** [• ˈɔfə] მყარი წინადადება, შემოთავაზება

auditing • [ɔˈditiŋ •] აუდიტორული *(რევიზორული)* ფირმა

brokerage • [ˈbrəukəriʤ •] საბროკერო

ფირმა
clearing * [ˈklɪərɪŋ *] ანგარიშსწორების ფირმა; კლირინგული ფირმა
law * [lɔ: *] საადვოკატო ფირმა
member * [ˈmembə *] ბირჟის წევრი-ფირმა
private law * [ˈpraɪvɪt lɔ: *] კერძო საადვოკატო ფირმა
public accounting * [ˈpʌblɪk əˈkaʊntɪŋ *] საკონსულტაციო-სარევიზიო *(საბუღალტრო)* ფირმა

firm-name [fɜ:m-neɪm] *n.* საფირმო დასახელება

first [fɜ:st] *n.* პირველი ეკზემპლარი *(თამასუქის)*, პრიმა-თამასუქი

first devisee [fɜ:st dɛvɪˈsi:] *n.* პირველი მემკვიდრე ანდერძის მიხედვით

first instance [fɜ:st ˈɪnstəns] *n.* პირველი ინსტანცია

first mortgage [fɜ:st ˈmɔ:gɪdʒ] *n.* პირველი გირავნობის საბუღალტრო *(იპოთეკა)*

first papers [fɜ:st ˈpeɪpəs] *n. ამერ. სალ.* განცხადება აშშ-ის მოქალაქეობის მიღებაზე
to take out one's * [tu teɪk aut wʌns *] განცხადების შეტანა აშშ-ის მოქალაქეობის მიღებაზე

first-termer [fɔ:st-ˈtɜ:mə] *იხ.* **first timer**

first-timer [fɜ:st-ˈtaɪmə] *n.* პირი, რომელიც პირველად იხდის ვადიან სასჯელს

firsthand knowledge [fɜ:sthænd ˈnɔlɪdʒ] ინფორმაცია პირველი ხელიდან

fisc [fɪsk] *n.* 1. *ისტ.* ფისკი; 2. *შოტლ.* სახელმწიფო ხაზინა

fiscus *ლათ.* ხაზინა

fiscal [ˈfɪskəl] I. *adj.* ფისკალური; საფინანსო, სახაზინო; *n.* 2. გადასახადების ამკრეფი; 3. სასამართლოს აღმსრულებელი ◊ * **accounting** [* əˈkaʊntɪŋ] ფინანსური ანგარიშგება; * **agent** [* ˈeɪdʒənt] ფისკალური აგენტი *(ბარკი)*, * **obligations** [* ˌɔblɪˈgeɪʃənz] ფინანსური ვალდებულებები; * **period** [* pɪərɪəd] ფინანსური ანგარიშგების პერიოდი; * **year** [* jə:] საბიუჯეტო წელი

fishery [ˈfɪʃərɪ] *n.* 1. თევზჭერა; თევზის რეწვა; 2. თევზჭერის უფლება
deep sea * [di:p si: *] მეთევზეობა ღია ზღვაში
distant waters * [ˈdɪstənt ˈwɔ:təz *] საექსპედიციო თევზის რეწვა
free * [fri: *] თავისუფალი თევზჭერის უფლება; თევზჭერის სერვიტუტი
long range * [lɔŋ reɪndʒ *] თევზის ჭერა შორეულ წყლებში
off shore * [ɔ:f ʃɔ: *] სანაპირო თევზჭერა
sedentary * [ˈsedntərɪ *] სტაციონარული საზღვაო რეწვა, საზღვაო სახეობების რეწვა

fisking trip/expedition [ˈfɪskɪŋ trɪp/ˌekspɪˈdɪʃən] მაკომპრომიტირებელი მასალების ძიება

fitness [ˈfɪtnəs] *n* ||. გამოსადეგობა, ვარგისობა; 2. შესაბამისობა, შესაფერისობა; 3. უნარი; ნიჭი; 4. დროულობა, მართებულობა; 5. გამძლეობა, ამტანობა ◊ * **to proceed** [* tu prəˈsi:d] სასამართლო წარმოებაში მონაწილეობის უნარი; * **to stand one's own trial** [* tu stændwʌnsəunˈtraɪəl] სასამართლოს წინაშე წარდგომის უნარი

fix [fɪks] *v* ||. ფიქსირება, დაფიქსირება *(მაგ. ვადის, ფასის, კურსის)*; 2. დადგენა, დაწესება; 3. ალნიშვნა *(მოცულობისა)*; 4. მიპყრობა *(ა'ბრისა)*; 5. *ამერ. სალ.* შეთანხმება; 6. *სალ.* მოქრთამვა, მოსყიდვა; 7. *n.* დილემა ◊ * **punishment** [* ˈpʌnɪʃmənt] სასჯელის განსაზღვრა; **to** * **a jury** [tu ə ˈdʒuərɪ] ნაფიც მსაჯულთა მოსყიდვა, ნაფიც მსაჯულთა დაყოლიება; **to** * **an election** [tu * ən ɪˈlekʃən] არჩევნების ფალსიფიცირება; **to** * **a penalty** [tu * ə ˈpenəltɪ] სასჯელის *(კანონში)* დადგენა ან დანიშვნა *(განაჩენში)*; **to** * **a price** [tu * ə praɪs] ფასის *(დანაშაულებრივი)* ფიქსირება; **to** * **a registration list** [tu * ə ˌredʒɪˈstreɪʃən lɪst] რეგისტრირებული ამომრჩევლის სიის ფალსიფიცირება; **to** *| **a vessel** [tu * ə ˈvesl] გემის დაფრახტება; **to** * **be law** [tu * bi: lɔ:] კანონით დადგენა; **to** * **responsibility** [tu * rɪˌspɔnsəˈbɪlətɪ] პასუხისმგებლობის დაკისრება; **to** * **smb. with costs** [tu * ˈsʌmbədɪ wɪð kɔsts] ვინმეზე დანახარჯის დაკისრება

fixed [fɪkst] *adj.* 1. დადგენილი, ფიქსირებული, დანიშნული, განსაზღვრული; 2. უცვლელი, მუდმივი, ძირითადი, მყარი;

3 *ამერ. სლ.* გაყალბებული; "ჩაწყობით" გაკეთებული; ფალსიფიცირებული ◊ **assets** [ˈ æsetz] *ფიქსირებული (ძირითადი)* კაპიტალი; **by adjudication** [ˈ baɪ əˈʤuːdɪkeɪʃən] სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი *(არასრულწლოვანთა საქმეებზე)*; **by jude(e)ment** [ˈ baɪ ˈʤʌʤmənt] სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი; **by law** [ˈ baɪ lɔː] კანონით დადგენილი; **by sentence** [ˈˈ baɪ ˈsentəns] განაჩენით დანიშნული; **charges** [ˈ ʧɑːʤɪz] ფიქსირებული გადასახადები *(ბარჯები)*; **deposits** [ˈ dɪˈpɔzɪts] გრძელვადიანი დეპოზიტები ბანკებში; **in tangible medium of expression** [ˈ ɪn ˈtænʤəbl ˈmiːdɪəm əv ɪkˈspreʃən] დამაგრებული მატერიალურ გარსში *(საავტორო უფლებაში)*; **liabilities** [ˈ ˌlaɪəˈbɪlɪtɪz] გრძელვადიანი ვალდებულებები; **(moving) surveillance** [ˈ (ˈmuːvɪŋ) səːˈveɪləns] სტაციონალური *(მოძრაობა)* თვალთვალი

fixture [ˈfɪksʧə] *n.* 1. გარიგება; ფრახტის გარიგება, ფრახტირება; 2. სახლთან ან მიწასთან ერთად გასაყიდი მოძრავი ქონება; 3. მუდმივობა, უცვლელობა; 4. *(ადგილის)* მკვიდრი; 5. დიდი ხნის თანამშრომელი; 6. რისამე განუყოფელი ნაწილი

trade ˈ [treɪd ˈ] დამქირავებლის მიერ დაქირავებულ ფართზე დამონტაჟებული მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც იგი თავისი ხელობით იმუშაობს *(იჯარის ვადის გასვლისას მას შეუძლია ამ მოწყობილობის გატანა)*

flag [flæg] I. *n.* დროშა, ალამი; *v.* 2. დროშის აღმართვა; 3. დროშით ნიშნება; 4. მინელება *(მოთხოვნის, ინტერესის და ა.შ.)*, შესუსტება; 5. ფლაგმანი, საფლაგმანო ხომალდი ◊ **to dip the** ˈ [tu dɪp ðə ˈ] დროშის ჩამოშვება; **to fly the** ˈ **of a state** [tu flaɪ ðə ˈ əv ə steɪt] სახელმწიფო დროშის ტარება, ცურვა სახელმწიფო დროშის ქვეშ; **to hoist the** ˈ [tu hɔɪst ðə ˈ] დროშის აღმართვა

ˈ **of convenience** [ˈ əv kənˈviːnɪəns] ხელსაყრელი დროშა

black ˈ [blæk ˈ] სიკვდილით დასჯის ჩატარების ნიშნად ცხენზე აღმართული დროშა

trading ˈ [ˈtreɪdɪŋ ˈ] სავაჭრო დროშა

white ˈ [waɪt ˈ] I. პარლამენტიორის *(თეთრი)* დროშა; 2. თეთრი დროშა *(ბარიკადებისას, დანებებისას)*

yellow ˈ [ˈjeləʊ ˈ] ყვითელი *(საკარანტინო)* დროშა

flag-bearer [ˈflæg-ˈbeərə] *n.* 1. მედროშე; 2. პარლამენტიორი

flagrante delicto *ლათ.* დანაშაულის ადგილზე *(დანაშაულის ჩადენის მომენტში)*

flash check [flæʃ ʧek] *n.* ბანკში წარდგენილი ნეკი იმ პირის მიერ, რომელსაც არ აქვს ანგარიში ბანკში

flashing [ˈflæʃɪŋ] *n.* არბიტრაჟისთვის გამოყენებული ქვესტების სისტემა

flat [flæt] *n. adj.* 1. სუსტი, უსიცოცხლო *(ბაზარი დაბალი მოთხოვნილების გამო)*; 2. *ჯარგ.* არარენტაბელური, არამომგებიანი; 3. ერთფეროვანი, ერთნაირი *(ფასი)*; 4. ფიქსირებული, უცვლელი; 5. *n.* ბინა ◊ ˈ **bond** [ˈ bɔnd] ობლიგაცია, რომელიც მოიცავს ყველა პროცენტის ჯამს; ˈ **money** [ˈ ˈmʌni] ბანკნოტები, რომელიც ოქროთი არაა უზრუნველყოფილი

flation [ˈflæʃən] *n.* ინფლაციისა და დეფლიაციის არარსებობა მდგრადი ფასების პერიოდში

flatness [ˈflætnəs] *n.* მოდუნებულობა, უმოძრაობა

flatten [ˈflætn] *v.* გათანაბრება *(ფასების)*; გაკოტრება; შენელება

flaus et jus nunquam cohabitant *ლათ.* მართლმსაჯულება და სიცრუე ყურასოდეს შეთავსდება.

flaw [flɔː] I. *n.* ნაკლი, ნაკლოვანება, დეფექტი, წუნი; *v.* 2. გაუქმება; 3. გაფუჭება, წახდენა ◊ ˈ **in the title** [ˈ ɪn ðə ˈtaɪtl] ტიტულის ნაკლოვანება; ˈ **in the will** [ˈ ɪn ðə wɪl] სურვილის წახდენა

flee [fliː] *v.* გაქცევა, თავის არიდება ◊ **to** ˈ **from justice** [tu ˈ frɔːm ʤʌstɪs] მართლმსაჯულებისგან დამალვა; **to** ˈ **from prosecution** [tu ˈ frɔːm ˌprɔsɪˈkjuːʃən] დამალვა სისხლის სამართლებრივი დევნისგან

flight [flaɪt] *n. v.* გაქცევა; ფრენა, რეისი; მოქცევა; გადინება, გაფონვა *(კაპიტალის საზღვარგარეთ)*

float [flǝut] *v. n.* 1. კურსის თავისუფალი მერყეობა, მცოცავი კურსი, მცოცავი ან თავისუფლად ცვალებადი *(ვალუტის)* კურსის შემოღება; 2. გამოსყიდვა, დაბანღება, გამოშვება *(სესხის, აქციის)*, განლაგება *(ფასიანი ქარალდების)*; 3. *ამერ.* ნეკები ინკასაციის პერიოდში; 4. დროის რუზერვი; 5. უხეი მარაგი; ზენორმატული მარაგი *(მასობრივი წარმოების.ს)*; 6. ნახევარფაბრიკატების მარაგი; 7. გაერცელება *(მაგ. ბმების)*; 8. დაფუძნება; 10. მხარდაჭერის უზრუნველყოფა ◊ **to • a loan** [tu • ǝ lǝun] სესხის გაერცელება

floatation [ˌfləuˈteiʃǝn] *n.* სესხების განთავსება; დაფუძნება, ჩამოყალიბება *(საწარმოს)*

stock • [stɔk •] აქციების განთავსება

floater [ˈfləutǝ] *n. ამერ.* ამომრჩეველი, ხმის რამდენჯერმე მიმცემი

floating [ˈfləutiŋ] *n.* 1. მოძრაობა, გადასვლა *(მაგ. კაპიტალის)*; 2. მიმდინარე *(დავალიანება)*; 3. ფლოუტინგი, თავისუფალი მერყეობა *(კურსის)* ◊ **• debt** [• det] მცურავი ვალი, მიმდინარე დავალიანება; **• interest rate** [• ˈintrǝst reit] მცურავი საპროცენტო განაკეთი; **• capital/circulating capital** [• ˈkæpitl/ sɜ:kulǝtiŋ ˈkæpitl] საბრუნავი კაპიტალი; **• zone** [• zǝun] მიწის გამოყენების წინასწარ დაგეგმილი მიზნები, *(მიწის)* საზღვრების ზონის კონკრეტიზაციის გარეშე

flog [flɔg] *v.* გაროზგვა, ცემა

flogging [ˈflɔgiŋ] *n.* გაროზგვა *(ფიზიკური დასჯა)*

flood [flʌd] *n.* წყალდიდობა, დატბორვა

floor [flɔ:] *n.* 1. იატაკი, ძირი; 2. მინიმალური დონე *(ფასი, ფსონი და ა.შ.)*; 3. *ამერ.* საფონდო ბაზარი *(სადაც დაშვებიან ბირჟის წევრები)*; 4. საწარმოო ფართობი; 5. ადგილები *(პარლამენტის სხდომის დარბაზში)*; 4. სიტყვით გამოსვლის უფლება, სიტყვა, ტრიბუნა; 5. აუდიტორია, პუბლიკა ◊ **• broker** [• ˈbrǝukǝ] ბროკერი - ბირჟის წევრი; მაკლერი; **• trader** [• ˈtreidǝ] ბირჟის მაკლერი, რომელიც ოპერაციებს ახორციელებს საკუთარი ხარჯებით; **to ask for the •** [tu ɑ:sk fɔ: ðǝ •] სიტყვით გამოსვლის თხოვნა; **to be on the •** [tu bi: ɔn ðǝ •] განხილვაში მყოფი *(კანონპროექტი)*; **to cross the • (of the House)** [tu krɔs ðǝ (ɔv ðǝ haus)] ერთი პარტიიდან მეორე პარტიაში გადასვლა; **to give the •** [tu giv ðǝ •] სიტყვის მიცემა; **to have the •** [tu hæv ðǝ •] გამოსვლა *(სიტყვით)*; **to take the •** [tu teik ðǝ •] სიტყვის აღება; **deep sea •** [di:p si: •] ღია ზღვის ფსკერი; **ocean •** [ˈǝuʃǝn •] ოკეანის ფსკერი

fluctuate [ˈflʌkʧueit] *v.* მერყეობა, არამდგრადობა, ცვლილება *(ფასის)*

fluctuation [ˈflʌkʧuǝiʃǝn] *n.* მერყეობა; ცვალებადობა *(მაგ. მოთხოვნილების, ინტერესის, ფასის და ა.შ.)*

market •s [ˈmɑ:kit •z] ბაზარზე ფასების მერყეობა

flunk [flʌnk] *n. v.* ნაგდება; თავის არიდება; დათხოვნა, გარიცხვა; *ამერ.* ნაჭრა *(გამოცდაზე)*

flurry [ˈflʌri] *n.* ხანმოკლე საბირჟო პანიკა

flustra ferentur leges nisi subditis et obedientibus *ლათ.* აზრი არა აქვს კანონების გამოცემას, თუ მათ არავინ არ იცავს და არ ემორჩილება

fly [flai] *v.* 1. ფრენა; 2. გაქცევა; *adj.* 3. წინდახედული, ეშმაკი ◊ **to let • at** [tu let • ǝt] სროლა *(ვინმეს მისამართით)*

focus [ˈfǝukǝs] *n.* ფოკუსი, ცენტრი *(მაგ. ყურადღების)*

legislative • [ˈleʤislǝtiv •] კანონმდებლის ყურადღების ცენტრი

faedus *ლათ.* სამოკავშირეო ხელშეკრულება

faenus *ლათ.* სესხიის პროცენტი, კრედიტის გაცემა პროცენტით

folio [ˈfǝliǝ] *n.* დოკუმენტის მოცულობის საზომი ერთეული: 72-დან 100-მდე სიტყვა ინგლისში; 100 სიტყვა აშშ-ში

folklaw [ˈfǝuklɔ:] *n.* ჩვეულებები

follow [ˈfɔlǝu] *v.* 1. მიდევნა, მიყოლა, დევნა; დაქვემდებარება, *(რისამე)* თანახმად მოქმედება; 2. თვალის დევნება; 3. პირის გამოკითხვა, რომელიც თავდაპირველად დაკითხულია; 4. დაცვა *(წესის, კანონის, მოთხოვნის და მისთ.)* **• to case** [• tu keis] პრეცედენტის თანახმად მოქმედება; **to • a policy** [tu • ǝ

ˈpɔlɔsi] პოლიტიკის დაცვა; **to ~ from the state of the art** [tu ~ frɔ:m ðe steɪt ɔv ðɔ ɑ:t] *პატ.* გამოშდინარე ტექნიკის დონიდან; **to ~ regulations** [tu ~ ˌregjuˈleɪʃənz] წესების დაცვა; **to ~ the case** [tu ~ ðɔ keɪs] პრეცედენტს მიდევნება; **to ~ the custom** [tu ~ ðɔ ˈkʌstəm] ჩვეულებას დაქვემდებარება; **to ~ the lead** [tu ~ ðɔ li:d] წამყვანი პრეცედენტით ხელმძღვანელობა

footing [ˈfutɪŋ] *n.* საფუძველი, საყრდენი წერტილი

footmark (print) [ˈfutmɑ:k (prɪnt)] *n.* ფეხის ნაკვალევი, კვალი, ტვიფარი

footway [ˈfutweɪ] *n.* 1. საცალფეხო გზა, ბილიკი; 2. გასვლის უფლება

public ~ [ˈpʌblɪk ~] საზოგადოებრივ სარგებლობაში არსებული ფეხით სავალი ნაწილი, საცალფეხო გზა *(ბილიკი)*

forbear [ˈfɔ:bɛɔ] 1. *n.* წინამორბედი, წინაპარი; 2. *v.* თავის შეკავება *(მოქმედებისგან)*

forbearance [ˈfɔ:bɛɔ] *n.* თავის შეკავება მოქმედებისგან; ზომების მიღებაზე უარის თქმა

forbid [fɔˈbɪd] *v.* აკრძალვა, აღკვეთა ◊ **to ~ utterly** [tu ~ ˈʌtəli] მთლიანად აკრძალვა

forbidden [ˈfɔbɪdn] *adj.* აკრძალული, აღკვეთილი ◊ **~ by law** [~ baɪ lɔ:] კანონით აკრძალული; **~ by express law** [~ baɪ ɪkˈsprɛs lɔ:] პირდაპირ კანონით აკრძალული; **utterly ~** [ˈʌtəli ~] მთლიანად აკრძალული

force [fɔ:s] *n.* 1. ძალა, სიმსხვერპლ; 2. პოლიცია, პოლიციური კორპუსი, საპოლიციო ქვედანაყოფი; ჯარი; *v.* 3. იძულება, ძალის დატანება; 4. *სამხ.* გადალახვა *(მდინარის, ღარ/კოლიების და მისთ.)*; 5. ხელოვნურად დაჩქარება ◊ **as is ~ on ...** [ɔz ɪz ~ ɔn] რეალიციით, მოქმედი *(ამ თარიღით)*; **by ~** [baɪ ~] იძულებით; **in ~** [ɪn ~] მოქმედი, ძალაში მყოფი *(საზართლებრიცა ნორმა)*; **no langer in ~** [nɔʊ ˈlɛŋɡə ɪn ~] ძალის არმქონი, უმოქმედო *(ნორმა, კანონის და ა.შ.)*; **put in ~** [put ɪn ~] ძალაში შეყვანა, შესვლა; **to come into ~** [tu kʌm ˈɪntɔ ~] ძალაში შესვლა; **to ~ to do a crime** [tu ~ tu du ɔ kraɪm] დანაშაულის ჩადენის იძულება; **with ~** [wɪð ~] ძალადობით

~ of law [~ ɔv lɔ:] კანონის ძალა, კანონის მოქმედება

active ~s [ˈæktɪv ~z] რეგულარული ჯარი

actual ~ [ˈæktʃuəl ~] ძალის რეალური გამოყენება

air ~s [ɛə ~z] სამხედრო-საჰაერო ძალები

arbitrary ~ [ˈɑ:bɪtrəri ~] თვითნებობით ძალადობის გამოყენება

armed ~s [ˈɑ:md ~z] შეიარაღებული ძალები

binding ~ [ˈbaɪndɪŋ ~] სავალდებულო ძალა

borough ~ [ˈbʌrə ~] ქალაქური დასახლების პოლიცია

city ~ [ˈsɪti ~] ქალაქის პოლიცია

come into ~ [kʌm ˈɪntɔ ~] ძალაში შესვლა

constabulary ~ [kɔnˈstæbjulɔri ~] *ინგლ.* პოლიციური ძალა, პოლიცია

constructive ~ [kɔnˈstrʌktɪv ~] ძალადობის საჭარაუდო გამოყენება

county ~ [ˈkaunti ~] საგრაფოს ან ოლქის პოლიცია

criminal investigative ~ [ˈkrɪmɪnəl ɪnˈvɛstɪgeɪtɪv ~] სისხლის სამართლის გამოძიების განყოფილება

deadly ~ [ˈdedli ~] მომაკვდინებელი ძალადობა

deterrent ~ [dɪˈtɛrənt ~] შემაკავებელი ეფექტი, შემაჩერებელი ძალა

economic(al) ~s [ˌi:kɔˈnɔmɪk(əl) ~] ეკონომიკური ფაქტორი

evidential ~ [ˈevɪdenʃəl ~] მტკიცებულებითი ძალა

hidden ~ [ˈhɪdn ~] ფარული ძალადობა, ძალის ფარული გამოყენება

highway ~ [ˈhaɪweɪ ~] საგზაო პოლიცია

insuperable ~ [ɪnˈsu:pərəbl ~] დაუძლეველი ძალა, ფორსმაჟორი

investigative ~ [ɪnˈvɛstɪgɔtɪv ~] საგამოძიებო ქვედანაყოფი

irregular ~s [ɪˈregjulɔ ~z] არარეგულარული შეიარაღებული ძალები

irresistible ~ [ˌɪrɪˈzɪstəbl ~] დაუძლეველი ძალა

land ~s [lænd ~z] სახმელეთო ჯარები, არმია

law enforcement ~ [lɔ: ɪnˈfɔ:smənt ~] *ამერ.* პოლიცია

lawful * [ˈlɔːful *] მართლზომიერი ძალადობა, ძალის კანონიერი გამოყენება
legal * [ˈliːgəl *] იურიდიული ძალა, კანონიერი ძალა
local * [ˈləukəl *] ადგილობრივი პოლიცია
monetary *s [ˈmʌnitəri *z] ფულადი ფაქტორი
necessary * [ˈnesisəri *] ძალის აუცილებელი გამოყენება, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ძალადობა, იძულება
open * [ˈəupn *] ძალადობის ღიად გამოყენება
patrol * [pəˈtrəul *] საპატრულო პოლიცია
peace keeping *s [piːs ˈkiːpiŋ *z] სამშვიდობო ძალები
police * [pəˈliːs *] პოლიციური ძალები, პოლიცია; პოლიციური ქვეყანაყოფი
preventive * [priˈventiv *] გამაფრთხილებელი, პრევენციული მოქმედება
probative * [ˈprəubətiv *] დამამტკიცებელი ძალა
productive*s [ˈprədʌktiv *z] საწარმოო ძალები
protective * [prəˈtektiv *] თავდაცვის მიზნით გამოყენებული ძალადობა
punitive * [ˈpjuːnətiv *] 1. სადამსჯელო მოქმედება; 2. *pl.* სადამსჯელო რაზმი
regular *s [ˈregjulə *z] რეგულარული შეიარაღებული ძალები
retroactive * [ˌretrəuˈæktiv *] უკუქცევითი ძალა
rural * [ˈruərəl *] სოფლის პოლიცია
sales*s [salz *z] სავაჭრო აგენტები
state * [steit *] შტატის პოლიცია
statutory * [ˈstætʃətri *] კანონის ძალა; კანონიერი ძალა
strike * [ˈstraik *] დამრტყმელი რაზმი *(პოლიციის)*
suburban * [səˈbəːbən *] საგარეუბნო პოლიცია
superior * [sjuːˈpiəriə *] დაუძლეველი, გა-დაულახავი ძალა; ფორსმაჟორი
town * [taun *] ქალაქის პოლიცია
uniform(ed) * [ˈjuːnifɔːm(d) *] ფორმიანი პოლიცია *(საპატრულო)*
unlawful * [ʌnˈlɔːful *] იძულება *(უკანონო)*
unnecessary * [ʌnˈnesisəri *] ძალადობა, რომელიც არ არის გამოწვეული აუცილებლობით
urban * [ˈəːbən *] ქალაქის პოლიცია
forced [ˈfɔːst] *adj.* იძულებითი, ძალადობითი ◊ * **labour** [* ˈleibə] იძულებითი მუშაობა
force-majeure [ˈfɔːs-ˈmeiʒə] *n.* დაუძლეველი ძალა, ფორს-მაჟორი *იხ.* **act of God**
forcible [ˈfɔːsəbl] *adj.* იძულებითი, ძალადობრივი ◊ * **abduction** [*| əbˈdʌkʃən] მოტაცება, ძალისმიერი მეთოდით; * **entry** [* ˈentri] ძალადობით *(უკანონოდ)* შეჭრა; *| **trespass** [* ˈtrepəs] საკუთრების, საკუთრების უფლების ძალადობით მიტაცება; მესაკუთრის ტერიტორიის სანღვრის უკანონოდ გადალახვა
forcibly [ˈfɔːsəbli] *adv.* იძულებით, ძალის გამოყენებით
forecast [ˈfɔːkɑːst] *n.* პროგნოზი, წინასწარმეტყველება, წინასწარ განჭვრეტა
forecasting sales [ˈfɔːkɑːstiŋ seilz] *n.* გაყიდვის პროგნოზირება
foreclose [fɔːˈkləuz] *v.* 1. გამორიცხვა; სარგებლობის უფლების ჩამორთმევა; 2. დაგირავებულ ქონებაზე გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა; 3. წინასწარ გადაწყვეტა *(საკითხის)*
foreclosure [fɔːˈkləuʒə] *n.* 1. დაგირავებულ ქონებაზე გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა; 2. დაგირავებული უძრავი ქონების გადასვლა მოგირავნის საკუთრებაში; 3. ქონების ჩამორთმევა
strict * [strikt *] სასამართლოს ბრძანება ვალის გადახდის შესახებ, იმის შიშით, რომ დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლება ჩამოერთმევა
foredoom [fɔːˈduːm] *v.* წინასწარგადაწყვეტა; წინასწარგანსაზღვრა
forefault [fɔːˈfɔːlt] *n. v. შორს.* 1. დაკარგვა, ჩამორთმევა *(უფლების, ქონების)*; 2. ჯარიმა, დაჯარიმება; 3. კონფისკირებული ნივთი; 4. ხაზინაში გადასვლა
forego [fɔːˈgəu] *v.* წინსწრება; უარის თქმა, თაყვის შეკავება
foregoing [fɔːˈgəuiŋ] *adj.* წინამორბედი, ზემოაღნიშნული
* **clause of the contract** [* klɔːz ɔv ðə ˈkɔntrækt] კონტრაქტის ზემოხსენებული სტატია, მუხლი
foreign commerce [ˈfɔriŋ ˈkɔməːs] აშშ-ის

საგარეო ვაჭრობა

foreign corporation [ˈfɔrɪŋ ˌkɔːpɔˈreɪʃən] უცხოური კორპორაცია, რეგისტრირებული სხვა შტატში *(აშშ)*, სხვა სახელმწიფოში

Foreign Office [ˈfɔrɪŋ ˈɔfɪs] საგარეო საქმეთა სამინისტრო, ოფისი *(ინგლისში)*

Foreign Secretary [ˈfɔrɪŋ ˈsekrətrɪ] საგარეო საქმეთა მინისტრი; ბრიტანეთის მთავრობის მინისტრი, რომელიც ხელმძღვანელობს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებს *(ინგლისში)*

foreign substance [ˈfɔrən ˈsʌbstrəns] უცხო ნივთიერება პაციენტის სხეულში *(ორგანიზმში)*

foreign trade [ˈfɔrɪŋ treɪd] საგარეო ვაჭრობა

foreigner [ˈfɔrɪnə] *n.* 1. უცხოელი; 2. გარეშე *(მესამე)* პირი

objectionable * [ɔbˈʤekʃənəbl *] არასასურველი უცხოელი

forejudge [fɔːˈʤʌʤ] *v.* შეღებვის წინასწარ გადაწყვეტა, წინასწარ განსაზღვრა ◊ **to * guilty intent** [tu * ˈgɪltɪ ɪnˈtənt] ბოროტი განზრახვის წინასწარ განსაზღვრა

foreman [ˈfɔːmən] *n.* ნაფიც მსაჯულთა მამასახლისი *(ნაფიც მსაჯულთა მიერ არჩეული პირი, რომელიც მათ კრებებს თავმჯდომარეობს და შემდეგ კი სასამართლო დარბაზში ეცნობება კოთხულობს)*; ფორშენი, ათისთავი

*** of grand jury** [* ɔv grænd ˈʤuərɪ] დიდი ჟიურის მამასახლისი

*** of jury** [* ɔv ˈʤuərɪ] ნაფიც მსაჯულთა მამასახლისი

deputy * [ˈdepjutɪ *] ნაფიც მსაჯულთა მამასახლისის მოადგილე

grand jury * [grænd ˈʤuərɪ *] დიდი ჟიურის მამასახლისი

jury * [ˈʤuərɪ *] ნაფიც მსაჯულთა მამასახლისი

forensic [fəˈrensɪk] *adj.* სასამართლო, სასამართლოსი ◊ * **eloquence** [* ˈeləkwəns] სასამართლო მჭევრმეტყველება; * **engineering** [* ˌenʤɪˈnɪərɪŋ] სასამართლო ტექნიკური ექსპერტი'სა; * **linguistics** [* lɪŋˈgwɪstɪk] სასამართლო ლინგვისტური ექსპერტი'სა; * **medicine** [* medsɪn] სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა; * **psychiatry** [* saɪˈkɪətrɪ] სასამართლო ფსიქიატრია

foresaid(s) [ˈfɔːsed(s)] *adj. შოტლ.* ზემოთ აღნიშნული, ზემოთ ხსენებული, ზემოთნათქვამი

foresee [fɔːˈsiː] *v.* წინასწარ განჭვრეტა, გათვალისწინება

foreseeability [fɔːˈsiːəbɪlətɪ] *n.* წინასწარ განჭვრეტა, წინასწარგანჭვრეტის უნარი

foreseeable [fɔːˈsiːəbl] *adj.* წინასწარგანჭვრეტილი

foreseen [fɔːˈsiːn] *v.* წინასწარგანჭვრეტილი

disposition(al) • [ˌdɪspəˈzɪʃən(l) •] სასამართლოზე პასუხისმგებლობაში მიცემული პირის მიმართ გადაწყვეტილების მოსმენა *(მისთვის სასჯულის, პრობაციის დანიშვნა და ა.შ.)*
evidentiary • [ˈevɪdenʃərɪ •] სასამართლოს მიერ ჩვენებისა და სხვა მტკიცებულებების მოსმენა
extradition • [ˌekstrəˈdɪʃən •] დამნაშავის გადაცემის *(ექსტრადიციის)* შესახებ საკითხის განხილვა
factual • [ˈfæktʃuəl •]სასამართლო პროცესზე საქმის ფაქტობრივი გარემოებების განხილვა
final• [ˈfaɪnəl •] საქმის მოსმენა, რომელიც გადაწყვეტილების გამოტანით თავდება
House •**s** [haus •z] *ამერ.* საქმის მოსმენა წარმომადგენელთა პალატაში
in camera • [ɪn ˈkæmərə •] საქმის მოსმენა დახურულ კარს მიღმა
initial (preliminary) [ɪˈnɪʃəl (prɪˈlɪmɪnərɪ) •] სასამართლოში საქმის წინასწარი მოსმენა
juvenile adjudication(ary) • [ˈʤuːvɪnaɪl əˈʤuːdɪkeɪʃən(ərɪ) •] სასამართლოში არასრულწლოვანთა საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილების არსებითად მოსმენა
legal • [ˈliːgəl •] მოსამართლის მიერ *(სამართლებრივი საკითხების)* შუალედური განხილვა, ნაფიც მსაჯულთა გარეშე
mandatory •[ˈmændətərɪ •] სავალდებულო წესით საქმის მოსმენა
omnibus • [ˈɔmnɪbəs •] კომპლექსური

მოსმენა
oral * [ˈɔːrəl *] მხარეთა პაექრობა, სპირი განხილვა
post-conviction * [ˌpəʊstkənˈvɪkʃən *] განსასჯელის საქმის ხელმეორედ მოსმენა *(მაგ. საპატიმროში ქცევით)*
prior * [ˈpraɪə *] ადრე შემდგარი საქმის მოსმენა
public * [ˈpʌblɪk *] საქმის მოსმენა ღია სხდომაზე
removal * [rɪˈmuːvl *] საკითხის მოსმენა, საქმის სხვა ინსტანციაში გადაცემის შესახებ
Senate * [ˈsenət *] მოსმენა სენატში
waiver * [ˈweɪvə *] უფლებაზე უარის თქმის საკითხის მოსმენა
hearsay [ˈhɪəseɪ] *n.* ხმები; ხმებზე დამყარებული ◊ * **evidence (testimony)** [* ˈevɪdəns (ˈtestɪmənɪ) *] გავრცელებულ ხმებზე დამყარებული ჩვენება; * **within hearsay** [* wɪˈðɪn ˈhɪəseɪ] სხვის მონაყოლზე დამყარებული მოწმის ჩვენება **admissible** * [ədˈmɪsəbl *] დასაშვებობა ეურმოკრულის მოწმედ ყოფნისა **inadmissible** * [ˌɪnədˈmɪsəbl *] დაუშვებლობა ეურმოკრულის მხედველით მოწმედ ყოფნისა
hearts of oak [hɑːtz ɔv əʊk] *n. კოლ. ინგლ.* იგივეა, რაც **broke** [brəʊk] ფინანსურად დანგრეული, გაბანკროტებული
heat [hiːt] *n. ჟარგ.* პოლიცია, მდევარი *(დამნაშავეების)*, "შერტები"
heavy [ˈhevɪ] *adj.* მძიმე, ძნელი, ხანგრძლივი ◊ * **term of imprisonment** [* tɜːm ɔv ɪmˈprɪznmənt] პატიმრობის ხანგრძლივი ვადა
hector [ˈhektə] *n.* 1. ჩხუბისთავი, ხელიგანი; 2. ტრაბახა; 3. *v.* დამუქრება, დაშინება
hedge [hedʒ] *n. v.* 1. პეჯი *(ხასწრაფო ოპერაცია; გარიგება ფასების შესაძლებელი დაცემისგან დასაზღვევად; თავის დაცვა შესაძლებელი ზარალისაგან)*; პირდაპირი პასუხისგან თავის არიდება, პეჯირება, დაზღვევა დანაკარგებისაგან; 2. დაბრკოლება, წინააღმდეგობა; 3. კომპენსირება; დაბალანსება ◊ * **fund** [* fʌnd] პეჯერული ფონდი
hedger [ˈhedʒə] *n.* 1. პირი, რომელიც გაურბის დიდი ზარალის შესაძლო განცდის რისკს და აჟალიბებს მაბალანსებელ ორგანიზაციულ საფინანსო პოზიციას, რომლითაც შესაძლო დანაკლისი მინიმალურია ან ბიზნესი, სრულიად უდანაკარგოა; 2. ფირმა, ბანკი ან სხვა სამეურნეო საფინანსო ორგანიზაცია, რომელიც ფიუჩერულ ბირჟაზე პეჯერულ ოპერაციებს ახორციელებს
hedging [ˈhedʒɪŋ] *v.* 1. პეჯირება, დაზღვევა რისკისგან, დანაკარგებისგან; უცხოური ვალუტის სასწრაფო *(ფიუჩერული)* გაყიდვა ერთერთ ვალუტაზე, სავალუტო კურსის შემდგომი ცვლილების სეგავლენისაგან თავის დასაღწევად *(რისკისაგან დასაზღვევად)*
heedless [ˈhiːdlɪs] *adj.* გაუთვალისწინებელი, უაზრო, უჭკუო, დაუდევარი
heedlessness [ˈhiːdlɪsnəs] *n.* გაუთვალისწინებლობა, უჭკუობა, დაუდევრობა
heeled [ˈhiːld] *adj.* 1. *ამერ. ჟარგ.* შეიარაღებული *(რევოლვერით)*; 2. ფულიანი, მაყუთიანი
heeler [ˈhiːlə] *n.* 1. პოლიტიკური მოღვაწის დამქაში *იხ.* **henchman** 2. *ჟარგ.* ინფორმაციის მიმწოდებელი, დამსმენი, ენის მიმტანი, მოლაპარაკე, ჩამშვები, "ნასედკა"
heir [eə] *n.* მემკვიდრე ◊ * **apparent** [* əˈpærənt] პირდაპირი მემკვიდრე, პრეტენდენტი მემკვიდრეზე; * **at law** [* ət lɔː] კანონით მემკვიდრე; * **beneficiary** [* ˌbenɪˈfɪʃərɪ] პირი, რომელმაც მიიღო მემკვიდრეობა იმ პირობით, რომ პასუხს აგებს მემკვიდრეობით ვალებზე მისი ღირებულების ფარგლებში; * **by adoption** [* baɪ əˈdɒpʃən] შვილობილი, ნაშვილები მემკვიდრე *(კაცი, ქალი)*; * **by collateral** [* baɪ kɔˈlætərəl] არაპირდაპირი მემკვიდრე; * **conventional** [* kənˈvenʃənl] ხელშეკრულებიან მემკვიდრე; მემკვიდრე, რომლის უფლება მემკვიდრეობაზე დაფუძნებულია მემკვიდრეობის მიმცემთან ხელშეკრულებაზე; * **by devise** [* baɪ dɪˈvaɪz] ანდერძით მემკვიდრე; * **general** [* ˈʤenrəl] კანონით მემკვიდრე *იხ.* **heir at law**; * **institute** [* ɪnstɪtjuːt] *შორტლ.* ანდერძით მემკვიდრე; * **on testacy** [* ɔn ˈteststsɪ] ანდერძით მემკვიდრე; * **presumptive** [* prɪˈzʌmptɪv] საეარაუდო

მემკვიდრე; • **testamentary** [•ˌtestəˈmentəri] პირი, რომელიც ანდერძში მემკვიდრედ არის დასახელებული; ანდერძით მემკვიდრე
• **of line** [• ɔv lain] *შოტლ.* მემკვიდრე პირდაპირი *(დალმაუალი)* ხაზით
• **of the blood** [• ɔv ðə blʌd] სისხლით *(კანონით)* მემკვიდრე
apparent • [əˈpærənt •] *იხ.* **heir apparent**
appearand • [əˈpiərənd •] *შოტლ.* პირდაპირი მემკვიდრე
beneficiary • [ˌbeniˈfiʃəri •] *იხ.* **heir beneficiary**
bodily • [ˈbɔdili •] *იხ.* **heir of the body**
conventional • [kənˈvenʃənl •] *იხ.* **heir conventional**
expectant • [ikˈspektənt •] პირი, რომელიც ელის მემკვიდრეობას
female • [ˈfi:meil •] მემკვიდრე ქალის ხაზით
forced • [fɔ:st •] მემკვიდრე, რომელსაც კანონით აქვს გარანტირებული მემკვიდრეობის წილი, პირდაპირი მემკვიდრე
indubitable • [inˈdju:bitəbl •] უეჭველი მემკვიდრე
joint •s [ʤɔint •z] თანამემკვიდრეები
last • [la:st •] უკანასკნელი მემკვიდრე *(სახელმწიფო, როგორც ბეითალმანი ქონების მემკვიდრე)*
last-resort • [la:st-riˈzɔ:t •] ბოლო რიგის მემკვიდრე
lawful • [ˈlɔ:ful •] ი. კანონიერი მემკვიდრე; 2. მემკვიდრე დალმაუალი ხაზით
legal • [ˈli:gəl •] კანონიერი მემკვიდრე
legitimate • [liˈʤitimət •] მემკვიდრე პირდაპირი დალმავალი ხაზით; 2. კანონიერი მემკვიდრე
heirdom [ˈɛəʤəm] *n.* მემკვიდრეობით მიღება; მემკვიდრეობა
heiress [ˈɛəris] *n.* მემკვიდრე *(ქალი)*
heirless [ˈɛəlɛs] *n.* უმემკვიდრო ◊ • **estate** [• iˈsteit] უპატრონო *(ბეითალმანი)* ქონება
heirloom [ˈɛəlu:m] *n.* საგვარეულო ნივთი; მემკვიდრეობითი თვისება, მემკვიდრეობა
heirlooms [ˈɛəlu:mz] *n* ი. საგვარეულო ნივთები, რომლებიც სამემკვიდრეო ქონების განუყოფელი ნაწილია *(სამემკვიდრეო ქონების განკუთვნილება)*; 2. მემკვიდრეობითი თვისება
heirship [ˈɛəʃip] *n.* მემკვიდრის სტატუსი, მემკვიდრის უფლება
held [held] *n.* "გადაწყვეტილია," "სასამართლომ გადაწყვიტა"
helpmate [ˈhelpmeit] *n.* დამხმარე, თანაშემწე, პარტნიორი *(განსაკუთრებით ოთქმის (ცოლის))*
henceforth [ˌhensˈfɔ:θ] *adv.* ამ დროიდან, ამიერიდან, ამას იქით, მომავალში
henchman [ˈhenʧmən] *n.* მომხრე, მიმდევარი, დამქაში
herbage [ˈhə:biʤ] *n.* ი. საძოვრით სარგებლობის უფლება; 2. საძოვარი
hereafter [ˌhiərˈɑ:ftə] *adv.* ამის შემდეგ, შემდგომში, მომავალში
hereby [ˌhiəˈbai] *adv.* ამით, ამასთანავე, ამგვარად
heredes recti *ლათ.* კანონიერი მემკვიდრე
hereditability [ˌhireditəˈbiləti] ი. *v.* გადაცემა მემკვიდრეობით; 2. *n.* მემკვიდრეობის უფლება
hereditably [həˈreditəbli] *adv.* მემკვიდრეობით
hereditament/s [həˈreˈditəmənt/z] *n.* უძრავი ქონება, რომელიც შეიძლება მემკვიდრეობის საგანი გახდეს
corporeal • [kɔ:ˈpɔ:riəl •] სამემკვიდრეო სანივთო უფლება მატერიალურ ობიექტზე *(უძრავ ქონებაზე)*
incorporeal • [inˈkɔ:pɔ:riəl •] სამემკვიდრეო სანივთო უფლება არამატერიალურ ობიექტზე *(უძრავ ქონებაზე, მაგ. სერვიტუტი)*
hereditary [hiˈreditəri] *adj.* სამემკვიდრეო, ტრადიციული ◊ • **portion** [• ˈpɔ:ʃən] აუცილებელი წილი *(მემკვიდრეობაში)*
hereditas *ლათ.* მემკვიდრეობა
hereditas lacens *ლათ.* "მწოლიარე" ჯერ კიდევ გადაუცემელი მემკვიდრეობა
hereditas legitima *ლათ.* კანონით მემკვიდრეობა
hereditas testamentaria *ლათ.* ანდერძით მემკვიდრეობა
heredity [həˈrediti] *n.* მემკვიდრეობა გენეტიკურად *(მემკვიდრეობითი ნიჭი, ხასიათი ან რაიმე თვისება)*
herein [ˌhiərˈin] *adv* აქ, ამ *(დოკუმენტში)*, ამასთანავე, ამასთან ერთად; ამაში

hereinabove [ˌhɪərɪnˈəbʌv] *adv* ზემოთ *(დოკუმენტებში)*

hereinafter [ˌhɪərɪnˈɑːftə] *adv.* ქვემოთ, შემდეგში, მომავალში *(დოკუმენტებში)*

hereinbefore [ˌhɪərɪnbɪˈfɔː] *adv.* ზევით *(ადრინდელ დოკუმენტებში)*

hereof [ˌhɪərˈɔv] *adv.* ამის შესახებ, აქედან

hereon [ˌhɪərˈɔn] *adv. (დოკუმენტზე)* ამაზე; ამის შემდგომ

heres *ლათ.* მემკვიდრე

heresy [ˈhɪərsi] *n.* ერესი, ცდომილება *(დანაშაულის შემადგენლობა)*, მწვალებლობა

hereto [ˈhɪəˈtuː] *adv.* ამასთან, ამ *(დოკუმენტთან)*

heretofore [ˌhɪətuːˈfɔː] *adv.* ადრე, ამ დრომდე, აქამდე, წინათ, უწინ

hereunder [ˌhɪəˈʌndə] *adv.* წინამდებარე კანონის, ხელშეკრულების ძალით წინამდებარე კანონის, შეთანხმების შესაბამისად

herewith [ˌhɪəˈwɪð] *adv.* ამასთან, ამასთანავე, ამით *(ცვლილებებთან)*

heritability [ˈherɪtəbɪlətɪ] *n.* მემკვიდრეობის უფლება

heritable [ˈherɪtəbl] I. *adj.* სამემკვიდრეო, მემკვიდრეობითი, მემკვიდრეობის; 2. *n.* პირი, რომელიც შეიძლება იყოს მემკვიდრე; მემკვიდრეობის მქონე ◊ *** securities** [* sɪˈkjuərɪtɪz] I. *ფორტ.* გირავნობის საბუთი, სიგელი; 2. პირი, რომელიც შეიძლება იყოს მამკვიდრებელი

heritables [ˈherɪtəblz] *n. ფორტ.* სამემკვიდრეო ქონება, მემკვიდრეზე გარდამავალი მიწები

heritage [ˈherɪtɪdʒ] *n.* I. მემკვიდრეობა; 2. უძრავი ქონება; 3. მემკვიდრეობის წილი; 4. ტრადიცია
common * of mankind [ˈkɔmən * ɔv mænˈkaɪnd] კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობა *(მაგ. ზღვის ფსკერი და მისი რესურსები კოსტიტუციური შეღწევის მიღმა და ა.შ.)*

heritance [ˈherɪstəns] *n. მოძ.* მემკვიდრეობა; მემკვიდრეობით მიღება

heritor [ˈherɪtə] *n მოძ.* მემკვიდრე

heritress [ˈherɪtrɪs] *n. მოძ.* მემკვიდრე *(ქალი) იხ.* **heiress**

heroin [ˈherəʊɪn] *n.* ჰეროინი, ჰეროინუმი

hership [ˈhərʃɪp] *ფორტ. n.* I. ქანალური, მძარცველური დაცემა; 2. ძალადობით გარეკილი პირუტყვი

hetacria *ლათ.* ამხანაგობა, საზოგადოება, გაერთიანება

hetaerism [ˈhetɪərɪzm] *n. წოგნ.* თანაცხოვრება ქორწინების გარეშე

hide [haɪd] *v.* დამალვა, დაფარება ◊ *** out** [* aut] დამალვა, მიმალვა *(პოლიციისგან)*

high [haɪ] *adj.* მაღალი; უმაღლესი წერტილი, მაქსიმუმი, პიკი, მაქსიმალური *(ფასი)* ◊ *** Court of Admiralty** [* kɔːt ɔv ˈædmərəlti] ადმირალიტეტის მაღალი სასამართლო *(ინგლისი 1873 წ-მდე)*, *** Court of Chancery** [* kɔːt ɔv ˈʧɑːnsərɪ] კანცლერის მაღალი სასამართლო *(ინგლისი 1873 წ-მდე)*. *** Court of Justice** [* kɔːt ɔv ˈʤʌstɪs] მართლმსაჯულების მაღალი სასამართლო *(ინგლისში, შედის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში)*. *** Courst Justiciary** [* kɔːt ɔv ˈʤʌstɪʃərɪ] სისხლის სამართლის უმაღლესი სასამართლო *(შოტლანდიაში)*. *** Court of Parliament** [* kɔːt ɔv ˈpɑːləmənt] პარლამენტის მაღალი სასამართლო *(პარლამენტი ორივე პალატის შემადგენლობით ან ლორდთა პალატა, რაც ორჯერ სასამართლო ინსტანციაა)*. *** level conference** [* ˈlevl ˈkɔnfərəns] უმაღლესი დონის კონფერენცია; *** misdeneanoar** [* ˌmɪsdɪˈmiːnɔ] სახელმწიფო მისდამინაური; *** sea** [* siː] ღია ზღვა; *** treason** [* ˈtriːzn] სახელმწიფო ღალატი, ღალატი სამშობლოს წინაშე **lifetime *** [ˌlaɪfˈtaɪm *] გარიგების დადების მაქსიმალური ფასი კონტრაქტის არსებობის განმავლობაში

higher clamber [ˈhaɪə ˈʧɪmbə] *ი.* ზედა პალატა

highest court [ˈhaɪɪst kɔːt] *n.* უმაღლესი ინსტანციის სასამართლო

highest degree of care [ˈhaɪɪst dɪˈgriː ɔv keə] *n.* სიფრთხილის უმაღლესი ზომა

highjack [ˈhaɪʤæk] *იხ.* **hijack**

highjacker [ˈhaɪʤækə] *იხ.* **hijacker**

highlight [ˈhaɪlaɪt] *n.* გაშუქება
***s of the case** [*z ɔv ðe keɪs] საქმის არსებითი გარემოებები და ფაქტები

highness [ˈhaɪnəs] *n.* უდიდებულესობა

(ქოლგული)

highway [ˈhaiwei] *n.* 1. საზოგადოებრივი გზა **(public highway)**; მთავარი გზა; 2. მგზავრობისა და გაცლის უფლება ◊ *** robber** [* ˈrɔbə] ყაჩაღი დიდი გზიდან, შარაგზის ყაჩაღი, *იხ.* **knight of the road**; *** tax** [* tæks] საგზაო გადასახადი *(საზოგადოებრივი გზის მშენებლობისა, შენახვის და ა.შ.)*

highwayman (men) [ˈhaiweimæn (men)] *n.* ყაჩაღი *(შარა გზიდან)*

hijack [ˈhaidʒæk] *v. ამერ. ჯარგ.* გატაცება *(ტყმის, თვითმფრინავის)*

hijacker [ˈhaidʒækə] *n. ამერ. ჯარგ.* 1. *(საჰაერო)* ავტომანქანების შეიარაღებული მძარცველი; 2. თვითმფრინავების გამტაცებელი, საჰაერო მეკობრე

hijacking [ˈhaidʒækiŋ] *v. ამერ. ჯარგ.* 1. *(საჰაერო)* ავტომანქანის შეიარაღებული გაძარცვა; 2. გემის, თვითმფრინავის ხელში ჩაგდება; გემის, თვითმფრინავის გატაცება

Hilary [ˈhilәri] *n.* უმაღლესი სასამართლოს საზამთრო-საგაზაფხულო სასამართლო სესია

hilt [hilt] *n.* სახელური ◊ **to prove a charge up to the *** [tu pru:v ə ʧɑ:ʤ ʌp tu ðə *] ბრალდების სრულად დამტკიცება

hinc inde *ლათ.* ორიეე მხრიდან, ორმხრივი

hire [ˈhaiə] 1. *v.* დაქირავება *(ცოცხალი ძალის ან მოძრავი ქონების)*; 2. გაქირავება *(ქირით აღება)*; 3. *n.* გაქირავების საფასური ◊ **to let on *** [tu let ɔn *] გაქირავება; **to * out** [tu * aut] ქირით მიცემა; **to take on *** [tu teik ɔn *] დაქირავება

hire-purchase [ˌhaiəˈpɜ:ʧəs] *v.* ყიდვა-გაყიდვა განვადებით, ნისიად შეძენა

hirer [ˈhaiərə] *n* 1. დამქირავებელი 2. პირი, რომელიც ქირაობს ნიეთს, ქირით ამღები

hiring [ˈhaiəriŋ] *v.* 1. დაქირავება *(მაგ. მუშის)*; 2. შეთანხმება მოძრავი ქონების დაქირავებაზე ◊ *** at will** [* ɔt wi:l] უვადო დაქირავება; *** hall** [* hɔ:l] შრომის არაოფიციალური ბირეა

historical cost [hisˈtɔrikəl kɔst] *n.* საწყისი ღირებულება

history [ˈhistri] *n* 1. ისტორია, წარსული, ფაქტების ერთობლიობა, ეტიმოლოგია; 2. დოსიე

*** of criminality** [* ɔv ˈkriminɔləti] დანაშაულებრივი კარიერა, დანაშაულებრივი საქმიანობის *(სტაჟი)* ისტორია, დამნაშაეის დოსიე

*** of delinquercy** [* ɔv diˈliŋkwənsi] დელინკვენტურობის დოსიე *(არასრულწლოვანის)*

case * [keis *] საქმის დოსიე

criminal * [ˈkriminəl *] *იხ.* **history of criminality**

employment * [imˈplɔimənt *] შრომის წიგნაკი, შრომის სტაჟი

file * [fail *] განაცხადის "ისტორია", განაცხადის დოსიე, საქმის წარმოების მასალები საპატენტო განაცხადის მიხედვით

legal * [ˈli:gəl *] სამართლის ისტორია, სამართლის, კანონმდებლობის ეეოლუცია

legislative * [ˈleʤislətiv *] კანონის მიღების ისტორია, კანონმდებლობის ეეოლუცია, ისტორია

legislative * of the question [ˈleʤislətiv * ɔv ðə ˈkwesʧən] ერთი რომელიმე საკითხის გადაწყეეტის ეტიმოლოგია კანონმდებლობაში

life * [laif *] ბიოგრაფია

parliamentary * [ˌpɑ:ləˈmɔntəri *] 1. პარლამენტის ისტორია; 2. პარლამენტის დებატების ანგარიშის კრებული

procedural * [prəˈsi:ʤərl *] პროცესის ისტორია *(როგორც სემდგომი ინსტანციის გადაწყეტილების ნაწილი)*

hit [hit] *v.* დარტყმის მიყენება, დაზიანება, ლოკვიდირება, მოკლეა ◊ *** off** [* ɔf] კვალის აღება *(გამოდევნება)*

hitman [ˈhitmæn] *n. ჯარგ.* მკვლელი, დაქირავებული მკვლელი, ქილერი

hitherto [ˌhiðəˈtu:] *adv.* ადრე, გარკეეულ დრომდე, აქამდე

hoard [hɔ:d] 1. *v.* საიდუმლოდ შენახვა; გადამალვა; 2. *n.* მარაგი; დაგროვება *(ფულის ტესაერირება)*

hoarding [ˈhɔ:diŋ] *v. n.* 1. დაგროვება; ტესაერაცია; 2. *n.* საიდუმლო მარაგი, განძი; 3. სარეკლამო განცხადების გაკერა დაფაზე ◊ **the *s of lifetime** [ðə

*z ɔv laiftaim) ცხოვრების დანაზოგი

hoax [həuks] I. *n.* სიცრუე, მოტყუება, ცრუ ხმები, ჭორი; 2. *v.* გაბრიყვება

hoc quidem perquam durum est, sed ita lex scripta est *ლათ.* ეს დიახაც ძალიან მკაცრია, მაგრამ კანონში ასე წერია

hocus [ˈhəukəs] 1. *n.* სპირტიანი სასმელი ნარკოტიკული მინარევით; გაბრუება *(ნარკოტიკებით)*; 2. *v. მოძ.* მოტყუება, ნაწყობა

hold [həuld] *v.* 1. ფლობა, მფლობელობა, შენახვა; 2. დაკავება, შეკავება; 3. აღიარება, გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების გამოტანა *(სასამართლოს შესახებ)*; 4. დავალდებულება; 5. ჩატარება *(კრების, კონფერენციის, არჩევნების)*; 6. დაკავება *(თანამდებობის)*; 7. ძალის ქონა; 8. *n. სალ.* ციხე, პატიმრობის აღგილი; 9. *სალ.* დაკავება, დაპატიმრება; (ციხეში მოთავსება ◊ **• back** [• bæk] თავის არიდება; გაჭიანურება *(საქმის)*; თავის შეკავება; დაბრკოლება, ხელის შეშლა; **• up** [• ʌp] გაჩერება *(შეკერვა)*, გაქურდვის, ძარცვის მიზნით; **to • a brief for someone** [tu • ə bri:f fɔ: ˈsʌmwʌn] სასამართლოში მხარედ გამოსვლა, ყოფნა; **to • absolutely** [tu • ˈæbsəlu:tli] აბსოლუტური ფლობა; **to • a charge** [tu • ə ʧɑ:ʤ] ბრალისთვის მხარის დაჭერა; **to • a conference** [tu • ə ˈkɔnfərəns] კონფერენციის ჩატარება; **to • a court** [tu • ə kɔ:t] სასამართლოს ჩატარება, გასამართლება; **to • a jundg(e)ment** [tu • ə ˈʤʌʤmənt] სასამართლო განაჩენის გამოტანა; **to • a judcial decision** [tu • ʤu:ˈdiʃəl diˈsiʒən] სასამართლო განაჩენის, განჩინების გამოტანა; **to • a judicial sale** [tu • ə ʤu:ˈdiʃəl seil] სასამართლოს გადაწყვეტილებით *(ქონების)* გაყიდვა; **to • an election** [tu • æn iˈlekʃən] არჩევნების ჩატარება; **to • an action** [tu • æn ˈækʃən] სასამართლოს სარჩელის მხარდაჭერა; **to • a patent** [tu • ə ˈpeitənt] პატენტის ფლობა; პატენტის ძალაში დატოვება; **to • a reception** [tu • ə riˈspeʃən] მიღების მოწყობა; **to • for court** [tu • fɔ: kɔ:t] სასამართლოზე გადაცემა; **to • good** [tu • gud] ძალაში ყოფნა; მოქმედება; **to • good in law** [tu • gud in lɔ:] კანონიერი ძალის ქონა, იურიდიულად უსრულყოფილი; **to • hearing** [tu • ˈhiəriŋ] მოსმენის ჩატარება; **to • in abeyance** [tu • in əˈbeiəns] განკიდების არშეტანა *(რაიმე უფლებაზე ან მოთხოვნაზე)*; **to • incommunicado** [tu • inˈkɔmjunikɑ:dəu] *ამერ.* ბრალდებულის ან ეჭვმიტანილის პატიმრობაში ყოლა ახლობლებთან ან დამცველთან მიმოწერისა და ურთიერთობის უფლების გარეშე; **to • in detention** [tu • in diˈtenʃən] პირის პატიმრობაში ყოფნა; **to • in trust** [tu • in trʌst] საკუთრების ფლობა მინდობილობით; **to • office** [tu • ˈɔfis] თანამდებობის დაკავება, თანამდებობაზე ყოფნა; **to • office during good behaviour** [tu • ˈɔfis ˈdjuəriŋ gud biˈheivjə] სიკეთის ბოლომდე თანამდებობის დაკავება; **to • office during pleasure** [tu • ˈɔfis ˈdjuəriŋ ˈpleʒə] თანამდებობაზე ყოფნა იმ დროით, რა დროსთაც მას განსაზღვრავს დამნიშვნელი პირი; **to • pleas** [tu • ˈpli:z] საქმის განხილვა, საქმის მოსმენა; საქმის გარჩევა; **to • prisoner** [tu • ˈprizənə] პატიმრის დაკავება, შენახვა და ა.შ; **to • shares in a company** [tu • ʃeəz in ə ˈkʌmpəni] აქციის მფლობელი, აქციონერი რომელიმე კომპანიისა; **to • smb. to ransom** [tu • ˈsʌmbɔdi tu ˈrænsəm] გამოსასყიდის მოთხოვნა ვინმეზე *(გატაცებულ პირზე)*; **to • the assizes** [tu • ðe əˈsaiziz] ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გასვლითი სესიის ჩატარება; **to • to bail** [tu • tu beil] განთავისუფლება *(პატიმრობიდან)* გირაოს ან თავდებობის ქვეშ; **to • to security** [tu • tu siˈkjuəriti] გარანტირება, უსრულყოფა; **to • to the contrary** [tu • tu ðe ˈkɔntrəri] საწინააღმდეგოს აღიარება; **to • trial** [tu • ˈtraiəl] სასამართლო პროცესის წარმართვა; **to • up delivery** [tu • ʌp diˈlivəri] *(საქონლის)* მიწოდების შეჩერება; **to • up legislation** [tu • ʌp ˌleʤisˈleiʃən] საკანონმდებლო პროცესის შეჩერება, კანონის მიღებაში ხელშეშლა

holder [ˈhəuldə] *n.* 1. მფლობელი; 2. მოიჯარე; 3. წარმდგენი *(მაგ. ნგრის)* ◊ **• for value** [• fɔ: ˈvælju:] კანონიერი მფლობელი; **• in due course** [• in dju: kɔ:s] კანონიერი მფლობელი, კანონიერი სამართალმემკვიდრე

• of estate [• ɔv ɪ'steɪt] უძრავი ქონების მფლობელი
• of patent [• ɔv 'peɪtənt] პატენტის მფლობელი
• of pension [• ɔv 'penʃɔn] პენსიონერი
• of pledge [• ɔv 'pledʒ] მოგირავნე, გირაოს მიმღები
• of right [• ɔv raɪt] ს. სამართლის სუბიექტი; 2. უფლებამოსილი პირი
account • [ə'kaunt •] ანგარიშის მფლობელი
advance • [əd'vɑ:ns •] ავანსის მფლობელი, ანგარიშვალდებული პირი
allotment • [ə'lɔtmənt •] მოიჯარე
bona fide • *ლათ.* კეთილსინდისიერი შემძენველი, კეთილსინდისიერი მფლობელი.
copyright • ['kɔpyraɪt •] საავტორო, საგამომცემლო უფლების მქონე
debenture [dɪ'bentʃə •] ობლიგაციების მფლობელი, ობლიგაციონერი; ვალის ვალდებულების მფლობელი
deck • [dek •] დეკპოლელური *(ბორტზე მომსახურე პირი)*
legal • ['li:gəl •] კანონიერი მფლობელი, კანონიერი მეპატრონე
office • ['ɔfɪs •] პირი, რომელსაც თანამდებობა უკავია; თანამდებობის პირი
patent • ['peɪtənt •] *იხ.* **holder of patent**
police • [pə'li:s •] პოლიხის მფლობელი, დაზღვეული პირი
record • ['rekɔ:d •] ფორმალური მფლობელი, მეპატრონე
ship • [ʃɪp •] გემის მეპატრონე
title • ['taɪtl •] სამართლებრივი ტიტულის მფლობელი
holding ['həuldɪŋ] ს. ფლობა, პატრონობა; *n.* 2. იჯარით აღებული ქონება; 3. სასამართლო გადაწყვეტილება; 4. აქციები, ანაბარი; 5. მარაგი; 6. მესაკახი აღგილი; 7. აქციების პაკეტი; 8. კორპორაცია, კომპანია ან საოჯახო-კოლონიკური ორგანიზაცია ◊ **• company** [• 'kʌmpəni] ჰოლდინგკომპანია, სხვა კომპანიის აქციების მფლობელი; მშობელი კომპანია, რომელიც ფლობს მისი სუბსიდირებით შექმნილი კომპანიის *(ან ფილიალების)* საკონტროლო პაკეტის ნახევარზე მეტს და აკონტროლებს დირექტორთა საბჭოს
agricultural • [ˌægrɪ'kʌlʧərəl •] მიწის ნაკვეთი, რომელიც მეშაველება მოგების მიღების მიზნით
court • [kɔ:t •] სასამართლოს გადაწყვეტილება
pastoral • ['pɑ:stərəl •] საძოვარი მიწის ნაკვეთი
property •s ['prɔpətɪ •z] საკუთრების საგნები, რომლებიც შედის ქონებრივ საკუთრებაში
inventory • [ɪn'ventərɪ •] სასაქონლო-მატერიალური მარაგები; 2. *pl.* სასაქონლო-მატერიალური მარაგები
holdover [ˌhəuld'əuvə] *ამერ.* ს. *n.* წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელება
hold-up ['həuld-ʌp] *v. ჯარგ.* ს. თავდასხმა, შეიარაღებული ყაჩაღობა თაფდასხმის განხორციელება, შეიარაღებული ყაჩაღობა, დაყაჩაღება; 2. გამოძალვა
abortive • [ə'bɔ:tɪv •] შეიარაღებულ მძარცველობაზე თავდასხმა
petty • ['petɪ •] შეიარაღებული თავდასხმა ნაძარცვის უმნიშვნელო თანხით
hold-up man ['həuld-ʌp mæn] *n.* თავდამსხმელი, შეიარაღებული მძარცველი
hole [həul] ს. *n.* ვიხის კამერა, კარცერი; 2. *v. მოძვ.* ვიხეში მოთავსება
hole-and-corner [həul-ənd-'kɔnə] *n. სალ.* საიდუმლო ◊ **• deal** [• 'di:l] გარიგება კულისებს მიღმა, კულუარული გარიგება; **• dealing** [• 'di:lɪŋ] ბნელი, საიდუმლო საქმეები
hole in law [həul ɪn lɔ:] *n.* ხარვეზი *("ხვრელი")* კანონში *(კანონმდებლობაში) იხ.* **gap in law**
hole up [həul ʌp] *v. ჯარგ.* პოლიციისგან დამალვა
holiday ['hɔlədeɪ] *n.* ს. არასამუშაო დღე; დღესასწაული; 2. *pl.* არდადეგები; შვებულება
•s with pay [•z wɪð peɪ] ანაზღაურებადი შვებულება
legal/bank • ['li:gəl/bæŋk •] ოფიციალურად, კანონით გათვალისწინებული არასამუშაო დღე
holocaust ['hɔləkɔ:st] ს. *v. ისტ.* ოვითდაწვა, მოსპობა, განადგურება; 2. *n.* სასაკლაო, ჟლეტა; 3. *v.* მსხვერპლის სრული განადგურება ცეცხლით
holograph ['hɔləgrɑ:f] *n.* პოლოგრაფი,

საკუთარი ხელით დაწერილი ღრკვე მენტი

Holy friar [həuli ˈfraiə] *კოლ. ინგლ.* იგივეა, რაც **lair** [leə] მატყუარა, თაღლითი, აფერისტი

homage [ˈhɔmidʒ] 1. *v.* ფეოდალსთვის ერთგულების ფიცის მიცემა; ფეოდალური ფიცის დადება; *n.* 2. ფეოდალური ხარკი, გადასახადი; 3. არენდატორები; 5. პატივისცემა, რიდი

homager [ˈhɔmidʒə] *n. ისტ.* 1. ვასალი, ქვეშევრდომი 2. მოიჯარე

home [həum] *adj.* 1. საშამულო; 2. საშინაო; 3. შიდა *(მაგ. ბაზარი)*, 4. *n.* სახლი, ოჯახი; საცხოვრებელი ◊ *** leave privilege** [* li:v ˈprivəlidʒ] *ინგლ.* "სახლში გაშვება" პატიმრების; *** rule** [* ru:l] *ინგლ.* თვითმმართველობა; *** Secretary** [* siˈkju:əriti] მინისტრი *(დიდ ბრიტანეთში)*, რომელიც სათავეში უდგას "შიგა ოფის"-ს *იხ.* **the Home Office; * trade** [* treid] შიდა ვაჭრობა; **the * Office** [ðə * ˈɔfis] მთავრობის დეპარტამენტი *("შიგა ოფისი")*, რომლის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება ქვეყნის საშინაო კანონისა და წესრიგის დაცვა, იმიგრაცია და ა.შ. *(დიდ ბრიტანეთში)*. იგივეა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრო

broken * [ˈbrəukn *] დანგრეული ოჯახი

detention *[diˈtenʃən *] საპატიმრო სახლი, საპყრობილე

foster * [ˈfɔstə *] თავშესაფარი: უპატრონოთა სახლი *("პრიუტი")*

juvenile * [ˈdʒu:vinail *] გამასწორებელი სახლი არასრულწლოვანი დელინკვენტებისა

legal * [ˈli:gəl *] იურიდიული აღგილსამყოფელი, საცხოვრებელი აღგილი

matrimonial * [ˌmætriˈməuniəl *] მშობლიური სახლი, ოჯახი

mental * [ˈmentəl *] ფსიქიატრიული საავადმყოფო

receiving * [riˈsi:viŋ *] *ამერ.* თავშესაფარი, უპატრონო ბავშვთა სახლი *(არასრულწლოვანი დელინკვენტებისთვის)*

remand * [riˈmɑ:nd *] წინასწარი პატიმრობის სახლი

homestead [ˈhəumsted] *n.* 1. კარ-მიდამო, სახლ-კარი, საოჯახო ქონება; 2. *ამერ.* დასახლების უბანი

homicida *ლათ.* კაცის მკვლელი **(homo, caedo)**

homicidal [ˌhɔmiˈsaidl] *adj.* სახიკვდილო, მომაკვდინებელი

homicide [ˌhɔmiˈsaid] *n.* განზრახმკვლელობა *იხ.* **killing** ◊ *** by misadventure** [* bai ˌmisədˈventʃə] უბედური შემთხვევით გამოწვეული ადამიანის სიცოცხლის მოსპობა; *** by necessity** [* bai niˈsesiti] აუცილებლობით გამოწვეული მკვლელობა *(მაგ. მკვლელობა დამნაშავის შესაპყრობად)*; *** with malice** [* wið ˈmælis] მკვლელობა ბოროტი განზრახვით

calculated * [ˈkælkjuleitid *] წინასწარგანზრახული მკვლელობა

criminal * [ˈkriminəl *] მკვლელობა

culpable * [ˈkʌlpəbl *] ბოროტი *(დანაშაულებრივი)* მკვლელობა

lawful * [ˈlɔ:ful *] ადამიანის სიცოცხლის მართლზომიერი ხელყოფა. *(მაგ. განზრახ მკვლელობა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში)*

robbery-related * [ˈrɔbəri-riˈleitid *] ყაჩაღობისასთან დაკავშირებული განზრახ მკვლელობა

wilful * [ˈwilful *] განზრახ მკვლელობა

homicidium *ლათ.* მკვლელობა

hominum causa jus constitum est *ლათ.* სამართალი კაცობრიობის სასიკეთოდაა დადგენილი

homo *ლათ.* ადამიანი

homo legalis *ლათ.* იურიდიული პირი

homologate [həˈmɔlədʒeit] *v.* მოწონება, დადასტურება, სანქციონირება

homologation [ˌhɔməˈlɔgeiʃən] *n.* მოწონება, დადასტურება, სანქციონირება

homosexualism [ˈhɔməsekʃuəlizm] *იხ.* **homosexuality**

homosexuality [hɔməsekʃuəˈləti] *n.* ჰომოსექსუალიზმი

forced * [ˈfɔ:st *] ჰომოსექსუალიზმი, დაკავშირებული ძალადობასთან

honest [ˈɔnist] *adj.* პატიოსანი, მართალი ◊ **an * judge** [æn * ʤʌdʒ] მოუსყიდველი მოსამართლე

twelve * men [twelv * mæn] ნაფიცი მსაჯულები

honesty [ˈɔnisti] *n.* პატიოსნება, სიმართლე

honorable discharge [ˈɔnərəbl dɪsˈʧɑːʤ] *n.* საპატიო დათხოვნა სამსახურიდან *(სამხედრო პირისა)*

honorarium *ლათ.* ჰონორარი

honorary [ˈɔnərəri] I. *n.* ანაზღაურება, გასამრჯელო, ჰონორარი; 2. *adj.* საპატიო, პატივსაცემი ◊ *** debt** [***** det] საპატიო ვალი *(მაგ. ქეიფის წინააღმდ.)*; *** feud** [***** fjuːd] ტიტული. რომელიც მემკვიდრეობით გადადის უფროს ვაჟზე

honorarius [ˌɔnɔˈrʊərɪəs] *adj.* საპატიო

honoris causa *ლათ.* პატივისცემის ნიშნად

hono(u)r [ˈɔnə] *n.* I. ღირსება; მოსამართლისადმი მიმართვა **Your Honour** თქვენო ღირსებავ, მოწყალებავ; 2. პატივი; 3. *pl.* საპატიო წოდება; 4. *pl.* პირადი ღირსების ნიშნები; პატივი; წარჩინება; *v.* 5. პატივისცემა, ღაცვა *(უფლების, მოვალეობის და ა.შ.)*; 6. აქცეპტირება *(ტრატის)*; ანაზღაურება *(ჩეკის)*; 7. უზრუნველყოფა *(ბანკნოტის)*

hereditary ***** [hɔˈredɪtərɪ *****] მემკვიდრეობით გადასული პირადი ღირსების ნიშნები

life *s [laɪf *****z] საპატიო წოდება *(რომელიც მემკვიდრეობით არ გადადის)*

pay * [peɪ *****] პატივის მიგება

hono(u)rable [ˈɔnərəbl *****] *adj.* I. საპატიო; 2. პატიოსანი; 3. საპატიო, ღირსეული

hooch [huːʧ] *n. ამერ. ჯარგ.* სპირტიანი სასმელი *(უკანონო გზით მოპოვებული, დამზადებული)*

hook [huk] *n. ჯარგ.* I. ქურდი, თაღლითი; 2. ქურდობა, ჰარვა, თაღლითობა

hooligan [ˈhuːlɪgən] *n.* ხულიგანი ◊ *** gangs** [***** gæŋz] ხულიგნების ბანდები; *** outrages** [***** autˈreɪʤɪz] ხულიგნური უხამსობა

hooliganism [ˈhuːlɪgənɪzm] *n.* ხულიგნობა

hoosegow [ˈhʊːzgəʊ] *n. ამერ. ჯარგ.* ციხე

hophead [ˈhɔphed] *n. ჯარგ.* ნარკომანი

horde [hɔːd] *n.* ბრბო, ბანდა

horizontal [ˌhɔrɪˈzɔntl] *adj.* ჰორიზონტალური *(ორგანიზაციის სტრუქტურაში)*

horizontal restraints of trade [ˌhɔrɪˈzɔntl ˈrɪstreɪnt ɔv treɪd] სავაჭრო შეზღუდვები, რომლებიც ერცელდება ერთი დონის კომპანიებზე

horn [hɔːn] *v. შოტლ. ისტ.* კანონგარეშე გამოცხადება ◊ **to put to the *** [tu put tu ðə *****] კანონგარეშე გამოცხადება

hornwoggle [ˈhɔːnwɔgl] *v. ამერ. ჯარგ.* მოტყუება, გაცურება

horse-stealer [hɔːsˈstiːlə] *n.* ცხენის ქურდი

horse-stealing [hɔːsˈstiːlɪŋ] *n.* ცხენის ქურდობა

horseway [ˈhɔːsweɪ] *n.* I. გზა *(ცხენით გასაელელი)*; 2. გასვლის უფლება *(ცხენით)*

hortamen *ლათ.* წაქეზება; წამქეზებელი საშუალება

hortator *ლათ.* წამქეზებელი, წამხალისებელი

hospitalization [ˌhɔspɪtəlaɪzeɪʃən] *n.* ჰოსპიტალიზაცია

compulsory (involuntary) * [kəmˈpʌlsərɪ (ɪnˈvɔlənt(ə)rɪ) *****] იძულებითი ჰოსპიტალიზაცია

voluntary * [ˈvɔlənt(ə)rɪ *****] ნებაყოფლობითი ჰოსპიტალიზაცია

hostage [ˈhɔstɪʤ] *n.* ტყვე, მძევალი.

hosticus *ლათ.* I. უცხოური, 2. მტრული

hostile [ˈhɔstaɪl] *n* მტერი; *adj.* მტრული *(მათ შორის მოქმედებს)*. მოწინააღმდეგე *(მხარე სასამართლოში)* ◊ *** fire** [***** faɪə] გავრცელებული ხანძარი

hostility [hɔsˈtɪlətɪ] *n.* I. მტრობა, მტრული ურთიერთობა; 2. საომარი მდგომარეობა; ომის აქტი; 3. არაკეთილგანწყობილი *(ეჭვისური)* ხასიათი; 5. მტრული განწყობა; 6. *pl.* საომარი მოქმედება

hostis *ლათ.* მტერი, უცხოელი

hot [hɔt] *adj.* I. ცხელი; 2. *ჯარგ. (ახლახან)* მოპარული, უკანონოდ შეძენილი, კონტრაბანდული; 3. *n.* პოლიციის მიერ *(გაძლიერებულად მაგ. ტერორისტზე)* ძებნილი; მარიალმსაჯულებისგან მიმალული ◊ *** blood** [***** blʌd] აფექტი; *** card** [***** kɑːd] *ჯარგ.* მოპარული ან გაყალბებული საკრედიტო ბარათი; *** check** [***** ʧek] *ჯარგ.* ყალბი ჩეკი; *** money** [***** ˈmʌnɪ] კონტრაბანდული, არალეგალური კაპიტალი, ფული; *** pursuit**

[ˈ pɔˈsjuːt] დეენა ცხელ კვალზე
hound [haund] *ν.* 1. დეენა, დადევნება; 2. წაქეზება, შეგულიანება ◊ ˈ **down** [ˈ daun] მოძებნა და დაჭერა
hour [ˈauɔ] *n.* 1. საათი, დრო, პერიოდი; 2. *pl.* სამუშაო დრო, სამუშაო საათი, სამუშაო დღე
ˈ **of cause** [ˈ ɔv kɔːz] *შოტლ.* სასამართლო სხდომის დრო
ˈ **s of attendance** [ˈz ɔv ˈɔtendɔns] დასწრების საათები
ˈ **s of labor** [ˈz ɔv ˈleibɔ] სამუშაო დრო
ˈ **s of service** [ˈz ɔv sɜːvis] *იხ.* **office hours**
business ˈ [ˈbiznɔs ˈ] 1. საწარმოს მუშის საათები; 2. ვაჭრობის საათები, სამუშაო საათები
maximum ˈ **s** [ˈmæksiməm ˈz] სამუშაო დროის მაქსიმალური *(დასაშვები)* ზღვარი
minimum ˈ **s** [ˈminiməm ˈz] სამუშაო დროის მინიმალური *(დასაშვები)* ზღვარი
office ˈ **s** [ˈɔfis ˈz] სამსახურებრივი საქმიანობის საათები, სამუშაო საათები; მიღების საათები
prohibited ˈ **s** [prəˈhibitid ˈz] აკრძალული დრო
question ˈ [ˈkwesʧən ˈ] "კითხვების დრო" *(დრო, რომელიც პარლამენტში გამოყოფილია მთავრობის წევრებისთვის შეკითხვების დასასმელად)*
working ˈ **s** [ˈwɔːkiŋ ˈz] სამუშაო საათები
house [haus] *n.* 1. საცხოვრებელი სახლი; 2. საკანონმდებლო კრება; 3. პალატა *(საკანონმდებლო ორგანოსი)*; *ინგლ.* თემთა პალატა; *ამერ.* წარმომადგენელთა პალატა; 4. საკანონმდებლო ორგანოს ქვორუმი; 5. საეკლესიო ფირმა, საეკლესიო სახლი; 6. ბირჟა; 7. დინასტია, სახლი, სახახლე *(სამეფო)* *იხ.* **home** ◊ ˈ **acceptance** [ˈ əkˈsceptɔns] *ამერ.* სააქცეპტო კონტორა; აქცეპტური ბანკი; ˈ **Brigade** [ˈ briˈgeid] სასახლის დაცვა; ˈ **committee** [ˈ kɔˈmiti] წარმომადგენელთა პალატის კომიტეტი *(აშშ-ში)*; ˈ **paupers** [ˈ ˈpɔːpɔs] ღატაკთა თავშესაფარი *(მზრუნველობის სახლი)*
ˈ **of Assembly** [ˈ ɔv əˈsɔmbli] საკანონმდებლო კრება
ˈ **of Bishops** [ˈ ɔv ˈbiʃɔpz] ეპისკოპოსთა პალატა *(ანგლიკანური ეკლესიის ნაციონალური ტაძრის სამი პალატიდან ერთ-ერთი)*
ˈ **of Clergy** [ˈ ɔv ˈklɜːʤi] სასულიერო პალატა (ერთი სამთაგანი ანგლიკანური ეკლესიის ეროვნული კრების პალატებიდან)
ˈ **of Commons** [ˈ ɔv ˈkɔmɔns] თემთა პალატა
ˈ **of correction** [ˈ ɔv ˈkɔrekʃɔn] გამოსასწორებელი სახლი, დაწესებულება
ˈ **of Delegates** [ˈ ɔv ˈdeligɔts] დელეგატთა პალატა *(აშშ-ის ზოგიერთ შტატში საკანონმდებლო კრების ქვედა პალატა)*
ˈ **of detention** [ˈ ɔv diˈtenʃɔn] წინასწარი პატიმრობის აღგილი, საპატიმრო
ˈ **of ill frame** [ˈ ɔv il freim] სახლი, რომელსაც ცუდი რეპუტაცია აქვს; ბუნაგი *(გარყვნილების)*
ˈ **of Keys** [ˈ ɔv kiːz] კომონერების პალატა *(კუნძულ მენზე პარლამენტის ქვედა პალატა)*
ˈ **of Laity** [ˈ ɔv ˈleiti] ერისკაცების პალატა *(ერთ სამთაგანი ანგლიკანურის ეკლესიის ეროვნული კრების პალატებიდან)*
ˈ **of Lords** [ˈ ɔv ˈlɔːdz] ლორდთა პალატა
ˈ **of prostitution** [ˈ ɔv ˌprɔstiˈtjuːʃɔn] მეძავთა ბუნაგი *(საროსკოპო)*
ˈ **of refuge** [ˈ ɔv ˈrefjuːʤ] 1. თავშესაფარი; 2. ციხე არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის; 3. გამოსასწორებელი სახლი
ˈ **of Representatives** [ˈ ɔv ˌrepriˈzentɔtivz] წარმომადგენელთა პალატა
ˈ **of mercy** [ˈ ɔv ˈmɜːsi] თავშესაფარი *(მზრუნველობის სახლი მაგ. მოხუცთა თავშესაფარი)*; "პრიუტი"
ˈ **of worship** [ˈ ɔv ˈwɜːʃip] სამლოცველო სახლი
accomodation ˈ [əˌkɔməˈdeiʃɔn ˈ] ბორდელი, საღარო სახლი, საროსკოპო
apartment ˈ [əˈpɑːtmənt ˈ] მრავალბინიანი სახლი
assignation ˈ [ˌæsigˈneiʃɔn ˈ] შეხვედრების სახლი, საროსკოპო, ბორდელი, ბუნაგი
automated clearing ˈ [ˈɔːtɔmeitid ˈkliəriŋ ˈ] ავტომატური საანგარიშსწორებო პა-

ლატა
bawdy * [ˈbɔ:di *] სარისკაპო
bettering * [ˈbetəriŋ *] გამოსასწორებელი სახლი
betting * [ˈbetiŋ *] სახლი *(ბუნაგი)* ნაძლევის დადებისთვის
borstal * [ˈbɔ:stl *] *ინგლ.* ბორსტალის სახლი, ბორსტალის დაწესებულება, ბორსტალი *(გამოსასწორებელი დაწესებულება ახალგაზრდა დამნაშავეთათვის)*
brokerage * [ˈbrəukəriʤ *] საბროკერო ფირმა
cell * [sel *] *სალ.* ციხე
clearing* [ˈkliəriŋ *] საანგარიშსწორებო სახლი
commission * [kəˈmiʃən *] *ამერ.* ბირჟის საბროკერო ფირმა
common bawdy * [ˈkɔmən ˈbɔ:di *] ყველასთვის ხელმისაწვდომი სარისკაპო სახლი
common betting * [ˈkɔmən ˈbetiŋ *] ყველასთვის ხელმისაწვდომი სახლი *(ბუნაგი)* ნაძლევის დასადებად
common gaming * [ˈkɔmən ˈgeimiŋ *] ყველასთვის ხელმისაწვდომი სათამაშო სახლი *(აზარტული თამაშების)*
court * [kɔ:t *] სასამართლო
discount * [ˈdiskaunt *] I. *ინგლ.* საალრიცხვო სახლი; თამასუქების კანტორა; 2. საცალო მაღაზია, რომელიც ვაჭრობს შემცირებული, დაბალი ფასებით
disorderly * [disˈɔ:dəli *] ბუნაგი, სარისკაპო, ბორდელი
financial * [ˈfainænʃəl *] I. *ინგლ.* საფინანსო კომპანია; 2. კომპანია, რომელიც აწარმოებს განვადების დაფინანსებას
full * [ful *] საკანონმდებლო ორგანოს პალატა მოლიანი შემადგენლობით, პლენარულ სხდომაზე
Inner * [ˈinə *] შიდა პალატა *(შოტლანდიის სასესიო სასამართლოს მეორე ინსტანცია)*
issuing * [ˈisjuiŋ *] *ინგლ.* საემისიო სახლი *(დაწესებულება)*
gambling * [ˈgæmbliŋ *] სახლი აზარტული თამაშებისთვის, სათამაშო ბუნაგი
gaming * [ˈgeimiŋ *] სათამაშო სახლი, კაზინო
junior * [ˈʤu:niə *] საპატიმრო არასრულწლოვანთათვის
lower * [ˈləuə *] ქვედა პალატა
make * [meik *] ქეორქმის უსრუნველყოფა *(თემთა პალატაში)*
Outer * [ˈautə *] გარე პალატა *(შოტლანდიის სასესიო სასამართლოს პირველი ინსტანცია)*
penal detention * [ˈpi:nəl diˈtenʃən *] წინასწარი პატიმრობის სახლი *იხ.* **house of detention**
precinct * [ˈpri:siŋkt *] *ამერ.* საპოლიციო უბანი
public * [ˈpʌblik *] *ინგლ.* ხალხის თავშეყრის ადგილი; ბარი
receiving * [riˈsi:viŋ *] სახლი, ადგილი, სადაც იღებენ, იბარებენ ნაქურდალს
Second * **of Parliament** [ˈsekənd * əv ˈpɑ:ləmənt] "მეორე პალატა" პარლამენტისა, ლორდთა პალატა
securities * [siˈkjuəritiz *] ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრე ფირმა
State * [steit *] შტატის საკანონმდებლო ორგანოს *(ლეგისლატურა)* წარმომადგენელთა პალატა
upper * [ˈʌpə *] ზედა პალატა
wholesale * [ˈhəulseil *] საბითუმო ფირმა

house-agent [ˈhauz ˈeiʤənt] *n.* სახლების გაყიდვა-გაქირავების აგენტი
houseboate [ˈhausbəut] *n.* ტყის სერვიტუტი
housebreaker [ˈhausbreikə] *n.* "სახლის გამტეხი" მძარცველი, ქურდი *იხ.* **housebreaking**
housebreaking [ˈhausbreikiŋ] *v.* "სახლის გატეხვა" გაქურდვა შენობაში შეღწევით
housecarl [ˈhauskɑ:l] *n. ისტ.* მეფის პირადი მცველი
household [ˈhaushəuld] *n.* I. ოჯახი; 2. შიდა მეურნეობა
householder [ˈhaushəuldə] *n.* I. სახლის მეპატრონე; 2. ბინის დამქირავებელი; 3. ოჯახის უფროსი
houseless [ˈhausləs] *adj.* უსახლკარო
houses, keeping disorderly [hausiz, ˈki:piŋ disˈɔ:dəli] *v.* ბუნაგების შენახვა
housing [ˈhausiŋ] *n.* I. ბინათმშენებლობა; 2. საცხოვრებელი სახლები; საც-

ხოვრებელი პირობები; 3. საცხოვრებელი სახლი; საცხოვრებელი ფონდი; 4. შენახვა; შენახვის გადასახადი, ქირა

assisted * [ə'sɪstɪd *] ბინათმშენებლობა მოსახლეული სახსრებით

inadequate * [ɪn'ædɪkwɪt *] არახელსაყრელი საცხოვრებელი პირობები, საცხოვრებელი ფართის უკმარისობა; არადამაკმაყოფილებელი სამეშაო პირობები

municipal * [mju:'nɪsɪpəl *] მუნიციპალური საცხოვრებელი; მუნიციპალური ბინათმშენებლობა *(ადგილობრივი ორგანოების კეთებინილი სახლი)*

public * ['pʌblɪk *] სახელმწიფო ბინათმშენებლობა

security * [sɪ'kjuərɪtɪ *] ციხის ის ნაწილი, სადაც იმყოფებიან განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები

subsidized * ['sʌbsɪdaɪzt *] ბინათმშენებლობა სუბსიდიის მეშვეობით

substandard * ['sʌbstændə:d *] საცხოვრებელი ბინა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს

supported * [sə'pɔ:tɪd *] *იხ.* **assisted housing**

tax-supported * [tæks-sə'pɔ:tɪd *] ბინათმშენებლობა გადასახადების დაბეგვრის გზით მოპოვებული სახსრების დახმარებით

hue and cry [hju: ænd kraɪ] *ν. ისტ.* დაძახება. გაქცეული ბოროტმოქმედის შესაპყრობად; ძებნის გამოცხადება გაქცეულ ბოროტმოქმედზე; დევნა ყვირილით, ძახილით "დაიჭირეთ!" "არ გაუშვა!" "ქანი გამოდგომა, დადევნება; *ისტ.* გაქცეულ დამნაშავეზე ძებნის გამოცხადება

hulk [hʌlk] *n. ისტ.* მცურავი ციხე ◊ **condemned to *s** [kən'demd tu *z] მცურავ ციხეში *(მაგ. გემი სატყვიაღრმაო)* პატიმრობამისჯილი

hum [hʌm] *v. სალ.* მოტყუება

humbug ['hʌmbʌg] *n.* მატყუარა, თაღლითი

hundred ['hʌndrəd] *n. ისტ.* 1. "ასეული," ოლქი თავისი სასამართლოთი *(ინგლისში)*; 2. "ასეულის სასამართლო", საოლქო სასამართლო *(ინგლისში)*

hundred-court ['hʌndrəd-kɔ:t] *n. ისტ.* საოლქო სასამართლო

hundreder ['hʌndrədə] *n.* 1. *ისტ.* საოლქო ბეილიფი; 2. ოლქის მაცხოვრებელი, ვალდებული შეასრულოს ნაფიცი მსაჯულის ფუნქციები

hung jury [hʌŋ 'dʒuərɪ] *n.* ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა, რომელიც ვერ მიცდა ერთიან აზრამდე

hurdle ['hə:dl] *n. ისტ.* ოთხთვალა, რომლითაც დამნაშავენი მიჰყავდათ დასასჯელად

hurt [hə:t] *n. v.* 1. ზიანი, ზარალი; ზიანის, ზარალის მიყენება; 2. სხეულის დაზიანება; 3. წყენა, შეურაცხყოფა; წყენინება, შეურაცხყოფის მიყენება

corporal * ['kɔ:pərəl *] სხეულის დაზიანება

husband ['hʌzbənd] *n.* ქმარი, მეულლე

ship's * [ʃɪps *] გემის მფლობელების, გენერალური აგენტი, რომელიც გემთან დაკავშირებული საქმეებით არის დაკავებული

husbandly ['hʌzbəndlɪ] *adj.* ცოლქმრული ◊ * **rights** [* raɪts] ცოლქმრული უფლებები

husbandry ['hʌzbəndrɪ] *n.* 1. შინა მეურნეობა; 2. მიწათმოქმედება, სოფლის მეურნეობა; 3. ეკონომია, ყაირათი

hush-hush [hʌʃ-hʌʃ] *adj. სალ.* ფარული, საიდუმლო ◊ * **police** [* pə'li:s] საიდუმლო პოლიცია

hush-money [hʌʃ-'mʌnɪ] *n.* საზღაური, ქრთამი დუმილისთვის

hush-shop [hʌʃ ʃɔp] *n. სალ.* ლუდხანა, სადაც ხდება სპირტიანი სასმელებით უკანონო ვაჭრობა

hustings ['hʌstɪŋz] *n.* 1. საქალაქო სასამართლო; 2. წინასაარჩევნო კრების ტრიბუნა; 3. წინასაარჩევნო კამპანია; 4. *ამერ.* ტრიბუნა წინასაარჩევნო მიტინგზე

hybrid securiries ['haɪbrɪd sɪ'kjuərɪtɪz] *n.* ჰიბრიდული ფასიანი ქაღალდები; შეერული საფონდო ქაღალდები

hyperinflation [ˌhaɪpə:ɪn'fleɪʃən] *n.* ჰიპერინფლაცია

hypnosis [hɪp'nəusɪs] *n.* ჰიპნოზი

hypothec [hɪ'pɔθɪk] *n.* იპოთეკა; *შოტლ.* ინვარის გამკვეთის ვირაენობის უფლე-

ბა მოიჯარის მოსაგალზე და პირუტყვზე საიჯარო გადასახადის უზრუნველსაყოფად

hypothecation [haɪˈpɔθɪkeɪʃən] *l. v.* ი.ჰიპოთეკით უზრუნველყოფა, ი.ჰიპოთეკური გირავნობა; *n.* 2. სახელშეკრულება; 3. ბოდმერეა *(მაგ. ბოდმერეული ხელშეკრულება)*

hypothesis [haɪˈpɔθɪsɪs] *n.* ჰიპოთეზა, ვარაუდი

hysteria [hɪˈstɪərɪə] *n.* ისტერია

hysteropotmoi *n.* პირები, რომლებიც ითვლებოდნენ დალუპულად და ხანგრძლივი არეოფონის შემდეგ ბრუნდებიან შინ

I

ib. *იხ.* **ibidem**

ibidem *ლათ.* იმავე ადგილას, იმავე წიგნში, იმავე გვერდზე

ibis jus, ibi remedium *ლათ.* სადაც უფლებაა, იქ მისი დაცვის საშუალებაცაა

idem *ლათ.* იგივე

identic(al) [aɪˈdentɪk(əl)] *adj.* იდენტური, ერთგვარი

identification [aɪˌdentɪfɪˈkeɪʃən] *n.* 1. იდენტიფიკაცია, ფაქტის დადგენა; გაიგივება; ამოცნობა; 2. ინდივიდუალიზაცია, პირადობის დადგენა; 3. ნამდვილობის დადგენა ◊ *** at the trial** [* ət ðə ˈtraɪəl] ამოცნობა სასამართლო პროცესზე; *** card** [* kɑːd] პირადობის მოწმობა; *** parade** [* pəˈreɪd] ამოცნობა, ამოსაცნობად წარდგენა, ამოცნობის ჩატარება; *** tag (mark)** [* tæg (mɑːk)] ამოსაცნობი იარლიყი

*** of capacities** [* əv kəˈpæsɪtɪz] *l.* ქმედუნარიანობის დადგენა; 2. უფლებამოსილების დადგენა; კომპეტენციის დადგენა

*** of prison** [* əv ˈprɪzn] პატიმრის ამოცნობა; ბრალდებულის ამოცნობა, რომელიც პატიმრობაშია

*** of suspect** [* əv səˈspekt] ეჭვმიტანილის ამოცნობა

bureau of * [ˈbjʊərəʊ əv *] ამოცნობის ბიურო *(ს.პოლიციო უბანში)*

civil * [ˈsɪvɪl *] სამოქალაქო იდენტიფიკაცია, იდენტიფიკაცია, ამოცნობა სამოქალაქო საქმეზე

criminal * [ˈkrɪmɪnəl *] ამოცნობა სისხლის სამართლის საქმეზე

face-to-face * [feɪs-tu-feɪs *] ამოცნობა დაპირისპირების დროს

lineup * [ˈlaɪnʌp *] პიროვნების იდენტიფიკაცია ამოცნობის გზით

mistaken * [mɪˈsteɪkən *] შეცდომითი იდენტიფიკაცია

negative * [ˈnegətɪv *] უარყოფით იდენტიფიკაცია; იდენტიფიკაცია უარყოფითი შედეგით

personal * [ˈpɜːsnəl *] პიროვნების იდენტიფიკაცია

police * [pəˈliːs *] პოლიციური იდენტიფიკაცია; ამოცნობა პოლიციაში

positive * [ˈpɔzətɪv *] იდენტიფიკაცია დადასტურებით; იდენტიფიკაცია დადებითი შედეგით

post-arrignment * of suspect [pəʊst-əˈgrɪmənt * əv səˈspekt] ეჭვმიტანილის ამოცნობა ბრალის სხვა პირისთვის წაყენების შემდეგ

suspect * [səˈspekt *] ეჭვმიტანილის ამოცნობა ან პიროვნების დადგენა

voice * [vɔɪs *] ხმით ამოცნობა

identified [aɪˈdentɪfaɪd] *adj.* გაიგივებული, ამოცნობილი, დადგენილი, იდენტიფიცირებული

identifier [aɪˈdentɪfaɪə] *n.* 1. პირი, რომელიც ახდენს იდენტიფიკაციას, ამოცნობას; 2. პირი, რომელიც ახდენს საგნის იდენტიფიკაციას ან პიროვნების ამოცნობას

identify [aɪˈdentɪfaɪ] *v.* 1. გაიგივება, იგივეობის დადგენა; ამოცნობა; 2. პიროვნების დადგენა; 3. ნამდვილობის დადგენა, იდენტიფიცირება; 4. ინდივიდუალიზება ◊ **to prove (to recognize) smb's *** [tu pruːv (tu ˈrekəgnaɪz) ˈsʌmbɔdɪz *] პირის ნამდვილობის დადგენა; პირის ამოცნობა

declare * [dɪ'klɛə *] პიროვნების ვინაობის გამჟღავნება, გაცხადება, ინკოგნიტოს ვინაობის დადგენა, გაცხადება

identity [aɪ'dɛntətɪ] *n.* 1. იგივეობა, იდენტურობა, ნამდვილობა; 2. პიროვნება, ინდივიდუალობა

* **of parties** [* ɔv 'pɑ:tɪz] მხარეების იგივეობა: სიტ'უაცია, როდესაც სხვადასხვა სასამართლო პროცეს'ზე მხარეები იგივეა

* **of the accused** [* ɔv ðɪ ə'kru:zd] ბრალდებულის პიროვნება *(იდენტ'ურობა)*

* **of the criminal** [* ɔv ðə 'krɪmɪnəl] დამნაშავის პიროვნება *(იდენტ'ურობა)*

* **of the defendant** [* ɔv ðə dɪ'fɛndənt] მოპასუხის ან განსასჯ'ელის პიროვნება *(იდენტ'ურობა)*

* **of the informant** [* ɔv ðə ɪn'fɔ:mənt] ბრალის განმცხადებლის პიროვნება *(იდენტ'ურობა)*

* **of the informer** [* ɔv ðə ɪn'fɔ:mə] ინფორმატორის პიროვნება *(იდენტ'ურობა)*

* **of the offender** [* ɔv tɪ ə'fɛndə] სამართალდამრღვევის, დამნაშავის პიროვნება *(იდენტ'ურობა)*

* **of the perpetrator** [* ɔv tə 'pɜ:pətreɪtə] დამნაშავის პიროვნება *(იდენტ'ურობა)*

* **of the suspect** [* ɔv tə sə'spɛkt] ეჭვმიტანილის პიროვნება *(იდენტ'ურობა)*

criminal * ['krɪmɪnəl *] დამნაშავის პიროვნება *(იდენტ'ურობა)*

false (fictitious) * [fɔ:ls (fɪk'tɪʃəs) *] ნამდვილობის შეცდომით დადგენა; პიროვნების არასწ'ორი ამოცნობა

legal * ['li:gəl *] სასამართლოს მიერ იდენტ'ურობის დადგენა; სასამართლოს მიერ ნამდვილობის დადგენა; სასამართლო'ზე პირის ამოცნობა

mistaken * [mɪ'steɪkn *] შეცდომით ამოცნობა *(ერთი ადამიანის მეორე'ში არევა)*

personal * ['pɜ:snəl *] 1. პირის ნამდვილობა; 2. პიროვნების ამოცნობა

victim's * ['vɪktɪmz *] პიროვნება ან დაზარალებულის პიროვნების ამოცნობა

id est (i. e.) *ლათ.* ესე იგი *(ე.ი.)*

idiot ['ɪdɪət] *n.* იდიოტი *(პირი, რომელსაც სჭირს ისეთი ბარისხის გონებრივი ჩამორჩენილობა, რომ არ შეუძლია თავი დაიცვას ჩვეულებრივი ფიზიკური საშიშროებისგანაც კი)*

idle ['aɪdl] 1. *adj.* დაუსაქმებელი, უსაქმო, უმუ'შეური; 2. *v.* უსაქმურობა, უსაქმოდ ყოფნა, ზარმაცობა ◊ * **and disorderly person** [* ænd dɪs'ɔ:dəlɪ 'pɔ:sn] უსაქმო და მოუწ'ესრიგებელი პირი; * **to be** [* tu bi:] უმუ'შეურად ყოფნა

idler ['aɪdlə] *n.* მუქთახორა, უსაქმური

idleness ['aɪdlnəs] *n.* უსაქმურობა, უსაქმურად ხეტიალი *(ტერმინი, რომელიც აერთიანებს ისეთ დარღ'ვევებს, როგორიცაა მწ'ანწ'ალობა, მათხოვრობა და ა. შ.)*, უმოქმედობა

ignorance ['ɪgnərəns] *n.* არცოდნა, უცოდინარობა; გაუთვითცნობიერებლობა; შეცდომა, ცდომილება ◊ * **as to the existence of the fact** [* əz tu ðə ɪg'zɪstəns ɔv ðə fækt] ფაქტის არსებობის გაუთვითცნობიერებლობა

* **of fact** [* ɔv fækt] ფაქტობრივი შეცდომა, რაიმე ფაქტობრივი გარემოებების არცოდნა

* **of law** [* ɔv lɔ:] კანონის, ნორმის არცოდნა; იურიდიული შეცდომა

accidental * [ˌæksɪ'dɛntl *] არააისებითი გარემოებების არცოდნა

bona fide * *ლათ.* კეთილსინდისიერი შეცდომა

culpable * ['kʌlpəbl *] დანაშაულებრივი უცოდინარობა

essential * [ɪ'sɛnʃl *] არსებითი გარემოებების არცოდნა

negligent * ['nɛglɪʤənt *] დაუდევრობის გამო არცოდნა; შეცდომა დაუდევრობით

non-essential [nɔn ɪ'sɛnʃəl *] არაარსებითი გარემოებების უცოდინარობა

plead * [pli:d *] კანონის ან რაიმე ფაქტის უცოდინარობა'ზე მითითება

voluntary * ['vɔləntərɪ *] ბრალეული უცოდინარობა

ignocituur ei sanguinem suum qualter redemptum *ლათ.* უნდა გამართლდეს ის, ვინც საკუთარ სიცოცხლეს იცავს.

ignorant ['ɪgnərənt] *n.* არმცოდნე; გაუთვითცნობიერებელი

ignorantia legis neminem excusat *ლათ.* კანონის უცოდინარობა ვერაფის გაამართლებს.

ignoratio elenchi *ლათ.* ძირითადი განსახილველი საკითხის წ'ინასწ'არგან-

ზრახული იგნორირება; დასკვნა, რომელიც არ ეხება საქმეს.

ignore [ɪg'nɔ:] *v.* 1. უგულებელყოფა, უყურადღებოდ დაგდება, არად ნაგდება, იგნორირება; 2. უარის თქმა ◊ **to * the bill** [tu * ðə bɪl] საქმის შეწყვეტა

ill [ɪl] *n.* 1. ბოროტება, სიბოროტე; 2. ზიანი, ენება; 3. *pl.* უბედურება; 4. *adj.* მავნე, ცუდი, ავადმყოფი; 5. *adv.* ცუდად, არახელსაყრელად ◊ *** practice** ['prækɪs] არაკეთილსინდისიერი ხერხი; **to be * provided with smth.** [tu bi: * prə'vaɪdɪd wɪð 'sʌmθɪŋ] რაიმეთი ნაკლებუსრულებულოფილად ყოფნა; **to go * with smb** [tu gəu * wɪð 'sʌmbɔdi] ვინმესთვის არაკეთილსასურველად *(დამღუპველად)* ყოფნა; **a house of * fame** [ə 'haus ɔv * feɪm] საროსკიპო; **to make smth. *** [tu meɪk 'sʌmθɪŋ *] აღშფოთება რაიმეს გამო, გაბრაზება რამე'ზე; **to treat smb *** [tu tri:t 'sʌmbɔdi *] ვინმეს გაბრაზება.

illegal [ɪ'li:gəl] I. *n.* პირი არალეგალურ მდგომარეობაში არალეგალი; 2. *adj.* არაკანონიერი, კანონსაწინააღმდეგო, მართლსაწინააღმდეგო, არამართლზომიერი, არალეგალური ◊ *** entry** [* 'entrɪ] უკანონო შესვლა; *** in itself** [* ɪn ɪt'self] თავისი ბუნებით უკანონო; *** per se** *ლათ.* თავისი ბუნებით უკანონო, არსებითად უკანონო

illegality [ˌɪlɪ'gælətɪ] *n.* უკანონობა, კანონსაწინააღმდეგობა, არამართლზომიერება, მართლსაწინააღმდეგობა; არალეგალურობა
political * [pə'lɪtɪkəl *] პოლიტიკური აქციის უკანონობა
supervening * [ˌsju:pə'vɜ:nɪŋ *] თანმდევი უკანონობა

illegally obtained evidence [ɪ'li:gəlɪ ɔb'teɪnd 'evɪdəns] უკანონოდ მოპოვებული ნვენება, მტკიცებულება

illegitimacy [ˌɪlə'ʤɪtɪməsɪ] *n.* 1. უკანონობა; დაუკანონებლობა; 2. უკანონო დაბადება; ქორწინების გარე'შე შობა

illegitimate [ˌɪlə'ʤɪtəmət] *adj.* 1. არალეგიტიმური, უკანონო, დაუკანონებული; 2. უკანონოდ შობილი, ქორწინების გარე'შე შობილი; 3. ქორწინების გარე'შე შობილად აღიარება *(ბავშვის)*

ill-gotten [ɪl-'gɔtn] შეძენილი *(მიღებული)* უკანონოსნო გზით

illicit [ɪ'lɪsɪt] *adj.* უკანონო, მართლსაწინააღმდეგო, აკრძალული ◊ *** cohabitation** [* kəu,hæbɪ'teɪʃən] უკანონო თანაცხოვრება; *** dealer** [* 'di:lə] სპეკულანტი; *** distillery** [* dɪ'stɪlərɪ] ალკოჰოლური სასმელის უკანონოდ გამოხდა; *** relations** [* rɪ'leɪʃənz] უკანონო სქესობრივი კავშირი

illiquid [ɪ'lɪkwɪd] *adj.* 1. არამკაფიო, გაუგებარი; 2. ეკონომიურად დაუსაბუთებელი

ill-treat [ˌɪl-'tri:t] *v.* ცუდად მოპყრობა

ill-treatment [ˌɪl-'tri:tmənt] *n.* ცუდად მოპყრობა

ill-usage [ˌɪl-'ju:zɪʤ] *v.* ცუდად მოპყრობა, მხეცობა

ill-will [ˌɪl-'wɪl] *n.* ბოროტი განწყობა

illiteracy [ɪ'lɪtərənsɪ] *n.* წერა-კითხვის უცოდინარობა

illness ['ɪlnəs] *n* დაავადება, ავადმყოფობა

illusion [ɪ'luʒən] *n.* ილუზია, მირაჟი, მოჩვენება, ზმანება

illusory [ɪ'lu:sərɪ] *adj.* არარეალური, ილუზიორული, ფალსიფიცირებული, მაცდუნებელი

image ['ɪmɪʤ] *adj.* სახე, რეპუტაცია

imbalance [ɪm'bælənsɪ] *n.* შეუსაბამობა, დისპროპორცია, დისბალანსი
order * ['ɔ:də *] *ბორჯ.* დისპროპორცია ყიდვა-გაყიდვის დაგალებებს შორის

imbecile ['ɪmbɪsi:l] *adj.* გონებასუსტი *(პირი, რომელსაც სჭირს გონებრივი ჩამორჩენილობა, რომელიც თუმცა არ აღწევს იდიოტიზმამდე, მაგრამ აქვს იმდენად გამოხატული ხასიათი, რომ პირს არ შეუძლია იზრუნოს თავის თავზე ან თავის საქმეებზე)*

imbecillity [ˌɪmbɪ'sɪlətɪ] *n.* გონებასუსტობა

imitate ['ɪmɪteɪt] *v.* იმიტირება, მიბაძვა, გაყალბება

imitation [ˌɪmɪ'teɪʃən] *n.* იმიტაცია, ბაძვა, გაყალბება ◊ **to prosecute *s at law** [tu 'prɔsɪkju:t *z ət lɔ:] გაყალბებისთვის, ყალბისმქნელობისთვის, ფალსიფიცირებისთვის სასამართლოში გადაცემა
colourable * ['kʌlərəbl *] იმიტაცია ან კონტრაფაქცია, შეცვანა შეცდომაში

immaterial [ˌɪmə'tɪərɪəl] *adj.* 1. არა-

მატერიალური, არასაგნობრიული, არანივთობრიული; ირრელევანტური; 2. არაარსებითი ◊ **• averment** [• ə'və:mənt] არაარსებითი მტკიცება; **• issue** [• 'i'sju:] არაარსებითი საკითხი, სანიავარი

immateriality [ˌimətiəri'æləti] *n.* 1. არამატერიალურობა; 2. არანივთობრიობა; 2. არაარსებითობა

immature [ˌimə'tjuə] *adj.* უმწიფარი, ადრეული, მოუმწიფარი, ნაადრევი

immediacy [i'mi:diəsi] *n.* დაუყოვნებლობა, გადაუდებლობა

immediate [i'mi:diət] *adj.* უშუალო, პირდაპირი, გადაუდებელი, გადადების გარეშე, დაუყოვნებელი; უახლესი ◊ **• control** [• kən'trəul] უშუალო კონტროლი; **• family** [• 'fæməli] უახლოესი ნათესავები *(მშობლები, ცოლი ან ქმარი, შვილები, ძმები ან ძმები)*

immigrant ['imigrənt] 1. *n.* იმიგრანტი; 2. *adj.* იმიგრაციის, საიმიგრაციო

immigrate ['imigreit] *v.* იმიგრირება

immigration [ˌimi'greiʃən] *n.* იმიგრაცია

documented • ['dɔkjumɔntid •] ლეგალური იმიგრაცია

undocumented • [ʌn'dɔkju:mɔntid •] არალეგალური იმიგრაცია

imminent ['iminənt] *adj.* უშუალოდ ახლოს მყოფი; გარდაუვალი; მოსალოდნელი ◊ **• danger** [• 'deinʤə] გარდაუვალი საშიშროება

immobilia *ლათ.* უძრავი ქონება

immobility [i'məubiliti] *n.* უძრავი ქონება

immoral [i'mɔrəl] *adj.* ამორალური, უზნეო ◊ **• act or conduct** [• ækt ɔ: kɔn'dʌkt] უზნეო მოქმედება ან ქცევა; **• practice (conduct)** [• 'præktis (kɔn'dʌkt)] უზნეო ქცევა

immorality [ˌimɔ'rælәti] *n.* უზნეობა

private • ['praivit •] უზნეობა კერძო პირთა *(და არა მთელი საზოგადოების)*

sexual • ['sekʃuəl •] სქესობრივი უზნეობა, სქესობრივი ზნეობის დარღვევა

immovable [i'mu:vəbl] *adj.* უძრავი ქონება

immune [i'mju:n] *adj.* 1. იმუნიტეტის მქონე; 2. შეუვალი; 3. თავისუფალი

immunity [i'mju:nəti] *n.* 1. ხელშეუხებლობა, იმუნიტეტი; 2. პრივილეგია, შეღავათი; 3. გათავისუფლება *(ბაჟისგან, გადასახადისგან და ა.შ.)* ◊ **• accord** [• ə'kɔ:d] შემწყობის აღმოჩენა; **• from suit** [• frɔ:m sju:t] სასამართლო იმუნიტეტი; სასამართლოში გადაცემის დაუშვებლობა; **• to prosecution** [• tu ˌprɔsi'kju:ʃən] სისხლის სამართლის დევნის დაუშვებლობა, იმუნიტეტი

• of witness [• ɔv 'witnəs] მოწმის იმუნიტეტი *(მოწმის უფლება, არ მისცეს მისი მამხილებელი ჩვენება ან ინფორმაცია, რომლის წარსადგენად იგი გალდებული არაა)*

absolute • ['æbsəlu:t •] სრული იმუნიტეტი

actual • ['ækʧuəl •] რეალური, ფაქტობრივად მოქმედი იმუნიტეტი

congressional • [kən'greʃənəl •] კონგრესის წევრის იმუნიტეტი

diplomatic • [ˌdiplə'mætik •] დიპლომატიური იმუნიტეტი, დიპლომატიური ხელშეუხებლობა

jurisdictional (legal) • [ˌʤuəris'dikʃənəl ('li:gəl) •] სასამართლო იმუნიტეტი

limited • ['limitid •] შეზღუდული იმუნიტეტი

parliamentary • ['pa:ləmentəri •] საპარლამენტო ხელშეუხებლობა

personal • ['pɔ:snl •] პირადი ხელშეუხებლობის უფლება, პირადი იმუნიტეტი, პიროვნების ხელშეუხებლობა

presidential • ['prezidenʃəl •] საპრეზიდენტო იმუნიტეტი *(სასამართლოში გადაცემისგან დაცული)*

private • ['praivit •] კერძო ინტერესების ხელშეუხებლობა; პრაივესი

qualified • ['kwɔlifaid •] პირობითი იმუნიტეტი

relative (restrictive) • ['relətiv (ri'striktiv) •] არასრული იმუნიტეტი

self-incrimination • [ˌself-in'kriminеiʃən] პრივილეგია თვითდადანაშაულების საწინააღმდეგოდ; მოწმის იმუნიტეტი

sovereign • ['sɔvrin •] სუვერენის *(მეფის, ღვდოფლის)* იმუნიტეტი

witness • ['witnəs •] მოწმის იმუნიტეტი

immunize ['imju:naiz] *v.* იმუნიზირება; იმუნიტეტის დაცემა

immure [i'mjuə] *v.* ჩამწყვდევა *(ციხეში)*, დაპატიმრება

immutable [i'mju:təbl] *adj.* გარდაუვალი

impact (of cars) [im'pækt (ɔv kɑ:s)] *n.* შე-

ვახება *(ავტომობილების)*

impair [ɪm'peə] *v.* 1. დაზიანება, ზიანის, უნების მიყენება; 2. დასუსტება, შემცირება; გაუარესება

impairment [ɪm'peəmənt] *n.* 1. დაზიანება; ზიანის მიყენება; 2. დასუსტება, შემცირება; დარღვევა

• **of obligation** [• əv ˌɔblɪ'geɪʃn] ვალდებულების შეუსრულებლობა

mental • ['mentl •] ფსიქიკური ნაკლი *(შეურაცხადობის დონემდე მისულწევრ-ლი)*

impale [ɪm'peɪl] *v.* განგმირვა

impanel [ɪm'pænl] *v.* სიაში ჩართვა *(ნა-ფიც მსაჯულთა)* ◊ **to • a jury** [tu • ə ˈ ʧuərɪ] ნაფიც მსაჯულთა სიის შედგენა

imparl [ɪm'pɑ:l] *v.* საქმის მოსმენის გადა-დება მისი მორიგების მი'ზნით

imparlance [ɪm'pɑ:lənz] *n* საქმის მოსმე-ნის გადადება მისი მორიგების მი'ზნით

life • [laɪf] • სიცოცხლის დაზღვევა

limited payment life • [ˈlɪmɪtɪd ˈpeɪmənt laɪf] • სიცოცხლის დაზღვევა გარკვეულ პერიოდზე

limited policy • [ˈlɪmɪtɪd ˈpɔləsi] • დაზღვევა განსაზღვრული რისკებისგან

malpractice [ˌmælˈpræktɪs] • პროფესიონალების *(ექიმების, იურისტების, ბუღალტრების)* დაზღვევა სარისკისგან

marine • [məˈri:n] • საზღვაო დაზღვევა

mortgage • [ˈmɔ:gɪʤ] • იპოთეკის დაზღვევა

mutual • [ˈmju:tʃuəl] • ურთიერთდაზღვევა

mutual life • [ˈmju:tʃuəl laɪf] • სიცოცხლის ურთიერთდაზღვევა

national • [ˈnæʃnəl] • სახელმწიფო სოციალური დაზღვევა

no-fault • [nəʊ-fɔ:lt] • დაზღვევა ზიანისგან, რომელიც მიადგება დამზღვევს ბრალის გარეშე

nonassessable • [ˌnɔnəˈsesəbl] • დაზღვევა პრემიების ფიქსირებული თანხით გადაფასებების გარეშე

ordinary life • [ˈɔ:dnri laɪf] • ჩვეულებრივი სიცოცხლის *(სიკვდილამდე)* დაზღვევა

paid-up • [peɪd ʌp] • გადახდილი დაზღვევა

participating • [pɑ:ˈtɪsɪpeɪtɪŋ] • დაზღვევა, მზღვეველი კომპანიის მოგებაში მონაწილეობით

partnership • [ˈpɑ:tnəʃɪp] • ამხანაგობის წევრთა სიცოცხლის დაზღვევა

patent • [ˈpeɪtnt] • პატენტის დაზღვევა

policy of • [ˈpɔləsi əv] • დაზღვევის პოლისი

product liability • [ˈprɔdʌkt ˌlaɪəˈbɪlətɪ] • მწარმოებლებისა და მიმწოდებლების დაზღვევა მათს პროდუქციაზე გაცხადებული პრეტენზიებისგან

profits • [ˈprɔfɪts] • მოგების დაზღვევა

reciprocal • [rɪˈsɪprəkəl] • შემხვედრი დაზღვევა

renewable term • [rɪˈnju:əbl tə:m] • აღდგენილი სასწრაფო დაზღვევა

sea • [si:] • საზღვაო დაზღვევა

self • [self] • თვითდაზღვევა *(სპეციალურ ფონდში გადახდებული თანხები, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების მიზნით)*

single premium • [ˈsɪŋgl ˈpri:mɪəm] • დაზღვევა ერთეული პრემიით

social * [ˈsəʊʃəl *] სოციალური დაზღვევა
state * [steɪt *] სახელმწიფო დაზღვევა
step-rate premium * [step-reɪt ˈpriːmɪəm *] დაზღვევა, რომლის პრემიის თანხა შეიძლება იცვლებოდეს დაზღვეულის სურვილის მიხედვით
straight life * [streɪt laɪf *] სიცოცხლის *(სიკვდილამდე)* დაზღვევა
surety * [ˈʃʊərətɪ *] დაზღვევა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში
term * [tɜːm *] სიცოცხლის დაზღვევა, რომელიც დაზღვევს სიცოცხლეს დადგენილი პერიოდის განმავლობაში
third party * [θɜːd pɑːtɪ *] პასუხისმგებლობის დაზღვევა მესამე პირების მიმართ
title * [ˈtaɪtl *] დაზღვევა სამართლებრივი ტიტულის დეფექტებისგან
trust * [trʌst *] დაზღვევის ტრასტი, ფონდი
"umbrella" * [ʌmˈbrelə *] "ქოლგური", ყოველისმომცველი დაზღვევა
unemployment * [ˌʌnɪmˈplɔɪmənt *] დაზღვევა უმუშევრობაზე
universal life * [juːnɪˈvɔsl laɪf *] სიცოცხლის დაზღვევა გარკვეული ვადით სადაზღვევო პრემიების ნაწილის ინვესტირებით
war (risk) * [wɔː (rɪsk) *] დაზღვევა საომარი რისკისგან
warehouse-to-warehouse * [ˈweəhaʊstuːˈweəhaʊs *] დაზღვევა პირობით "საწყობიდან საწყობში"
whole life * [həʊl laɪf *] დაზღვევა სიკვდილის შემთხვევაში *(რომლის დროსაც დაზღვეული პირი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იხდის შესატანებს, ხოლო სადაზღვევო კომპანია გადაიხდის თანხას მისი სიკვდილის შემდეგ)*
insure [ɪnˈʃʊə] *v.* დაზღვევა, უზრუნველყოფა
insured [ɪnˈʃʊəd] *adj.* 1. დამზღვევი; 2. დაზღვეული
named * [ˈneɪmd *] დაზღვევის პოლისში მითითებული დამზღვევი
insurer [ɪnˈʃʊərə] *n.* მზღვეველი
insurgency [ɪnˈsɜːʤənsɪ] *n.* აჯანყებული მხარის სტატუსი
insurgent [ɪnˈsɜːʤənt] *n.* 1. მეამბოხე; 2. *adj.* მეამბოხეთა, აჯანყებულთა
insurrection [ˌɪnsəˈrekʃən] *n.* აჯანყება, ამბოხება, ჯანყი, ბუნტი
insurrectional [ˌɪnsəˈrekʃənl] *adj.* მეამბოხეთა, მეამბოხე
insurrectionary [ˌɪnsəˈrekʃənərɪ] *adj.* აჯანყების
intake [ˈɪnteɪk] *n.* შეყვანა, შეშვება *((ცხელში)*
*** of prisoner** [* ɔv ˈprɪznə] პატიმრის შეყვანა, მიყვანა ციხეში
juvenile * [ˈʤuːvənaɪl *] არასრულწლოვანის შეყვანა, მიყვანა არასრულწლოვან დელიკვენტებისა რეფორმატორიაში ან ციხეში არასრულწლოვან დამნაშავეთაგან
juvenile court * [ˈʤuːvənaɪl kɔːt *] არასრულწლოვანთა მიყვანა არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოში
police * [pəˈliːs *] პოლიციაში მიყვანა
intangible [ɪnˈtænʤəbl] *adj.* "არახელშესახები", არამატერიალური ◊ *** assets** [* ˈæsetz] არამატერიალური აქტივები; *** property** [* ɪnˈtænʤəbl ˈprɔpətɪ] არამატერიალური ქონება; *** values** [* ˈvædjuːz] არამატერიალური ფასეულობა
integral [ˈɪntɪgrəl] *adj.* ხელშეუვალი, განუყრელი, მთლიანი, შემადგენელი, ინტეგრალური
integration of cases [ˌɪntɪˈgreɪʃən ɔv keɪsɪz] საქმეების ერთ წარმოებაში გაერთიანება
integrity [ɪnˈtegrətɪ] *n.* [I. ერთიანობა, მთლიანობა; 2. პატიოსნება, პირიანობა; 3. პირდაპირობა; 4. სისუფთავე
*** of sample** [* ɔv ˈsɑːmpl] ნიმუშის *(სინჯის)* მთლიანობა
financial * [faɪˈnænʃl *] ფინანსური უნაკლობა
territorial * [ˌterəˈtɔːrɪəl *] ტერიტორიული ხელშეუხებლობა, ტერიტორიული მთლიანობა
intelligence [ɪnˈtelɪʤəns] *n.* 1. ჭკუა, ინტელექტი, გონებრივი უნარი, საზრიანობა; 2. *(აგენტურის)* მონაცემები, ცნობები, ინფორმაცია, შეტყობინება; 3. დაშვერვითი მონაცემები; დაშვერვით მოპოვებული მასალები; 4. დაზღვევა ◊ *** service** [* ˈsɜːvɪs] დაზვერვის სამსახური; *** sufficient** [* səˈfɪʃənt] საკმა-

რისი გაოსიურება
• surveillance [• sɜ:ˈveɪlɔns] ორგანიზებული ზედამხედველობა; საიდუმლო დაკვირვება
crime (criminal) • [kraɪm (ˈkrɪmɪnəl) •] 1. პოლიციური; სისხლის სამართლის პოლიცია; 2. განგსტერული დაზღვევა
domestic • [dɔˈmestɪk •] კონტრდაზვერვა
economic • [ˌi:kəˈnɔmɪk •] ეკონომიკური დაზღვევა; ეკონომიკური შპიონაჟი
foreigh • [ˈfɔrən •] 1. დაზვერვა; 2. უცხო ქვეყნის დაზვერვა
industrial • [ɪnˈdʌstrɪəl •] სამრეწველო შპიონაჟი
law enforcement • [lɔ: ɪnˈfɔ:smənt •] *იხ.* **crime intelligence** 1.
military • [ˈmɪlɪtəri •] 1. სამხედრო დაზვერვა; 2. საჯარისო დაზვერვა
naval • [ˈneɪvl •] სამხედრო-საზღვაო დაზვერვა
police • [pəˈli:s •] *იხ.* **crime intelligence**
political • [pəˈlɪtɪkl •] პოლიტიკური დაზვერვა, პოლიტიკური შპიონაჟი
sufficient • [səˈfɪʃənt •] საკმარისი მიხვედრილობა, უნარი
intelligibility [ɪnˌtelɪˈʤɪbɪlɪtɪ] *n.* ფაქტის გადმოცემის მიხვედრილობა
intendant [ɪnˈtendənt] *n.* მმართველი
intemperance [ɪnˈtempərəns] *n.* 1. არაზომიერება, ზომაგადასულობა, თავშეუკავებლობა; 2. ლოთობა
habitual • [həˈbɪtʃuəl •] ჩვეული ლოთობა
intend [ɪnˈtend] *v.* განზრახვა, დაგეგმვა, ჩანაფიქრი, ყარაული, გულისხმობა ◊ **to • a crime** [tu • ə kraɪm] დანაშაულის *(ჩადენის)* განზრახვა; **to • actually** [tu • ˈæktʃuəlɪ] ფაქტობრივად დაგეგმვა. **to • consequences** [tu • ˈkɔnsɪkwənsɪz] შედეგების დაგეგმვა; **to • criminally** [tu • ˈkrɪmɪnəlɪ] დანაშაულის ჩადენის დაგეგმვა; **to • deliberately** [tu • dɪˈlɪbərɪtlɪ] წინასწარგანსჯილად; **to • feloniously** [tu • fɛˈləunjəslɪ] ფელონიის *(ჩადენის)* განზრახვა; **to • fraudulently** [tu • ˈ frɔ:djulənтlɪ] მოტყუების განზრახვა, თაღლითობის განზრახვა; **to • generally** [tu • ˈʤenrəlɪ] საერთო განზრახვის ქონა, საერთო ანარის ქონა, საერთო მიზნის ქონა; **to • homicidally** [tu • ˌhɔmɪˈsaɪdəlɪ] მკვლელობის განზრახვა; **to • maliciously** [tu • məˈlɪʃəslɪ] ბოროტი განზრახვის ქონა, ბოროტი განზრახვა; **to • mischievously** [tu • ˈmɪstʃɪvəslɪ] ზიანის მიყენების განზრახვა; **to • murderously** [tu • ˈmɜ:dərəslɪ] მკვლელობის განზრახვა; **to • originally** [tu • əˈrɪʤənəlɪ] *იხ.* **to intend firstly; to • particular** [tu • pəˈtɪkjulə] *იხ.* **to intend specially; to • primarily** [tu • praɪˈmerəlɪ] ძირითადი განზრახვის ქონა, ძირითადი ჩანაფიქრის ქონა; ძირითადი მიზნის ქონა; **to • specially** [tu • ˈspeʃəlɪ] სპეციალური განზრახვა, სპეციალური ჩანაფიქრი, სპეციალური მიზნის ქონა; **to • specifically** [tu • spəˈsɪklɪ] კონკრეტული განზრახვის ქონა, კონკრეტული ჩანა-ფიქრის ქონა; **to • treacherously (treasonably, treasonously)** [tu • ˈ treʧərəslɪ (ˈtri:zənəbli, ˈtri:zənəsli)] სახელმწიფო ღალატის განზრახვა; **to • wrongfully** [tu • ˈrɔŋfulɪ] მართლსაწინააღმდეგო განზრახვის ქონა, მართლსაწინააღმდეგო განზრახვა; **to • wrongly** [tu • ˈrɔŋlɪ] უკანონო განზრახვის ქონა
intended [ɪnˈtendɪd] *adj* განზრახული, დაგეგმილი
intendment [ɪnˈtendmənt] *n.* 1. განზრახვა; 2. მნიშვნელობა; 3. აზრი
• of law [• ɔv lɔ:] ჯუმრიტი აზრი, კანონის მნიშვნელობა
common • [ˈkɔmən •] 1. საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობა; 2. აშკარა აზრი *(დოკუმენტის)*
intent [ɪnˈtent] *n.* 1. განზრახვა; 2. მიზანი; 3. მნიშვნელობა; 4. აზრი ◊ **• presumed from the act** [• prɪˈzu:mɪd frɔ:m ðə ækt] განზრახვა, პრეზუმირებული ჩადენილი მოქმედების ხასიათის მიხედვით; **• presumed from the facts** [• prɪˈzu:mɪd frɔ:m ðə ˈfæktz] განზრახვა, პრეზუმირებული საქმის გარემოებებით; **• to crime** [• tu kraɪm] დანაშაულის განზრახვა; **beyond •** [bɪˈjɔnd •] განზრახვის ფარგლებს გარეთ; ჩანაფიქრის ფარგლებს გარეთ; **out of •** [aut ɔv •] განზრახვის ფარგლებს გარეთ; ჩანაფიქრის ფარგლებს გარეთ; **with •** [wɪð •] განზრახვით, მიზნით; **with no •** [wɪð nəu •] განზრახვის გარეშე, მიზნის გარეშე

abandoned • [ə'bændənd •] განზრახვაზე უარის თქმა, ნანაფიქრზე უარის თქმა; მიზანზე უარის თქმა
actual • ['æktʃuəl •] ნამდვილი განზრახვა
clear • [klɪə •] აშკარა განზრახვა
constructive • [kən'strʌktɪv •] კონსტრუქციული განზრახვა, პრეზუმირებული ან კონსტატირებული განზრახვა
contractual • [kən'trækʧuəl •] მხარეების განზრახვა შეთანხმებაზე
criminal • ['krɪmɪnəl •] დანაშაულებრივი განზრახვა
diliberate • [dɪ'lɪbərɪt •] განზრახვა, წინასწარი ნანაფიქრი; წინასწარ მოფიქრებული მიზანი
entertained • [ˌentə'teɪnd •] მხედველობაში მიღებული განზრახვა; მხედველობაში მიღებული მიზანი
evil • ['i:vl •] ბოროტი განზრახვა, ბოროტი ნანაფიქრი
felonious • [fɪ'ləʊnɪəs •] ფელონიის განზრახვა
first • [fə:st •] საწყისი განზრახვა, საწყისი ნანაფიქრი
fraudulent • ['frɔ:djulənt •] თაღლითური განზრახვა, ნანაფიქრი
general • ['ʤenərəl •] საერთო განზრახვა, საერთო ნანაფიქრი, საერთო მიზანი
general criminal • ['ʤenərəl 'krɪmɪnəl •] საერთო დანაშაულებრივი განზრახვა, საერთო დანაშაულებრივი მიზანი
guilty • ['gɪlti •] ბრალეული განზრახვა
homicidal • [ˌhɔmɪ'saɪdl •] მკვლელობის განზრახვა
legislative • ['leʤɪslətɪv •] საკანონმდებლო განზრახვა
milicious • [mə'lɪʃəs •] *იხ.* **evil intent**
mischievous • ['mɪsʧɪvəs •] ზიანის მიყენების განზრახვა
murderous • ['mə:dərəs •] მკვლელობის განზრახვა
odvious • ['ɔbvɪəs •] აშკარა განზრახვა
original • [ə'rɪʤɪnəl •] *იხ.* **first intent**
particular • [pə'tɪkjələ •] *იხ.* **special intent**
primary • ['praɪmərɪ •] ძირითადი განზრახვა, ძირითადი ნანაფიქრი, ძირითადი მიზანი
second(ary) • ['sekənd(rɪ) •] მეორადი განზრახვა, ნანაფიქრი ან მიზანი
special • ['speʃəl •] სპეციალური განზრახვა, ნანაფიქრი ან მიზანი
specific • [spə'sɪfɪk •] სპეციალური განზრახვა *(დანაშაულის კონკრეტული შედეგის მიმართ)*, კონკრეტული ნანაფიქრი; კონკრეტული მიზანი
testamentary • [ˌtestə'mentərɪ •] 1. ანდერძის შედგენის განზრახვა; 2. მოანდერძის ნება
transferred • ['trænsfəd •] დანაშაულებრივი განზრახვა, გადატანილი სხვა მიზანზე
treacherous (treasonable, treasonous) • ['trɛʧərəs ('tri:znəbli, 'tri:znəs) •] სახელმწიფო ღალატის განზრახვა
wrong • [rɔŋ •] უმართებულო, უკანონო განზრახვა
wrongful • ['rɔŋful •] მართლსაწინააღმდეგო, კანონსაწინააღმდეგო განზრახვა
intention [ɪn'tenʃən] *n.* განზრახვა, მიზანი ◊ **to form and display an** • [tu frɔ:m ænd dɪ'spleɪ ən •] განზრახვის ჩამოყალიბება და გამოაშკარავება
• **of law (of legislator, of legialature, of statute)** [• ɔv lɔ: (ɔv 'leʤɪsleɪtə, ɔv 'stæʧu:t) •] კანონმდებლის განზრახვა
legislative • ['leʤɪslətɪv •] საკანონმდებლო განზრახვა
seditious • [sɪ'dɪʃəs •] ამბოხების განზრახვა
intentional [ɪn'tenʃənəl] *adj.* წინასწარგანზრახული, დაგეგმილი
voluntarily ['vɔləntərəlɪ •] განზრახვით და ნებით *(სისხლის სამართლის ფორმულა)*
inter alia *ლათ.* სხვათა შორის, კერძოდ
inter arma leges silent *ლათ.* ომის დროს კანონი დუმს.
intera vires *ლათ.* უფლებამოსილების ფარგლებში
intercede [ˌɪntə'si:d] *v.* გამოქომაგება, შუამდგომლობა, შუამავლობა
intercession [ˌɪntə'seʃən] *n.* ინტერცესია, ქომაგობა, შუამდგომლობა, შუამავლობა
intercessor [ˌɪntə'sesə] *n.* ქომაგი, შუამავალი
intercourse [ˌɪntə'kɔ:s] *n.* ურთიერთობა, კავშირი *(სქესობრივი)*, მისვლა-მოსვლა

adulterous * [ə'dʌltərəs *] მრუშობა
business * ['bɪznɪs *] საქმიანი კავშირი
commercial * [kə'mɜ:ʃəl *] საგაჭრო ბრუნვა
diplomatic * [ˌdɪplə'mætɪk *] დიპლომატიური კავშირი, ურთიერთობა
illicit * [ɪ'lɪsɪt *] ფარული თანაცხოვრება; დანაშაულებრივი კავშირი
marital * ['mærɪtl *] მეუღლეთა სქესობრივი კავშირი
sexual * ['sekʃuəl *] სქესობრივი კავშირი
interdict ['ɪntədɪkt] *v.* 1. აკრძალვა, აღკვეთა; 2. *შოტლ.* სასამართლო აკრძალვა; 3. *საკ.* ინტერდიქტი *(შუა საუკუნეებში: რომის პაპის მიერ რომელიმე ქალაქისთვის ან მთელი სახელმწიფოსთვის დადებული სასჯელი – წირვა-ლოცვის, მღვდელმსახურების დროებით აკრძალვა)*; 4. ქმედუნარიანობის ჩამორთმევა, წართმევა
interdiction [ˌɪntə'dɪkʃn] *n.* 1. აკრძალვა; 2. ქმედუნარიანობის წართმევა; 3. *საკ.* ინტერდიქტი
drug * [drʌg *] ნარკოტიკის აკრძალვა
interdictory [ˌɪntə'dɪktərɪ] *adj.* ამკრძალავი
interest ['ɪntrəst] *n.* 1. ინტერესი; განსაკუთრებული ყურადღება, დაინტერესება *(მატერიალური)*; 2. წილი, ნაწილი; 3. მნიშვნელობა, დიდი მნიშვნელობა; 4. პროცენტი *(კაპიტალზე)*; 5. პირთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ საერთო ინტერესი; 6. *(ხანდაც)* უფლება; 7. ზეგაელენა, ზემოქმედება; 8. *v.* ინტერესის გამოწვევა ◊ * **charges** [* 'ʧɑ:ʤɪz] ხარჯები პროცენტების გადახდაზე; * **in estate** [* ɪn ɪ'steɪt] სანივთო-სამართლებრივი ტიტულის წილი; * **in fee-simple** [* ɪn fi:-'sɪmpl] საკუთრებაზე უპირობო უფლება, საკუთრების შეუზღუდავი უფლება; * **in land** [* ɪn lænd] უფლება უძრავ ქონებაზე; * **in personalty** [* ɪn 'pɜ:sənəlɪtɪ] სანივთო უფლება მოძრავ ქონებაზე; სანივთო უფლება ქონელაფერზე უძრავი ქონების გარდა; * **in property** [* ɪn 'prɔpətɪ] უფლება ქონებაზე; სანივთო საკუთრების უფლება; * **in realty** [* ɪn 'rɪ:əltɪ] უფლება უძრავ ქონებაზე; * **on arrears** [* ɔn ə'rɪəz] გადაუხდელების პროცენტები; * **on bonds** [* ɔn bɔndz] პროცენტები ობლიგაციური სესხით; * **on judgement** [* ɔn 'ʤʌʤmənt] პროცენტები დაკისრებულ თანხაზე; * **on loan** [* ɔn ləun] პროცენტი სესხზე; * **upon interest** [* ə'pɔn ɪntrəst] პროცენტის პროცენტი, რთული პროცენტი
absolute * [æ'bsəlu:t *] აბსოლუტური უფლება
accrued (accumulated) * [ə'kru:d (ə'kju:mjulɛɪtɪd) *] გაზრდილი პროცენტები; დარიცხული პროცენტები
adverse * ['ædvɜ:s *] საწინააღმდეგო ინტერესები; საწინააღმდეგო მხარის ინტერესი
adverse * **of officer** ['ædvɜ:s * ɔv 'ɔfɪsə] თანამდებობის პირის ინტერესი, რომელიც ეწინააღმდეგება მის თანამდებობრივ სტატუსს
bear * [bɛə *] პროცენტების მოტანა
beneficial * [ˌbenɪ'fɪʃl *] I. სარგებელი ხელშეკრულებით; 2. სარგებელი მიღებული მესაკუთრე-ბენეფიციარით
chattel * ['ʧætl *] ქონებრივი უფლება მოძრავ ქონებაზე
commercial * [kə'mɜ:ʃəl *] საქმიანი წრეები; დაინტერესებული პირები
compound * ['kɔmpaund *] რთული პროცენტები
contigent * [kən'tɪʤənt *] შესაძლებელი მომავალი უფლება, პირობითი უფლება *(დამოკიდებული შესაძლებელი მოვლენის დადგომაზე)*
conventional * [kən'venʃənl *] ნეიელებრივი პროცენტები
default on * [dɪ'fɔ:lt ɔn *] პროცენტების გადაუხდელობა
earned * [ɜ:nd *] მიღებული პროცენტები
equitable * ['ekwɪtəbl *] ინტერესი სამართლიანობის უფლებით
executory * [ɪg'zekjutərɪ *] მომავალი უფლება; უფლება, რომელიც დადგება მომავალში
future * ['fju:ʧə *] მომავალი უფლება
illegal * [ɪ'li:gəl *] უკანონო, სამეცნიერო პროცენტები
insurable * [ɪn'ʃuərəbl *] დაზღვევის ინტერესი
joint * [ʤɔɪnt *] უფლება თანაბარ წილებში
leasenehold * ['li:shəuld *] სავალარო უფლება
legal * ['li:gəl *] I. კანონიერი პროცენ-

ტები, კანონით დადგენილი პროცენტები; 2. ნორმით აღიარებული ინტერესი, სამართლებრივი ინტერესი

legally protected * [ˈli:gəli prɔˈtektɪd *] კანონიერად დაცული ინტერესი, სამართლებრივი ინტერესი

legitimate * [liˈʤɪtɪmɪt *] 1. კანონიერი ინტერესი; 2. კანონიერი პროცენტები

life * [laɪf *] სამუდამო *(მთელი ცხოვრების პერიოდი)* უფლება

limited * [ˈlɪmɪtɪd *] 1. შეზღუდული უფლება; 2. წილი უფლებაში

marine (maritime) * [mɔˈri:n (ˈmæritaim) *] წილი ბოლმერული სესხით

mortgage *s [ˈmɔ:gɪʤ *z] იპოთეკის უფლებები

natural * [ˈnæʧrəl *] პროცენტები ნატურით

part * [pɑ:t *] წილი უფლებაში

party of * [ˈpɑ:ti ɔv *] *(საქმეში)* დაინტერესებული მხარე

past due * [pɑ:st dju: *] დაგვიანებით პროცენტების მიხედვით

pecuniary * [piˈkju :niəri *] ფულადი ინტერესი, ფულადი დაინტერესება

prejudgement * [ˌpri:ˈʤʌʤmənt *] სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდელი პერიოდის პროცენტები

proprietary * [prɔˈpraiətəri *] საკუთრების უფლება, სანივთო ხასიათის უფლება

public * [ˈpʌblɪk *] სახელმწიფო ინტერესი, საჯარო ინტერესი, საზოგადოებრივი ინტერესი

rate of * [reɪt ɔv *] პროცენტების სიდიდე

reversionary * [riˈvə:ʃənəri *] უფლება საკუთრების უკან დაბრუნებაზე, დაბრუნებული, უკუქცევითი უფლება

secured (security) * [siˈkjuəd (siˈkjuərɔti) *] უზრუნველყოფილი, გათვალისწინებული ინტერესი

simple * [ˈsɪmpl *] უბრალო პროცენტები

statutory * [ˈstæʧutri *] 1. *იხ.* **legal interest**; 2. კანონით აღიარებული უფლება, კანონიერი უფლება

unity of * [ˈju:nɔti ɔv *] ერთობლიები უფლებრიები ინტერესი; უფლებრიები ინტერესების ერთობლიობა

usurious * [ˈju:ʒuərɪəs *] მეტად მაღალი პროცენტები

valuable * [ˈvæljuəbl *] ქონებრივი ინტერესი

vested *s [ˈvɑ:stɪd *z] ნამოყალიბებული უფლებები, განმტკიცებული უფლებები; შეძენილი უფლებები

interest-bearing [ˈɪntrəst-ˈbeəriŋ] პროცენტული *(ფასიან ქაღალდებზე)*

interest-rate [ˈɪntrəst-reɪt] პროცენტული განაკვეთი

lock * [lɔk *] ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი 30, 60, 90 დღის ვადაზე

nominal * [ˈnɔmɪnl *] ნომინალური საპროცენტო განაკვეთი

prime * [praim *] საუკეთესო საპროცენტო განაკვეთი *(წარდგენილი საუკეთესო კლიენტის მიერ)*

real * [ˈri:əl *] რეალური საპროცენტო განაკვეთი *(დაკავშირებული ინფლაციის ტემპებთან)*

variable * [ˈveəriəbl *] ცვლადი საპროცენტო განაკვეთი

interested [ˈɪntrəstɪd] *adj.* 1. დაინტერესებული; 2. მიკერძოებული

adversely * [ˈædvə:sli *] სასამართლო პროცესის მხარისთვის არახელსაყრელ შედეგში დაინტერესებული

interfere [ˌɪntəˈfɪə] *v* 1. ხელის შეშლა, წინააღმდეგობის გაწევა; 2. ჩარევა; 3. შეცილება ვინმეს პატენტის უფლებების მიღებაზე ან პატენტზე; 4. *ამერ.* გამოგონების პრიორიტეტის დადგენა რამდენიმე განაცხადის ერთდროულად შემოსვლის დროს

interference [ˌɪntəˈfɪərəns] *n.* 1. ხელის შეშლა; წინააღმდეგობა; 2. ჩარევა; 3. საპატენტო მოთხოვნების კოლიზია

* **with witness** [* wɪð ˈwɪtnəs] მოწმის დაყოლიება *(ცრუ)* ჩვენების მისაცემად

* **of inventions** [ɔv ɪnˈvenʃənz] გამოგონების კოლიზია; ერთი გამოგონების მეორეთი გადაფარვა

multiparty * [ˌmʌltiˈpɑ:ti *] საპატენტო მოთხოვნების მრავალმხრივი კოლიზია

intergovernmental [ˌɪntəˌgʌvənˈmentəl] *adj.* სამთავრობათშორისი, სახელმწიფოთშორისი

interim [ˈɪntərɪm] *adj.* დროებითი, შუალე-

დური, წინასწარი ◊ * **officer** [* ˈɔfisə] მოყალეობის დროებით შემსრულებელი; * **order** [* ˈɔ:də] დროებითი განკარგულება; * **statements** [* ˈsteitmənts] შუალედური *(კვარტალური)* საბუღალტრო ანგარიშები

interline [ˌintəˈlain] *v.* სტრიქონებს შორის წერა

interlineation [ˌintəˌlainˈeiʃən] *n.* სტრიქონებს შორის ჩასმა

interlocutor [ˌintəˈlɔkjutə] *n. შოტლ.* შუალედური სასამართლო ბრძანება

interlocutory [ˌintəˈlɔkjutəri] *adj.* შუალედური, დაუმთავრებელი; დროებითი

interloper [ˈintəˌloupə] *n.* 1. ვაჭარი, რომელიც ხელყოფს უინმეს საეპრო მონოპოლიას; *მოძ.* გემი, რომელსაც გადაეკეთა კონტრაბანდული ტვირთი; 3. *მოძ.* რაიმეს ხელში ჩამგდები *(დამკერი)*

intermarriage [ˌintəˈmæridʒ] *n* 1. ქორწინება სხვადასხვა რასის, სხვადასხვა ეროვნების და ა.შ. ადამიანებს შორის; 2. ქორწინება ნათესავებს შორის

intermarry [ˌintəˈmæri] *v.* ქორწინება-ში შესვლა

intermediary [ˌintəˈmi:diəri] I. *n.* შუამავალი, შუაკაცი; 2. *adj.* საშუამავლო, შუამავლური, შუალედური

intermediate [ˌintəˈmi:diət] *adj.* 1. შუალედური, შუა; 2. *v.* შუამავლობა, შუამავლად ყოფნა ◊ * **account** [* əˈkaunt] შუალედური ანგარიში *(მემკვიდრეობის საქმეთა განმკარგულებლის)*

intermediation [ˌintəˈmi:diˈeiʃən] *n.* შუამავლობა, შუაკაცობა

interest * [ˈintrəst *] ინტერესების წარმომადგენლობა

intermediator [ˌintəˈmi:dieitə] *n.* შუამავალი

intermixture of goods [ˌintəˈmiksʧə ɔv gudz] სხვადასხვა მფლობელების საქონლის შერევა, არევა

intern [inˈtə:n] I. *v.* ინტერნირება; 2. *n. ამერ.* სტუდენტი

internal [inˈtə:nl] *adj.* საშინაო, შინაგანი, შიდა ◊ * **evidence** [* ˈevidəns] მტკიცებულება, რომელიც თვით დოკუმენტშია

international [ˌintəˈnæʃnəl] *adj.* საერთაშორისო; სახელმწიფოთაშორისო

internationalization [ˌintəˈnæʃnəlaizeiʃən] *n.* ინტერნაციონალიზაცია

internationalize [ˌintəˈnæʃnəlaiz] *v.* ინტერნაციონალიზება

internee [ˌintəːˈni:] *n.* ინტერნირებული *(პირი, რომელიც მოთავსებულია საპატრონიმში, ხშირ შემთხვევაში სასამართლოს განსჯეულის გარეშე)*

internecine [ˌintəˈni:sain] *adj.* [ˈიგგ. I. ძმათაშორის; 2. სასიკვდილო, მომაკვდინებელი, დამანგრეველი ◊ * **massacre** [* ˈmæsəkə] სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა

internment [inˈtə:nmənt] *n.* ინტერნირება

internuptial [ˌintəˈnʌpʃl] *adj.* I. ნათესავებს შორის ქორწინებასთან დაკავშირებული; 2. ქორწინების გარეშე *(პირთა ერთი და იმავე პირის ორ ქორწინებას შორის)*

inter partes *ლათ.* მხარეებს შორის

interpellate [ˌintəˈpeleit] *v.* ინტერპელირება *(ინტერპელაციის შეტანა, პარლამენტში).* მოთხოვნის გაკეთება

interpellation [ˌintəˈpə:leiʃən] *n.* ინტერპელაცია *(პარლამენტის ლიბერატორის წარილობითი შეკითხვა მთავრობისადმი რაიმე საქმის ან ფაქტის თაობაზე).* მოთხოვნა

interplead [ˌintəˈpli:d] *v.* საკამათო სგანზე *(ქონებაზე)* ან გადახდას დაქვემდებარებულ ფულად თანხებთან დაკავშირებით მესამე პირთა უფლებების დაცვის მიზნით პირის მიერ სასამართლო პროცესის დაწყება

interpleader [ˌintəˈpli:də] *n.* საკამათო სგანზე *(ქონებაზე)* ან გადახდას დაქვემდებარებულ ფულად თანხებთან დაკავშირებით, მესამე პირთა უფლებების დაცვის მიზნით პირის მიერ სასამართლო პროცესის დაწყება

Interpol [ˈintəpɔul] *n.* ინტერპოლი, კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია *(შეიქმნა 1923 წელს)*

interpolate [inˈtə:pəuleit] *v.* ინტერპოლირება, სხვის ხელნაწერ ტექსტში ჩამატების გაკეთება, შეტანა, ჩართვა

interpolation [inˌtə:pəuˈleiʃən] *n.* ინტერპოლაცია: ჩანაწერების ტექსტში გვიანდელი ჩანართი, რომელიც აყალბებს არ

ჩაკუთვნის

interpose [ɪntə'pəʊz] *v.* 1. ჩარევა, შეტანა; 2. გაბოსტება დემარშით 3. შუამავლობა ◊ **to * an appeal** [tu ˈən ə'pi:l] აპელაციის შეტანა

interposition [ˌɪntə'pə'zɪʃən] *n.* 1. ჩარევა 2. დიპლომატიური გაბოსტება, დემარში; 3. შუამავლობა

interpret [ɪn'tɜ:prɪt] *v.* 1. ინტერპრეტირება, განმარტება, ახსნა, *(სამართლებრივი ნორმის, კანონის, შეთანხმების)*; 2. თარგმნა ◊ **to * adversely** [tu * 'ædvɜ:sli] მხარისთვის არახელსაყრელად განმარტება; **to * authentically** [tu * ɔ:'θentɪkəli] განმარტება აუთენტურად; **to * authoritatively** [tu * ɔ:'θɔrɪtətɪvli] 1. მბრძანებლური განმარტება; 2. განმარტებით პრეცედენტის შექმნა; **to * broadly** [tu * 'brɔ:dli] განმარტება გაფრცობითად; **to * closely** [tu * 'klɔuzli] განმარტება რესტრიქციულად; **to * comparatively** [tu * kəm'pæ:rətɪvli] განმარტება შედარების მეთოდით; **to * constitutionally** [tu * ˌkɔnstɪ,tju:ʃə'nli] განმარტება კონსტიტუციის თვალსაზრისით; **to * divergently** [tu * daɪ'vɜ:ʤəntli] განმარტება სხვაგვარად, ვიდრე მიღებულია; **to * erroneously** [tu * ɪ'rɔunjəsli] განმარტება შეცდომით; **to * extensively** [tu * ɪk'stensɪvli] განმარტება გაფრცობილად; **to * falsely** [tu * 'fɔ:lsli] ცრუ განმარტება; **to * genuinely** [tu * 'ʤenjʊɪnli] ჭეშმარიტი განმარტების მიცემა; **to * impartially** [tu * ɪm'pɑ:ʃəli] განმარტება მიუკერძოებლად; **to * judicially** [tu * ʤu'dɪʃəli] სასამართლო განმარტების მიცემა; **to * latitudinally** [tu * 'læti'tju:dɪnəli] განმარტება გაფრცობილად; **to * legally** [tu * 'li:gəli] 1. განმარტება იურიდიულად; 2. განმარტება აუთენტურად; 3. განმარტება სასამართლო პრაქტიკის პოზიციიდან; **to * liberally** [tu * 'lɪbərəli] განმარტება სიზუსტით; **to * loosely** [tu * 'lu:sli] განმარტება გაფრცობითად; **to * misleadingly** [tu * ˌmɪs'li:dɪŋli] განმარტება შეცდომაში შეყვანით; **to * mistakenly** [tu * mɪ'steɪknli] განმარტება შეცდომით; **to * narrowly** [tu * 'nærəʊli] განმარტება გულდასმით, ვიწროდ; **to * orthodoxically** [tu * 'ɔ:θədɔksɪkli] ტრადიციული განმარტება; **to * parsimoniously** [tu * ˌpɑ:sɪ'məʊnjəsli] ვიწრო განმარტება; **to * partially** [tu * 'pɑ:ʃəli] მიკერძოებითი განმარტება; **to * predestinedly** [tu * ˌpri:'destɪndli] განმარტება წინასწარ აკეთილებულად; **to * prejudicially** [tu * ˌpriʤu'dɪʃəli] წინასწარ შექმნილი ახრით განმარტება; **to * purposively** [tu * 'pɜ:pəsɪvli] მიზანმიმართულად განმარტება; **to * restrictively** [tu * rɪ'strɪktɪvli] განმარტება რესტრიქციულად; **to * strictly** [tu * 'strɪktli] განმარტება მკაცრად, რესტრიქციულად, შესულებულად; **to * truly** [tu * 'tru:li] განმარტება სწორად, მართებულად; **to * verbally** [tu * 'vɜ:bəli] სიტყვასიტყვით განმარტება; **to * wrongly** [tu * 'rɔŋli] არასწორად განმარტება

inerpretatio *ლათ.* განმარტება

interpretatio exstensia *ლათ.* განვრცობითი განმარტება

interpretatio restrectiva *ლათ.* შეზღუდული განმარტება

interpretation [ɪn,tɜ:prɪ'teɪʃən] *n.* 1. ინტერპრეტაცია; რისამე ახრის ახსნა, განმარტება; 2. თარგმნა

accepted * [ək'septɪd *] მიღებული განმარტება

adverse * ['ædvɜ:s *] მხარისთვის არახელსაყრელი განმარტება

ambiguous * [æm'bɪgjʊəs *] არამკაფიო, ორაზროვანი განმარტება

authentic * [ɔ:'θentɪk *] აუთენტური განმარტება

authoritative [ɔ:'θɔrətətɪv *] 1. მბრძანებლური განმარტება; 2. აუთენტური განმარტება; 3. აუტორიტეტული განმარტება; 4. პრეცედენტური განმარტება; განმარტება, როგორც სამართლის წყარო

biased * ['baɪəst *] მიკერძოებული, წინასწარ შექმნილი ახრით განმარტება

binding * ['baɪndɪŋ *] მავალდებულებელი განმარტება

broad * [brɔ:d *] განვრცობითი განმარტება

close * [klɔuz *] რესტრიქციული განმარტება

commonly accepted * ['kɔmənli ək'septɪd *] საყოველთაოდ მიღებული განმარტება

comparative * [kəm'pærətɪv *] განმარტება შედარებითი მეთოდის გზით, შე-

დარებითი განმარტება
constitutional • [ˌkɔnstɪ'tju:ʃənəl •] I. თვით კონსტიტუციაში შესული განმარტება; განმარტება კონსტიტუციის თვალსაზრისით; 2. კონსტიტუციის განმარტება
correct • [kə'rekt •] სწორი, მართებული განმარტება
disused • [ˌdɪs'ju:zd •] მოძველებული განმარტება
divergent • [daɪ'və:ʤənt •] საყოველთაოდ მიღებულისგან განსხვავებული განმარტება
doctrinal • [dɔk'traɪnl •] დოქტრინალური განმარტება
equitable • ['ekwɪtəbl •] სამართლიანი განმარტება
erroneous • [ɪ'rəʊnɪəs •] მცდარი განმარტება
extended (extensive) • [ɪk'stendɪd (ɪk'stensɪv) •] განურკვეობითი განმარტება
false • [fɔ:ls •] ცრუ განმარტება
flexible • ['fleksəbl •] მოქნილი განმარტება
genuine • ['ʤenjuɪn •] ჭეშმარიტი განმარტება
impartial • [ɪm'pɑ:ʃəl •] მიუკერძოებული განმარტება
incorrect • [ɪn'kərekt •] არასწორი განმარტება
judicial • [ʤu'dɪʃəl •] სასამართლო განმარტება
latitudinal (latitudinarian) • ['lætɪtju:dɪnəl ('lætɪtju:dɪnɛərɪən) •] განურკვეობითი განმარტება
legal • ['li:gəl •] I. ოფიციალური განმარტება; 2. აუთენტური განმარტება; 3. სასამართლო პრაქტიკით გამომუშავებული განმარტება
liberal • ['lɪbərəl •] განურკვეობითი განმარტება
limited • ['lɪmɪtɪd •] რესტრიქციული განმარტება
literal • ['lɪtərəl •] ზუსტი განმარტება
loose • [lu:s •] განურკვეობითი განმარტება
misleading • [ˌmɪs'li:dɪŋ •] შეცდომაში შემყვანი განმარტება
mistaken • [mɪ'steɪkn •] მცდარი განმარტება
narrow • ['nærəʊ •] ვიწრო განმარტება
orthodox • ['ɔ:θədɔks •] ტრადიციული განმარტება
predestined • [ˌpri:'destɪnd •] წინასწარ აკეთებული განმარტება
prejudicial • [ˌpreʤu'dɪʃəl •] წინასწარ შექმნილი აზრით განმარტება
purposive • ['pə:pəs •] მიზანმიმართული განმარტება
restrictive • [rɪ'strɪktɪv •] რესტრიქციული განმარტება
statutory • ['stætʃətrɪ •] I. თვით კანონში შესული განმარტება; 2. კანონის განმარტება
strict • [strɪkt •] მკაცრი, რესტრიქციული განმარტება
true • [tru: •] სწორი, მართებული განმარტება
verbal • ['və:bəl •] ზუსტი, სიტყვასიტყვითი განმარტება
wrong [rɔŋ •] არასწორი განმარტება

interpretative [ɪn'tə:prɪtətɪv] *adj.* განმარტებითი, განმარტების შემცველი

interpreter [ɪn'tə:prɪtə] *n.* I. პირი ან ორგანო, სამართლის ნორმის განმმარტავი; 2. თარჯიმანი

interregnum [ˌɪntə'regnəm] *n.* უმეფობის ხანა *(ერთი მეფის სიკვდილსა და ახალი მეფის ტახტზე ასვლას შორის დროის მონაკვეთი)*

interrex *ლათ.* სახელმწიფოს დროებითი მმართველი

interrogate [ɪn'terəgeɪt] *v.* დაკითხვა, გამოკითხვა, კითხვების დასმა ◊ **to • on oath** [tu • ɔn ɔuθ] დაკითხვა ფიცის დადებით, რომ იტყვის მხოლოდ სიმართლეს; **to • secretly** [tu • 'si:krətlɪ] საიდუმლო დაკითხვა

interrogatee [ɪnˌterəgə'ti:] *n.* ის, ვინც იკითხება; დასაკითხი

interrogation [ɪnˌterə'geɪʃən] *n.* დაკითხვა, გამოკითხვა
abusive • [ə'bju:sɪv •] დაკითხვა შეურაცხმყოფელი მეთოდების გამოყენებით
compulsory • [kəm'pʌlsərɪ •] იძულებითი მეთოდით პასუხის გაცემინება დასმულ კითხვებზე; დაკითხვა იძულების წესით
custodial • [kʌ'stəʊdɪəl •] ბადრაგის, ზედამხედველის ქვეშ მყოფი პირის დაკითხვა
field • [fi:ld •] დაკითხვა შემთხვევის

ადგილას
in-custody * [ɪn-ˈkʌstədɪ *] *იხ.* **custodial interrogation**
police * [pəˈliːs *] პოლიციის მიერ დაკითხვა: პოლიციური დაკითხვა, დაკითხვა პოლიციაში
pretrial * **of witness** [prɪˈtraɪəl * ɔv ˈwɪtnəs] *ამერ.* მოწმეების გამოკითხვა *(სამოქალაქო საქმეებზე)* სასამართლო გარჩევის დაწყებამდე
random * [ˈrændəm *] უწესრიგო, არათანმიმდევრული დაკითხვა
suggestive * [səˈʤestɪv *] მისახუცდრი დაკითხვა
interrogator [ɪnˈterəgeɪtə] *n.* პირი, რომელიც ა(ა)რმოებს დაკითხვას, გამოკითხვას; გამომძიებელი
criminal * [ˈkrɪmɪnəl *] პირი, რომელსაც მაჭაჭს დაკითხვა სისხლის სამართლის საქმეზე; გამომძიებელი, დეტექტივი
interrogatories [ˌɪntəˈrəgeɪtərɪz] *n* მოწმეების ან მხარეების წერილობითი გამოკითხვა: ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის წერილობით დასმული კითხვები სამოქალაქო პროცესის დროს, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს ფიცის დადებით
direct * [daɪˈrekt *] წარმოდგენილი მხარის მოწმის წერილობითი გამოკითხვა
interrogatory [ˌɪntəˈrɔgətərɪ] *n.* კითხვარი, დაკითხვის ფურცელი
in terrorem *ლათ.* ტერორის გამოსაწვევად *(გამოიყენება, როდესაც კონტრაქტში მუქარა იგულისხმება, რა შემთხვევაშიც კონტრაქტი ძალადაკარგულია)*
interrupt [ˌɪntəˈrʌpt] *v.* 1. შეწყვეტინება *(საუბრის)*; წინააღმდეგობის გაწევა, დაბრკოლება, ხელის შეშლა; 2. *n.* ნარევა
interruption [ˌɪntəˈrʌpʃən] *n.* 1. დროებით შეწყვეტა; შეწყვეტა; 2. შეწყვეტინება *(პროცესის)*; შეწერება, ხელის შეშლა
interstate [ˈɪntəsteɪt] *n.* 1. სახელმწიფოთაშორისი 2. შტატთაშორისი *(აშშ-ში)*
interval [ˈɪntəvl] *n.* ინტერვალი, შუალედი
lucid * [ˈluːsɪd *] ნათელი შუალედი, შუქიანობის პერიოდი *(რომლის დროსაც სულით ავადმყოფს შეუძლია ნათლად იურიდიული ქმედება)*
priority * [ˈpraɪərətɪ *] *პატ.* პრიორიტეტული პერიოდი
intervene [ˌɪntəˈviːn] *v.* 1. ჩარევა; ინტერვენციის განხორციელება; 2. პროცესში ჩაბმა
intervener [ˌɪntəˈviːnə] *n.* 1. ინტერვენტი *(ინტერვენციის მონაწილე ან ორგანიზატორი, დამპყრობელი)*; 2. პროცესში ჩაბმული მხარე *(სასამართლო პროცესში საქმის მონაწილე ერთ-ერთი მხარე)*
intervention [ˌɪntəˈvenʃən] *n.* 1. ჩარევა; ინტერვენცია; 2. პროცესში ჩაბმა
• of right [• ɔv raɪt] უფლებით ჩაბმა, პროცესში ჩაბმა, რომელიც წარმოადგენს მესამე პირის უფლებას
crisis * [ˈkraɪsɪs *] პოლიციის ჩარევა ოჯახურ კონფლიქტში
permissive * [pəˈmɪsɪv *] მესამე პირის ჩაბმა, მონაწილეობის მიღება სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნებაროთით
interventional [ˌɪntəˈvenʃənəl] *adj.* ინტერვენციონისტული
interventionist [ˌɪntəˈvenʃənɪst] *იხ.* **intervener**
interview [ˈɪntəvjuː] 1. *n.* გამოკითხვა; ინტერვიუ; 2. *v* გამოკითხვის წარმოება, ინტერვიუს ჩამორომება
absentee * [ˌæbsənˈtiː *] საუბარი გამოუცხადებლობის მიზეზის გამორკვევის მიზნით
criminal * [ˈkrɪmɪnəl *] გამოკითხვა სისხლის სამართლის საქმეზე
field * [fiːld *] გამოკითხვა შემთხვევის ადგილას
without-prejudice * [wɪˈðaʊt ˈprecʊdɪs *] ‖. მოუკრძალებელი გამოკითხვა; 2. გამოკითხულის უფლებაზე ხიანის მიუკნებლობის პირობით გამოკითხვა
inter vivos gift *ლათ.* სანუქრის გადაცემა სიცოცხლეში.
inter vivos transfer *ლათ.* საკუთრების გადაცემა სიცოცხლეში.
inter vivos trust *ლათ.* რწმუნების ფონდი სიცოცხლეში
interweave trust with falsehood [ˌɪntəˈwiːv trʌst wɪð ˈfɔːlshuːd] სიცრუის ნარევი მართალ მონათხრობში
intestable [ɪnˈtestəbl] *adj.* 1. პირი, რომელსაც არა აქვს ანდერძის გადაცემის შესაძლებლობა, უნარი, უფლება *(მაგ.*

მთავრებულის, ნებით გადადგომის, არასრულწლოვანის და ა.შ.]; 2. საანდერძო უფლებაუნარიანობის არმქონე; 3. სასამართლოში მოწმედ ყოფნის შეუძლებლობა

intestability [ɪnˌtestəˈbɪlətɪ] *n.* 1. უუნარობა, იყოს მეანდერძე; 2. საანდერძო უფლებაუნარიანობის არქონა; 3. უუნარობა, იყოს მოწმე სასამართლოში

intestacy [ɪnˈtestəsɪ] *n.* 1. ანდერძის არარსებობა; 2. გარდაცვალება ანდერძის დატოვების გარეშე

intestate [ɪnˈtesteɪt] *adj.* გარდაცვლილი ანდერძის დატოვების გარეშე

intimation [ˌɪntɪˈmeɪʃən] *n.* 1. შეტყობინება, ცნობება მხარისთვის საქმის მოსმენის დაწყების შესახებ; 2. ცნობა უწყება; 3. ნუკება, 4. გადაკრული სტრიქონი, ქარაგმა

intimidate [ɪnˈtɪmɪdeɪt] *v.* შეშინება, დაშინება

intimidation [ɪnˌtɪmɪˈdeɪʃən] *n* შეშინება, დაშინება

clandestine • [klænˈdestɪn •] საიდუმლო დაშინება

overt • [əuˈvɜːt •] ღია დაშინება

witness • [ˈwɪtnəs •] მოწმის დაშინება

intoxicated [ɪnˈtɔksɪkeɪtɪd] *adj. (ნარკოტიკული)* ინტოქსიკაციის მდგომარეობაში მყოფი; მთვრალი, ალკოჰოლური

driving while • [ˈdraɪvɪŋ waɪl •] აკომანქანის მართვა მთვრალ, ინტოქსიკაციის მდგომარეობაში

intoxication [ɪnˌtɔksɪˈkeɪʃən] *n (ნარკოტიკული)* ინტოქსიკაცია; სიმთვრალე, დათრობა; მოწამვლა ◊ **in a state of** • [ɪn ə steɪt əv •] ნარკოტიკული ინტოქსიკაციის მდგომარეობაში; სიმთვრალის მდგომარეობაში; • **from alcohol** [• frɔm ˈælkəhɔl] ინტოქსიკაცია ალკოჰოლისგან, სიმთვრალე; • **from drug** [• frɔm drʌg] ნარკოტიკული ინტოქსიკაცია

advenced state of • [ədˈvɑːnst steɪt əv •] უმაღლესი ხარისხის სიმთვრალე

alcoholic • [ˌælkəˈhɔlɪk •] დათრობა

drug • [drʌg •] ნარკოტიკული ინტოქსიკაცია

public • [ˈpʌblɪk •] საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა

self-induced • [selfɪnˈdjuːst •] ნებაყოფლობით საკუთარი თავის დათრობა

voluntary • [ˈvɔləntərɪ •] ნებაყოფლობითი ინტოქსიკაცია

intoxilyzer [ɪnˈtɔksɪlaɪzə] *n.* სისხლში ალკოჰოლის დასადგენი ხელსაწყო

in transitu *ლათ.* გზაში, გადატანისას

intra vires *ლათ.* კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილების ფარგლებში, დადგენილი უფლებების ფარგლებში, დასაშვებ ფარგლებში

intrinsic [ɪnˈtrɪnsɪk] *adj.* ნეკუსი; დამახასიათებელი, ნიშანდობლივი; შინაგანი ◊ • **evidence** [• ˈevɪdəns] მტკიცებულება, რომელიც გამოიყენება დოკუმენტის განმარტებისთვის და რომლის ჰოვნა თვით ამ დოკუმენტშია შესაძლებელი; • **value** [• ˈvæljuː] ჯეშმარიტად ნამდვილი ღირებულება

intrinsically dangerous [ɪnˈtrɪnsɪkəlɪ ˈdeɪnʤərəs] საშიში თავისი თვისებებით

introduce [ˌɪntrəˈdjuːs] *v.* 1. განსახილველად შეტანა *(მაგ. კანონპროექტისა პარლამენტში)*; 2. ბრუნვაში შეკვანა; დანერგვა *(გამოგონებისა)*; 3. წარდგენა ◊ **to** • **a bill** [tu • ə bɪl] კანონპროექტის შეტანა; **to** • **a resolution** [tu • ə ˌrezəˈluːʃən] რეზოლუციის შეტანა; **to** • **a witness** [tu • ə ˈwɪtnəs] მოწმის წარდგენა; **to** • **evidence** [tu • ˈevɪdəns] მტკიცებულების წარდგენა; **to** • **into evidence** [tu • ˈɪntə ˈevɪdəns] მტკიცებულების სახით წარდგენა, მტკიცებულებებთან დართვა; **to** • **legislation** [tu • ˌleʤɪsˈleɪʃən] კანონპროექტის შეტანა

introduction [ˌɪntrəˈdʌkʃən] *n.* 1. განსახილველად შეტანა *(მაგ. კანონპროექტისა პარლამენტში)*; 2. ბრუნვაში შეტანა; დანერგვა *(გამოგონებისა)*; 3. წარდგენა ◊ • **to as evidence** [• tu əs ˈevɪdəns] მტკიცების სახით წარდგენა; • **into evidence** [• ɪntə ˈevɪdəns] მტკიცებულებებთან დართვა

• **of bill** [• əv bɪl] კანონპროექტის შეტანა

• **of evidence** [• əv ˈevɪdəns] მტკიცებულების წარდგენა

• **of legislation** [• əv ˌleʤɪsˈleɪʃən] კანონპროექტის შეტანა

• **of resolution** [• əv ˌrezəˈluːʃən] რეზოლუციის შეტანა

• of witness [• ɔv ˈwɪtnəs] მოწმის წარდგენა
intromission [ˌɪntrəˈmɪʃən] *n.* 1. *შოტლ.* სხვისი საქმეების წარმოება; 2. *იხ.* **introduction, admission**
intromit [ˌɪntrəˈmɪt] *v.* 1. *შოტლ.* სხვისი საქმეების წარმოება
intrude [ɪnˈtruːd] *v.* 1. შეჭრა, ჩარევა, დარღვევა; ხელყოფა; 2. კანონიერი მესაკუთრის მფლობელობაში შესვლამდე უძრავი ქონების არამართლზომიერად დაუფლება
intrusion [ɪnˈtruːʒən] *n.* 1. შეჭრა, ჩარევა, დარღვევა, ხელყოფა; 2. კანონიერი მესაკუთრის მფლობელობაში შესვლამდე უძრავი ქონების არამართლზომიერი დაუფლება
criminal • [ˈkrɪmɪnəl •] დანაშაულებრივი შეჭრა, ჩარევა, დარღვევა, ხელყოფა
police • [pəˈliːs •] პოლიციის შეჭრა, პოლიციის ჩარევა; დარღვევა, ხელყოფა პოლიციის მხრიდან
intrust [ɪnˈtrʌst] *v.* მინდობა, დაკისრება, დავალება
inure [ɪˈnjuə] *v.* ძალაში შესვლა, იურიდიული ძალის ქონა ◊ **to • to smb's benefit** [tu • tu ˈsʌmbədɪz ˈbenɪfɪt] ვინმესთვის სარგებლობის მოტანა
invade [ɪnˈveɪd] *v.* 1. შეჭრა; ოკუპირება; 2. უფლებების ხელყოფა
invalid [ˈɪnvælɪd] *adj.* 1. იურიდიულად ბათილი; ძალის არმქონე, ძალადაკარგული, უკანონო; 2. *n.* ინვალიდი
invalidate [ɪnˈvælɪdeɪt] *v.* 1. გაბათილება, ბათილად აღიარება; 2. კანონიერი ძალის წართმევა, გაუქმება; 3. სახელის გატეხა
invalidation [ɪnˌvælɪˈdeɪʃən] *n.* იურიდიული ძალის ჩამორთმევა, კანონიერი ძალის დაკარგვა; სახელის გატეხა; ბათილად აღიარება
invalidity [ˌɪnvəˈlɪdəti] *n.* 1. იურიდიული ბათილობა, იურიდიული ძალის არარსებობა; 2. ინვალიდობა
invasion [ɪnˈveɪʒən] *n.* 1. შეჭრა, ჩარევა, დაპყრობა, ოკუპაცია; 2. დარღვევა, ხელყოფა *(უფლების)*
• of privacy [• ɔv ˈprɪvəsi] პირად ცხოვრებაში ჩარევა
foreign • [ˈfɔrən •] უცხო ქვეყნის შეჭრა
home • [həʊm •] *(მართლსაწინააღმდეგო)* შეჭრა სახლში
unwarranted • of privacy [ʌnˈwɔrəntɪd • ɔv ˈprɪvəsi] პირად ცხოვრებაში ნებართვის გარეშე ჩარევა
warranted • of privacy [ˈwɔrəntɪd • ɔv ˈprɪvəsi] პირად ცხოვრებაში ჩარევა ნებართვის საფუძველზე, კანონიერად
inveigle [ɪnˈveɪgl] *v.* შეტყუება, მიტყუება, შეცდენა დანაშაულებრივ საქმიანობაში
invent [ɪnˈvent] *v.* 1. გამოგონება; 2. შეთხზვა, გამოგონება *(ამბისა)*
invention [ɪnˈvenʃən] *n.* 1. გამოგონება 2. შეთხზვა *(საქმის, ამბების)*
employee's • [ɪmˈplɔɪiːz •] სამსახურებრივი გამოგონება
joint • [ʤɔɪnt •] ერთობლივი, კოლექტიური გამოგონება
main • [meɪn •] მთავარი გამოგონება
registered • [ˈrɛʤɪstəd •] დაპატენტებული გამოგონება
service • [ˈsəːvɪs •] სამსახურებრივი გამოგონება
unassembled • [ˌʌnəˈsembld •] დანაწევრებული სახით გამოგონების ობიექტის ყველა ელემენტი
vicious • [ˈvɪʃəs •] გამოგონება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ ზნეობას
inventor [ɪnˈventə] *n.* 1. გამომგონებელი; 2. პირი, რომელმაც შეთხზა საქმე, ამბავი
actual • [ˈæktʃuəl •] ნამდვილი გამომგონებელი
employee • [ɪmˈplɔiː •] სამსახურებრივი გამოგონების ავტორი
fellow • [ˈfeləʊ •] გამოგონების თანაავტორი
independent • [ˌɪndɪˈpendənt •] დამოუკიდებელი, ინდივიდუალური გამოგონება, არასამსახურებრივი გამოგონების ავტორი
true • [truː •] ნამდვილი გამომგონებელი
inventor(ies)y [ˈɪnvəntər(ɪz)i] *n.* 1. ინვენტარი; სია *(გასაყიდი, გასაჩრაგებელი და ა.შ. საგნების, ნივთების, ქონების)*; 2. ინვენტარიზაციის უწყისი; 3. მატერიალურ-სასაქონლო მარაგები; 4. კომპანიის საქონლის, ნედლეულისა და მზა პროდუქციის მარაგები; 5. აღწერა,

რეესტრი; 6. *v.* ინვენტარიზაცია, ინვენტარის აღწერა, ინვენტარში შეტანა
• of property |• ɔv ˈprɔpətɪ| ქონების აღწერა
turnover |ˌtɜːnˈəʊvə| მარაგების მოძრაობა; სასაქონლო მარაგების ბრუნვა
goods-in-process • |gʊdz-ɪn-ˈprəʊsəs •| დაუმთავრებელი წარმოება *(მატერიალური ფასეულობების მოცულობა წარმოებაში)*
written • |ˈrɪtn •| ჩხრეკისას აღმოჩენილი ქონებისა და დოკუმენტების აღწერა
invest |ɪnˈvest| *v.* 1. ინვესტირება, დაბანდება; 2. აღჭურვა *(უფლებამოსილების)*; 3. გადაცემა *(ორდენის)* ◊ **to • with powers** |tu • wɪð ˈpaʊəz| უფლებამოსილებით აღჭურვა
investigate |ɪnˈvestɪgeɪt| *v.* 1. გამოძიება; 2. შესწავლა *(საკითხის)*; 3. განხილვა *(საქმის)* ◊ **to • a charge** |tu • ɔ ʧɑːʤ| სისხლის სამართლის საქმის გამოძიება; **to • a crime** |tu • ɔ kraɪm| დანაშაულის გამოძიება
investigation |ɪnˌvestɪˈgeɪʃən| *n.* 1. გამოძიება; 2. მოკვლევა; შესწავლა *(საკითხის)*; 3. განხილვა *(საქმის)* ◊ **area for •** |ɛərɪə fɔː •| გამოძიების სფერო; **• the trial** |• ðə ˈtraɪəl| სასამართლო გამოძიება; **• by default** |• baɪ dɪˈfɔːlt| *(საქმის)* დაუსწრებელი განხილვა; **to mount an •** |tu maʊnt ən •| გამოძიების დაწყება; **to pursue •** |tu pəˈsjuː •| გამოძიების წარმოება
• of accident |• ɔv ˈæksɪdənt| უბედური შემთხვევის გამოძიება
• of crime |• ɔv kraɪm| დანაშაულის გამოძიება, სისხლის სამართლის საქმის გამოძიება
active • |ˈæktɪv •| წარმოებული გამოძიება
additional • |əˈdɪʃənl •| დამატებითი გამოძიება
attorney's |əˈtɜːnɪz •| *ამერ.* გამოძიება, რომელსაც ა(წ)არმოებს სახელმწიფო ატორნეი
background • |ˈbækgraʊnd •| ძველი დანაშაულის შესწავლა
case • |keɪs •| საქმის გამოძიება
civil • |ˈsɪvl •| სამოქალაქო საქმის გამოძიება
clandestine • |klænˈdestɪn •| საიდუმლო გამოძიება
collateral • |kɔˈlætərəl •| საქმის ირიბი გარემოებების გამოძიება
committee • |kɔˈmɪtɪ •| გამოძიება *(სასარისკვლებლო ორგანოს)* კომიტეტის მიერ
community • |kɔˈmjuːnɔtɪ •| დამნაშავის გარემოს შესწავლა *(რომელშიც იგი იმყოფება)*
complete • |kɔmˈpliːt •| დასრულებული გამოძიება
congressional • |kɔnˈgreʃənl •| გამოძიება კონგრესში, გამოძიება წარმომადგენელთა პალატაში
continuing • |kɔnˈtɪnjuːɪŋ •| გამოძიება, რომელიც გრძელდება *(გამოძიების პროცესში)*
coroner's • |ˈkɔrənəz •| კორონერული გამოძიება
crime (criminal) • |kraɪm (ˈkrɪmɪnəl) •| დანაშაულის გამოძიება; სისხლის სამართლის საქმის გამოძიება
detective • |dɪˈtektɪv •| გამოძიება, წარმოებული სისხლის სამართლის პოლიციის მიერ; დეტექტიური გამოძიება
dismissed • |dɪsˈmɪst •| შეწყვეტილი გამოძიება; გამოძიების შეწყვეტა
domestic • |dɔˈmestɪk •| 1. ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულის გამოძიება; 2. შიდა *(ქვეყნის საზღვრებში)* გამოძიება
dropped • |ˈdrɔpt •| შეწყვეტილი გამოძიება; გამოძიების შეწყვეტა
drug • |drʌg •| ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის გამოძიება
duplicative • |ˈdjuːplɪkətɪv •| განმეორებითი გამოძიება; დუბლირებული გამოძიება
field • |fiːld •| გამოძიება შემთხვევის *(დანაშაულის)* ადგილზე; გამოძიება ცხელ კვალზე
final • |ˈfaɪnl •| გამოძიების ბოლო ეტაპი
follow-up • |ˈfɔləʊ-ʌp •| გამოძიების მეორადი ეტაპი; გამოძიება "ცივ კვალზე"
foreign • |ˈfɔrən •| 1. გამოძიება, წარმოებული უცხო ქვეყნის საგამოძიებლო ორგანოს მიერ; 2. საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება
full-scale • |ful-skeɪl •| სრული გამოძი-

ება, გამოძიება სრული მოცულობით, მასშტაბით
further * [ˈfɜːðə *] შემდგომი გამოძიება
future * [ˈfjuːʧə *] დაგეგმილი დანაშაულის გამოძიება
government * [ˈgʌvənmənt *] სამთავრობო გამოძიება
grand * [grænd *] გამოძიება დიდი ჟიურის მიერ
home * [həum *] გამოძიება ოჯახში, ოჯახური გამოძიება
House * [haus *] *ამერ.* გამოძიება წარმომადგენლობა პალატის მიერ
initial * [ɪˈnɪʃəl *] საწყისი, თავდაპირველი გამოძიება
internal * [ɪnˈtɜːnl *] ი. ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულის გამოძიება 2. შიდა *(ქვეყნის ფარგლებში)* გამოძიება
internal security * [ɪnˈtɜːnl sɪˈkjuərətɪ *] ქვეყნის შიდა უსაფრთხოების ხელყოფაზე საქმის გამოძიება
introductory * [ˌɪntrəˈdʌktərɪ *] წინასწარი გამოძიება
judicial * [ʤuːˈdɪʃl *] სასამართლო გამოძიება
latent * [ˈleɪtənt *] ფარული, ლატენტური გამოძიება
later * [ˈleɪtə *] ი. გამოძიების შემდეგი, მომდევნო ეტაპი; 2. განმეორებითი გამოძიება
law enforcement * [lɔː ɪnˈfɔːsmənt *] *ამერ.* პოლიციური გამოძიება
lawful * [ˈlɔːful *] გამოძიება კანონიერ საფუძველზე
legal * [ˈliːgəl *] ი. საქმის გამოძიება; 2. საქმის განხილვა
legislative * [ˈleʤɪslətɪv *] გამოძიება საკანონმდებლო ორგანოს მიერ
major * [ˈmeɪʤə *] სერიოზული, მძიმე კატეგორიის საქმის გამოძიება
ongoing * [ɔnˈgəuɪŋ *] გამოძიება *(გამოძიების)* პროცესში
parallel * [ˈpærəlel *] პარალელური გამოძიება
parliamentary * [ˌpɑːləˈmentərɪ *] საპარლამენტო გამოძიება
patrol * [pəˈtrəul *] საპატრულო პოლიციის მოკვლევა
pending * [ˈpendɪŋ *] დაუმთავრებელი გამოძიება
personal * [ˈpɜːsnl *] გამოძიება, წარმოებული კერძო პირის მიერ
police * [pəˈliːs *] პოლიციური გამოძიება
preliminary * [prɪˈlɪmɪnərɪ *] ი. წინასწარი გამოძიება, *(საპატრულო პოლიციის)* მოკვლევა; 2. წინასწარი სასამართლო გამოძიება *(საქმეში მოწმე-ბრალმდებლის ჩართვამდე)*
preparole * [prɪˈpərəul *] საქმის შესწავლა პირობით-ვადამდე განთავისუფლების საკითხის გადაწყვეტის
presentence * [prɪˈsentəns *] საქმის შესწავლა *(დამნაშავის პიროვნების და ცხოვრების გარემოებების)* განაჩენის გამოტანამდე
presentence * and report [prɪˈsentəns * ænd rɪˈpɔːt] საქმის შესწავლა და საქმის მოხსენება განაჩენის გამოტანამდე
pre-trial * [prɪ-ˈtraɪəl *] ი. წინასწარი გამოძიება; 2. სასამართლომდელი გამოძიება
private * [ˈpraɪvɪt *] კერძო გამოძიება
prosecutorial * [ˌprɔsɪˈkjuːtərɪəl *] გამოძიება, წარმოებული *(სასამართლოში)* ბრალმდებლის მიერ
Senate * [ˈsenɪt *] სენატის კომიტეტის ან ქვეკომიტეტის გამოძიება
sensitive * [ˈsensɪtɪv *] გამოძიება, რომელსაც მოჰყვება სახელმწიფო, დიპლომატიური ან სამხედრო საიდუმლოებაზე გასვლა; გამოძიება, რომელსაც მოჰყვება პოლიტიკური შედეგები
social * [ˈsəuʃəl *] სოციალური გამოძიება *(პრობაციის ოფიცრის მიერ)*
special * [ˈspeʃəl *] სპეციალური გამოძიება
subcommittee * [ˈsʌbkəmɪtɪ *] გამოძიება *(საკანონმდებლო ორგანოს)* ქვეკომიტეტის მიერ
supplementary * [ˌsʌplɪˈmentərɪ *] დამატებითი გამოძიება
unlawful * [ʌnˈlɔːful *] გამოძიება უკანონო საფუძველზე
investigative [ɪnˈvestɪgətɪv] *adj.* საგამოძიებო, სამძებრო ◊ * **branch** [* brɑːnʧ] საგამოძიებო სამსახური, უწყება; *(პოლიციის)* საგამოძიებო აპარატი; * **pattern** [* ˈpætən] გამოძიების გეგმა
investigator [ɪnˈvestɪgeɪtə] *n.* გამომძიებელი ◊ * **in charge** [* ɪn ʧɑːʤ] პასუხისმგებელი გამომძიებელი; გამომძიებე-

ლი თავისი მოვალეობების შესრულებისას; გამომძიებელი; გამოძიების ჩამტარებელი

accident • [ˈæksɪdənt •] უბედური შემთხვევის საქმეების გამომძიებელი

additional • [əˈdɪʃənl •] საქმეზე დამატებითი გამომძიებელი

case • [keɪs •] საქმის გამომძიებელი

chief • [ʧiːf •] მთავარი გამომძიებელი

clandestine • [klænˈdestɪn •] პირი, რომელიც აწარმოებს ფარულ, საიდუმლო გამოძიებას; საიდუმლო საქმის გამომძიებელი

committee • [kəˈmɪti •] გამომძიებელი, რომელიც *(საკანონმდებლო ორგანოში)* იძიებს საქმეს კომიტეტის შემადგენლობაში ან კომიტეტის დავალებით

congressional • [kəŋˈgreʃənəl •] გამომძიებელი, რომელიც იძიებს საქმეს, როგორც წარმომადგენელთა პალატის კონგრესის წევრი ან კონგრესის დავალებით

crime (criminal) • [kraɪm (ˈkrɪmɪnəl) •] გამომძიებელი; სისხლის სამართლის საქმეების გამომძიებელი

detective • [dɪˈtektɪv •] დეტექტივი-გამომძიებელი

domestic • [dəˈmestɪk •] გამომძიებელი, რომელიც წარმართავს შიდა *(ქვეყნის ფარგლებში)* გამოძიებას

drug • [drʌg •] ნარკოტიკულ დანაშაულობათა საქმეების გამომძიებელი

filed • [fɪːld •] გამომძიებელი, რომელიც წარმართავს გამოძიებას შემთხვევის *(დანაშაულის)* ადგილას, ცხელ კვალზე

follow-up • [ˈfɔləʊ-ʌp •] გამომძიებელი, რომელიც ატარებს გამოძიების მეორად ეტაპს, გამოძიებას "ცივ კვალზე"

foreign • [ˈfɔrən •] უცხო ქვეყნის გამომძიებელი

full-scale • [ful-skeɪl •] გამომძიებელი, რომელიც ატარებს გამოძიებას მოცლი მოცულობით *(ფართო მასშტაბით)*

government • [ˈgʌvənmənt •] ი. სახელმწიფო გამომძიებელი; 2. გამომძიებელი - სახელმწიფო საგამოძიებო კომისიის წევრი

grand jury • [grænd ʤʊəri •] გამომძიებელი – დიდი ჟიურის წევრი

home • [həʊm •] გამომძიებელი, რომელიც იძიებს საოჯახო კონფლიქტების შედეგად ჩადენილ დანაშაულებს

House • [haʊs •] გამომძიებელი, როგორც წარმომადგენელთა პალატის წევრი ან წარმომადგენელთა პალატის დავალებით გამოძიების მწარმოებელი

initial • [ɪˈnɪʃəl •] გამომძიებელი, რომელიც აწარმოებს ან აწარმოა საწყისი, თავდაპირველი გამოძიება

internal • [ɪnˈtɜːnl •] შიდა *(ქვეყნის ფარგლებში)* გამოძიების მწარმოებელი გამომძიებელი

internal security • [ɪnˈtɜːnl sɪˈkjʊərətɪ •] ქვეყნის შიდა უსაფრთხოების ხელყოფის საქმის გამომძიებელი

juridicial • [ʤʊəˈrɪdɪkəl •] სასამართლო გამოძიების მწარმოებელი ან სასამართლო გამოძიებაში მონაწილე მოსამართლე

latent • [ˈleɪtənt •] ფარული, ლატენტური გამოძიების მწარმოებელი გამომძიებელი

later • [ˈleɪtə •] ი. გამომძიებელი, რომელმაც საქმე წარმოებაში მიიღო მეორე ეტაპზე; 2. განმეორებითი გამოძიების მწარმოებელი გამომძიებელი

law enforcement • [lɔː ɪnˈfɔːsmənt •] *ამერ.* პოლიციის გამომძიებელი

lawful • [ˈlɔːful •] კანონიერ საფუძველზე წარმოებული გამოძიების გამომძიებელი

legal • [ˈliːgəl •] ი. გამომძიებელი; 2. საქმის განმხილველი მოსამართლე ან სასამართლო

legislative • [ˈleʤɪslətɪv •] გამოძიების მწარმოებელი გამომძიებელი, როგორც საკანონმდებლო ორგანოს წევრი ან საკანონმდებლო ორგანოს დავალებით წარმმართველი გამომძიებელი

major • [ˈmeɪʤə •] მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი

paid • [peɪd •] საშტატო გამომძიებელი, შტატიანი გამომძიებელი

parallel • [ˈpærəlel •] პარალელური გამოძიების მწარმოებელი გამომძიებელი

parliamentary • [ˌpɑːləˈmentərɪ •] გამოძიების მწარმოებელი გამომძიებელი, როგორც პარლამენტის წევრი ან როგორც პარლამენტის დავალებით გამოძიების მწარმოებელი გამომძიებელი

patrol • [pəˈtrəʊl •] საპატრულო პოლი-

ციის მომკვლევი-თანამშრომელი
personal * [ˈpɜːsnl *] კერძო გამომძიებელი
police * [pəˈliːs *] პოლიციის გამომძიებელი
preliminary * [prɪˈlɪmɪnərɪ *] I. წინასწარი გამოძიების, მოკვლევის მწარმოებელი პირი *(სასტრულო პოლიციის თანამშრომელი)*; 2. წინასწარი სასამართლო გამოძიების მოსამართლე ან სასამართლო *(საქმეში მოწმე-ბრალმდებლის ნართვაძდე)*
preparole * [ˌpriːpəˈrəʊl *] პირობით-ვადამდე განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების შემსწავლელი საქმის პირი ან ორგანო
presentence * [prɪˈsɛntəns *] განაჩენის გამოტანამდე საქმის *(განსასჯელის პიროვნებისა და მისი ცხოვრების პირობების)* შემსწავლელი მოსამართლე ან სასამართლო
pre-trial * [prɪːˈtraɪəl *] I. წინასწარი გამოძიების მწარმოებელი; 2. სასამართლომდე საქმის გამოძიების მწარმოებელი გამომძიებელი
racketeering * [ˌrækəˈtɪərɪŋ *] რეკეტის შესახებ საქმის გამომძიებელი, რეკეტის ნიშნების დადგენის შესახებ საქმის წარმმართველი გამომძიებელი
proactive * [ˌprəʊˈæktɪv *] მომზადებული დანაშაულის შესახებ საქმის მწარმოებელი გამომძიებელი
reactive * [rɪˈæktɪv *] ჩადენილი დანაშაულის შესახებ საქმის გამომძიებელი
social * [ˈsəʊʃəl *] სოციალური გამოძიების მწარმოებელი პირი *(პრობაციის აგენტი)*
special * [ˈspeʃəl *] სპეციალური გამომძიებელი
subcommittee * [ˌsʌbkəˈmɪtɪ *] გამოძიების მწარმოებელი გამომძიებელი, როგორც საკანონმდებლო ორგანოს ქვეკომიტეტის წევრი ან როგორც ქვეკომიტეტის დავალებით გამოძიების მწარმოებელი გამომძიებელი
supplementary * [ˌsʌplɪˈmentərɪ *] I. დამატებითი გამოძიების მწარმოებელი, გამომძიებელი; 2. დამატებითი გამომძიებელი
unlawful * [ʌnˈlɔːful *] უკანონო საფუძველზე გამოძიების მწარმოებელი, გამომძიებელი
investiture [ɪnˈvestɪʧə] *n.* I. ალჭურვა *(უფლებამოსილებით)*; 2. თანამდებობაზე დანიშვნა; 3. დაჯილდოება, დასაჩუქრება; 4. შუა საუკუნეებში სუნიორის მიერ თავისი ვასალისათვის მიწის ან რაიმე თანამდებობის გადაცემა სათანადო ცერემონიის შესრულებით; სასულიერო პირის დანიშვნა ეპისკოპოსად და მისთვის საეკლესიო მიწის გადაცემა
investment [ɪnˈvestmənt] *n.* I. ინვესტიცია, კაპიტალდაბანდება, ფულის დაბანდება, განთავსება; 2. ანაბარი; 3. ალჭურვა *(უფლებამოსილებით)*; 4. *pl.* ინვესტიციები; კაპიტალდაბანდებები; 5. *სამხ.* ალყა, ბლოკადა, გარემოცვა ◊ * **banker** [* ˈbæŋkə] საინვესტიციო ბანკირი; * **bank** [* bæŋk] საინვესტიციო ბანკი
* **bill** [* bɪl] საინვესტიციო თამასუქი; * **company** [* ˈkʌmpənɪ] საინვესტიციო კომპანია *(რომელიც სპეციალიზებულია ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვაზე)*; * **contract** [* ˈkɔntrækt] საინვესტიციო კონტრაქტი; შეთანხმება საწარმოში ინვესტიციების შესახებ
capital * [ˈkæpɪtl *] ინვესტიციები; კაპიტალდაბანდებები
investor [ɪnˈvestə] *n.* ინვესტორი, კაპიტალდამბანდებელი
institutional * [ˌɪnstɪˈtjuːʃənl *] ინსტიტუციური ინვესტორი
involuntary [ɪnˈvɔlənt(ə)rɪ] *adj.* არანებაყოფლობითი, იძულებითი, უნებლიე ◊ * **alienation** [* ˈeɪlɪəneɪʃən] ქონების არანებაყოფლობითი გასხვისება; * **confession** [* kənˈfeʃən] იძულებითი, არანებაყოფლობითი აღიარება; * **conveyance** [* kənˈveɪəns] ქონების არანებაყოფლობითი გადაცემა; * **ignorance** [* ˈɪgnərəns] არაბრალეული არცოდნა; * **lien** [* liːən] არანებაყოფლობითი, იძულებითი ვალდებულებები; * **payment** [* ˈpeɪmənt] იძულებითი გადახდა
inviolability [ɪnˌvaɪələbɪlɪtɪ] *n.* ხელშეუხებლობა
* **of frontiers** [* ɔv ˈfrʌntɪəz] საზღვრების დაურღვეველობა
diplomatic * [ˌdɪpləˈmætɪk *] დიპლომატიური ხელშეუხებლობა

inviolable [ɪn'vaɪəlәbl] *adj.* ხელშეუხებელი, ხელშეუხებლობით მოსარგებლე
invitation [ˌɪnvɪ'teɪʃәn] *n.* 1. მოწვევა; 2. შეტყობინება ◊ *** to offer** [* tu 'ɔfə] მოწვევა ოფერტის შესაქმნელად
invite [ɪn'vaɪt] *v.* 1. მოწვევა, მოპატიჟება, დაპატიჟება, თხოვნა; 2. წაქეზება, იძულება, დაყოლიება, პროვოცირება; 3. საკუთარ თავზე აღება
invitee [ɪnvaɪ'ti:] *n.* მოწვეული პირი
invocation [ˌɪnvɔ'keɪʃәn] *n.* 1. გამოძახება, გამოყენება; 2. რამეზე მითითება, გამოყენების მოთხოვნა *(ნორმის, მუხლის, პრეცედენტის და ა.შ.)*; გამოყენება *(ნორმის, მუხლის, პრეცედენტის)*
invoice ['ɪnvɔɪs] 1. *n.* ანგარიშ-ფაქტურა, ზედნადები, ინვოისი; 2. *v.* ანგარიშფაქტურის წარდგენა, ინვოისირება ◊ **to make out an *** [tu meɪk aut ɔn *] ფაქტურის გამოწერა
executive * [ɪgˈzekjʊtɪv *] აღმასრულებელი ხელისუფლება
express *s [ɪksˈpres * z] პირდაპირ წინასწარ შეთანხმებული სრულუფლებიანობა; *ამერ.* აშშ-ის კონსტიტუციით სპეციალურად წინასწარ შეთანხმებული ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების სრულუფლებიანობა
extramural *s [ˌekstrəˈmjʊərəl *z] მუნიციპალური კორპორაციის მიერ მისი საზღვრებს გარეთ განხორციელებადი უფლებები
fact-finding * [ˌfækt-ˈfaɪndɪŋ *] ფაქტის დადგენისთვის გამოძიების წარმოების უფლება
federal *s [ˈfedərəl *z] *ამერ.* ფედერალური ხელისუფლების სრულუფლებიანობა, უფლებამოსილება
foreign * [ˈfɔrən *] უცხო ქვეყანა, სახელმწიფო
formal * [ˈfɔːməl *] ოფიციალური სრულუფლებიანობა, ოფიციალური უფლებამოსილება, უფლება
full *s [ful *z] *(ზოგადი)* სრულუფლებიანობა, სრული უფლებამოსილება
general * **of attorney** [ˈʤenərəl * ɔv əˈtɜːnɪ] საერთო მინდობილობა
granted *s [grɑːntɪd *z] ნაწყალობევი, ბოძებული სრულუფლებიანობა; დელეგირებული სრულუფლებიანობა
great * [greɪt *] უდიდესი სახელმწიფო
hostile * [ˈhɔstaɪl *] მტრული სახელმწიფო
implied *s [ɪmˈplaɪd *] ნაგულისხმევი უფლებამოსილება; *ამერ.* კონსტიტუციიდან ირიბად გამომდინარე ფედერალური მთავრობის სრულუფლებიანობა
inherent *s [ɪnˈhɪərənt *z] *ამერ.* "ნეეული სრულუფლებიანობა", ე.ი. ფედერალური მთავრობის სრულუფლებიანობა, რომელიც ჩამოთვლილი არ არის კონსტიტუციაში, მაგრამ გამომდინარეობს კონსტიტუციიდან
judg(e)ment-making * [ˈʧʌʤmənt-ˈmeɪkɪŋ *] *(სასამართლო)* გადაწყვეტილების გამოტანის, მიღების უფლება
judg(e)ment-passing * [ˈʧʌʤmənt-ˈpɑːsɪŋ *] *(სასამართლო)* გადაწყვეტილების გამოტანის, მიღების უფლება
judicial * [ʤuˈdɪʃəl *] სასამართლო ხელისუფლება
judiciary *s [ʤuˈdɪʃɪərɪ *] სასამართლო უფლებამოსილება
law-executing * [ˌlɔːˈeksɪˈkjuːtɪŋ *] კანონის აღსრულების უფლება
law-interpreting * [ˌlɔːˈɪnˈtɜːprətɪŋ *] კანონების განმარტების უფლება
law-making * [ˌlɔːˈmeɪkɪŋ *] კანონმდებლობის უფლება
legal * [ˈliːgəl *] სრულუფლებიანობა, უფლებამოსილება დარეგულირებული სამართლით; იურიდიული უფლება
legislative * [ˈleʤɪslətɪv *] საკანონმდებლო ხელისუფლება
licensing * [ˈlaɪsənsɪŋ *] ლიცენზიის მინიჭების უფლება
mandatory * [ˈmændətərɪ *] *pl.* სამანდატო უფლებამოსილება, სახელმწიფომანდატორის უფლებამოსილებანი
maritime * [ˈmærɪtaɪm *] საზღვაო სახელმწიფო, საზღვაო ქვეყანა
mental * [ˈmentl *] გონებრივი შესაძლებლობანი

merged *s [ˈmɜːʤd *z] შერწყმული უფლებამოსილება, სრულუფლებიანობა
military * [ˈmɪlɪtərɪ *] სამხედრო ხელისუფლება
monarchical * [mɔˈnɑːkɪkl *] მონარქიული ხელისუფლება
municipal * [mjuːˈnɪsɪpl *] 1. მუნიციპალიტეტის კომპეტენცია; 2. მუნიციპალური ხელისუფლება; მუნიციპალიტეტი
naked *s [ˈneɪkɪd *z] პრინციპალის ინტერესებში წარმოდგენილი სრულუფლებიანობა
national * [ˈnæʃnəl *z] *ამერ.* ფედერალური ხელისუფლება
normal *s [ˈnɔːml *z] ჩვეულებრივი სრულუფლებიანობა, უფლებიანობა
official * [əˈfɪʃl *] თანამდებობრივი უფლებამოსილება
official *s **and duties** [əˈfɪʃl *z ænd ˈdjuːtɪz] თანამდებობრივი უფლებები და მოვალეობები
organic *s [ɔːgˈænɪk *z] ორგანული უფლებები, საკონსტიტუციო უფლებამოსილება
pardoning * [ˈpɑːdənɪŋ *] შეწყალების უფლება
parental * [pəˈrentl *] მშობლის უფლებამოსილება, მამის უფლებამოსილება, ძალაუფლება
parliamentary * [ˌpɑːləˈmentərɪ *]1. საპარლამენტო კომპეტენცია; 2. საპარლამენტო ხელისუფლება
paternal * [pəˈtɜːnl *] მშობლის ძალაუფლება, მამის ძალაუფლება
plenary * [ˈpliːnərɪ *] *იხ.* **full powers**
police * [pəˈliːs *] 1. წესრიგის დაცვის განხორციელების უფლება, პოლიციის უფლება; 2. პოლიციის ძალაუფლება, უფლებამოსილება
political * [pəˈlɪtɪkl *] პოლიტიკური ძალაუფლება, სახელმწიფო ხელისუფლება
prerogative * [prɪˈrɔgətɪv *] პრეროგატივა, განსაკუთრებული უფლება
prerogative *s **of the Crown** [prɪˈrɔgətɪv *z ɔv ðə kraun] გვირგვინის პრეროგატივა
presidential * [ˌprezɪˈdenʃəl *] 1. საპრეზიდენტო ძალაუფლება, ხელისუფლება; 2. *pl.* პრეზიდენტის სრულუფლებიანობა, უფლებამოსილება
pretended * [prɪˈtendɪd *] უფლებამოსილებაზე მითითება
pretrial * [prɪˈtraɪəl *] სასამართლო განხილვამდე მოქმედების უფლებამოსილება
protective * [prəˈtektɪv *] დაცვის უფლება, დამცველის ფუნქციები
reasoning * [ˈriːzənɪŋ *] გონებრივი უნარი, აზროვნება
recall * [rɪˈkɔːl *] გამოხმაურების უფლება
removal * [rɪˈmuːvl *] თანამდებობიდან გადაყენების უფლება
reserved *s [rɪˈzɜːvd *z] რეზერვირებული უფლებამოსილება; *(აშშ-ში კონსტიტუციით)* შტატების მიერ დაცული უფლებები
residential *s [ˌrezɪˈdenʃəl *z] უფლებამოსილება, გამომდინარე რეზიდენტობიდან
residual (residuary) *s [rɪˈzɪdjuəl (rɪˈzɪdjuərɪ) *z] ნარჩენი უფლებამოსილება *(კერძოდ, შტატების მიერ შენარჩუნებული უფლებამოსილება მათი ფედერაციაში გაერთიანების შემდეგ)*
resulting *s [rɪˈzʌltɪŋ *z] კანონის დებულებიდან ან სხვა უფლებამოსილებიდან გამომდინარე უფლებამოსილებანი; *ამერ.* ფედერალური მთავრობის უფლებამოსილებათა კომპლექსისაგან *(განმარტების გ ნით)* გამომდინარე უფლებამოსილება
royal * [ˈrɔɪəl *] სამეფო ძალაუფლება, ხელისუფლება
rule-making *s [ˌruːlˈmeɪkɪŋ *z] ნორმათშემოქმედების უფლებამოსილება
signatory * [ˈsɪgnətrɪ *] ხელმომწერი *(საერთაშორისო შეთანხმება)* სახელმწიფო, სახელმწიფო-სიგნატორი
sole * [səʊl *] პრეროგატივა, განსაკუთრებული უფლება
sovereign * [ˈsɔvrɪn *] 1. სუვერენული უფლება; 2. სუვერენული ხელისუფლება
special * **of attorney** [ˈspeʃəl * ɔv əˈtɜːnɪ] სპეციალური მინდობილობა
state * [steɪt *] 1. სახელმწიფო ხელისუფლება; 2. შტატის ხელისუფლება
statute-making * [ˈstætʃuːt-ˈmeɪkɪŋ *] სტატუტის მიღების უფლება; კანონ-

შემოქმედება, კანონმდებლობა
statutory • [ˈstætʃətri •] კანონით უსრულებელყოფილი უფლება
"stop and frisk" • [stɔp ænd frɪsk •] *ამერ.* პოლიციის უფლება გააჩეროს და გაჩხრიკოს პირი
superior • [sjuːˈpɪərɪə •] დაუძლეველი ძალა
supreme • [suːˈpriːm •] უსუნავესი ხელისუფლება
taxing • [ˈtæksɪŋ •] გადასახადების დადგენის უფლება
temporal • [ˈtempərəl •] დიდგვაროვანთა ძალაუფლება
treaty-making • [ˈtriːti-ˈmeɪkɪŋ •] საერთაშორისო შეთანხმებების დადების უფლება
veto • [ˈviːtəʊ •] ვეტოს უფლება
vicarial (vicarious) •(s) [vɪˈkɛərɪəl (vɪˈkwɛərɪəs) •(z)] სრულუფლებიანობაზე დამყარებული უფლება
visitatorial • [ˌvɪzɪˈtətɔrɪəl •] I. ზედამხედველობის უფლება; ინსპექტორობის უფლება; 2. ნახვის უფლება
voting • [ˈvəʊtɪŋ •] კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება; ხმის უფლება
war-making • [wɔːˈmeɪkɪŋ •] ომის გამოცხადების უფლება

powerless [ˈpaʊəlɪs] *n.* I. არაქმედუნარიანობა; არაუფლებაუნარიანობა; უუფლებო, არაუფლებამოსილი, არასრულუფლებიანი, კომპეტენციის არმქონე; 2. უძლურო, ძალაუფლების არმქონე

practice [ˈpræktɪs] *n.* I. პრაქტიკა; 2. მეთოდი, ხერხი, სისტემა, პროცედურა; 3. ჩვეულება, ადათი; 4. ჩვევა, წვრთნა, ვარჯიში, მეცადინეობა, მოღვაწეობა, პროფესია; 5. პრაქტიკული განხორციელება; 6. პროცესის ნორმები, პროცესუალური ნორმები, საპროცესო სამართალი; სასამართლო პროცედურა; 7. *pl.* მაქინაციები, თაღლითობა ◊ **• and adjudication** [• ænd əˌdʒuːdɪˈkeɪʃən] სასამართლო წარმოება საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანით
• of law [• əv lɔː] იურიდიული პრაქტიკა; საადვოკატო პრაქტიკა
• of the courts [• əv ðə kɔːts] *იხ.* **judicial practice**
• of the trade [• əv tə treɪd] საეაჭრო ჩვეულება; საეაჭრო წეს-ჩვეულება
abusive • [əˈbjuːsɪv •] არაკეთილსინდისიერი პრაქტიკა; *(რაიმე წესების)* ბოროტად გამოყენება
administrative • [ədˈmɪnɪstrətɪv •] ადმინისტრაციული პრაქტიკა
antitrust • [æntɪˈtrʌst •] ანტიტრესტული კანონმდებლობის მიღების პრაქტიკა
chamber • [ˈʧeɪmbə •] სასამართლოს გარე საადვოკატო პრაქტიკა
common • [ˈkɔmən •] დადგენილი პრაქტიკა
common-law • [ˈkɔmən lɔː] I. სასამართლო პრაქტიკა საერთო სამართლის ნორმების მიხედვით; 2. საერთო სამართლის საპროცესო ნორმები; სასამართლო პროცედურა საერთო სამართლის ნორმების მიხედვით
congressional •s [kɔŋˈgrɛʃnəl •z] I. კონგრესის პრაქტიკა; 2. კონგრესის ჩვეულებანი; 3. კონგრესის რეგლამენტი, კონგრესის პროცედურა
constitutional • [ˌkɔnstɪˈtjuːʃənəl •] I. საკონსტიტუციო პრაქტიკა; 2. საკონსტიტუციო ჩვეულება
correctional • [kəˈrɛkʃənəl •] გამასწორებელი პრაქტიკა; გამასწორებელი დაწესებულების პრაქტიკა
corrupt •(s) [kəˈrʌpt •(z)] კორუფცია, კორუფციის ბოროტად გამოყენების ხერხები, მეთოდები
court • [kɔːt •] *იხ.* **judicial practice**
criminal • [ˈkrɪmɪnəl •] I. დანაშაულებრივი პრაქტიკა; 2. სისხლის სამართლის პროცესი; სასამართლო პროცედურა სისხლის სამართლის საქმეზე
deceitful (deceptive) •(s) [dɪˈsɪʧful (dɪˈsɛptɪv) •(z)] *იხ.* **fraudulent practice(s)**
discriminatory • [dɪˈskrɪmɪnətərɪ •] დისკრიმინაციული პრაქტიკა
evil • [ˈiːvl •] უსირცხვილო ხერხები, უპატიოსნო ხერხები
executive • [ɪgˈzɛkjutɪv •] სააღმსრულებლო პრაქტიკა; აღმასრულებელი ხელისუფლების პრაქტიკა
existing • [ɪgˈzɪstɪŋ] არსებული პრაქტიკა, დადგენილი პრაქტიკა
fair •(s) [fɛə •(z)] კეთილსინდისიერება, კეთილსინდისიერი ხერხები, მეთოდები, პრაქტიკა
fraudulent • (s) [ˈfrɔːdjulənt •(z)] მოტყუე-

ბითი, თაღლითური პრაქტიკა, თაღლითობა

ill *(s) [ɪl *(z)] უპატიოსნო პრაქტიკა, უპატიოსნო ხერხები

illegal *(s) [ɪ'li:gəl *(z)] უკანონო პრაქტიკა, უკანონო ხერხები

investigative * [ɪn'vestɪgətɪv *] საგამოძიებო პრაქტიკა

judicial * [ʤu'dɪʃəl *] 1. სასამართლო პრაქტიკა; 2. სასამართლო ჩვეულება; 3. სასამართლო პროცედურა

law * [lɔ: *] იურიდიული პრაქტიკა; ადვოკატის პრაქტიკა

legal * ['li:gəl *] 1. *იხ.* **law practice**; 2. სამართლებრივი ჩვეულება; სასამართლო ჩვეულება; 3. საპროცესო სამართალი; სასამართლო პროცედურა

legislative * ['leʤɪslətɪv *] 1. საკანონმდებლო პრაქტიკა; 2. საკანონმდებლო ჩვეულება; 3. საკანონმდებლო ორგანოს რეგლამენტი, საკანონმდებლო პროცედურა

mutinous * ['mju:tɪnəs *] მოქმედება ამბოხის გამოწვევის მიზნით; მეამბოხე მოქმედებები, მეამბოხე გამოსვლები

nonculpability deceptive * [nɔn˝kʌlpəbɪ'lətɪ dɪ'septɪv *] მოტყუებითი, თაღლითური მოქმედებანი დანაშაულის დაფარვის, ბრალეულობის აღიარების თავიდან აცილების მიზნით

parliamentary * [ˌpɑ:lə'mentərɪ *] *ინგლ.* 1. საპარლამენტო პრაქტიკა; 2. საპარლამენტო ჩვეულება; 3. პარლამენტის რეგლამენტი, საპარლამენტო პროცედურა

penal * ['pi:nl *] 1. სადამსჯელო პრაქტიკა, სასჯელის დანიშვნის პრაქტიკა; 2. პენიტენციარული დაწესებულების პრაქტიკა

police (policing) *(s) [pə'li:s (pə'li:sɪŋ) *(z)] 1. საპოლიციო პრაქტიკა; 2. საპოლიციო პროცედურა

private * ['praɪvɪt *] კერძო პრაქტიკა

private law * ['praɪvɪt lɔ: *] კერძო საადვოკატო პრაქტიკა

prosecutorial * [ˌprɔsɪ'kjutərɪəl *] გამამტყუნებელი, საბრალდებო პრაქტიკა, ბრალდების და სისხლის სამართლის დევნის ხერხები, მეთოდები

public * ['pʌblɪk *] 1. სახელმწიფო პრაქტიკა; საჯარო-სამართლებრივი პრაქტიკა; 2. საჯარო-სამართლებრივი ჩვეულება

referral *(s) [rɪ'fə:rəl *(z)] 1. განსახილველად გადაცემის პრაქტიკა; 2. განხილვაზე გადაცემის პროცედურა

restrictive trade *(s) [rɪ'strɪktɪv treɪd *(z)] ვაჭრობის თავისუფლების შეზღუდვა, პროფესიული საქმიანობის შეზღუდვა, რეწვითი საქმიანობის შეზღუდვა

sentencing *(s) ['sentənsɪŋ *(z)] 1. განაჩენის გამოტანის პრაქტიკა; სადამსჯელო პრაქტიკა; 2. განაჩენის გამოტანის პროცედურა

state * [steɪt *] 1. სახელმწიფო პრაქტიკა; 2. შტატების *(სასამართლოების)* პრაქტიკა

statutory * ['stætʃutrɪ *] 1. სტატუტზე დამყარებული პრაქტიკა; სტატუტის გამოყენების პრაქტიკა; 2. *(სასამართლო)* პროცედურა სტატუტის სამართლის ნორმების მიხედვით

third party * [θə:d pɑ:ti *] მესამე პირის ჩაბმა *(პროცესში)*

traitorous (treasonable) *(s) ['treɪtərəs ('tri:znəbl) *(z)] მოღალატური საქმიანობა

unfair *s [ˌʌn'feə *(z)] არაკეთილსინდისიერება; არაკეთილსინდისიერი ხერხები, მეთოდები, პრაქტიკა

practitioner [præk'tɪʃənə] *n.* იურისტ-კონსულტანტი, პრაქტიკის მქონე იურისტი; პრაქტიკოსი იურისტი

praecipe *ლათ.* 1. ბრძანება; 2. სასამართლოსადმი წერილობითი თხოვნა დოკუმენტის მომზადებისა და გამოქვეყნების შესახებ *(მაგ. განცხადება განაჩენის გამოტანის შესახებ ან სასამართლოში გამოცხადების უწყება)*; 3. სასამართლოს განკარგულება ქმედების შესრულების თაობაზე *(ან მისი შესრულების საფუძვლის წარდგენის შესახებ)*

praemunire *ლათ.* 1. დედოფლის *(მეფის)* ან მისი მთავრობის ხელყოფა *(რომელიც არ ისჯება სიკვდილით)*; 2. საბრალდებო აქტი დედოფლის *(მეფის)*, ხელისუფლების ან მისი მთავრობის ხელყოფის შესახებ; 3. სასჯელი დედოფლის *(მეფის)* და მისი მთავრობის ხელყოფისთვის; 4. *ისტ.* სასამართლოს დადგენილება საეკლესიო

ორგანოს მიერ ძალაუფლების გადამეტების შესახებ; 5. *ისტ.* სასჯელი საეკლესიო ორგანოსი ძალაუფლების გადამეტებისთვის

pray [preɪ] *v.* დაბეჯითებითი თხოვნა, მუდარა, ვედრება ◊ **to** • **in aid** [tu • ɪn eɪd] დახმარების თხოვნა; პლედირებისას *(მოპასუხე'ს სანიეთო სარჩელით)* დახმარების გაწევის შესახებ თხოვნა; მესამე პირისადმი თხოვნით მიმართვა, რათა ჩაერთოს საქმეში მოპასუხის, სანიეთო-სამართლებრივი ტიტულის დასაცავად

prayer [preɪə] *n.* თხოვნა, შუამდგომლობა *(სასამართლოში)*; მთხოვნელი ◊ • **for alternative relief** [• fɔ: ɔ:l'tə:nətɪv rɪ'li:f] შუამდგომლობა სასამართლო დაცვის ალტერნატიული საშუალების წარდგენის შესახებ; • **for discharge** [• fɔ: dɪs'tʃɑ:dʒ] I. შუამდგომლობა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების, პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ; 2. შუამდგომლობა რეაბილიტაციის, პატიმრის გამართლების შესახებ. პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ; 3. შუამდგომლობა ვალდებულების შეწყვეტის შესახებ; 4. შუამდგომლობა გაკოტრებული მოვალის უფლებათა აღდგენის შესახებ; 5. შუამდგომლობა მოთხოვნათა ჩათვლის შესახებ; • **for relief** [• fɔ: rɪ'li:f] I. შუამდგომლობა დახმარების დანიშვნის ან გადახდის შესახებ; 2. შუამდგომლობა სასამართლო დაცვის წარდგენის შესახებ; 3. შუამდგომლობა *(გადახდისაგან, პასუხისმგებლობისაგან)* განთავისუფლების ან *(გადასახადთან)* ფასიმოკლების შესახებ, შეღავათის თხოვნა; 4. სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის თხოვნა; • **in aid** [• ɪn eɪd] თხოვნა დახმარებაზე, მოპასუხის თხოვნა მესამე პირისადმი მოპასუხის საქმეში ჩართვის შესახებ სანიეთო-სამართლებრივი ტიტულის დასაცავად; • **in the alternative** [• ɪn ðə ɔ:l'tə:nətɪv] შუამდგომლობა სასამართლო დაცვის ალტერნატიულ საშუალებათა წარდგენის შესახებ; სასარჩელო განცხადების ნაწილი სასამართლო დაცვის ალტერნატიულ საშუალებათა წარდგენის შუამდგომლობასთან ერთად

• **of process** [• ɔv 'prəʊsəs] შუამდგომლობა სასამართლო ბრძანების გამოცემის შესახებ

age • [eɪdʒ •] შუამდგომლობა არასრულწლოვანის სანიეთო სარჩელზე პროცესის წარმოების შეჩერების შესახებ მისი სრულწლოვანების მიღწევამდე

preamble [pri'æmbl] *n.* პრეამბულა, შესავალი ნაწილი, წინასიტყვაობა

pre-audience [ˌpri-ɔ:'dɪəns] *n. (აღეროკატის)* უფლება სხვაზე ადრე მისი მოსმენის შესახებ

preasumptio *ლათ.* პრეზუმფცია, ვარაუდი

precatory ['prekətri] *adj.* I. თხოვნის, რეკომენდაციის შემცველი; 2. იმედის გამომხატველი

precaution [prɪ'kɔ:ʃən] *n.* სიფრთხილე, წინდახედულება, გამაფრთხილებელი ზომები

every possible • ['evri 'pɔsəbl •] სიფრთხილის ყველა შესაძლო ზომა

mandatory • ['mændətəri •] სიფრთხილის დაცვის სავალდებულო ზომა

ordinary • ['ɔ:dnri •] სიფრთხილის დაცვის ჩვეულებრივი ხარისხი; სიფრთხილის დაცვის ჩვეულებრივი ზომა

pretrial • [ˌpri:'traɪəl •] სასამართლომდელი უზრუნველმყოფელი პროცედურა

proper • ['prɔpə •] წინდახედულობის სათანადო ხარისხი; სიფრთხილის სათანადო ზომა

reasonable • ['ri:zənəbl •] წინდახედულების გონიერული, საფუძვლიანი ხარისხი; სიფრთხილის გონიერული, საფუძვლიანი ზომა

safety • ['seɪfti •] უშიშროების უზრუნველმყოფი სიფრთხილის ზომა; წინდახედულობის ზომა, რომელიც უზრუნველყოფს უშიშროებას

precautionary [prɪ'kɔ:ʃnəri] *adj* I. გამაფრთხილებელი, წინდახედული; 2. წინდახედულებისთვის მისაღები, გასათვალისწინებელი

precautious [prɪ'kɔ:ʃəs] *adj.* წინდახედული. ფრთხილი

precede [prɪ'si:d] *v.* I. წინსწრება, წინ დგომა; 2. უფრო მაღალი მდგომარეობის დაკავება

precedence [pri'si:dəns] *n.* უპირატესობა, უპირატეს-უმცროსობა, რანგი, პრიორიტეტი, წინაღლება
• of law [• ɔv lɔ:] სამართლის პრიორიტეტი *(პოლიტიკაზე)*
alternate • [ɔ:l'tɜ:nit •] ალტერნატი
precedancy [pri'si:dənsi] *იხ.* **precedence**
precedent ['presidənt] I. *n.* პრეცედენტი; 2. *adj.* წინმსწრები, წინამავალი ◊ **• (exacty) applicable to the act or to the fact** [• (ig'zæktli) ə'plikəbl tu ðə ækt ɔ: tu ðə fækt] პრეცედენტი *(სრულად)* გამოსაყენებელი ქმედების ან ფაქტის მიმართ; **to follow the •** [tu fɔlou ðə •] პრეცედენტისადმი მიყოლა
applicable • [ə'plikəbl •] გამოსაყენებელი პრეცედენტი
applied • [ə'plaid •] გამოყენებული პრეცედენტი
binding • ['baindiŋ •] სავალდებულო ძალის მქონე პრეცედენტი *(ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებისთვის)*
governing • ['gʌvəniŋ •] ხელმძღვანელი პრეცედენტი
judicial • [ʤu'diʃəl •] სასამართლო პრეცედენტი
leading • ['li:diŋ •] ხელმძღვანელი პრეცედენტი
ruting • ['ru:tiŋ •] სავალდებულო ძალის მქონე პრეცედენტი
solid (sound) • ['sɔlid (saund) •] ავტორიტეტული პრეცედენტი
precept ['pri:sept] *n.* I. მიწერილობა, ბრძანება, განკარგულება; 2. წესი, რიგი, მითითება; 3. *v.* მიწერა, ბრძანების გაცემა
• of law [• ɔv lɔ:] კანონის მიწერილობა, სამართლებრივი ნორმა
precinct ['pri:siŋkt •] *n.* I. საპოლიციო უბანი; 2. საარჩევნო უბანი; 3. შენობის მომიჯნავე ტერიტორია; *pl.* არემარე, მიდამო
magisterial • [ˌmæʤi'stiəriəl •] მომრიგებელი მოსამართლის უბანი *(აშშ-ის ზოგიერთ შტატში)*
police • [pə'li:s •] საპოლიციო უბანი
preclude [pri'klu:d] *v.* I. აცილება, აღკვეთა, თავიდან აცილება; 2. ხელის შეშლა ◊ **to • a right** [tu • ə rait] უფლების განხორციელებაზე ხელის შეშლა
precluded [pri'klu:did] *adj.* I. აცილებული, აღკვეთილი; 2. დაბრკოლების წინაშე აღმოჩენილი ან დამდგარი
precluding [pri'klu:diŋ] *adj.* I. ამაცილებელი, აღმკვეთი; 2. დამაბრკოლებელი, ხელის შემშლელი
preclusion [pri'klu:ʒən] *n.* I. თავიდან აცილება, აღკვეთა; 2. განხორციელებაზე წინააღმდეგობის გაწევა
issue • ['isju: •] პრეკლუდიცია
preclusive [pri'klu:siv] *adj.* აღმკვეთი
preconceived ['pri:kənsi:vd] *adj.* მიკერძოებული, წინასწარ შექმნილი აზრი
preconception [ˌpri:kən'sepʃən] *n.* მიკერძოება, წინასწარი აზრის შექმნა
precondemnation [pri:ˌkɔndɔm'neiʃən] *n.* ნასამართლობა
pre-contract [ˌpri'kɔntrækt] *n.* წინმსწრები შეთანხმება, ადრე დადებული შეთანხმება *(ახლად დადებული შეთანხმების საწინააღმდეგოდ)*
predecessor ['pri:disesə] *n.* I. წინაპარი; 2. წინამორბედი; 3. წინამორბედი სამართალმემკვიდრე ◊ **• in title** [• in 'taitl] სამართლებრივი ტიტულის წინამორბედი სუბიექტი; წინამორბედი სამართალმემკვიდრე
legal • ['li:gəl •] კანონიერი სამართალმემკვიდრე
predicate ['predikət] *v.* I. მტკიცება, განცხადება, განცხადების გაკეთება; 2. *ამერ.* დაყრდნობა ფაქტებზე
predicated ['predikitid] *adj.* I. დამამტკიცებელი, განცხადებული, გამოცხადებული; 2. *ამერ.* ფაქტებზე დასაბუთებული, დამყარებული
pre-election [ˌpri:'ilekʃən] *n.* წინასწარი არჩევნები
pre-empt [ˌpri:-'empt] *v.* I. ყიდვის უპირატესი უფლების განხორციელება; 2. ყიდვის უპირატესი უფლების გამოყენებით საქონელზე ყადაღის დადება; 3. *ამერ. ისტ.* სახელმწიფო მიწების დაუფლება მის ყიდვაზე უპირატესი უფლების მოსაპოვებლად; 4. სხვებზე ადრე შეძენა, ყიდვა; სხვებზე ადრე დაუფლება; წინასწარ გამოყენება; 5. უფლებრივი უპირატესობის შეძენა ყიდვაზე
pre-emption [ˌpri:-'empʃən] *n.* I. ყიდვაზე

უპირატესი უფლება; 2. ყიდვაზე უპირატესი უფლების გამოყენება; 3. ყიდვაზე უპირატესი უფლების განსახორციელებლად საქონელზე ყადაღის დადება; 4. *ამერ. ისტ.* სახელმწიფო მიწების დაუფლება მის ყიდვაზე უპირატესი უფლების მოსაპოვებლად; სახელმწიფო მიწის დასაკუთრება მისი შესყიდვის პრივილეგირებული უფლების განსახორციელებლად; 4. სხვებზე ადრე შეძენა, ყიდვა; 5. ყიდვაზე უფლებრივი უპირატესობა; 6. *ამერ.* საბაჟოს უფლება, დააკაუოს იმპორტული საქონელი; 7. მომსახურების შეწყვეტა

pre-emptive [ˌpri:-ˈempɪv] *adj.* 1. უპირატესი; უპირატესი უფლების შესაბამისად შეძენილი; 2. მომსახურების შეწყვეტი

prefer [prɪˈfɜ:] *v.* 1. უპირატესობის მიცემა, უპირატესობის მინიჭება; 2. სამსახურში დაწინაურება; 3. წარდგენა *(მაგ. საქმისა სასამართლოში)*; განცხადება, გამოთქმა, წაყენება *(პროტესტის, მოთხოვნის და ა.შ.)*

preference [ˈprefərəns] *n.* 1. უპირატესობა; პრეფერენცია; უპირატესი უფლება; შეღავათიანი საგადასახადო ბაჟი; 2. წარდგენა *(მაგ. საქმისა სასამართლოში)*; განცხადება, გამოთქმა, წაყენება *(პროტესტის, მოთხოვნის და ა.შ.)*; 3. უპირატესობის უფლება *(მაგ. კრედიტორის)*

court • [kɔ:t •] სასამართლოში *(პროტესტის, მოთხოვნის და ა.შ.)* წარდგენა, შეტანა

due • [dju: •] მართლზომიერი უპირატესობა

fraudulent • [ˈfrɔ:djulənt •] ცრუ პრეფერენცია, მოქმედება, მიმართული ერთერთი კრედიტორის სასარგებლოდ და დანარჩენის საზიანოდ

imperial •**s** [ɪmˈpɪərɪəl •] *ისტ.* საიმპერიო, იმპერიული პრეფერენცია

undue • [ˌʌnˈdju: •] არამართლზომიერი უპირატესობა

preferential [ˌprefəˈrenʃəl] *adj.* შეღავათიანი, უპირატესი, პრეფერანციალური, პრივილეგირებული, უპირატესობის მქონე

preferment [prɪˈfɜ:mənt] *n.* 1. მოწოდება, განცხადება *(პროტესტის, მოთხოვნისა და ა.შ.)*; 2. მომატება, დაწინაურება, ამაღლება *(წოდებისა, ჩინისა)*

pregnancy [ˈpregnənsi] *n.* ორსულობა, ფუძმძიმობა

antenuptial • [ˌæntɪˈnʌpʃəl •] ქორწინებამდელი ორსულობა

prejudge [ˌpri:ˈʤʌʤ] *v.* 1. ნაჩქარევი, დაუსაბუთებელი მოსაზრების შედგენა, გამოტანა; 2. სასამართლოში საქმის განხილვამდე ან სათანადო გამოძიების ჩატარებამდე გადაწყვეტილების გამოტანა; სასამართლომდე გადაწყვეტილების გამოტანა; წინასწარ გადაწყვეტა

prejudged [ˌpri:ˈʤʌʤd] *adj.* 1. წინასწარშექმნილი აზრით, მიკერძოებული; 2. პრეიუდიციის მოქმედების ქვეშ მოქცეული, პრეიუდიციული *(უფლებრივი საკითხის წინასწარი გადაჭრის გარეშე არ შეიძლება მოცემული საქმე სასამართლოში გაირჩეს)*

prejudgement [ˌpri:ˈʤʌʤmənt] *n.* 1. წინასწარი აზრის შექმნა, მიკერძოება; 2. წინასწარგამოტანილი გადაწყვეტილება; გადაწყვეტილების გამოტანა საქმის განხილვამდე; პრეიუდიცია

prejudication [priːˌʤuːdɪˈkeɪʃən] *n.* 1. წინასწარშექმნილი აზრი; მიკერძოებული აზრი; 2. სასამართლო პრეცედენტი; 3. სასამართლო განსაზღვრება

prejudice [ˈprɛʤudɪs] *n* 1. ზიანი, ზარალი; 2. წინასწარშეგონება; წინასწარი ცრუ აზრის შექმნა; ცრუ შეხედულება; მიკერძოება, ეიჩმეს მიმართ უსამართლო გრძნობების ქონა; 3. შეგულიანება; 4. პრეიუდიცია; *v.* 5. ზიანის, ზარალის მიყენება *(უფლებაში, ინტერესებში)*; 6. შექმნა, დადგენა პრეიუდიციის ◊

without • [wɪˈðaut •] ზარალის გარეშე; წინასწარშექმნილი აზრის გარეშე, პირუთნელი, მიუკერძოებელი, ობიექტური

fair • [fɛə •] წინასწარშექმნილი აზრი საბაბის არსებობისას

unfair • [ˌʌnˈfɛə •] წინასწარშექმნილი აზრი საბაბის არარსებობისას

prejudiced [ˈprɛʤudɪst] *adj.* 1. მიყენებული ზარალის, ზიანის *(უფლებაზე, ინტერესზე)*; 2. წინასწარშექმნილი აზრით; მიკერძოებულობით გამსჭვალუ-

ლი; 3. პრეიუდიციის მოქმედების ქვეშ მყოფი

prejudicial [ˌpreʤuˈdɪʃəl] *adj.* 1. ზარალის, ზიანის, ვნების მომტანებელი *(ეუფლებაზე, ინტერესებზე)* 2. პრეიუდიციალური, პრეიუდიციალური მნიშვნელობის მქონე; 3. წინასწარშემჩნეული არსის მქონე, მიკერძოებული ◊ *** as to novelity** [* əz tu ˈnɔvlti] *პატ.* სიახლის შემბლალავი.

highly * [ˈhaili *] გამორჩეული წინასწარშექმნილი, მიკერძოებული არსის მაღალი ხარისხით

prejudicialness [ˌpreʤuˈdɪʃəlnəs] *n.* 1. ეფექტი. რომელსაც ზიანი მოაქვს; 2. პრეიუდიციალობა; 3. წინასწარი, მიკერძოებული არსის ქონა; 4. *პატ.* სახელის გაუნება *(სიახლისთვის)*

prejudicing [ˈpreʤudɪsɪŋ] *adj* 1. ზარალის, ზიანის მომტანებელი; 2. პრეიდიციალური

preliminary [prɪˈlɪmɪnərɪ] *adj.* 1. წინასწარი, ადრეული, ადრე მომხდარი, პრელიმინარული, მოსამზადებელი; 2. *pl.* წინასწარი მოლაპარაკებები; წინასწარი შენიშვნები; საწყისი ცნობები; საწყისი ღონისძიებები; პირველი ნაბიჯები ***ies of peace** [*ɪz əv piːs] პრელიმინარული, სამშვიდობო შეთანხმება

premarital [ˌpriːˈmærɪtl] *adj.* ქორწინების წინა, ქორწინებამდე

premeditate [ˌpriːˈmɔdɪteɪt] *v.* წინასწარმოფიქრება

premeditated [ˌpriːˈmedɪteɪtɪd] *adj* წინასწარმოფიქრებული; წინასწარგანზრახული, წინასწარიფიქრებული

premeditation [ˌpriːˈmedɪteɪʃən] *n.* წინასწარმოფიქრებული განზრახვა; წინასწარმოფიქრებული ნანაფიქრი; წინასწარგანზრახვა

premier [ˈpremɪə] *n.* პრემიერ-მინისტრი, პრემიერი; ა'შ-ის სახელმწიფო მდივანი

premiership [ˈpremɪəʃɪp] *n.* პრემიერის თანამდებობა, პრემიერ-მინისტრის ყოფნის პერიოდი

premises [ˈpremɪsɪz] *n.* 1. ზემოთ აღნიშნული, ზემოთ გადმოცემული, განხილული; 2. უძრავი ქონება; შენობა, ნაგებობა, ადგილი; გალასაცემი საკუთრება; 3. სასარჩელო განცხადების მაკონსტატირებელი ნაწილი; სასარჩელო განცხადების ძირითადი ნაწილი

adjoining * [əˈʤɔɪnɪŋ *] მოსაზღვრე შენობა

burglarized * [ˈbɜːglərəɪzd *] გაქურდული შენობა

business * [ˈbɪznəs *] საქმიანი საწარმო შენობა

licensed * [ˈlaɪsnst *] ლიცენზირებული შენობა

party's [ˈpɑːtɪz *] შენობა, რომელსაც იკავებს მხარე პროცესში

private * [ˈpraɪvɪt *] კერძო შენობა, ნაგებობა, რომელიც კერძო პირის მიერაა დაკავებული

unlicensed * [ʌnˈlaɪsnst *] არალიცენზირებული შენობა

premium [ˈpriːmɪəm] *n.* 1. პრემია, ჯილდო, სარჭარი, პრემიული დანამატი; 2. აუთო; 3. სადაზღვეო პრემია; სადაზღვეო შენატანი; 3. *ბირჟ.* პრემია სასწრაფო გარიგებით; *adj.* 4. პირველი ხარისხის, უმაღლესი ხარისხის; 5. საიმედო; სასწრაფო, გადაუდებელი

bail * [beɪl *] თავდებობისას გირაოზე ფასის დანამატი

insurance * [ɪnˈʃuərəns *] სადაზღვეო პრემია, შენატანი

single * [ˈsɪŋgl *] ერთდროულად გადახდილი სადაზღვეო პრემია; ერთჯერადი სადაზღვეო შენატანი

unearned * [ˌʌnˈɜːnd *] სადაზღვეო პრემიის დასაბრუნებელი ნაწილი *(პოლისის ანულირებისას)*

preparation [ˌprepəˈreɪʃən] *n.* მომზადება *(დანაშაულისთვის)*

prepay [ˌpriːˈpeɪ] *v.* წინასწარი გადახდა

prepayment [ˌpriːˈpeɪmənt] *n.* წინასწარ გადახდა

prepense [prɪˈpens] *adj.* წინასწარგანზრახული

preponderance [prɪˈpɔndərəns] *n* უპირატესობა; გადაწონა

*** of evidence (of proof)** [* əv ˈevɪdəns (əv pruːf)] უფრო საფუძვლიანი მტკიცებულებების არსებობა; მტკიცებულებების გადაწონა, უპირატესობა

*** of testimony** [* əv ˈtestɪmənɪ] უფრო დამაჯერებელი მოწმის ჩვენების არ-

საბობა

prepossession [ˌpriːpəˈzeʃən] *n.* 1. წინა, ადრინდელი მფლობელობა; 2. მიკერძოება, მიდგომა

pre-publication [ˌpriːˌpʌblɪˈkeɪʃən] *n.* პუბლიკაცია გამოცემამდე, *(განხორციელებული საავტორო შეთანხმებასთან შესაბამისად)*

prerequisite [ˌpriːˈrekwɪzɪt] *n.* აუცილებელი პირობა, წინასწარი პირობა

legal • [ˈliːgəl •] იურიდიული წინაპირობა

prerogative [prɪˈrɔgətɪv] *n.* პრეროგატივა, განსაკუთრებული უფლება, პრივილეგია

executive • [ɪgˈzekjutɪv •] აღმასრულებელი ხელისუფლების *(მეთაურის)* პრეროგატივა

external • [ɪkˈstɜːnl •] გარე ურთიერთობების განხორციელების პრეროგატივა

king's • [kɪŋz •] სამეფო პრეროგატივა

legislative • [ˈledʒɪslətɪv •] საკანონმდებლო პრეროგატივა; საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელების პრეროგატივა

presidential • [ˈprezɪdənʃəl •] საპრეზიდენტო პრეროგატივა

undoubted • [ʌnˈdaʊtɪd •] უეჭველი პრეროგატივა

prescribe [prɪˈskraɪb] *v.* 1. წერილობითი ბრძანების გაცემა; ბრძანების მიწერა; 2. გამოტანა, დანიშვნა *(სასჯელისა)*; 3. რაიმე უფლების ხანდაზმულობაზე მითითება; 4. ხანდაზმულობასთან დაკავშირებით უფლების მინიჭება ◊ **to • a rule** [tu • ə ruːl] წესის, ნორმის დადგენა, მიღება; **to • (as) the punishment** [tu • (əz) ðə ˈpʌnɪʃmənt] სასჯელის დანიშვნა

prescription [prɪˈsprɪpʃən] *n.* 1. მიწერილობა; განკარგულება; 2. ხანდაზმულობა; 3. უფლების მილება ან დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში უფლების გამოყენება

• **of law** [• ɔv lɔː] სამართლებრივი მიწერილობა

acquisitive • [ˈækwɪzɪtɪv •] უპირატესი ხანდაზმულობა

extinctive • [ɪkˈstɪŋktɪv •] გამაუქმებელი ხანდაზმულობა

governmental • [ˌgʌvənˈmentəl •] სამთავრობო განკარგულება

immemorial • [ˌɪməˈmɔrɪəl •] უხსოვარი, მეტისმეტი ხანდაზმულობა

negative • [ˈnegətɪv •] გამაუქმებელი ხანდაზმულობა

testamentary • [ˈtestəmentərɪ •] საანდერძო განკარგულება

prescriptive [prɪˈskrɪptɪv] *adj.* 1. დირექტივის, ინსტრუქციის მიმცემი; 2. დამკარებული ხანდაზმულობის უფლებასა ან ჩვეულებაზე

presence [ˈprezns] *n.* 1. დასწრება; ყოფნა, თანდასწრება; 2. გარეგნობა, წარმოსადეგობა ◊ **in the** • [ɪn ðə •] თანდასწრებით

actual • [ˈæktʃʊəl •] ფაქტობრივი დასწრება

constructive • [kənˈstrʌktɪv •] კონსტრუქციული დასწრება; დასწრება სამართლებრივი კვალიფიკაციის ძალით

corporate • **in the state** [ˈkɔːpərət • ɪn ðə steɪt] კორპორაციის იურიდიული არსებობა, ყოფნა შტატის ტერიტორიაზე

physical • [ˈfɪzɪkəl •] ფიზიკური ყოფნა

Presence [ˈprezns] *n.* მეფე, დედოფალი

present [ˈpreznt] I. *n.* სარეკვიზიტო; *v.* 2. ბრძანება; 3. გადაცემა *(მაგ. საქმისა განსახილველად)*; მიწოდება, ჩაბარება, წარდგენა, მიმართვა, რაციონალიზაციის გაწევა; 4. გაგზავნა; *adj.* 5. არსებული, მოცემული; 6. ნამდვილი, ახლანდელი, თანამედროვე ◊ **these** • **s** [ðiːz • z] *ბუქრ.* ეს დოკუმენტი; **to • a petition** [tu • ə pəˈtɪʃən] თხოვნა; შუამდგომლობის გამოცხადება; **to • for acceptance** [tu • fɔː əkˈseptəns] აქცეპტირებისთვის წარდგენა; **to • for payment** [tu • fɔː ˈpeɪmənt] წარდგენა გადახდისთვის; **to • legally** [tu • ˈliːgəlɪ] I. კანონით დადგენილი წესით წარდგენა და ა.შ.; 2. სასამართლოში გადაცემა; **to • one's case** [tu • wʌns keɪs] საბუთების, არგუმენტაციის, სამართლებრივი პოზიციის გადმოცემა; განმარტების მიცემა საქმეზე; მხარეთა კამათში გამოსვლა

presentation [ˌprezənˈteɪʃən] *n.* პრეზენტაცია, მიწოდება, წარმოდგენა, წარდგენა, ჩაბარება, გადაცემა, გადმოცემა

• **of case** [• ɔv keɪs] საქმის გადმოცემა; არგუმენტების ეერსიების გადმოცემა;

მხარეების გამოსვლა პაექრობა'ში; საქმეზე განმარტების მიცემა
• **of cases** [• ɔv 'keɪsɪz] მხარეთა პაექრობა
• **of cheque** [• ɔv ʧek] ჩეკის წარდგენა გასანაღდებლად
• **of credentials** [• ɔv krɪ'denʃəlz] ნდობის სიგელის ჩაბარება
• **of Englishry** [• ɔv 'ɪŋglɪʃrɪ] მტკიცებების წარდგენა ინგლისის მოქალაქეობა'ზე

presentee [ˌprezɔn'ti:] *n.* 1. სარჩენის მიმღები; 2. სამეფო კარზე წარდგენილი პირი; 3. საეკლესიო თანამდებობა'ზე წარდგენილი კანდიდატი

presentence [prɪ'zentəns] *n.* განაჩენამდე; განაჩენის გამოტანამდე სასამართლო პროცესთან დაკავშირებული

presenter ['prezəntə] *n.* 1. წარმდგენი; მიმწოდებელი; 2. მომქმებელი

presentment [prɪ'zentmənt] *n.* 1. ნაფიცი მსაჯულის განცხადება; 2. ბრალდების აღძრა; 3. თამასუქის წარდგენა აქცეპტზე ან გადასახდელად ◊ • **upon oath by grand jury** [• ə'pɔn əuθ baɪ grænd 'ʤuəri] ფიცის ქვეშ დიდი ეიურის განცხადება საქმეზე ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ
• **of grand jury** [• ɔv grænd 'ʤuəri] დიდი ეიურის მიერ შედგენილი, გამოტანილი საბრალდებო აქტი

preside [prɪ'zaɪd] *v.* თავმჯდომარეობა, ხელმძღვანელობა *(სხდომის)*

presidency ['prezɪdənsi] *n.* 1. პრეზიდენტობა; 2. თავმჯდომარეობა

president ['prezɪdənt] *n.* 1. პრეზიდენტი; 2. თავმჯდომარე; 3. დირექტორი ◊ • **elect** [• ɪ'lekt] არჩეული პრეზიდენტი, რომელიც ჯერ არ შედგომია თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებას; • **for life** [• fɔ: laɪf] სამუდამო თავმჯდომარე ან დირექტორი; • **pro tempore** [• prɔ: 'tempɔ:] პრეზიდენტის ან დირექტორის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი პირი; *ამერ.* სენატის თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი პირი
• **of the Board of Trade** [• ɔv ðə bɔ:d ɔv treɪd] ვაჭრობის მინისტრი *(ინგლისში 1970 წ.-ამდე)*

acting • ['æktɪŋ •] პირი, რომელიც ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას; მოქმედი პრეზიდენტი
actual • ['æktʃuəl •] 1. ახლანდელი, მოქმედი პრეზიდენტი; 2. ახლანდელი, მოქმედი თავმჯდომარე; 3. ახლანდელი, მოქმედი დირექტორი
court • [kɔ:t •] სასამართლოს თავმჯდომარე

presidential [ˌprezɪ'denʃəl] *adj.* საპრეზიდენტო

presidium [prɪ'sɪdɪəm] *n.* პრეზიდიუმი

pressure ['preʃə] *n.* ზემოქმედება, იძულება, ზეწოლა ◊ **under** • **of nature force** ['ʌndə • ɔv 'neɪʧə fɔ:s] ბუნების ძალების მოქმედების ქვეშ; **under** • **of physical force** ['ʌndə • ɔv 'fɪzɪkəl fɔ:s] ფიზიკური ძალის იძულებით

presumably [prɪ'zju:məblɪ] *adv.* სავარაუდოდ, პრეზიუმირებულად

presume [prɪ'zju:m] *v.* პრეზიუმირება, ვარაუდი

presumed [prɪ'zju:md] *adj.* პრეზიუმირებული
conclusively • [kən'klu:sɪvlɪ •] უცილობლად პრეზიუმირებული

presumption [prɪ'zʌmpʃən] *n.* 1. პრეზუმფცია; 2. ვარაუდი; 3. განზრახვა; 4. თვითდაჯერებულობა ◊ • **at common law** [• ɔv 'kɔmən lɔ:] პრეზუმფცია საერთო სამართლით; • **by statute** [• baɪ 'stæʧu:t] პრეზუმფცია სტატუტური სამართლით; • **in equity** [• ɪn 'ekwətɪ] პრეზუმფცია სამართლიანობის უფლებით; • **in law** [• ɪŋ lɔ:] სამართლებრივი პრეზუმფცია
• **of access** [• ɔv 'æksəs] მეუღლეთა შორის სქესობრივი კავშირის პრეზუმფცია
• **of capacity** [• ɔv kə'pæsɪtɪ] ქმედუნარიანობის პრეზუმფცია
•| **of constitutionality** [• ɔv ˌkɔnstɪ'tju:ʃnælətɪ] *(კანონის)* კონსტიტუციურობის პრეზუმფცია
• **of fact** [• ɔv fækt] ფაქტობრივი პრეზუმფცია
• **of guilt** [• ɔv gɪlt] დამნაშავეობის, ბრალეულობის პრეზუმფცია
• **of incapability** [• ɔv ɪnˌkeɪpə'bɪlətɪ] *(ფსიქიკური)* უუნარობის პრეზუმფცია
• **of incapacity** [• ɔv ɪn'kəpæsɪtɪ] ქმედ-

უუნარობის პრეზუმფცია
• of insanity [• əv ɪn'sænətɪ] შეურაცხადობის პრეზუმფცია
• of innocence [• əv 'ɪnəsns] უადანაშაულობის პრეზუმფცია
• of law [• əv lɔ:] სამართლებრივი პრეზუმფცია
• of lawful origin [• əv 'lɔ:ful 'ɔrɪʤɪn] წარმოშობის კანონიერების პრეზუმფცია
• of sanity [• əv 'sænətɪ] შერაცხადობის პრეზუმფცია
absolute • ['æbsəlu:t •] უცილობელი პრეზუმფცია
artificial • [ˌɑ:tɪ'fɪʃəl •] სამართლებრივი პრეზუმფცია
compelling (conslusive) • [kəm'pelɪŋ (kən'klu:sɪv) •] უცილობელი, უდაეო პრეზუმფცია
conflicting •s [kən'flɪktɪŋ •] მაკოლიდირებელი პრეზუმფცია
criminal • ['krɪmɪnəl •] დანაშაულებრივი თვითდაჯერება
disputable • [dɪ'spju:təbl •] სადაეო პრეზუმფცია
equitable • ['ekwɪtəbl •] პრეზუმპცია სამართლიანობის უყლებით
factual • ['fækʧuəl •] ფაქტობრივი პრეზუმფცია
fictitious • [fɪk'tɪʃəs •] უცილობელი, უდაეო პრეზუმფცია
great (heavy) • [greɪt ('hevɪ) •] დასაბუთებული პრეზუმფცია
inconclusive • [ˌɪnkən'klu:sɪv •] არადამარწმუნებელი პრეზუმფცია
irrebuttable (irrefutable) • [ˌɪrɪ'bʌtəbl (ˌɪrɪ'fju:təbl) •] უცილობელი პრეზუმფცია
legal • ['li:gəl •] სამართლებრივი პრეზუმფცია
provisional • [prə'vɪʒənl •] წინასწარი პრეზუმფცია
rebuttable (refutable) • [rɪ'bʌtəbl (rɪ'fju:təbl) •] უარეოფილი პრეზუმფცია
statutory • ['stæʧʊtrɪ •] პრეზუმფცია სტატუტური სამართლის ნორმის საფუძველზე
strong • [strɔŋ •] მტკიცე, დასაბუთებული პრეზუმფცია
presumptiously [prɪ'zʌmpʃəslɪ] *adv.* 1. პრეზუმფციურად; 2. თვითდაჯერებით
presumptive [prɪ'zʌmptɪv] *adj.* პრეზუმირებული
presumptuous [prɪ'zʌmpʧuəs] *adj.* 1. პრეზუმირებული; 2. თვითდაჯერებული
pretence [prɪ'tens] *n.* 1. თვალთმაქცობა, ფარისეელობა, თავის მოკატუნება; 2. თაღლითობა, მოტყუება, მოჩვენებითობა ◊ **by false •s** [baɪ fɔ:ls •z] მოტყუების გზით; თაღლითობით; თაღლითურად; **in** • [ɪn •] საბაბით; **obtaining property by false •s** [ɔbteɪnɪŋ prɔpətɪ baɪ fɔ:ls] თაღლითობა; **to obtain (property) by false •s** [tu əb'teɪnɪŋ ('prɔpətɪ) baɪ 'fɔ:ls •z] სხვისი ქონების მითვისება მოტყუების გზით, თაღლითობით; **under** • ['ʌndə •] საბაბით; **under the • of right** ['ʌndə ðə • əv raɪt] არსებული უფლების საბაბით
• of right [• əv raɪt] არსებული უფლების მოჩვენებითობა
false (fraudulent) • [fɔ:ls ('frɔ:djʊlənt) •] მოტყუების განზრახვით აშკარად არასწორი წარმოდგენის შექმნა ფაქტის შესახებ; სიცრუე, მოტყუება; თაღლითური მოტყუება
pretend [prɪ'tend] *v.* 1. თავის მოკატუნება; 2. პრეტენზიის ქონა, პრეტენზიის განცხადება; 3. სიმულირება; 4. საკუთარი თავის სხვად გასაღება ◊ **to • falsely** [tu • 'fɔ:lslɪ] მოტყუების მიზნით ფაქტის შესახებ აშკარად არასწორი წარმოდგენის შექმნა
pretender [prɪ'tendə] *n.* 1. თავის მომკატუნებელი, თვალთმაქცი, ფარისეველი; 2. სიმულიანტი; 3. პრეტენდენტი, მაძიებელი
pretention [prɪ'tenʃən] *n.* პრეტენზია; მოთხოვნა; რაიმეზე უფლებების განცხადება
pre-term [ˌpri:-'tɜ:m] *n.* ეადამდელი
pre-trial [ˌpri-'traɪəl] *adj.* სასამართლომდელი
prevail [prɪ'veɪl] *v.* 1. სიჯარბე, გაბატონება, ბატონობა; 2. გავრცელებულობა; 3. დაძლევა, მორევა, ჯობნა; 4. არსებობა; მოქმედება; 5. უპირატესობა; უპირატესი ძალის ქონა
prevalence ['prevələns] *n.* უპირატესობა; უპირატესი ძალა
prevaricate [prɪ'værɪkeɪt] *v.* 1. სამსახურ-

ში ბოროტად მოქცევა: სამსახურებრივი გადაცდომა; 2. უკანონო გარიგებაში შესწავლა: *ძოძ.* მოწინააღმდეგე მხარესთან შეთანხმება *(ადვოკატის შესახებ)*; ბრალდებულთან პირის შეცვერა *(შეთანხმება)*; შეთანხმება ბრალდებულთან *(პირთან, რომელმაც შეიტანა განცხადება ბრალდების შესახებ)*; 3. ორჭოფულად ლაპარაკი; 4. ყალბად მოქცევა, ტყუილის ლაპარაკი

prevarication [ˌprɪværɪˈkeɪʃn] *n.* 1. სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება; სამსახურებრივი გადაცდომა; 2. *ძოძ.* ადვოკატის შეთანხმება მოწინააღმდეგე მხარესთან; ბრალდებულთან იმ პირის შეთანხმება, რომელმაც განცხადება შეიტანა ბრალდების შესახებ

prevent [prɪˈvent] *v.* თავიდან აცილება, გაფრთხილება, პრევენცია ◊ **to * a crime (an offence)** [tu * ə kraɪm (ən əˈfens)] დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება

prevented [prɪˈventɪd] *adj.* თავიდან აცილებული, გაფრთხილებული

preventing [prɪˈventɪŋ] *adj.* თავიდან ამაცილებელი, გამაფრთხილებელი პრევენციული

prevention [prɪˈvenʃn] *n.* თავიდან აცილება, გაფრთხილება, პრევენცია

*** of crime** [* əv kraɪm] დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება

*** of wrong** [* əv rɔŋ] სამართალდარღვევის თავიდან აცილება, ზიანის მიყენების თავიდან აცილება

accident * [ˈæksɪdənt *] 1. უსაფრთხოების ტექნიკა; 2. უბედური შემთხვევების პრევენცია

correctional (corrective) * [kəˈrekʃənl (kəˈrektɪv) *] გამასწორებელი პრევენცია

crime * [kraɪm *] დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება; დანაშაულის პრევენცია, გაფრთხილება

delinquency * [dɪˈlɪŋkwənsi *] დელინკვენტობის პრევენცია

delinquent * [dɪˈlɪŋkwənt *] დელინკვენტთან დაკავშირებული გამაფრთხილებელი ზომები

general * [ˈʤenərəl *] ზოგადი გაფრთხილება, ზოგადი პრევენცია

judical * [ʤuˈdɪʃəl *] სასამართლო პრევენცია

mechanical * [mɪˈkænɪkəl *] მექანიკური წინააღმდეგობა *(დანაშაულის ჩადენისა და დელინკვენტობის აქტის მიმართ ტექნიკური მოწყობილობების, წინააღმდეგობების და ა.შ. დახმარებით)*

police * [pəˈliːs *] პოლიციური პრევენცია

punitive * [ˈpjuːnətɪv *] სადამსჯელო პრევენცია, პრევენცია მუქარით და სასჯელის გამოყენებით

social * [ˈsəʊʃəl *] სოციალური პრევენცია

special * [ˈspeʃəl *] სპეციალური გაფრთხილება, სპეციალური პრევენცია

preventive [prɪˈventɪv] *adj.* გამაფრთხილებელი, პრევენციული

preventively [prɪˈventɪvlɪ] *adv.* პრევენციულად, პრევენციული სახით

previous [ˈpriːvɪəs] *adj.* წინა; ადრინდელი, ადრე არსებული ან წარმოქმნილი; ადრე მომხდარი, წინასწარი

price [praɪs] *n.* 1. ფასი; 2. ფასიანი ქაღალდების კურსი; 3. *v.* დაფასება, შეფასება, ფასის დადება

*** of subscription** [* əv səbˈskrɪpʃn] გამოწერის ფასი

agreed * [əˈgriːd *] შეთანხმებული ფასი

contract(ual) * [ˈkɔntrækt(uəl) *] სახელშეკრულებო ფასი

contracting * [ˈkɔntræktɪŋ *] შეთანხმების ფასი; სანარდო ფასი

current * [ˈkʌrənt *] არსებული ფასი

fixed * [ˈfɪkst *] ფიქსირებული ფასი

going * [ˈgəʊɪŋ *] არსებული ფასი

market * [ˈmɑːkɪt *] საბაზრო ფასი

prevailing * [prɪˈveɪlɪŋ *] არსებული ფასი

purchase * [ˈpɜːʧəs] შესყიდვის ფასი

retail * [ˈriːteɪl *] საცალო ფასი

ruling * [ˈruːlɪŋ *] არსებული, გავრცელებული ფასი

sale * [seɪl *] გასაყიდი ფასი

wholesale * [ˈhəʊlseɪl *] საბითუმო ფასი

price-fixer [ˌpraɪs-ˈfɪksə] *n.* პირი, რომელიც აფიქსირებს ფასებს; კომპანია-კარტელის მონაწილე *(მონოპოლიურად მაღალი ფასების დადგენის მიზნით)*

price-fixing [ˌpraɪs-ˈfɪksɪŋ] *v.* ფასების ფიქსირება, დადგენა

hard-care * [hɑːd-keə *] ფასების ბოროტი ფიქსირება

priest [pri:st] *n.* მღვდელი

primacy [ˈpraiməsi] *n.* 1. პირველობა, პრიმატი; 2. არქიეპისკოპოსის წოდება, ხარისხი

prima facia *ლათ.* ერთი შეხედვით

prima pars aequitatis *ლათ.* სამართლიანობის უმნიშვნელოვანესი თვისებაა თანასწორობა

primary [ˈpraiməri] *n* 1. პირველადი ქრონოლოგიით; 2. მთავარი, ძირითადი; 3. პირველხარისხოვანი; 4. *pl ამერ.* პრაიმერიზი *(1. დელეგატების არჩევა პარტიულ ყრილობაზე; 2. კანდიდატების არჩევა კენჭისყრისთვის საყოველთაო არჩევნებზე; ერთი პარტიის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება)*

direct *ies [daiˈrekt *iz] პარტიულ ყრილობაზე დელეგატების პირდაპირი არჩევნები *(უშუალოდ იმ ამომრჩეველების მიერ, რომლებიც მოცემულ პარტიას ეკუთვნიან)*

nominating *ies [ˌnɔmiˈneitiŋ *iz] კანდიდატის არჩევა კენჭისყრისთვის საყოველთაო არჩევნებზე

prime [praim] *adj.* 1. მთავარი, ძირითადი, პირველი, უმნიშვნელოვანესი; 2. პირველსაწყისი; 3. *v.* ინსტრუქტირება

prime-minister [ˌpraim-ˈministə] *n.* პრემიერ-მინისტრი

prime-ministership [ˌpraim-ˈministəʃip] *n.* პრემიერ-მინისტრის თანამდებობა

primogeniture [ˌpraimouˈʤenitʃə] *n.* 1. პირმშოობა; 2. მაიორატი, მემკვიდრეობის გადასვლა უფროს ვაჟზე

primus inter pares *ლათ.* პირველი თანასწორთა შორის

prince [prins] პრინცი, უფლისწული; *ისტ.* მეფე, ხელმწიფე ◊ *** consort** [* ˈkɔnsɔ:t] პრინც-კონსორტი, პრინც-მეუღლე; *** Regent** [* riˈʤənt] პრინც-რეგენტი; *** Royal** [* ˈrɔiəl] მემკვიდრე-პრინცი; მეფის უფროსი ვაჟი

*** of Wales** [* ɔv weilz] უფლისწული *(ინგლისში ტახტის მემკვიდრე)*

crown * [kraun *] ტახტის მემკვიდრე, პრინცი

foreign * [ˈfɔrən *] უცხო სახელმწიფოს სუვერენი

princeps legibus solutus non est *ლათ.* კანონებისაგან ხელმწიფეც არაა თავისუფალი.

princess [ˌprinˈses] *n.* პრინცესა; თავადის ასული, თავადის ქალი ◊ *** Royal** [* rɔiəl] ინგლისის მეფის უფროსი ასული, პრინცესა

principal [ˈprinsipəl] *n.* 1. პრინციპალი, უფროსი, მეთაური, ხელმძღვანელი; 2. დირექტორი *(სკოლის, კოლეჯის)*; 3. პატრონი, ფირმის უფროსი; ხელშეკრულების მონაწილე; ძირითადი მონაწილე, ძირითადი მხარე; 4. ძირითადი თანხა; კაპიტალი; 5 ვალის თანხა *(რომელზეც ირიცხება პროცენტი)*; 6. თამასუქის ნომინალი; 7. საერთო ჯამი; 8. მთავარი დამნაშავე; 9. *adj.* მთავარი, ძირითადი, მნიშვნელოვანი ◊ *** in the first degree** [* in ðə fə:st diˈgri:] დანაშაულის პირველი ხარისხის შემსრულებელი *(პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული თვითონ ან უშუალოდ აგენტის შუამავლობით)*; *** in the second degree** [* in ðə ˈsekənd diˈgri:] დანაშაულის მეორე ხარისხის შემსრულებელი *(პირი, რომელიც ეხმარებოდა ან აქეზებდა დანაშაულის ჩადენაში)*; ***s to the contract** [*z tu ðə ˈkɔntrækt] შეთანხმების უშუალო მონაწილეები

*** of the claim** [* ɔv ðə keim] მოთხოვნის არსი, გამოგონების არსი

disclosed (named) * [disˈkləuzd (ˈneimd) *] დასახელებული პრინციპალი

foreign * [ˈfɔrən *] უცხო სახელმწიფოს პრინციპალი

undisclosed (unnamd) * [ˌʌndisˈkləuzd (ʌnˈneimd) *] დაუსახელებელი პრინციპალი

principality [ˌprinsiˈpæləti] *n.* სამთავრო, თავადაზნაურობა; ქვეყანა, რომელსაც პრინცი მართავს

principle [ˈprinsəpl] *n.* 1. პრინციპი, დოქტრინა, აქსიომა; 2. თავი, შემადგენელი ელემენტი; 3. კანონიერება, კანონი, წესი, ნორმა

*** of legality** [* ɔv liːˈgæləti] კანონიერების პრინციპი

coercive * [kɔuˈə:siv *] იძულების პრინციპი

consensus * [kənˈsensəs *] კონსესუსის პრინციპი

equidistance * [ˌi:kwiˈdistəns *] თანაბარდაცვის პრინციპი

first-to-invent * [fɜːst-tu-ɪn'vent *] "პირველი გამოგონების პრინციპი, პირველი გამოგონების უფლება პატენტის მიღებაზე
generally recognized *s ['ʤenərəl 'rekəgnaɪzd *] საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები
nationality * [ˌnæʃə'nælətɪ *] მოქალაქეობის პრინციპი
neighbour * ['neɪbə *] ახლობელზე ზრუნვის პრინციპი
"open door" * ['əupən dɔː *] "ღია კარის" პრინციპი
territorial * [ˌterə'tɔːrɪəl *] ტერიტორიულობის პრინციპი
unanimity * [juːnə'nɪmətɪ *] ერთსულოვნების პრინციპი, კონსესუსის პრინციპი
print [prɪnt] *n* ანაბეჭდი, სურათი
indecent *s [ɪn'diːsnt *] პორნოგრაფიული სურათები
prior ['praɪə] *adj.* I. წინამავალი; წინასწარი; 2. უპირატესი; პრიორიტეტული, პრივილეგირებული
priority [praɪ'ɔrətɪ] *n.* I. პრიორიტეტი, პირველობა, უფროსობა, უფროს-უმცროსობა, უპირატესობა, უპირატესი უფლება; 2. რიგითობა, პირველრიგითობა; 3. *პატ.* პრიორიტეტის თარიღი
* **of creditors** [* ɔv 'kredɪtəz] კრედიტორების მოთხოვნების უზრუნველყოფის რიგითობა
* **of invention** [* ɔv ɪn'venʃən] გამოგონების პრიორიტეტი
convention * [kən'venʃən *] *პატ.* კონვენციური პრიორიტეტი
domestic * [də'mestɪk] *პატ.* შიდა პრიორიტეტი
first * [fɜːst *] პირველრიგითობა
legislative *ies ['leʤɪslətɪv *ɪz] საკანონმდებლო პრიორიტეტები, პრიორიტეტები კანონმდებლობაში
Paris Convetion * ['pærɪs kən'venʃən *] სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ საპარიზო კონვენციით, პრიორიტეტი, რომელიც გათვალისწინებულია პარიზის კონვენციით; კონვენციური პრიორიტეტი
top * [tɔp *] რიგგარეშობა; პირველი რიგის უპირატესი უფლება
prison ['prɪzn] *n.* ციხე, საპატიმრო, საპყრობილე, სატუსაღო ◊ **to land in** * [tu lænd ɪn *] ციხეში ჩასმა
adult * ['ædʌlt *] ციხე სრულწლოვან პატიმართათვის
cellular * ['seljələ *] ციხე, აგებული საკნების სისტემით
central training * ['sentrəl 'treɪnɪŋ *] *ინგლ.* ცენტრალური გამასწორებელი *(რესოციალიზაციის)* ციხე
city * ['sɪtɪ *] ქალაქის ციხე
closed ['kləusd *] დახურული ტიპის ციხე *(დიდ ბრიტანეთში)*
conventional * [kən'venʃənəl *] ჩვეულებრივი ტიპის ციხე *(საერთო რეჟიმის)*
convict * ['kɔnvɪkt *] ციხე მსჯავრდებულთათვის
federal * ['fedərəl *] *ამერ.* ფედერალური ციხე
female * ['fiːmeɪl *] ქალთა ციხე, კოლონია
fenced-in * ['fenst-ɪn *] შემოსაზღერული, შემოღობილი ციხე
fortress * ['fɔːtrəs *] ციხესიმაგრე
humane * [hjuː'meɪn *] ჰუმანიტარულ საწყისებზე ფუნქციონირებადი ციხე
industrial * [ɪn'dʌstrɪəl *] "სამრეწველო ციხე", ციხე, სადაც პატიმრები მუშაობენ ციხეში, სახელოსნოებში
local * ['ləukəl *] *ინგლ.* ადგილობრივი ციხე, საპატიმრო
long-term * [ˌlɔŋ-'tɜːm *] ციხე ხანგრძლივვადიანი პატიმრობისთვის
male * [meɪl *] მამაკაცთა ციხე
maximum-security * ['mæksɪməm-sɪ'kjuərətɪ *] *ინგლ.* ციხე პატიმართა მაქსიმალური იზოლაციით
minimum-security * ['mɪnɪməm-sɪ'kjuərətɪ *] *ინგლ.* ციხე პატიმართა მინიმალური იზოლაციით
open * ['əupən *] *ინგლ.* ღია ტიპის *(დაუცველი)* ციხე
ordinary * ['ɔːdnrɪ *] ჩვეულებრივი ციხე *(საერთო რეჟიმის)*
overcrowded * [ˌəuvə'kraudɪd *] გადავსებული ციხე
provost * ['prɔvəst *] სამხედრო ციხე
receiving * [rɪ'siːvɪŋ *] ციხის განამაწილებელი, გადასაგზავნი ციხე
regional training * ['riːʤənl 'treɪnɪŋ *] რეგიონული გამასწორებელი *(რესო-*

(ციალიზაციის) ციხე
remand • [rɪ'mɑ:nd •] წინასწარი პატიმრობის ციხე, საპატიმრო; საგამოძიებო ციხე
state • [steɪt •] შტატის ციხე
trainig • ['treɪnɪŋ •] *ინგლ.* გამასწორებელი *(რესოციალიზაციის)* ციხე
transit • ['trænsɪt •] გადასაგზავნი ციხე
walled • ['wɔ:ld •] კედლებით შემოსაზღერული ციხე
wired • ['waɪəd •] ეკლიანი მავთულით შემოსაზღერული ციხე
youth • [ju:θ •] ციხე ახალგაზრდა პატიმართათვის
prison-breaking ['prɪzn-'breɪkɪŋ] *n.* ციხიდან გაქცევა *(ფიზიკური წინააღმდეგობების დაძლევით)*
prisoner ['prɪznə] *n.* პატიმარი, პატიმრობაში მყოფი პირი, განსასჯელი, ბრალდებული პატიმრობაში; *სამხ.* პაუპტვახტში მყოფი პატიმარი ◊ • **at large** [• ət lɑ:ʤ] *სამხ.* პატიმარი ჰაუპტვახტში მოთავსების გარეშე; • **at the bar** [• ət ðə bɑ:] ბრალდებული; • **in the dock** [• ɪn ðə dɔk] განსასჯელი; • **on bail** [• ɔn beɪl] ბრალდებული, *(გადრაგირებილან, პატიმრობილან)* თავდებით გაშვებული; • **on trial** [• ɔn 'traɪəl] განსასჯელი; **to take** • [tu teɪk •] 1. პატიმრობაში აყვანა, დაპატიმრება; 2. ტყვედ აყვანა
• **of conscience** [• ɔv 'kɔnʃəns] "სინდისის ტყვე"; პოლიტიკური პატიმარი
• **of the military** [• ɔv ðə 'mɪlɪtərɪ] სამხედრო ტყვე
• **of war** [• ɔv wɔ:] სამხედრო ტყვე
army • ['ɑ:mɪ •] სამხედრო ტყვე
civil • ['sɪvɪl •] პატიმარი, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების წესით დაპატიმრებული
close • [klɔuz •] განსაკუთრებული რეჟიმის ქვეშ მყოფი პატიმარი; პატიმარი, მოთავსებული ცალკე საკანში
conforming • [kən'fɔ:mɪŋ •] აღმინისტრაციის მოთხოვნებს დაქვემდებარებული პატიმარი
conventional • [kən'venʃənəl •] ჩვეულებრივი პატიმარი
court • [kɔ:t •] სასამართლოზე რიცხული პატიმარი
court-martial • [kɔ:t-'mɑ:ʃəl •] სამხედრო პატიმარი; პატიმარი, რიცხული სამხედრო სასამართლოზე
crown • [kraun •] *ინგლ.* პირი, რომელიც იმყოფება პატიმრობაში სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით
discharged • [dɪs'ʧɑ:ʧd •] პატიმრობიდან განთავისუფლებული პატიმარი
eligible • ['elɪʤəbl •] პატიმარი, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს, აუცილებელს – მისი პირობით-ვადამდელი განთავისუფლებისთვის
escaped • [ɪ'skeɪpt •] გაქცეული ან პატიმრობიდან უკანონოდ განთავისუფლებული პატიმარი
federal • ['fedərəl •] *ამერ.* 1. ფედერალური ციხის პატიმარი; 2. ფედერალური სისხლის სამართლის ნორმების მიხედვით პატიმრობაში მყოფი ბრალდებული
fellow • ['feləu •] თანამესაკნე ან პატიმრობაში მყოფი თანაბრალდებული
felony • ['felənɪ •] 1. ფელონიისთვის პატიმრობაში მყოფი ბრალდებული; 2. პირი, რომელიც იხდის პატიმრობას ფელონიისთვის
garrison • ['gærɪsn •] *სამხ.* დისციპლინარული წესით დაპატიმრებული
highly litigious • ['haɪlɪ lɪ'tɪʤəs •] სასამართლო წესით თავისი უფლებების აქტიურად დამცველი პატიმრობაში მყოფი პატიმარი ან ბრალდებული
honour • ['ɔnə •] საპატიო *(შეღავათიან რეჟიმში მყოფი)* პატიმარი
indigent • ['ɪndɪʤənt •] პატიმრობაში მყოფი გადახდისუუნარო ბრალდებული
jail • [ʤeɪl •] *ამერ.* ადგილობრივი ციხის პატიმარი
life-sentence • [ˌlaɪf-'sentəns •] სამუდამო პატიმრობამისჯილი პატიმარი
life-term • [ˌlaɪf-'tɜ:m •] სამუდამო პატიმარი
long-sentence (long-term) • [ˌlɔŋ-'sentəns (ˌlɔŋ-'tɜ:m) •] მსჯავრდადებული, რომელიც იხდის გრძელვადიან პატიმრობას
misdemeanant • [ˌmɪsdɪ'mi:nənt •] 1. პატიმრობის მოხდა მისდიმინორის გამო; 2. ბრალდებული მისდიმინორით
non-conforming • [ˌnɔn-'kɔnfɔ:mɪŋ •]

დაპატიმრებული, რომელიც არ ემორჩილება ადმინისტრაციის მოთხოვნებს
non-criminal * [ˌnɔn-ˈkrɪmɪnəl *] სამოქალაქო *(და არა სისხლის სამართლის)* საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების წესით დაპატიმრებული *(ციხეში მყოფი)*
political * [pəˈlɪtɪkl *] პოლიტიკური პატიმარი
refractory * [rɪˈfræktəri *] პატიმარი, რომელიც არ ემორჩილება ციხის წესებს ან მონაწილეობს ციხეში მომხდარ უწესრიგობებში
remand * [rɪˈmɑːnd *] წინასწარპატიმრობაში მყოფი პირი
secure * [sɪkjuə *] საიმედოდ დაცული პატიმარი
short-sentence (short-term) * [ˌʃɔːt-ˈsentəns (ˌʃɔːt-ˈtɜːm *] მსჯავრდებული, რომელიც იხდის მცირევადიან პატიმრობას
star * [stɑː *] *ირკვ.* "ვარსკვლავთა" კლასის პატიმარი *(პრიუილეგირებული კატეგორია პატიმრებისა)*
state * [steɪt *] 1. პოლიტიკური პატიმარი; 2. შტატის ციხის პატიმარი; 3. შტატის სისხლის სამართლის ნორმების მიხედვით პატიმრობაში მყოფი ბრალდებული
tried * [traɪd *] პატიმარი სასამართლოს მიერ განხილულ საქმეზე
untried * [ʌnˈtraɪd *] პატიმარი სასამართლოს მიერ ჯერ განუხილავ საქმეზე
violent * [ˈvaɪələnt *] პატიმარი, რომელიც დაპატიმრებულია ძალადობის აქტის გამო
woman * [ˈwʊmən *] ქალი-პატიმარი
prison-student [ˌprɪzn-ˈstjuːdənt] *n.* პატიმარი, რომელიც სწავლობს ციხის სკოლაში
prison-keeper [ˌprɪzn-ˈkiːpə] *n.* ციხის ზედამხედველი
prisonmate [ˈprɪznmeɪt] *n.* ციხის პატიმარი
prisonous [ˈprɪznəs] *adj.* ციხის, საციხო
privacy [ˈprɪvəsi] *n.* 1. საიდუმლო, საიდუმლოება, კონფიდენციალურობა; 2. კერძო ცხოვრება, პირადი ცხოვრების ინტიმურობა, ინტიმური სფერო; პრაივესი; 3. კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობა
*** of correspondence** [* əv ˌkɔrəsˈpɔndəns] მიმოწერის საიდუმლოება
*** of letters** [* əv ˈletəz] მიმოწერის საიდუმლოება
marital * [ˈmærɪtl *] მეუღლეების ინტიმურობა, მეუღლეების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა
personal * [ˈpɔːsnəl *] პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა
presidential * [ˌprezɪˈdenʃəl *] პრეზიდენტის *(გარკვეული სახის)* საქმიანობის კონფიდენციალობა
royal * [ˈrɔɪəl *] მეფის პიროვნების, მეფის ოჯახის, სამეფო სახლის წევრების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა
private [ˈpraɪvɪt] *adj.* 1. კერძო; 2. არაოფიციალური; 3. კონფიდენციალური; 4. დახურული *(სხდომების შესახებ)* ◊ **in** * [ɪn *] დაკეტილ კარს მიღმა
privateer [ˌpraɪvəˈtɪə] *n. ისტ.* კაპერი
privateering [ˌpraɪvəˈtɪərɪŋ] *n. ისტ.* კაპერობა
privately [ˈpraɪvətlɪ] *adv.* 1. კერძო წესით; კონფიდენციალურად; არაოფიციალურად; 2. დახურული წესით
privately-owned [ˈpraɪvətlɪ-ˈəʊnd] *adj.* კერძო საკუთრებაში მყოფი; კერძო
privilege [ˈprɪvəlɪdʒ] *n.* 1. პრივილეგია; 2. უპირატესი, პრივილეგირებული უფლება; 3. იმუნიტეტი; 4. ხელშეუხებლობა; 5. პრიორიტეტი *(საკითხების განხილვის რიგითობის დადგენისას)*; 6. *v.* პრივილეგიის, უპირატესობის მინიჭება; 7. *pl.* მხარეთა განსაკუთრებული უფლებები ფინანსურ კონტრაქტზე *(მაგ. ოპციონი)* ◊ *** against self-incrimination** [* əˈgeɪnst ˌself-ɪnˈkrɪmɪneɪʃən] პრივილეგია თვითბრალდების წინააღმდეგ; ***s annexed to royal** [* s ˈænekst tu ˈrɔɪəl] სამეფო ოჯახის წევრებისთვის მინიჭებული პრივილეგიები
*** of confidentiality** [*] əv ˌkɔnfɪˌdenʃɪˈælətɪ] კონფიდენციალობის პრივილეგია *(უფლება არ გაბმაურდეს კონფიდენციალური ინფორმაცია)*
*** of court** [* əv kɔːt] სასამართლოსთვის მიმართვის პრივილეგია
*** of parliament** [* əv ˈpɑːləmənt] პარლამენტის წევრების საპარლამენტო პრი-

ვილეგიები; სადეპუტატო ხელშეუხებლობა
• of sanctuary [• ɔv ˈsæŋkʧuəri] თაღშესაფრის უფლება
• of witness [• ɔv ˈwɪtnəs] მოწმის იმუნიტეტი *(მოწმის უფლება, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე)*
absolute • [ˈæbsəluːt •] I. აბსოლუტური პრივილეგია; 2. აბსოლუტური იმუნიტეტი
advice • [ədˈvaɪs •] უფლება, არ გაახმაუროს მიღებული კონსულტაციის შინაარსი
ambassador's • [æmˈbæsədəz •] ელჩის იმუნიტეტი
attorney-client • [əˈtɜːniˈklaɪənt •] ატორნეის *(ადვოკატის)* უფლება, არ გაახმაუროს კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია
constitutional • [ˌkɔnstɪˈtjuːʃnəl •] I. კონსტიტუციური პრივილეგია; 2. კონსტიტუციური იმუნიტეტი
corporate • [ˈkɔːpərət •] იურიდიული პირის უფლება
crown • [kraun •] I. გვირგვინის პრივილეგია; 2. გვირგვინის მიერ მინიჭებული პრივილეგია; 3. სამეფო პირის ხელშეუხებლობა
diplomatic • [ˌdɪpləˈmætɪk •] დიპლომატიური იმუნიტეტი
discretionary • [dɪˈskreʃənəri •] დისკრეციული უფლება
evidentiary • [ˈevɪdenʃəri •] ჩვენებაზე ან მტკიცების წარდგენის უარის თქმის უფლება
read [riːd] *n. v.* 1. განხილვა, გარჩევა, "კითხვა" *(კანონპროექტის შესახებ)*; 2. განმარტება; 3. ამბობს, აცნობებს *(დოკუმენტზე)*; 4. გამოქვეყნება ◊ **to** * **into the contract** [tu * ˈɪntə ðə ˈkɔntrækt] ჩართვა, ვარაუდი არსებობის *(იმ პირობებზე, რომელიც ჩართულია ხელშეკრულებაში თვით სამართლით)*; **to** * **into the record** [tu * ˈɪntə ðə ˈrekɔːd] ოქმში შეტანა, ოქმთან მიერთება; **to** * **the case** [tu * ðə keɪs] საქმის წარმოება
readable [ˈriːdəbl] *adj.* 1. იდეილად წასაკითხი, მკაფიო, გასარკვევი; 2. *ამ.* თავისი მოქმედებით მომცავი *(სამტენტო მოთხოვნების, გამოგონების ფორმულის შესახებ)*
reading [ˈriːdɪŋ] *n.* 1. წაკითხვა *(მაგ. კანონპროექტისა)*, განხილვა, გარჩევა; 2. განმარტება; 3. გამოქვეყნება
ancient * [ˈeɪnʃənt *z] ლექციები ძველ ინგლისურ კანონებზე *(ანგლოსაქსური სამართლის ავტორიტეტული წყაროდ)*
first * [fɜːst *] პირველი წაკითხვა, პარლამენტში კანონპროექტის ფორმალური შეტანა
second * [ˈsekənd *] მეორე წაკითხვა *(კანონპროექტისა პარლამენტში)*
third * [θɜːd *] მესამე წაკითხვა *(უკანასკნელი სტადია პარლამენტში კანონპროექტის განხილვისა)*
reaffirm [ˌriːəˈfɜːm] *v.* განმეორებით დამტკიცება, ხელახლა დადასტურება
real [ˈriːəl] *adj.* რეალური, ნივთობრივი, ნივთიერი, უძრაცი, მიწის
reallage [ˈriːəlɪʤ] *n.* განმეორებით განცხადება; განმეორებით მტკიცება; განმეორებით მითითება; განმეორებით მიწერა ვინმეზე; ბრალდება, დადანაშაულება ვისიმე
realm [relm] *n.* 1. სამეფო, სახელმწიფო, ქვეყანა; 2. სფერო, დარგი, არე

realtor [ˈri:əltɔ] *n.* აგენტი უძრავი ქონების ოპერაციებში

realty [ˈri:əlti] *n.* უძრავი ქონება; "რეალური" ქონება

reappoint [ˌri:əˈpɔint] *v.* კვლავ, ხელახლა დანიშვნა

reapportion [ˌri:əˈpɔ:ʃən] *n.* გადანაწილება

reapportionment [ˌri:əˈpɔ:ʃənmənt] *n.* გადანაწილება *(მაგ. საპარლამენტო ადგილებისა, წარმომადგენელთა პალატის წევრთა რაოდენობისა ყოველი შტატიდან, ოლქიდან – არჩევნებისას და ა.შ.)*

reargue [ˈrɪɑ:gju:] *v.* განმეორებითი სჯა-ჰაექრობა ◊ *** to a case** [* tu ə keɪs] განმეორებითი სასამართლო სჯა-ჰაექრობა, საქმის ხელმეორედ განხილვა

re-arrest [ˌri:-əˈrest] *n. v.* განმეორებითი დაპატიმრება ◊ **to * upon the same basis** [tu * əˈpɔn ðə seɪm ˈbeɪsɪs] განმეორებითი დაპატიმრება უწინდელი *(იმავე, ანალოგიური)* საფუძვლით

reason [ˈri:zn] *n.* 1. მიზეზი, საფუძველი, მოტივი; 2. მოტივირება ◊ ***s for decision** [* s fɔ: dɪˈsɪʒən] გადაწყვეტილების იურიდიული მოტივირება ***s of state** [*z ɔv steɪt] სახელმწიფო ინტერესები, სახელმწიფოს ინტერესები **conclusive *s** [kənˈklu:sɪv *z] საბოლოო მოტივიზაცია **good *** [gud *] საკმარისი საფუძველი **good * to believe** [gud * tu bɪˈli:v] საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის **ostensible *** [ɔˈstensəbl *] მოჩვენებითი, ცრუ მიზეზი, საფუძველი, მოტივი **valid *** [ˈvælɪd *] საპატიო მიზეზი

reasonable [ˈri:zɪnəbl] *adj.* სამართლიანი, გონიერული, მართებული, დასაბუთებული, სათანადო, შესაბამისი

reasonableness [ˈri:zɪnəblɪnɪs] *n.* სამართლიანობა *(საბუთისა)*; გონიერულობა; მართებულობა; გონიერულად აუცილებელი; დასაბუთება

reasoned [ˈri:zɪnd] *adj.* დასაბუთებული, მოტივირებული

reasoning [ˈri:zɪnɪŋ] *n.* მოტივირება, მოტივების გადმოცემა; დასაბუთება; გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველი *** of judg(e)ment** [* ɔv ˈʤʌʤmənt] გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველი **legal *** [ˈli:gəl *] სამართლებრივი დასაბუთება

reassurance [ˌri:əˈʃuərəns] *n.* 1. ხელახალი დაზღვევა; 2. რწმუნება, დარწმუნება, დაჯერება

reassure [ˌri:əˈʃuə] *v.* 1. ხელახალი დაზღვევა; 2. დარწმუნება, დაჯერება, დაყოლიება

reattach [ˌri:əˈtæʧ] *v.* 1. ხელახლა აყვანა ბადრაგის ქვეშ, ხელახლა დაპატიმრება; 2. ხელახლა აღწერა *(ქონებისა)*

reattachment [ˌri:-əˈtæʧmənt] *n.* 1. ბადრაგის ქვეშ ხელახალი აყვანა, ხელახლა დაპატიმრება; 2. ხელახალი აღწერა ქონებისა

rebate [ˈri:beɪt] *n.* 1. თანხა, რომელსაც უკან უბრუნებენ გადამხდელს, იმის გამო, რომ მან ზედმეტი გადაიხადა; 2. ფასის ჩამოკლება, ფასდაკლება; 3. ჩამოკლება, შემცირება; 4. შეწყვეტა, გაუქმება, ანულირება

rebel [ˈrebl] 1. *n.* აჯანყებული, მოჯანყე, მეამბოხე; 2. *v.* აჯანყება, ამბოხის მოწყობა

rebellion [rɪˈbeljən] *n.* აჯანყება, ამბოხი; დაუმორჩილებლობა *(მათ შორის სასამართლოში)*

rebus sic stantibus *ლათ.* შეუცვლელ გარემოებებისას

rebut [rɪˈbʌt] *v.* 1. კონტრრეპლიკა, პასუხი რეპლიკაზე; მოპასუხის მესამე საპაექრო ქაღალდი, მესამე შეპასუხება მოპასუხისა; 2. მოკვრიება, მარჯვედ დახვედრა, უკუგდება, გაბათილება, უარყოფა; კონტრმტკიცებების წარდგენა ◊ **to * a defence** [tu * ə dɪˈfens] შედავება დაცვის საბუთებზე, მოსაზრებებზე; დაცვაზე შედავება; მტკიცების წარდგენა დაცვის საწინააღმდეგოდ; **to * a prosecution** [tu * ə ˌprɔsɪˈkju:ʃən] ბრალდების საბუთების, მოსაზრებების უარყოფა; ბრალდების უარყოფა; ბრალდების საწინააღმდეგოდ მტკიცებულებების წარდგენა

rebutment [rɪˈbʌtmənt] *n.* უარყოფა, უკუგდება

rebuttable [rɪˈbʌtəbl] *adj.* უარსაყოფი

rebuttal [rɪ'bʌtəl] *n.* უარყოფა; კონტრმტკიცების წარდგენა, გაბათილება, უკუგდება ◊ **a * with proof** [ə * wɪð pru:f] მტკიცებულებებით უარყოფა

rebutter [rɪ'bʌtə] *n.* კონტრრეპლიკა, პასუხი რეპლიკაზე, მოპასუხის მესამე საპაექრო ქაღალდი, მოპასუხის მესამე შეპასუხება

recalcitrant [rɪ'kælsɪtrənt] *n.* ჯიუტად დაუმორჩილებლობა

recall [rɪ'kɔ:l] *n. v.* 1. გაუქმება; 2. გაწვევა *(თანამდებობის პირზე, დიპლომატიურ წარმომადგენელზე)*; 3. მეორადი თანხლება გამასწორებელ დაწესებულებაში; 4. უკან წაღება; უკან მოთხოვნა; 5. უკუგდება, უკუქცევა; 6. გახსენება, მეხსიერებაში აღდგენა; 7. გაბათილება *(ბრძანებისა, შეკვეთისა, დაკვეთისა და სხვ.)* ◊ **to * a judg(e)ment** [tu * ə 'ʤʌʤmənt] სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება

recapture [ˌri:'kæpʧə] *v.* რეპრიზი; წართმევა, უკან წაღება, დატოვებინება; მეორედ დაკაება *(დაკერა)*, მეორედ დაპატიმრება; მეორედ დაკაება

receipt [rɪ'si:t] *n.* 1. მიღება; 2. ხელწერილი მიღებაზე; ქვითარი; 3. *v.* ხელწერილის გაცემა მიღებაზე, ხელის მოწერა მიღებაზე, ხელწერილის მიცემა; 4. *pl.* შემოსავალი, ამონაგები, ფულადი მიღება ◊ **'s and expenditures** ['z ænd ɪk' spendɪʧəz] შემოსავალი და გასავალი

against * [ə'geɪnst *] ხელწერილის ქვეშ, ხელწერილით; ქვითრის წინააღმდეგ

accountable * [ə'kauntəbl *] ხელისმოწერა ფულის ან მოძრავი ქონების მიღებაზე ანგარიშის ჩაბარების, გადახდის ან მიტანის ვალდებულებით

binding * ['baɪndɪŋ *] დროებითი სადაზღვევო დოკუმენტი *(პოლისის გაფორმებამდე)*

cash * [kæʃ *] ხელწერილი ნაღდი ფულის მიღებაზე

clean * [kli:n *] სუფთა ხელწერილი *(ხელწერილი, რომელიც არ შეიცავს შენიშვნებს)*

custody * ['kʌstədɪ *] დაცვა-შენახვის ბარათი

delivery * [dɪ'lɪvərɪ *] ხელწერილი მიღებისთვის; მიღების ხელწერილი

deposit * [dɪ'pɔzɪt *] დეპოზიტური ქვითარი, მოწმობა; დაცვა-შენახვის ბარათი

dock * [dɔk *] დოკის ხელწერილი *(ტვირთის მიღებისა და შემდგომი გაგზავნისთვის)*

filing * ['faɪlɪŋ *] ხელწერილი დოკუმენტის მიღების, მოსვლის შესახებ; *ბატ.* პრიორიტეტული ცნობა

foul * [faul *] ხელწერილი, რომელიც შეიცავს შენიშვნებს

hand * [hænd *] ხელწერილი

innocent * [ɪnəsnt *] კეთილსინდისიერი შენაძენი

interim * ['ɪntərɪm *] დროებითი ხელწერილი

luggage * ['lʌgɪʤ *] საბარგო ქვითარი

mate's * [meɪts *] შტურმანის ხელწერილი; გემის კაპიტნის თანაშემწის ხელწერილი *(ტვირთის მიღებაზე)*

parcel * ['pɑ:sl *] ქვითარი ტვირთის წვრილ პარტიაზე

post-office * [pəust-ɔ'fɪs *] საფოსტო ქვითარი

return * [rɪ'tɜ:n *] ხელწერილი დაბრუნებული ნივთის მიღებაზე

shipping * ['ʃɪpɪŋ *] ტვირთის გადატანაზე მიღების ხელწერილი

ship's clean * ['ʃɪpz kli:n *] სუფთა გემის ხელწერილი

trust * [trʌst *] 1. დაცვა-შენახვის ბარათი, ხელწერილი ნდობის საფუძველზე; 2. ტრასტის სამმაროველოში ქონების მიღების ხელწერილი

warehouse * ['weəhauz *] 1. *ინგლ.* საწყობის ხელწერილი, სასაქონლო ქვითარი; შენახვაზე მიღებული ტვირთის ქვითარი; 2. *ამერ.* საწყობის მოწმობა

warehouse-keeper's * ['weəhaus-'ki:pəz *] საწყობის ხელწერილი

receiptee [rɪ'si:ti:] *n.* პირი, რომელზედაც გაიცა ხელწერილი მიღების შესახებ

receiptor [rɪ'si:tə] *n.* ტვირთის მიღების ხელწერილის გამცემი; ტვირთის მიღებაზე ხელისმომწერი

receivable [rɪ'si:vəbl] *adj.* მისაღები *(ტვირთი)*; მიღებას დაქვემდებარებული ◊ **in evidence** [* ɪn evɪdəns] მისაღები; მისაღები მტკიცებულების სახით

receive [rɪ'si:v] *v.* 1. მიღება; 2. ათვისება, აღქმა *(ახალი იდეებისა, ცნობებისა)*;

3. მიღება, დამალვა შეყვარება *(წინასწარცნობილი მოპარული ქონების ან დამნაშავის)* ◊ **to * an offender** [tu * ən ə'fendə] დამნაშავის დაფარვა; **to * a sentence** [tu * ə 'sentəns] მსჯავრდებული; **to * at trial** [tu * ət 'traiəl] სასამართლო წარმოების მასალებთან დართვა; **to * evidence** [tu * 'evidəns] მტკიცებულების მიღება; **to * in livery** [tu * in 'livəri] მფლობელობაში მიღება; **to * into prison** [tu * 'intə 'prizn] ციხეში ჩასმა, პატიმრის მიღება; **to * provocation** [tu * ˌprəvə'keiʃən] პროვოკაციის ქვეშ მოქცევა; **to * stolen goods** [tu * 'stəuln gudz] ნაქურდალის მიღება, დაფარვა; **to * testimony** [tu * 'testiməni] მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა

received [ri'si:vd] *adj.* მიღებული, აღიარებული, ცნობილი

universally * [ˌju:ni'və:səli *] საყოველთაოდ მიღებული, საყოველთაოდ აღიარებული, ცნობილი

receiver [ri'si:və] *n.* 1. მიმღები; 2. მმართველი საკონკურსო მასით; 3. გადასახადების ამკრეფი; 4. გადასახადების ადმინისტრატორი, შემოსავლების ინკასატორი; 5. წინასწარცნობილი ნაქურდალი ქონების დამფარავი ◊ *** general of the public revenue** [* 'ʤenərəl əv ðə 'pʌblik 'revənju:] გადასახადების ამკრეფი; *** in bankruptcy** [* in 'bæŋkrəptsi] გაკოტრებისას საკონკურსო მასის მმართველი

*** of customs** [* əv 'kʌstəmz] საბაჟო შემოსავლების ადმინისტრატორი

court * [kɔ:t *] პირი, რომელიც დანიშნულია სასამართლოს ბრძანებით, მართოს ბანკროტის ქონება ან ქონება, რომელიც წარმოადგენს სასამართლო დავის საგანს

guilty * ['gilti *] დამნაშავე, ბრალეული წინასწარშეცნობილი ნაქურდალი ქონების დაფარვაში

official [ə'fiʃəl *] ოფიციალური ლიკვიდატორი

receivership [ri'si:vəʃip] *n.* 1. შემოსავლების ადმინისტრაცია; 2. სტატუსი პირისა, რომელიც დანიშნულია სასამართლოს ბრძანებით მაროთს ბანკროტის *(გაკოტრებულის)* ქონება ან ქონება, რომელიც წარმოადგენს სასამართლო დავის საგანს

active * [ˈæktiv *] საკონსკურსო მასის აქტიური მართვა

court (appointed) * [kɔ:t (ə'pɔintid) *] სტატუსი ან ფუნქცია პირისა, რომელიც დანიშნულია სასამართლოს ბრძანებით, მართოს ბანკროტის *(გაკოტრებულის)* ქონება ან სასამართლო დავის საგნის შემადგენელი ქონება

pendente lite * ['pendənt lait *] ქონების მართვა, რომელიც წარმოადგენს სასამართლო დავის საგანს

receiving [ri'si:viŋ] *n.* იმ ქონების დაფარვა დამალვა, რომელიც მოპოვებულია დანაშაულებრივი *(წინასწარი შეცნობით)* გზით ◊ *** and uttering** [* ænd 'ʌtəriŋ] იმ ქონების დაფარვა და გასაღება, რომელიც მოპოვებულია დანაშაულებრივი *(წინასწარი შეცნობით)* გზით

receptacle [ri'septəkl] *n.* სათავსო, შენობა, ადგილი *(განკუთვნილი მოპარული ნივთების შესანახად)* ◊ *** for stolen goods** [ri'septəkl * fɔ: 'stəuln gudz] ადგილი, შენობა, რომელიც ემსახურება ნაქურდალის შენახვას

reception [ri'sepʃən] *n.* მიღება; 2. შესვლა, შემოსვლა ◊ *** on conviction** [* ən kən'vikʃən] შემოსვლა *(ციხეში და ა.შ.)* გასამართლების შემდეგ; *** under sentence** [* 'ʌndə 'sentəns] შემოსვლა *(ციხეში და ა.შ.)* განაჩენით

*** of aliens** [* əv 'eiliənz] უცხოელის დაშვება

*** of evidence** [* əv 'evidəns] 1. მტკიცებულების მიღება; 2. ჩვენებების მოსმენა

*** of hearsay** [* əv 'hiəsei] სხვისი სიტყვებიდან მიღებული ცნობების დართვა საქმის მასალებთან

receptor [ri'septə] *n.* მიმღები

recess [ri:'ses] 1. *n.* სხდომის შესვენება: *ამერ.* არდადეგები; 2. *pl.* სამალაო, ნიშა, საიდუმლო საცავი *(ძვირფასეულობისაჲ)* 3 *v.* სხდომის შესვენების გამოცხადება; დასვენება ◊ *** for examination of statement** [* fɔ: igˌzæmi'neiʃən əv 'steitmənt] განცხადების შესწავლისთვის სხდომაზე გაკეთებული შესვენე-

ბა; • **for deliberation** [• fɔ: ˌdɪlɪbəˈreɪʃən] სათათბიროდ გასვლა • **of the jury** [• ɔv ðə ˈʤuəri] ნაფიც მსაჯულთა გასვლა სათათბიროდ

recession [rɪˈseʃən] *n.* 1. შემცირება, დაკლება; 2. დაცემა, შენელება *(ტემპისა ვაჭრობაში ან ეკონომიკაში; წარმოების ზრდის ტემპისა)*, რეცესია; 3. წასვლა; დატოვება, მიტოვება; უკან დახევა, გაშორებალა *(ორგანიზაციიდან, პარტიიდან და ა.შ.)*; 4. ტერიტორიების უკან დაბრუნება

recidivate [rɪˈsɪdɪveɪt] *v.* რეციდივირება, დანაშაულის განმეორებით *(გასამართლების შემდეგ)* ჩადენა

recidivism [rɪˈsɪdɪvɪzəm] *n.* რეციდივი

recidivist [rɪˈsɪdɪvɪst] *n.* რეციდივისტი **confirmed** • [kənˈfɜ:md •] პირი, ოფიციალურად *(სასამართლოს მიერ)* აღიარებული რეციდივისტად **dangerous** • [ˈdeɪnʤərəs •] საშიში რეციდივისტი **special dangerous** • [ˈspeʃəl ˈdeɪnʤərəs •] განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი

recipient [rɪˈsɪpɪənt] *n.* მიმღები **authorized** • [ɔ:ˈθɔraɪzd •] რწმუნებული მიმღები, უფლებამოსილი მიმღები **legitimate** • [lɪˈʤɪtɪmət •] კანონიერი მიმღები **welfare** • [ˈwelfeə •] შემწეობის მიმღები; პენსიონერი

reciprocal [rɪˈsɪprəkəl] *adj.* ურთიერთ; ორმხრივი, საპასუხო, შესატყვისი, ეკვივალენტური

reciprocate [rɪˈsɪprəkeɪt] *v.* ქმედებათა ურთიერთმოქმედების *(მაგ. გაცვლა-გამოცვლის)* საწყისებზე; წინ და უკან მოძრაობა; ურთმანეთისთვის სამსახურის გაწევა; სამაგიეროს გადახდა

reciprocity [ˌresɪˈprɔsəti] *n.* ურთიერთმოქმედება *(ნაცვალგება)*; ერთმანეთისთვის სამსახურის გაწევა **legislative** • [ˈleʤɪslətɪv •] საკანონმდებლო ნაცვალგება *(ურთიერთმოქმედება)*; ნაცვალგების *(ურთიერთმოქმედების)* პრინციპის გამოყენება კანონმდებლობაში

recital(s) [rɪˈsaɪtl(z)] *n* 1. დაწერილებითი თხრობა, ფაქტების ჩამოთვლა *(დოკუმენტის შესავალში, სასარჩელო განცხადების მაკონსტატირებელ ნაწილში)*; 2. დეკლარაციული ნაწილი *(დოკუმენტისა)*

recite [rɪˈsaɪt] *v.* ჩამოთვლა *(ფაქტებისა)*, აღწერა *(ფაქტების, დოკუმენტის შინაარსისა)*

reckless [ˈrekləs] *adj.* გაუფრთხილებელი, წინდაუხედავი

recklessly [ˈrekləsli] *adv.* გაუფრთხილებლად, წინდაუხედავად

recklessness [rɪˈkləsnəs] *n.* გაუფრთხილებლობა, წინდაუხედაობა

reclaim [rɪˈkleɪm] *v.* 1. უკან მოთხოვნა; გამოთხოვა; 2. *შოტლ.* აპელაციის შეტანა

recodification [rɪˌkɔdɪfɪˈkeɪʃən] *n.* რეკოდიფიკაცია

recodify [rɪˈkɔdɪfaɪ] *v.* რეკოდიფიკაცია

recognisance [rɪˈkɔgnɪzəns] *იხ.* **recognizance**

recognition [ˌrekəgˈnɪʃən] *n.* 1. აღიარება, ცნობა; 2. შემდგომი მოწონება, შემდგომი დამტკიცება; 3. სიტყვის მიცემა *(სხდომაზე)* ◊ • **de facto** *ლათ.* დე ფაქტოს აღიარება *იხ.* **de facto**; • **de jure** *ლათ.* დე იურეს აღიარება *იხ.* **de jure** • **of belligerency** [• ɔv bɪˈlɪʤərənsi] აღიარება, ცნობა მეომარი მხარის სახით • **of government** [• ɔv ˈgʌvənmənt] მთავრობის აღიარება • **of insurgency** [• ɔv ɪnˈsɜ:ʤənsi] აღიარება აჯანყებული მხარის სახით • **of nation** [• ɔv ˈneɪʃən] ერის აღიარება, ნაციის აღიარება • **of state** [• ɔv steɪt] სახელმწიფოს აღიარება, ცნობა **conditional** • [kənˈdɪʃənəl •] პირობითი აღიარება **interstate** • **of divorce** [ˌɪntəˈsteɪt • ɔv dɪˈvɔ:s] შტატების მიერ განქორწინების ურთიერთცნობარი აღიარება, რომელიც გაფორმებულია სხვა შტატში **joint** • [ʤɔɪnt •] ერთობლივი აღიარება **legal** • [ˈli:gəl •] იურიდიული აღიარება; სასამართლო აღიარება

recognitor [ˌrekəgˈnɪtə] *n.* 1. ნაფიცი მსაჯული; 2. პირი, რომელიც იღებს ვალდებულებას სასამართლოს წინაშე

recognizance [rɪˈkɔgnɪzəns] *n.* 1. ვალდებულება, აღებული სასამართლოს წი-

ნაშუ *(შეტანილი სასამართლო ოქმში)*; 2. გირაო *(თაყვანებისას)* ◊ **to put under** * [tu put ˈʌndə *] გირაოში აღება *(თაყვანებისას)*

recognize [ˈrekəgnaiz] *v.* 1. აღიარება; 2. ვალდებულების მიცემა სასამართლოს წინაშე; 3. გირაოს მიცემა *(თაყვანებისას)*; 4. სიტყვის ოქმის უფლების მიცემა *(სხდომაზე)*; 5. ცნობა, აღიარება; მოწონება, მოწონების გამოხატვა

recognizee [ˌrekəgnaiziː] *n.* პირი, რომლის სასარგებლოდაც სხვა პირი იღებს ვალდებულებას სასამართლოს წინაშე

recognizor [ˈrekəgnaizə] *n.* პირი, რომელიც იღებს ვალდებულებას სასამართლოს წინაშე

recommend [ˌrekəˈmend] *v.* 1. რეკომენდაციის მიცემა, რჩევის მიცემა; 2. რაიმეს ან ვინმეს სასარგებლოდ ლაპარაკი

recommendation [ˌrekəmenˈdeiʃən] *n.* 1. რეკომენდაცია, რჩევა; 2. ღირსებები, რომლებიც რაიმეს ან ვინმეს სასარგებლოდ მეტყველებს
judicial * [ʤuˈdiʃəl *] რეკომენდაცია მოსამართლის თანამდებობაზე

recommendatory [ˌrekəmenˈdeitəri] *adj.* სარეკომენდაციო, რეკომენდაციის ხასიათის მქონე

recommit [riˈkəmit] *v.* 1. ხელმეორე განხილვისთვის დაბრუნება; 2. პატიმრის დაბრუნება ციხეში

recommitment [riˈkəmitmənt] *n.* 1. დაბრუნება ხელახალი განხილვისთვის 2. პატიმრის დაბრუნება ციხეში

reconcile [ˈrekənsail] *v.* 1. შერიგება; 2. შეთანხმება *(მაგ. აზრისა)*; 3. მოწესრიგება *(მაგ. დავისა)*

reconciliation [ˌrekensiliˈeiʃən] *n.* 1. შერიგება; 2. შეთანხმება

reconduct [riˈkəndʌkt] *v.* გაგზავნა; იძულებით მოყვანა

reconduction [riˈkəndʌkʃən] *n.* გაგზავნა; იძულებით მოყვანა

reconfirm [riˈkənfəːm] *v.* დამტკიცება, დადასტურება

reconfirmation [ˌriːkənˈfəːmeiʃən] *n.* დადასტურება

reconsider [ˌriːkənˈsidə] *v.* გადახედვა *(საკითხისა და მისთ.)*; ხელმეორედ გარჩევა

Reconstruction [ˌriːkənsˈtrʌkʃən] *n. ამერ. ისტ.* რეკონსტრუქცია *(ფედერალური მთავრობის მიერ სახელმწიფო-სამართლებრივი მოწყობის რეორგანიზაცია ამბოხებულ შტატებში 1861-65 წწ. სამოქალაქო ომის მსვლელობისას და შემდგომში)*

reconvene [ˌriːkənˈviːn] *v.* შემხვედრი მოთხოვნის განცხადება

reconvention [ˌriːkənˈviːnʃən] *n.* შემხვედრი მოთხოვნა

reconveyance [ˌriːkənˈveiəns] *n.* სამართლებრივი ტიტულის უკან გადაცემა

reconvict [ˈriːkənvikt] *v.* ხელმეორედ გასამართლება

reconvicted [riˈkənviktid] *adj.* ხელმეორედ მსჯავრდადებული, რეციდივისტი

reconviction [riˈkənvikʃən] *n.* ხელმეორე გასამართლება

record [ˈrekɔːd] *n.* 1. ჩაწერა, დახსომება, დამახსოვრება; 2. ოქმი; დოსიე; საქმე, ანგარიში; *pl.* არქივი, ჩანაწერები, საარქივო დოკუმენტები, მონაცემები, ფაქტები; 3. დოკუმენტი, საჯარო აქტი; 4. სასამართლო საქმის, მასალები, საქმის წერილობითი წარმოება; 5. *საავტ. უფლ.* ხმის ჩაწერის უფლების მქონე; 6. სამსახურებრივი ნუსხა; 7. წარსული *(ცხოვრისა)*, *v.* 8. ჩაწერა; 9. ოქმის შედგენა; 10. რეგისტრირება ◊ **in** * [in *] რაც დავის საგანს წარმოადგენს წარდგენილი სარჩელის მიხედვით; **"no *s"** [nəu *z] "მასალები არ არსებობს" *(კარძალულია კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის ფორმულა)*; **not in** * [nɔt in *] დავის საგანს რაც არ წარმოადგენს წარდგენილის თანახმად; **of** * [ɔv *] საოქმო, მიკუთვნებული წერილობით წარმოებას; ოქმის მიხედვით; **off the** * [ɔːf ðə *] არა ოქმისთვის; **on the** * [ɔn ðə *] ოქმში, ოქმში შეტანით
* **of conviction** [* ɔv kənˈvikʃən] გასამართლების საოქმო ჩანაწერი
* **of evidence** [* ɔv ˈevidəns] მტკიცებულების საოქმო ჩანაწერი
* **of fingerprint** [* ɔv ˈfiŋgəprint] დაქტილოსკოპიური, თითის ანაბეჭდების

რეგისტრაციის ოქმი
• of footprint [• ɔv ˈfu:tprɪnt] ნაფეხურის ანაბეჭდის აღების ოქმი
• of jailer [• ɔv ˈʤeɪlə] ციხის სარეგისტრაციო წიგნი
• of judgement [• ɔv ˈʤʌʤmənt] სასამართლო გადაწყვეტილების საოქმო ჩანაწერი
• of nisi prius *ლათ.* საქმეზე წარმოების ასლი
• of service [• ɔv ˈsɜ:vɪs] სამსახურებრივი ნუსხა; სამუშაო სტაჟი
• of the jure [• ɔv ðə ˈʤuərɪ] ნაფიც მსჯულთა სხდომის ოქმი
• of trial [• ɔv ˈtraɪəl] სასამართლო ოქმი, სასამართლო სხდომის ოქმი
accident • [ˈæksɪdənt •] პირზე რიცხული ავტოსაგზაო შემთხვევების დოსიე
adjudication • [əˈʤudɪkeɪʃən •] სასამართლო გადაწყვეტილებების რეესტრი
arrest •(s) [əˈrest •(z)] დაპატიმრებების დოსიე ან რეგისტრაცია
auditing •s [ˈɔ:dɪtɪŋ •z] საფინანსო რევიზიების ანგარიშები
birth • [bɜ:θ •] დაბადების ოფიციალური ჩანაწერი
bookkeeper's [ˈbukki:pəz •] საბუღალტრო ანგარიში
business •s [ˈbɪznəs •z] საქმიანი ოპერაციების რეგისტრაცია
case •s [keɪs •z] საქმის დაოქმებული *(ოქმში ჩაწერილი)* მასალები
census •s [ˈsensəs •z] მოსახლეობის აღწერის რეგისტრირებული მონაცემები
clean • [kli:n •] სუფთა დოსიე *(ნასამართლობის და ა.შ. გარეშე)*
conviction •s [kənˈvɪkʃən •] ნასამართლობის დოსიე ან რეგისტრაცია
corporate •s [ˈkɔ:pərɪt •z] კორპორაციის საქმიანი ქაღალდები
court •(s) [kɔ:t •(z)] სასამართლო სხდომის ოქმები
crime • [kraɪm •] დანაშაულების დოსიე ან რეგისტრაცია
criminal • [ˈkrɪmɪnəl •] 1. დამნაშავის დოსიე *(მის მიერ ჩადენილ დანაშაულთა)*; 2. ნასამართლობით დადასტურებული დანაშაული ან დანაშაულები; 3. კრიმინალისტური აღრიცხვა
death • [deθ •] სიკვდილის შესახებ ოფიციალური ჩანაწერი
defendant's • [dɪˈfendənts •] დოსიე განსაჯულის *(პატიმრობების, გაქცევების, ჩადენილი დანაშაულებების და ნასამართლობის ჩამონათვალი)*
dilinquency • [dɪˈlɪŋkwənsɪ •] პირის დელინკვენტობის დოსიე
employment •s [ɪmˈplɔɪmənt •z] დაქირავებით მუშაობის რეგისტრაცია; ჩანაწერები შრომის წიგნაკში
entire • [ɪnˈtaɪə •] სრული მოცულობით წერილობით გაფორმებული მასალები
escape • [ɪsˈkeɪp •] ბადრაგირებიდან *(პატიმრობიდან)* გაქცევების დოსიე
informal • [ɪnˈfɔ:məl •] არაფორმალური, არასაოქმო ჩანაწერი
investigatory •s [ɪnˈvestɪgətərɪ •z] საქმეზე საგამოძიებო წარმოება
judicial •(s) [ʤuˈdɪʃəl •(z)] სასამართლო წარმოების მასალები; სასამართლოს ოქმი
land •s [lænd •z] საადგილმამულო წიგნი
legislative • [ˈleʤɪslətɪv •] საკანონმდებლო ორგანოს სხდომის ოქმი
marriage • [ˈmærɪʤ •] ქორწინების რეგისტრაციის შესახებ ოფიციალური ჩანაწერი
nul tiel • *ლათ.* "არ არის ასეთი აქტი" *(მოპასუხის შეპასუხება სარჩელის მტკიცების წინააღმდეგ სასამართლო გადაწყვეტილების ან სხვა საჯარო აქტის არსებობის შესახებ)*
partial • [ˈpɑ:ʃəl •] ამონაწერი ოქმიდან
police • [pəˈli:s •] პოლიციური დოსიე
prior • [ˈpraɪə •] დაპატიმრებების, *(პატიმრობიდან)* გაქცევების, ჩადენილი დანაშაულებების და ნასამართლობების დოსიე
prior criminal • [ˈpraɪə ˈkrɪmɪnəl •] ადრე ჩადენილი დანაშაულების დოსიე
prison • [ˈprɪzn •] ციხის სარეგისტრაციო წიგნი
public • [ˈpʌblɪk •] საჯარო აქტი; საჯარო ხასიათის დოკუმენტი
requested • [rɪˈkwestɪd •] *(სასამართლოს მიერ)* მოთხოვნილი დამნაშავის დოსიე
school •s [sku:l •z] 1. სასკოლო საქმის წარმოების ოქმი; 2. სკოლის მოსწავლეთა რეგისტრაცია
time • [taɪm •] შრომის სტაჟი
typewritten • [ˈtaɪprɪtn •] მანქანით ნა-

ბეჭდი ოქმი
verbatim * [vɜ:ˈbeɪtɪm *] სრული სტენოგრაფიული ანგარიში
violent * [ˈvaɪələnt *] პირის მიერ ჩადენილი ძალადობის აქტების, ძალადობრივი მოქმედებების დოსიე
written * [rɪtn *] წერილობითი ოქმი

recordation [rekɔ:ˈdeɪʃən] *n.* ოქმის წარმოება; ოქმის შედგენა
* **of proceedings** [* ɔv prəˈsi:dɪŋz] სასამართლო პროცესის მიმდინარეობის ოქმის წარმოება

recorder [rɪˈkɔ:də] *n.* 1. ოქმის შემდგენი; რეგისტრატორი; აღმრიცხველი; 2. რიკორდერი, ქალაქის მომრიგებელი მოსამართლე
general * [ˈʤenərəl *] სასამართლოში ოქმის შემდგენელი მსაჯული
* **of London** [* ɔv ˈlʌndən] ცენტრალური სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ უფლებამოსილი მოსამართლე, რომელსაც შეუძლია, სხვა სასამართლოს წარმოება'ში მყოფ საქმეებზე, შეასრულოს ცალკეული დავალებები

record-keeping [ˈrekɔ:d-ˈki:pɪŋ] *n.* ოქმის შედგენა, ოქმის წარმოება

recoup [rɪˈku:p] *v.* 1. კომპენსირება; ანაზღაურება; 2. ფასდაკლება; გამოქვითვა, დაქვითვა; 3. ზარალის თანხის შემცირება

recoupment [rɪˈku:pmənt] *n.* 1. კომპენსაცია, ანაზღაურება; 2. გამოქვითვა; 3. მოსარჩლეზე დაკისრებული ზარალის შემცირება

recourse [rɪˈkɔ:s] *n.* 1. რეგრესი; რეგრესის უფლება; ბრუნვის უფლება; რეგრესიული მოთხოვნა; 2. სასამართლოსთვის დახმარების თხოვნით მიმართვა რაიმე ზომების მისაღებად ◊ * **against** [* ə ˈgeɪnst] რეგრესული მოთხოვნა ვინმეს მიმართ; **to have * against** [tu hæv * əˈgeɪnst] რეგრესიული მოთხოვნის წარდგენა; **to have * to** [tu hæv * tu] მიმართვა რაიმეს მიმართ *(სასამართლოს, არბიტრაჟის, ზომების და ა.შ.)*
judicial (legal) * [ʤuˈdɪʃəl (ˈli:gəl)] სასამართლოსთვის მიმართვა *(დახმარებისთვის)*

recover [rɪˈkʌvə] *v.* 1. ვინდიცირება; სასამართლოს ძალით, წესით ანაზღაურების დაკისრება; მიმართვა ხელვინებაზე *(ქონებისა)*, ანაზღაურების მიღება სასამართლოს საშუალებით; პროცესის მოგება; 3. *სამხ.* მოგერიება, ხელახლა დაუფლება ◊ **to * a verdict** [tu * ə ˈvɜ:dɪkt] ვერდიქტის ქონა საკუთარი თავის სასარგებლოდ; **to * compensation** [tu * ˌkɔmpenˈseɪʃən] ანაზღაურების მიღება სასამართლოს საშუალებით; **to * damages** [tu * ˈdæmɪʤɪz] ზარალის ხელვინება; **to * judgement** [tu * ˈʤʌʤmənt] სასამართლო გადაწყვეტილების ქონა, რომელიც გამოტანილია საკუთარი თავის სასარგებლოდ

recoverable [rɪˈkʌvərəbl] *adj.* ხელვინებადი სასამართლო წესით; სასამართლო წესით იძულებით გადახდევინებას დაქვემდებარებული

recovery [rɪˈkʌvərɪ] 1. ვინდიკაცია, გადახდევინება სასამართლო წესით; სასამართლოს გადაწყვეტილებით ანაზღაურებელი თანხა; 2. აღდგენა, აღორძინება, განახლება; 3. ანაზღაურება; დაბრუნება *(დაკარგულისა)*, 4. დაჯარიმება; უკან მიღება; 5. ანაზღაურება; 6. ნარჩენების უტილიზაცია; რეგენერაცია ◊ * **in kind** [* ɪn kaɪnd] ანაზღაურება ნატურით
* **of (civil) damages** [* ɔv (ˈsɪvɪl) ˈdæmɪʤɪz] ზარალის ხელვინება
* **of patent** [* ɔv ˈpeɪtənt] პატენტის ვინდიკაცია *(მიღებული არა ნამდვილი ავტორის მიერ)*
* **of penalty** [* ɔv ˈpenəltɪ] სასჯელის დადება; ჯარიმის დაკისრება
common * [ˈkɔmən *] ვინდიკაცია საერთო სამართლის ნორმებით
double * [ˈdʌbl *] დანაკლისის ხელვინება, რომელიც აღემატება ზარალის ზომას

recriminate [rɪˌkrɪmɪˈneɪt] *v.* ბრალდების მიმართვა ბრალმდებლისადმი

recrimination [rɪˌkrɪmɪˈneɪʃn] *n* ბრალდებულის ბრალდება ბრალმდებლისადმი

recriminator [rɪˌkrɪmɪˈneɪtərɪ] *n.* გაყრის შესახებ სარჩელის მოპასუხე, რომელიც უარყოფს სარჩელის მოსარჩლის არასათანადო მატრიმონიალურ ქცევა-

ზე, რაც ორც შემხვედრი სარჩელის წარდგენისთვის გაერის საფუძველზე მითითებით

recriminatory [rɪˌkrɪmɪˈnətərɪ] *adj.* შემხვედრი სარჩელის წარდგენისთვის *(მოსარჩლის არასათანადო მატრიმონიალურ ქცევაზე მითითებით)* გაერისთვის საფუძვლის მიმცემი

re-cross [ˌrɪːˈkrɔs] *n. v.* განმეორებითი ჯვარედინი გამოკითხვა, დაკითხვა *(მოწინააღმდეგე მხარის მოწმისა)*

recruit [rɪˈkruːt] I. *n.* ახალწვეული, რეკრუტი; ახალი წევრი; *v.* 2. შეკრება, გაწვევა *(სამხედრო სამსახურში)*; 3. მიზიდვა, ჩართვა *(მორწილეობის მისაღებად)*; 4. შეუსება *(რიგებისა)*

recruitment [rɪˈkruːtmənt] *n.* ახალწვეულთა შეკრება; რიგების შეუსება; პირადი შემადგენლობით დაკომპლექტება; სამხედრო სამსახურში ჩაბმა **labour** * [ˈleɪbə *] მუშაძალის შეკრება

rectification [ˌrektɪfɪˈkeɪʃən] *n.* გასწორება, შესწორება; შესწორების გასწორება; შეცდომის აღმოფხვრა, რექტიფიკაცია

rectify [ˈrektɪfaɪ] *v.* გასწორება, შესწორების შეტანა; შეცდომის აღმოფხვრა

recuperate [rɪˈkjuːpəreɪt] *v.* ანაზღაურება

recuperation [rɪˈkuːpəreɪʃən] *n.* ანაზღაურება

recusable [rɪˈkjuːzəbl] *adj.* უარის თქმის შესაძლებლობის დატოვება

recusancy [rɪˈkjuːzənsi] *n.* დაუმორჩილებლობა

recusant [rɪˈkjuːzənt] *n.* კანონის, ხელისუფლების მიმართ დაუმორჩილებელი

recusation [rɪˈkjuzeɪʃən] *n.* აცილება *(მოსამართლისა, მსაჯულებისა მიკერძოების გამო)*

reddendo singula singulis *ლათ.* "ცალკეული ცალკეულთან" განმარტების პრინციპით; ცალკეული ფრაზის თუ გამონათქვამის შესაბამის *(რელევანტურ)* ობიექტზე მითითებით *(მაგ. გამონათქვამში "I devise and bequeath all my real and personal property to A" სიტყვა **devise** იქნება მიკუთვნებული **real property**-ს, ხოლო **bequeath** სიტყვებს **personal property**)*, კონსტრუქციის, აგების პრინციპი, წესი

reddidit *ლათ.* "ის თვითონ გამოცხადდა, ჩაბარდა" *(ალინიშნა თავდებობის ხელწერილზე, რომ განსასჯელი თვითონ მოვიდა და იმყოფება პატიმრობაში, ბადრაგირების ქვეშ)*

redditit se *იხ. ლათ.* **reddidit**

redeem [rɪˈdiːm] *v.* 1. გამოსყიდვა *(დაგირავებული ქონებისა)*; განთავისუფლება *(ქონებისა)* გირავნობის დატვირთვისგან; დაფარვა *(ობლიგაციისა, საგირაო ვალისა)*; 2. მოხანიება *(დანაშაულისა, ცოდვისა)*; 3. გასწორება *(შეცდომისა)*; 4. გათავისუფლება *(მაგ. პატიმრობიდან)*; 5. პირობის შესრულება; 6. ბრუნვიდან ამოღება ◊ **to * prisoner** [tu * ˈprɪznə] პატიმრის განთავისუფლება

redeemable [rɪˈdiːməbl] *adj.* გამოსასყიდვას დაქვემდებარებული, გამოსასყიდი, დასაფარი; განთავისუფლებას დაქვემდებარებული *(პატიმარზე)*

redeliver [rɪˈdɪlɪvə] *v* უკან ჩაბარება, გადაცემა, დაბრუნება

redelivery [rɪˈdɪlɪvərɪ] *n.* უკან გადაცემა, უკან მიყვანა, დაბრუნება

redemise [rɪdɪˈmaɪz] *n. v.* სუბიჯარა; სუბიჯარით გაცემა

redemption [rɪˈdempʃən] *n.* 1. გამოსყიდვა *(დაგირავებული ქონებისა)*; 2. დაბრუნება; დაფარვა *(ობლიგაციისა)*; 3. განთავისუფლება *(პატიმრისა პატიმრობიდან)*; 4. მიმოქცევიდან ამოღება

re-design [ˌrɪːˈdɪzaɪn] *n. v.* პატ. ასლის გადაღება, კონტრაფაქცია, რეპროგანიზაცია

redeterminate [ˌrɪdɪˈtɜːmɪnɪt] *v.* განმეორებით განსაზღვრა, გადახედვა *(სტატუსისა)*

redetermination [rɪdɪˌtɜːmɪˈneɪʃən] *n.* განმეორებითი განსაზღვრა, გადახედვა *(სტატუსისა)*

redhot [ˈredhɔt] *n. სლ.* მძარცველი, ქურდი; განგსტერი; პოლიციის მიერ ძებნილი

redintegration [rɛˌdɪntɛˈgreɪʃən] *n.* 1. რეინტეგრაცია *(მოქალაქეობისა)*; 2. აღდგენა *(ხელშეკრულებისა, შეთანხმებისა)*; 3. ხელახლა შემოერთება

redirect [ˌrɪːdaɪˈrekt] *v.* 1. ხელახლა მიმართულების მიცემა, დაკვალიანება; 2.

(ჯარიმით დაკითხვის შემღუდ [არმომღუნი მხარის მო[შის) განმეორებით პირდაპირი *(მთავარი)* დაკითხვის წარმოება

rediscount [ri'diskaunt] *n. v.* ხელახალი აღრიცხვა *(თამასუქისა)*

redisricting [ˌri:di'strıktıŋ] *n.* საარჩევნო ოლქების გადანაწილება

redraft [ri'dra:ft] *n.* 1. უკან გადასაცემი თამასუქი; შემხვედრი ტრატა, რეტრატა *(გამოწერილი ტრატის გადამხდელი პირის მიერ თამასუქის მიცემაზე, თამასუქის გაპროტესტების შემთხვევაში)*; 2. ახალი ფორმულირება, შეცვლილი რედაქცია; 3. *v.* ფორმულირების შეცვლა, ახალი რედაქციის მიცემა

redrafted [ri'dra:ftıd] *adj.* ახალი რედაქციით, ახალი ფორმულირებით

redraw [ri'drɔ:] *n.* უკანგადასაცემი თამასუქის წარდგენა, გამოწერა; შემხვედრი ტრატა, რეტრატის წარდგენა

redrawn [ri'drɔ:n] *adj.* შეცვლილი რედაქციით

redress [ri'dres] *n. v.* 1. ანაზღაურება; დაკმაყოფილება; გასწორება; 2. რეგრესიული სარჩელის წარდგენა; რეგრესის წესით სლვევინება

• of grievance [• ɔv 'gri:vəns] საჩივრის დაკმაყოფილება

• of wrong [• ɔv rɔŋ] ზიანის ანაზღაურება

legal • ['li:gəl •] სამართლებრივი დახმარება

red-tape(ry) [ˌred'teıp(əri)] *n.* ბიუროკრატიზმი

reduce [ri'dju:s] *v.* შემცირება, შეზღუდვა, შემსუბუქება *(სასჯელისა)*

reduction [ri'dʌkʃən] *n.* შემცირება, შეზღუდვა, შემსუბუქება *(სასჯელისა)* ◊

• in account [• ın ə'kaunt] სასარჩელო თანხის შემცირება აღრიცხვიანობის მოთხოვნით; **• in a claim** [• ın ə kleım] სასარჩელო თანხის შემცირება; **• in (of) sentence** [• ın ɔv 'sentəns] სასჯელის *(ვადის)* შემცირება

charge • [tʃa:dʒ •] ბრალდების შემსუბუქება

statutory • ['stætʃəri •] კანონით დადგენილი წესით სასჯელის ვადის შემცირება

tax • [tæks •] საგადასახადო განაკვეთის შემცირება

redundancy [ri'dʌndənsi] *n.* 1. ნამეტი, ნაჭარბი; 2. სიუხვე, სიჭარბე, ჭარბი რაოდენობა; 3. ზედმეტობა, მეტისმეტობა; მრავალსიტყვაობა; 4. ზედმეტი *(ბრალად შეტანების შემცირებისა და განთავისუფლების მნიშვნელობით)*; 2. ზედმეტობა *(გამოგონების ფორმულის პუნქტებისა)*; 3. საქმესთან დამოკიდებულების არარსებობა, ირელევანტურობა

redundant [ri'dʌndənt] *adj.* 1. ზედმეტი, ნამეტი; დათხოვილი *(მუშაკზე)*; 2. საქმესთან კავშირის არმქონე, ირელევანტური

reeducate [ri'edju:keıt] *v.* ხელახალი აღზრდა

reeducation [riˌedju:'keıʃən] *n.* ხელახალი აღზრდა; რესოციალიზაცია

• of offenders [• ɔv ə'fendəns] ხელახალი აღზრდა სამართალდამრღვევისა, დამნაშავისა

correctional • [kə'rekʃənəl •] გამასწორებელი, ხელახალი აღზრდა *(რესოციალიზაცია)*

re-elect [ˌri:-ı'lekt] *v.* ხელახლა არჩევა, გადარჩევა

re-election [ˌri:-ı'lekʃn] *n.* განმეორებით არჩევა თანამდებობაზე, გადარჩევა

re-eligibility [ˌri:-eˌlıʤə'bılıti] *n.* უფლება გადარჩევაზე, ხელახალი არჩევის უფლება

re-eligible [ri'elıʤəbl] *adj.* ხელახალი არჩევის უფლების მქონე

re-enact [ˌri:-ı'nækt] *v.* საკანონმდებლო წესით განმეორებით დადგენა

re-enacted [ˌri:-ı'næktıd] *adj.* განმეორებით დადგენილი – საკანონმდებლო წესით

re-enactment [ˌri:-ı'næktmənt] *n.* საკანონმდებლო წესით განმეორებითი დადგენა

re-entry [ˌri:-'entri] *n. v.* ხელახალი დაუფლება; უძრავი ქონების ფლობის აღდგენა; უძრავ ქონებაში დაბრუნება

re-establish [ˌri:-ı'stæblıʃ] *v.* აღდგენა *(ადრინდელი მდგომარეობისა)*

re-establishment [ˌri:-ı'stæblısmənt] *n.* უწინდელი მდგომარეობის აღდგენა, რესტიტუცია

re-examination [ˌri:-ɪgˌzæmɪ'neɪʃən] *n.* 1. მოწმის განმეორებითი გამოკითხვა; 2. განმეორებითი განხილვა; ხელახალი ექსპერტიზა
judicial • [ʤu'ʤɪʃəl •] 1. სასამართლოში მოწმის განმეორებითი გამოკითხვა; 2. ხელახალი სასამართლო განხილვა, პროცესი
re-examine [ˌri:-ɪ'gzæmɪn] *v.* 1. განმეორებითი გამოკითხვა; 2. ხელახლა გარჩევა; ხელახალი სასამართლო განხილვა, პროცესი; ხელახალი ექსპერტიზის ჩატარება
re-extent [ˌri:-ɪk'stent] *v.* სასამართლოს ხელახალი სააღმსრულებლო ბრძანება სახელმწიფოს სასარგებლოდ ფულადი ზღვევინების წარმოების შესახებ
refer [rɪ'fɜ:] *v.* 1. დაყრდნობა, მითითება, მითითების მიცემა; 2. მიმართვა, გაგზავნა; 3. გადაცემა *(საქმისა)* ინსტანციაში; განსახილველად გადაცემა; 4. კავშირის ქონა, საერთოს ქონა, ურთიერთობის ქონა, მიკუთვნება ◊ **to • to arbitration** [tu • tu ˌɑ:bɪ'treɪʃən] არბიტრაჟში გადაცემა
referable [rɪ'fɜ:rəbl] *adj.* განხილვას დაქვემდებარებული; განსახილველი ◊ **• to arbitration** [• tu ˌɑ:bɪ'treɪʃən] არბიტრაჟში გადაცემას დაქვემდებარებული
referee [ˌrefə'ri:] *n.* 1. სამედიატორო მოსამართლე, სამედიატორო სასამართლო, არბიტრი; 2. რეკომენდატორი; 3. რეფერი *(1. პირი, რომელსაც შეუძლია წარადგინოს ანგარიში სხვა პირის დახასიათების, შესაძლებლობების ან მუშაობის პროდუქტიულობის თაობაზე; 2. პირი, რომელთანაც სასამართლო გზავნის განსახილველ საქმეს ჩვენებების ჩამოსართმევად, მხარეების მოსასმენად და სასამართლოსთვის შემდგომში მოსახსენებლად; 3. პირი, რომელიც იხდის გაპროტესტებულ თანასუქს, თანასუქის გაცემის დაჟალებით; 4. პირი, რომელსაც ეძლია გადასაცემ სარეგისტრო დოკუმენტები იმ შემთხვევაში, თუ მიმღები უარს იტყვის საქონლის მიღებაზე და მის გადახდაზე)* ◊ **• in case of need** [• ɪn keɪs ɔv ni:d] ნოტადრესატი, ჰონორატი, გადამხდელი არააქცეპტირებული ან გადაუხდელი თამასუქით ტრასანტის ან ინდოსანტის დაჟალებით
official •s [ə'fɪʃəl •z] ოფიციალური რეფერები *(ინგლისში, მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სამი თანამდებობის პირი, რომლებიც განიხილავენ მათთვის გადაცემულ საქმეებს და რიგ შემთხვევებში გამოდიან არბიტრის როლში)*
reference ['refrəns] *n.* 1. მითითება, შენიშვნა, დამოწმება; 2. ცნობა; 3. რეფერისთვის საქმის გადაცემა; 4. განსახილველად გადაცემული საკითხი; 5. სამედიატორო ჩანაწერი; 6. საარბიტრაჟო საქმე; 7. სრულუფლებიანობა; კომპეტენცია *(პირისა ან ორგანოსი, რომელსაც საკითხი გადაეცა განსახილველად)*; 8. დამოკიდებულება, შეხება; 9. საწყისი პირობები *(გარიგებისა)*; 10. გამოხმაურება, დახასიათება; 11. *v.* ტექსტისთვის შენიშვნების დართვა ◊ **• in case of need** [• ɪn keɪs ɔv ni:d] ნოტადრესატის, ჰონორატის მითითება *(ე.ი. გადამხდელის, თამასუქის არააქცეპტირებისა ან გადაუხდელობის შემთხვევისთვის)*; **with • to** [wɪð • tu] შესაბამისი რაიმესთან; რაიმეს თანახმად
legal • ['li:gəl •] მითითება სამართლებრივ ნორმაზე
legislative • ['leʤɪslətɪv •] მითითება საკანონმდებლო აქტზე
prior art • ['praɪə ɑ:t •] პატ. მითითება ტექნიკის უკვე ცნობილ დონეზე
referendary ['refrəndərɪ] *n.* სამედიატორო მოსამართლე
referendum [ˌrefə'rendəm] *n. პოლიტ.* რეფერენდუმი, საყოველთაო სახალხო გამოკითხვა კენჭისყრიო *(სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადასაწყვეტად)* იხ. **plebiscite**
referral [rɪ'fɜ:rəl] *n.* 1. გადაცემა განსახილველად *(მაგ. საქმისა)*; 2. პირი, გადაცემული სხვა იურისდიქციაზე
administrative • [əd'mɪnɪstrətɪv •] გადაცემა განსახილველად ადმინისტრაციული ორგანოსთვის
court • [kɔ:t •] განსახილველად გადაცემა სასამართლოში
disciplinary (discipline) • ['dɪsəplɪnərɪ ('dɪsəplɪn) •] განსახილველად გადაცემა

დისციპლინური იურისდიქციის ორგანო'ში

diversionary * [daɪ'vɜ:ʃənərɪ *] განსახილველად გადაცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამასწორებელი ზემოქმედების ალტერნატიული მეთოდებით შეცვლის მიზნით

initial * [ɪ'nɪʃəl *] პირველადი გადაცემა განსახილველად

juvenile court * ['ʤu:vɪnaɪl kɔ:t *] გადაცემა არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოსთვის განსახილველად

legitimate * [lɪ'ʤɪtɪmɪt *] განსახილველად გადაცემა *(მაგ. საქმისა)* კანონის შესაბამისად

postconviction * [ˌpɔʊstkɔn'vɪkʃəŋ *] ს. გადაცემა განსახილველად *(განაჩენის გასაჩივრების)* მსჯავრის დადებამდე

regulatory * ['rɛgjulətərɪ *] *ამერ.* განსახილველად გადაცემა რეგულაციური ორგანოსთვის

secondary * ['sɛkəndrɪ *] მეორადი გადაცემა განხილვისთვის

referred [rɪ'fɜ:d] *adj.* განსახილველად გადაცემული

refinement [rɪ'faɪnmənt] *n.* დამუშავება

*** of law** [* ɔv lɔ:] სამართლის ნორმების გულდასმით დამუშავება

reform [rɪ'fɔ:m] *n.* 1. რეფორმა, გარდაქმნა; 2. გასწორება; *v.* 3. რეფორმირება; გარდაქმნის მოდენა; 4. შესწორების გაკეთება, შეტანა

reformation [ˌrɛfə'meɪʃən] *n.* 1. გარდაქმნა; 2. შესწორების შეტანა; გასწორება *(დოკუმენტისა)*, გამოსწორება *(დამნაშავისა)*; 3. *ისტ.* რეფორმაცია

reformatio in pejus *ლათ.* შემობრუნება, შებრუნება უარესობისკენ

reformatory [rɪ'fɔ:mətərɪ] ს. *n.* რეფორმატორია *(გამასწორებელი დაწესებულება მცირეწლოვან დამნაშაულეთათვის)*; 2. *adj.* გამასწორებელი

certified inebriate * ['sə:tɪfaɪd ɪ'ni:brɪt *] ლიცენზირებული რეფორმატორია ალკოჰოლიკებისთვის *(დიდ ბრიტანეთში)*

industrial * [ɪn'dʌstrɪəl *] *ამერ.* რეფორმატორია მრეწველობაში, პატიმრის შრომის გამოყენებით

inebriate * [ɪ'ni:brɪt *] რეფორმატორია ალკოჰოლიკებისთვის

juvenile * ['ʤu:vɪnaɪl *] რეფორმატორია არასრულწლოვან სამართალდამრღვევთათვის

private * ['praɪvɪt *] კერძო რეფორმატორია

refrain [rɪ'freɪn] *v.* თავის შეკავება *(მოქმედებისგან)*; მოთოკვა *(გრძნობების, ემოციების და ა.შ.)*

refresher [rɪ'frɛʃə] *n.* ადვოკატის დამატებითი პონორარი განხილულ საქმეზე; ადვოკატის ჰონორარი

refuge ['rɛfju:ʤ] *n.* თავშესაფარი

refugee [rɛfju:'ʤi:] *n.* ლტოლვილი; ემიგრანტი, დევნილი

political * [pə'lɪtɪkəl *] პოლიტიკური დევნილი; პოლიტიკური ემიგრანტი

refund ['rɪ:fʌnd] *n. v.* ფულის უკან დაბრუნება, გადახდა, ანაზღაურება, კომპენსაცია, კომპენსირება

refundment ['rɪ:fʌndʒmənt] *n.* ფულის უკან დაბრუნება, გადახდა, ანაზღაურება

refusal [rɪ'fju:zəl] *n.* 1. უარი, უარის თქმა; 2. უარყოფა; 3. ოპციონი, არჩევის უფლება ◊ *** to admit** [* tu əd'mɪt] უარი *(ფაქტის; ბრალის)* აღიარებაზე

first * [fɜ:st *] უპირატესი შეძენის უფლება

refuse ['rɛfju:s] *v.* უარის თქმა, უარყოფა, უარზე დგომა; უკუგდება

refutable [rɪ'fju:təbl] *adj.* უარყოფილი

refutation [rɪˌfju:'teɪʃən] *n.* უარყოფა

refute [rɪ'fju:t] *v.* უარყოფა

regal ['rɪ:gəl] *adj.* მეფის, სამეფო, მეფური

regard [rɪ'gɑ:d] *n.* 1. პატივისცემა; 2. დაცვა; 3. გათვალისწინება, მხედველობაში მიღება; 4. დამოკიდებულება; 5. განხილვა ◊ **in (with)** * **to** [ɪn (wɪð)* tu] დამოკიდებულებით, დაკავშირებით, შესახებ

regency ['rɪ:ʤənsɪ] *n.* 1. მართვა; 2. რეგენტობა; რეგენტის საბჭო

regent ['rɪ:ʤənt] *n.* 1. მმართველი; *ამერ.* უნივერსიტეტის მართვა-გამგეობის წევრი; 2. რეგენტი *(მონარქიულ სახელმწიფოებში სახელმწიფოს დროებითი მმართველი – მაგ. მეფის მცირეწლოვნობის გამო)*

regicide ['rɛʤɪsaɪd] *n.* მეფის მკვლელობა

regime [rɛɪ'ʒi:m] *n.* რეჟიმი, წყობა, წყობილება, წესწყობილება

boundary * [ˈbaundəri *] სასაზღვრო რეჟიმი
capitulations (capitulatory) * [kəˌpitjuˈleiʃənz (kəˈpitjulətəri) *] კაპიტულაციის რეჟიმი
customary * [ˈkʌstəməri *] ჩვეულებრიეი რეჟიმი
general * [ˈʤenərəl *] საერთო რეჟიმი
legal * [ˈliːgəl *] სამართლებრიეი რეჟიმი
matrimonial * [ˌmætrɪˈməuniəl *] მეუღლეთა საკუთრების რეჟიმი
occupation * [ˌɔkjuˈpeiʃən *] საოკუპაციო რეჟიმი
treaty * [ˈtriːti *] *(საერთაშორისო)* ხელშეკრულებითი რეჟიმი

Regina ლათ. დედოფალი *(სამეფო ხელისუფლება ან სახელმწიფო, როგორც მჩარე ოფიციალურ პროცესებში)*

region [ˈriːʤən] *n.* 1. ქვეყანა; ქვეყნის მხარე, ოლქი, რაიონი, რეგიონი
national *s [ˈnæʃnəl *z] ეროვნული ოლქები *(დიდ ბრიტანეთში – ინგლისი, უელსი, შოტლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია)*

regional [ˈriːʤənl] *adj.* საოლქო, რაიონული, რეგიონული

register [ˈreʤistə] *n.* 1. წიგნი, ჩანაწერების წიგნი *(მაგ. მოქალაქეთა მდგომარეობის)*, ჟურნალი; სია, რეესტრი, რეგისტრი, მანუვნებელი; მეტრული წიგნი; 2. მოხელე-რეგისტრატორი; ოქმის შემდგენი; არქივარიუსი; 3. მოსამართლე მემკვიდრეობისა და მეურვეობის საქმეებში *(აშშ-ის ზოგიერთ შტატში)*; 4. *v.* რეგისტრირება; წიგნში, რეესტრში, სიაში, რეგისტრში და ა.შ. შეტანა ◊ * **in bankruptcy** [* ɪn ˈbæŋkrəptsi] საკონკურსო მასის კურატორი; to * **protest** [tu * prəuˈtest] პროტესტის გამოცხადება
* **of copyrights** [* əv ˌkɔpiˈraits] საავტორო უფლებების რეესტრი
* **of electors** [* əv ɪˈlektəz] ამომრჩეველთა სიები; *ამერ.* ამომრჩეველთა სიები
* **of voters** [* əv ˈvəutəz] ამომრჩეველთა სიები
court * [kɔːt *] 1. სასამართლო რეესტრი; 2. სასამართლო რეგისტრატორი
electoral * [ɪˈlektərəl *] ამომრჩეველთა სია
land * [lænd *] მიწის კადასტრი
parish * [ˈpæriʃ *] სამრევლო მეტრული წიგნი
public * [ˈpʌblik *] 1. სახელმწიფო რეესტრი; 2. სახელმწიფო რეგისტრატორი; სახელმწიფო არქივარიუსი
ship's [ʃips *] გემის რეესტრი
trade * [treid *] საეაჭრო რეესტრი

registrability [ˈreʤistrəbiləti] *n.* რეგისტრაციის დასაშვებობა; რეგისტრაციის შესაძლებლობა *(მაგ. სასაქონლო ნიშნის სახით)*

registrant [ˈreʤistrənt] *n.* რეგისტრაციის შესახებ განცხადების შემტანი პირი

registrar [ˌreʤiˈstrɑː] 1. პირი, რომელიც აწარმოებს ოფიციალურ ჩანაწერებს; რეგისტრატორი; მოხელე-რეგისტრატორი; ჩამწერი; 2. სარეგისტრაციო ბიურო; 3. "სასამართლოს რეგისტრატორი", სასამართლოს დამხმარე *(ინგლისის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს კანცლერის განყოფილებაში)*; 4. სასამართლოს ოფიციალური პირი, რომელიც ახორციელებს სამოქალაქო საქმეების წინასწარ მოსმენას; 4. სასამართლო განმკარგულებელი *(სასამართლო განხილვის წინა სტადიაში ანდერძის, გაყრის და სალაო საქმეებში ინგლისის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს განყოფილების ხელმძღვანელი)*; 5. ოფიციალური პირი, რომელიც ახდენს დაბადების, ქორწინებების და გარდაცვალებების რეგისტრაციას კონკრეტულ ტერიტორიაზე; მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს *(მმაჩის ორგანო)* მოსამსახურე, რეგისტრატორი; 5. სასამართლოს მდივანი *(გაყრის საერთაშორისო სასამართლოში)*; 6. აქციის რეგისტრატორი *(პირი, რომელიც თვალყურს ადევნებს, რათა არ მოხდეს გამოშვებული აქციების თანხის გადამეტება დაშვებულზე)*; 7. ობლიგაციის რეგისტრატორი; 8. რეგისტრაციის ბიურო ◊ * **General** [* ˈʤenərəl] მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის სამსახურის უფროსი *(დიდ ბრიტანეთში)*
* **of births and deaths** [* əv bɔːθ ænd deθ] დაბადებისა და გარდაცვალების რე-

გისტრაციის ბიურო
district * [ˈdɪstrɪkt *] I. ადგილობრივი სასამართლო კანცელარიის ხელმძღვანელი *(დიდ ბრიტანეთში)*; 2. ოფიციალური პირი, რომელიც ახდენს დაბადების, ქორწინებების და გარდაცვალებების რეგისტრაციას კონკრეტულ ტერიტორიაზე
registration [ˌredʒɪˈstreɪʃn] *n.* I. რეგისტრაცია; სიაში, რეესტრში შეტანა, ჩაწერა; 2. რეგისტრი; მიწერა *(საზღვაო გემებზე)*; 3. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერა
civil * [ˈsɪvl *] მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერი
parliamentary * [ˌpɑːləˈmentərɪ] ამომრჩეველების რეგისტრაცია *(პარლამენტში არჩევისთვის)*
special * [ˈspeʃəl *] ამომრჩეველის რეგისტრაცია მოცემულ არჩევნებზე ხმის მისაცემად
vital * [ˈvaɪtl *] მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერა
registrator [ˌredʒɪˈstreɪtə] *n.* რეგისტრატორი *(მაგ. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტებისა)*
registrum judiciale *ლათ.* სასამართლოს ბრძანებების რეესტრი
registry [ˈredʒɪstrɪ] *n.* I. წიგნი ჩანაწერებისთვის; რეესტრი; რეგისტრი, აღრიცხვის ჟურნალი; 2. რეგისტრატურა; მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო, განყოფილება; 3. სასამართლო კანცელარია; 4. რეგისტრაცია
district * [ˈdɪstrɪkt *] ადგილობრივი სასამართლო კანცელარია *(დიდ ბრიტანეთში)*
land * [lænd *] მიწის კადასტრი
regnal [ˈregnəl] *adj.* მეფობას მიკუთვნებული
* **years** [* jɜːz] მეფობის წლები
regnant [ˈregnənt] *adj.* I. სამეფო, მეფური; 2. გაბატონებული, გამეფებული, მეფედ მყოფი *(ქალი)*
King * [kɪŋ *] მეფედ ყოფნის პერიოდი, მეფობის დრო
Queen * [kwiːn *] ხელმწიფედ მყოფი დედოფალი
regress [rɪˈgres] *n. v.* მფლობელობაში დაბრუნება *(უძრავი ქონებისა)*, რეგრესი, რეგრესირება
regular [ˈregjulə] I. სამართალთან შესაბამისობაში მყოფი; 2. ფორმით სრულყოფილი, ფორმალური; შესაბამისად გაფორმებული; 3. სწორი; სათანადო; 4. ჩვეულებრივი, ნორმალური; 5. რეგულარული; მორიგი ◊ * **on (its) face** [* ɔn (ɪts) feɪs] სწორი ფორმით გარეგანი მხრიდან; წარმოებული სათანადო წესის ფორმით
regularity [ˌregjuˈlærətɪ] *n.* I. სამართლის მოთხოვნებისადმი შესაბამისობა; 2. სისწორე; 3. რეგულარობა; 4. წესი, სისტემა
regularize [ˈregjuləraɪz] *v.* მოწესრიგება, სათანადო მდგომარეობამდე მიყვანა
regularly [ˈregjulərɪ] *adv.* I. რეგულარულად. 2. სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად
regulate [ˈregjuleɪt] *v.* I. რეგულირება; 2. რეგლამენტირება
regulation [ˌregjuˈleɪʃn] *n.* I. რეგულირება, მოწესრიგება; რეგლამენტირება; 2. ნორმა, წესი, დადგენილება; 3. *pl.* წესდება, ინსტრუქცია, წესები, კანონთა, ნორმათა კრებული; 4. *pl.* ტექნიკური პირობები, ტექნიკური ნორმები ◊ * **enforceable in a court of law** [* ɪnˈfɔːsəbl ɪn ə kɔːt ɔv lɔː] ნორმა, გამოყენებული სასამართლო წესით
* **of conduct** [* ɔv kɔnˈdʌkt] ქცევის რეგულირება
administrative * [ədˈmɪnɪstrətɪv *] I. ადმინისტრაციული წესი; ადმინისტრაციული სამართლის ნორმა; 2. ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილება
business * [ˈbɪznəs *] სამეწარმეო, სავაჭრო, კომერციული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება
federal * [ˈfedərəl *] *ამერ.* ფედერალური წესი, ფედერალური სამართლის ნორმა; 2. ფედერალური ორგანოს დადგენილება
forest * [ˈfɔːrɪst *] I. ტყეთმოწყობა; 2. სატყეო კანონმდებლობა
government(al) * [ˌgʌvənˈmənt(əl) *] I. სამთავრობო რეგულირება; 2. მთავრობის დადგენილება
highway *s [ˈhaɪweɪ *z] საგზაო მოძრაო-

ბის წესები
implementing *(s) [ˈɪmplɪməntɪŋ *(z)] მოქმედება'ში მოყვანის ან რომელიმე ნორმატიული აქტის გამოყენებისთვის აღმასრულებელი განკარგულება
industrial * [ɪnˈdʌstrɪəl *] შრომითი ურთიერთობების რეგულირება; შრომითი კანონმდებლობა
internal * [ɪnˈtɜːnl * z] შინაგანაწესი; პროცედურის წესი
legal * [ˈliːgəl *] სამართლებრივი რეგულირება
legislative * [ˈledʒɪslətɪv *] საკანონმდებლო ნორმა, დაკანონება
legislatively mandated * [ledʒɪslətɪvli ˈmændeɪtɪd *] ნორმა, დადგენილი საკანონმდებლო წესით
local * [ˈləʊkəl *] ადგილობრივი ნორმატიული აქტი; ადგილობრივი ორგანოს დადგენილება
non-governmental * [ˌnɒn-ˌgʌvənˈmentəl *] არასამთავრობო ორგანოს დადგენილება
parking *s [ˈpɑːkɪŋ *z] ავტომანქანის გაჩერების მარეგულირებელი წესი
police *(s) [pəˈliːs *(z)] ნორმატიული აქტი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ, პოლიციური წესები; პოლიციური კონტროლი
price *s [praɪs *z] ფასების დადგენის წესი
quarantine *s [ˈkwɒrəntiːn * z] საკარანტინო წესები
safety *s [ˈseɪfti *z] ტექნიკური უსაფრთხოების წესები
sanitary custum house *s [ˈsænɪtərɪ ˈkʌstəm haʊs *z] საბაჟო სანიტარული წე-სები
service *s [ˈsɜːvɪs *] 1. სამსახურებრივი რეგლამენტი; 2. ექსპლუატაციის წესები
state * [steɪt *] 1. შტატის ორგანოს დადგენილება; 2. შტატის სამართლის ნორმა; 3. რეგულირება შტატის ხელისუფლების მიერ *(მაგ. კომერციული საქმიანობის)*; 4. სახელმწიფო რეგულირება
tax *s [tæks *z] საგადასახადო წესები
working * [ˈwɜːkɪŋ *] მოქმედი ნორმა; ეფექტური წესი

regulative [ˈregjulətɪv] *adj.* რეგულაციური

regulator [ˈregjuleɪtə] *n. ამერ.* 1. რეგულატიური ორგანოს თანამშრომელი 2. *ისტ.* ლინჩის სასამართლოს წევრი
regulatory [ˈregjulətərɪ] *adj.* მარეგულირებელი, რეგულაციური, განმკარგულებელი, ინსტრუქციული
rehabilitate [ˌriːəˈbɪlɪteɪt] *v.* უფლებების აღდგენა, რეაბილიტირება ◊ **to * an offender** [tu * ən əˈfendə] 1. რეაბილიტაცია *(უფლებებში აღდგენა)* დამნაშავისა; 2. დამნაშავის პიროვნების *(შეგუება საერთო საცხოვრებლის პირობებთან)*
rehabilitating [ˌriːəˈbɪlɪteɪtɪŋ] *adj.* მარეაბილიტირებელი
rehabilitation [ˌriːəˌbɪlɪˈteɪʃən] *n.* რეაბილიტაცია *(უსაფუძვლოდ შელახული ღირსების, პატიოსანი სახელის აღდგენა; ნამორთმეულ უფლებათა აღდგენა)*
*** of offender** [* əv əˈfendə] 1. დამნაშავის რეაბილიტაცია *(უფლებებში აღდგენა)*; 2. დამნაშავის პიროვნების რეაბი-ლიტაცია **correctional *** [kəˈrekʃənəl *] გამასწორებელი რეაბილიტაცია, დამნაშავის გამოსწორება, რესოციალიზაცია
legal * [ˈliːgəl *] იურიდიული რეაბილიტაცია, უფლებებში აღდგენა
offender * [əˈfendə *] 1. დამნაშავის რეაბილიტაცია *(უფლებებში აღდგენა)*; 2. დამნაშავის პიროვნების რეაბილიტაცია *(მისი შეგუება საერთო საცხოვრებლის პირობებთან)*
psychiatric * [ˌsaɪkɪˈætrɪk *] ფსიქიატრიული რეაბილიტაცია
social * [ˈsəʊʃəl *] სოციალური რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია
vocational * [vəʊˈkeɪʃənl *] პროფესიული რეაბილიტაცია *(მაგ. შრომის უნარის დაკარგვის შემდეგ)*
rehabilitative [ˌriːəˈbɪlɪtətɪv] *adj.* მარეაბილიტირებელი
rehear [rɪˈhɪə] *v.* საქმის ხელახლა მოსმენა ◊ **to * in banc(o)** [tu * ɪn bæŋk(əʊ)] სრული შემადგენლობით საქმის ხელახლა მოსმენა
rei in judivium deductae *ლათ.* საქმე სასამართლოში იხილება
reimbursable [ˌriːmˈbɜːsəbl] *adj.* ანაზღაურებადი, ანაზღაურებას დაქვემდებარე

ბული; კომპენსირებადი

reimburse [ˌri:mˈbɜ:s] *ზ.* 1. დაფარვა, უკან დაბრუნება, გადახდა; 2. ანაზღაურება, კომპენსირება

reimbursement [ˌri:mˈbɜ:smənt] *ი.* 1. დაფარვა, უკან დაბრუნება, გადახდა; 2. ანაზღაურება, კომპენსაცია

*** of injured person** [* əv ˈɪndʒəd ˈpɜ:sn] დაზარალებულისთვის ზარალის ანაზღაურება

federal * [ˈfedərəl *] *ამერ.* ფედერალური კომპენსაცია

local * [ˈləukəl *] ადგილობრივი ხელისუფლების კომპენსაცია

public * [ˈpʌblɪk *] სახელმწიფო კომპენსაცია

state * [steɪt *] სახელმწიფო კომპენსაცია; *ამერ.* შტატის ხელისუფლების კომპენსაცია

re-imprison [ˌri:-ɪmˈprɪzn] *ზ.* ციხეში ხელმეორედ ჩასმა

re-imprisonment [ˌri:-ɪmˈprɪznmənt] *ი.* ციხეში ხელმეორედ ჩასმა

reincarcerate [ˌri:ˈɪnkɑ:səreɪt] *ზ.* ციხის განცალკევებულ საკანში *(კარცერში)* ხელმეორედ ჩასმა

reincarceration [ˌri:ˈɪnkɑ:səreɪʃn] *ი.* ციხის განცალკევებულ საკანში *(კარცერში)* ხელმეორედ ჩასმა

reincorporate [ˌri:ɪˈnkɔ:pəreɪt] *ზ.* კვლავ ჩართვა; რეინკორპორირება

reincorporation [ˌri:ɪnˈkɔ:pəreɪʃn] *ი.* ხელმეორედ ჩართვა; რეინკორპორაცია

reindict [ˌri:ˈɪndaɪt] *ზ.* საბრალდებლო აქტის განმეორებით გამოტანა

reindictment [ˌri:ɪnˈdaɪtmənt] *ი.* განმეორებით გამოტანილი საბრალდებო აქტი

reinstate [ˌri:ɪˈnsteɪt] *ზ.* აღდგენა *(წინანდელ სამართლებრივ მდგომარეობაში, უფლებებში და მისთ.)*, წესრიგის აღდგენა ◊ **to * the prosecution** [tu * ðə ˌprɔsɪˈkju:ʃn] სისხლისსამართლებრივი დევნის განახლება

reinstatement [ˌri:ɪnˈsteɪtmənt] *ი.* აღდგენა *(წინანდელ სამართლებრივ მდგომარეობაში, უფლებებში და მისთ.)*, წესრიგის აღდგენა ◊ *** in (of) employment** [* ɪn (əv) ɪmˈplɔɪmənt] აღდგენა სამუშაოზე

reinsurance [ˌri:ɪnˈʃuərəns] *ი.* ხელახალი დაზღვევა

reinsure [ˌri:ɪnˈʃuə] *ზ.* ხელახლა დაზღვევა

reintegration [ˌri:ɪntɪˈgreɪʃən] *ი.* რეინტეგრაცია, ერთი და იმავე სახელმწიფოს მოქალაქეობის ხელმეორედ მიღება

reinvestigate [ˌri:ɪnˈvestɪgeɪt] *ზ.* ხელახლა გამოძიება

reinvestigation [ˌri:ɪnˈvestɪˈgeɪʃn] *ი.* ხელახალი, განმეორებითი გამოძიება

reissue [riːˈɪsju:] I. *ი.* ხელახლა გამოცემა, გამოშვება; ხელახლა გამოცემული, გასწორებული, შესწორებული პატენტის გაცემა; ხელახლა გამოცემული პატენტი; ხელახლა გამოცემულ პატენტთან გამოგორების აღწერა; 2. *ზ.* პატენტის ხელახალი გამოცემა, გასწორებული, შესწორებული პატენტის გამოცემა ◊ **to * summons** [tu * ˈsʌmənz] სასამართლოში გამოცხადების შესახებ ბრძანების ხელახლა გამოცემა

reject [rɪˈdʒekt] *ზ.* უარის თქმა, აცილება, უკუგდება ◊ **to * a motion** [tu * ə ˈməuʃən] შუამდგომლობაზე უარის თქმა; **to * goods** [tu * gudz] საქონლის მიღებაზე უარის თქმა

rejection [rɪˈdʒekʃn] *ი.* უარის თქმა, უარი; უკუგდება, უარყოფა

rejoin [ˌri:ˈdʒɔɪn] *ზ.* 1. პასუხის გაცემა, შეპასუხება; 2. მეორადი შეპასუხების, შესაგებელის შეტანა; 3. შემოერთება, პირველდელ შემადგენლობაში დაბრუნება

rejoinder [ˌri:ˈdʒɔɪndə] *ი.* 1. პასუხი, შეპასუხება; 2. გაერთიანება; 3. მოპასუხის მეორადი საპაექრო ქაღალდი, მოპასუხის მეორადი შეპასუხება, მოპასუხის შეპასუხება მოსარჩლის რეპლიკაზე; 4. ადვოკატის გამოსვლა მოპირიანის საპასუხოდ; 5. მეორადი გამოსვლა * **of application** [* əv ˌæplɪˈkeɪʃn] *პატ.* გამოყოფილი განაცხადის გაერთიანება პირველად "მსგავს" განაცხადთან

rejourn [rɪˈdʒɜ:n] *ზ.* საქმის განხილვის განმეორებით გადადება

rejournment [ˌri:ˈdʒɜ:nmənt] *ი.* საქმის განხილვის განმეორებით გადადება

relapse [rɪˈlæps] I. *ი.* რეციდივი, განმეორება; 2. *ზ.* ხელახლა ჩავარდნა; დაბრუ-

ნება *(ავტო ჩვეულებისაგან და მისთ.)*
◊ **to ˚ into crime** [tu ˚ ˈɪntə kraɪm] დამნაშაულის ჩვეულების მყარად ათვისება, რეციდივისტად ქცევა

relate [rɪˈleɪt] *ზ.* 1. ფაქტების გადმოცემა; ინფორმირება, სასამართლოში განცხადების გაკეთება; 2. დაკავშირება, კავშირის დამყარება; 3. მიკუთვნება, შეხება, ურთიერთობის ქონა; 4. ნათესაობა ◊ **to ˚ back to** [tu ˚ bæk tu] ჰქონდეს უკუმოქმედება . . . თან, ჰქონდეს უკუძალა . . . თან

relation [rɪˈleɪʃən] *n.* 1. ურთიერთობა; კავშირი; თანაფარდობა; 2. ნათესაობა; 3. ნათესავი; 4. ფაქტების გადმოცემა; ინფორმაციის მიწოდება, სასამართლოში განცხადება; 5. გადმოცემა, თხრობა; დასმენა ◊ **˚ back** [˚ bæk] უკუმოქმედება, უკუძალა; **˚ on the record** [˚ ɔn ðə ˈrekɔːd] სასამართლო საქმეზე მხარეთა ურთიერთდამოკიდებულება

appropriate ˚ [əˈprəʊprɪeɪt ˚] სათანადო კავშირი

bigamous ˚s [ˈbɪgəmɔz ˚z] ორკოლიანობა *(ორქმრიანობა)*, ბიგამია

royalty [ˈrɔiəlti] *n.* 1. სამეფო ხელისუფლება, ღირსება; 2. სამეფო ოჯახის წევრ(ებ)ი, სამეფო გვარის *(სისხლის)* პირები; 3. *pl.* სამეფო პრეროგატივა, პრივილეგია; 4. წიაღისეულის დამუშავების უფლების გადასახადი; 5. ინტელექტუალური საკუთრების *(გამოგონება, საიდუმლო ფორმულები და მისთ.)* პატენტის, ლიცენზიის უფლებით სარგებლობისთვის დაწესებული გადასახადი; პერიოდული სალიცენზიო დანარიცხები, სალიცენზიო ბაჟი, ლიცენზირებული გადასახადი, როიალტი; 6. საავტორო პონორარი *(ყოველი გაყიდული ეგზემპლარიდან)*; 7. *ინგლ.* მიწის ქონების ან წიაღისეულის დამუშავების უფლება, ბოძებული სამეფო ხელისუფლების მიერ; 8. *ინგლ.* წიაღისეულის დამუშავების საიჯარო გადასახადი

advance * [ədˈvɑːns *] საავტორო ჰონორარი, რომელსაც წინასწარ უხდიან ავტორს ტირაჟის რეალიზაციამდე; წინასწარი საავტორო პონორარი

author's * [ˈɔːθəz *] საავტორო პონორარი

copyright *ies [ˈkɔpirait *iz] საავტორო, საგამომცემლო პონორარი *(საპროცენტო დანარიცხების საბით)*

deferred * [diˈfəːd *] პონორარი, გადახდილი ავტორისთვის ტირაჟის ნაწილის გაყიდვის შემდეგ

post-patent * [pəustˈpeitənt *] როიალტი, გადახდილი ლიცენზიანტის მიერ პატენტის მოქმედების ვადის ამოწურვისას

royalty-free [ˈrɔiəlti-friː] *n.* გადახდისგან თავისუფალი როიალტი

ruffian [ˈrʌfiən] *n.* 1. ხულიგანი, ბანდიტი, თავზეხელაღებული; 2. *adj* ხულიგნური, უხეში

hired * [ˈhaiəd *] დაქირავებული მკვლელი

street * [striːt *] ქუჩის ხულიგანი

ruffianism [ˈrʌfiənizəm] *n.* ხულიგნობა

ruffian-like [ˌrʌfiənˈlaik] *adj.* ხულიგნური

ruffianly [ˈrʌfiənli] *adv.* ხულიგნურად

rule [ruːl] *n. v.* 1. წესი, რიგი, პრინციპი, კრიტერიუმი, სტანდარტი, საფუძველი; 2. სამართლის ნორმა; 3. დადგენილება; მიწერილობა; ბრძანება; 4. მართვა; ბატონობა; ძალაუფლება, გამგებლობა; 5. წესის, ნორმის დადგენა; დაწესება; 6. სამართლებრივი ნორმის დადგენა; 7. დადგენა, საკითხის გადაწყვეტა, გადაჭრა; 8. მართვა, მმრძანებლობა; 9. დონეზე დგომა, მოქმედება, ჯარიბობა *(კურსის ფასისა)*; კოტირება ◊ * **absolute**

[• ˈæbsəluːt] სასამართლოს დადგენილება, რომელსაც აქვს საბოლოო ძალა; • **against hearsay** [• əˈgɛinst ˈhiəseɪ] სხვისი სიტყვებით მოწმანილი ჩვენების გამორიცხვის წესი; **but for** • [bʌt fɔː •] წესი "რომ არა ეს" *("ზიანს არ ექნებოდა ადგილი, თავიდანვე რომ არ ყოფილიყო მოპასუხის ბრალი")*; • **discharged** [• dɪsˈʧɑːʤd] ბრძანება გაუქმებულია; • **enforceable in a court of law** [• ɪnˈfɔːsəbl ɪn ə kɔːt əv lɔː] სასამართლო წესით გამოყენებული, სამართლებრივი ნორმა; • **for the choice of law** [• fɔː ðə ʧɔɪs əv lɔː] კოლიზიური ნორმა; • **nisi** *ლათ.* პირობითად საბოლოო სასამართლო მიწერილობა; დაუმთავრებელი ძალის მქონე მიწერილობა *(გარკვეული ვადიდან ძალაში შემსელელი, თუ არ იქნება შედაებული და გაუქმებული ამ ვადამდე)*; **to • by decree** [tu • baɪ diˈkriː] I. სასამართლოს დადგენილებით სამართლებრივი ნორმის დადგენა; 2. საგანგებო უფლებამოსილების საფუძველზე მართვა; **to • by law** [tu • baɪ lɔː] I. სამართლის საფუძველზე დადგენა, გადაწყვეტა; 2. მართვა სამართლის საფუძველზე; **to • constitutinal** [tu • ˌkɔnstɪˈtjuːʃənəl] კონსტიტუციურად აღიარება; **to • its own right** [tu • ɪts əwn raɪt] მოცემული იურისდიქციის ფარგლებში დადგენილების, გადაწყვეტილების გამოტანა; **to • insane** [tu • ɪnˈseɪn] შეურაცხადად ცნობა; **to • not responsible** [tu • nɔt rɪˈspɔnsəbl] პასუხისმგებლობის არმქონედ ცნობა; **to • out** [tu • aut] გამორიცხვა, გარიცხვა; • **to plead** [• tu pliːd] სასამართლო ბრძანება სარჩელზე შედავების წარდგენის შესახებ *(სასამართლოს მხრიდან მოპასუხის მისამართით)*; **to • responsible** [tu • rɪˈspɔnsəbl] პასუხისმგებლობის მქონედ აღიარება; **to • sane** [tu • seɪn] შერაცხადად აღიარება; • **to show cause** [• tu ʃəu kɔːz] პირობითად-საბოლოო სასამართლოს დადგენილება *(გარკვეული ვადიდან ძალაში შემსელელი, თუ ამ ვადამდე ის არ იქნება შედაებული ან გაუქმებული)*; **to • the Administration** [tu • ðə ədˌmɪnɪsˈtreɪʃən] ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა, ქვეყნის მართვა *(აშშ-ის პრეზიდენტის მიერ)*; **to • the law** [tu • ðə lɔː] სამართლის ნორმის დადგენა; **to • unconstitutional** [tu • ˌʌnˌkɔnstɪˈtjuːʃənəl] არაკონსტიტუციურად აღიარება, ცნობა

• **of compulson** [• əv kəmˈpʌlʃən] იმპერატიული ნორმა

• **of course** [• əv kɔːrs] სასამართლო სხდომაზე ფორმალური შეამდგომლობის გარეშე გამოტანილი სასამართლოს დადგენილება

• **of court** [• əv kɔːt] I. სასამართლოს ბრძანება, სასამართლო მიწერილობა, სასამართლო დადგენილება; 2. სასამართლოს პრაქტიკის და პროცედურის წარმოების წესი, პროცესუალური ნორმა; 3. *pl.* სასამართლოს რეგლამენტი

• **of decision** [• əv diˈsɪʒən] I. სამართლებრივი ნორმა, რომელიც საფუძვლად უდევს მიღებულ *(სასამართლოს)* გადაწყვეტილებას; 2. *(სასამართლოს)* გადაწყვეტილებით მიღებული სამართლებრივი ნორმა; სასამართლო პრეცედენტი

• **of doubt** [• əv daut] "ეჭვის წესი" *(I. დაკვეთის განმარტება ბრალდებულის სასარგებლოდ; 2. განმცხადებლის სასარგებლოდ პატენტუნარიანობაში დაეჭვების განმარტება)*

• **of evidence** [• əv ˈevɪdəns] მტკიცებულებითი სამართლის ნორმა

• **s of general effect** [• s əv ˈʤenərəl ɪˈfekt] ზოგადი ხასიათის სამართლებრივი ნორმა; ზოგად სავალდებულო ხასიათის სამართლის ნორმა

• **of exchange** [• z əv ɪksˈʧeɪnʤ] საბირჟო წესები

• **of law** [• əv lɔː] I. სამართლის ნორმა, სამართლებრივი ნორმა; 2. სამართლის უზენაესობის პრინციპი

• **s of navigation** [• z əv ˌnævɪˈgeɪʃən] ზღვაზე გემების შეჯახების თავიდან აცილების წესები

• **s of practice** [• z əv ˈprækṭɪs] სასამართლო წარმოების წესები, საპროცედურო წესები

• **s of precedence** [• z əv ˈpresɪdəns] უპირატესობის, უპირატესობის წესები

• **s of prison** [• z əv ˈprɪzn] I. ციხის წესები; 2. საპატიმრო ცხოვრების პატიმრებს შორის მიღებული არაფორმალური ნორმები

• of privilege [• əv ˈprɪvəlɪʤ] იმუნიტეტების წესი
•s of procedure [•z əv prəˈsi:ʤə] 1. სასამართლო წარმოების წესები; პროცესუალური ნორმები; 2. პროცედურის წესები, რეგლამენტი *(საკანონმდებლო ორგანოში და სხვ.)*
•s of proceedings [•z əv prəˈsi:dɪŋz] *იხ.* **rules of procedure**
• of reason [• əv ˈri:zn] "გონიერული მიდგომის" წესი, საღი აზრის გამოყენების მოთხოვნა
• of restraint [• əv rɪˈstreɪnt] *იხ.* **restractive rule**
•s of succession [•z əv səkˈseʃən] 1. სამამკვიდრეო სამართლის ნორმა; 2. ტახტის მემკვიდრეობის წესები
•s of the road [•z əv ðə rəʊd] 1. გემების შეჯახების თავიდან აცილების წესები; 2. საგზაო მოძრაობის წესები
• of the Supreme Court [• əv ðə sju:ˈpri:m kɔ:t] უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკისა და პროცედურების წარმოების წესი
•s of the warfare [•z əv ðə ˈwɔ:feə] ომის კანონი და წესები
• of thumb [• əv θʌm] პრაქტიკული წესი
• of unanimity [• əv ju:nəˈnɪmətɪ] ერთიანობის *(პრინციპი)* წესები
ab-initio • *ლათ.* წესი, რომლის თანახმადაც პატენტის ნამდვილობის აღიარების შემთხვევაში მთელი ლიცენზიისთვის გადახდილი თანხა უნდა დაუბრუნდეს ლიცენზიანტს
absolute • [ˈæbsəlu:t •] *იხ.* **rule absolute**
administrative • [ədˈmɪnɪstrətɪv •] ადმინისტრაციული წესი; ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმა
administrative agency • [ədˈmɪnɪstrətɪv ˈeɪʤənsɪ •] ადმინისტრაციული ორგანოს მიწერილობა
admiralty •s [ˈædmərəltɪ •] სასამართლოს წარმოების წესი საზღვაო საქმეებში
appellate •s [əˈpelət •] სააპელაციო წარმოების წესი
applicable • [ˈæplɪkəbl •] გამოსაყენებელი ნორმა
bankruptcy •s [ˈbæŋkrəptsɪ •] გაკოტრების შესახებ საქმეების წარმოების წესები
best evidence • [best ˈevɪdəns •] საუკეთესო *(პირველადი, უტყუარი)* მტკიცებულებების წარდგენის მოთხოვნა
beyond question • [bɪˈjɔnd ˈkwesʧən •] პრინციპი "ეჭვს გარეშე" *(რომლის მიხედვითაც პროცესში საპატენტო უფლებების დარღვევის შესახებ დროებითი ამკრძალავი ბრძანება შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პატენტის კანონიერება და უფლებების დარღვევის ფაქტი არ ბაღებს ეჭვს)*
blanket • [ˈblæŋkɪt •] 1. ყოელისმომცველი ნორმა; 2. ბლანკეტური ნორმა
cannon-shot • [ˈkænən-ʃɔt •] "იარაღის გასროლის სისწორის" პრინციპი; პრინციპი: "სანაპირო სახელმწიფოს ძალაუფლება მთავრდება იქ, სადაც მთავრდება იარაღის ძალა"
challenge • [ˈʧælɪnʤ •] *ამერ.* წესი, რომლის თანახმად პატენტის ყალბად ცნობის შემთხვევაში სალიცენზიო ანაზღაურების მთელი თანხები, რაც მან გადაიხადა სარჩელის აღძრის შემდეგ პატენტის ყალბად ცნობის თაობაზე, ექვემდებარება ლიცენზიანტისთვის დაბრუნებას
circuit •s [ˈsɜ:kɪt •z] *ამერ.* საოლქო სასამართლოს წარმოების წესი
clear and present danger • [klɪə ænd ˈprezənt ˈdeɪnʤə •] *ამერ.* "აშკარა და რეალური საშიშროების" წესი *(სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის დაშვება, თუ გამოყენებული გამოთქმები თავისი ხასიათით და მოცემულ გარემოებებში ქმნიან ცხად და უშუალო საშიშროებას)*
common • [ˈkɔmən •] მხარის შუამდგომლობის გარეშე მიღებული სასამართლო დადგენილება
conflict • [ˈkɔnflɪkt •] კოლიზიური ნორმა
conflict-of interest • [ˈkɔnflɪkt-əv ˈɪntrəst •] *ამერ.* ინტერესების კოლიზიის წესი *(სახელმწიფო მოხელეებისთვის, კონგრესის წევრებისთვის და ა.შ. კერძო კორპორაციებში თანამდებობების დაკავების აკრძალვის შესახებ)*
congressional •s [kɔnˈgreʃənəl •z] კონგრესის რეგლამენტი
consolidation • [kɔnˌsɔlɪdeɪʃən •] სასამართლოს დადგენილება სარჩელების

გაერთიანების შესახებ

conventional * [kən'venʃənəl *] l. ჩვეულებითი სამართლის ნორმა; 2. სახელშეკრულებო ნორმა

court *s [kɔ:t *z] l. სასამართლოს რეგლამენტი; 2. სასამართლო პრეცედენტი

current * [′kʌrənt *] მოქმედი სამართლებრივი ნორმა

direct * [dai'rekt *] პირდაპირი მმაართველობა *(ჩრდილოეთ ირლანდიისა)*

disclosure * [dis'klouzə *] იმ მონაცემების გამოცემის აკრძალვა, რომლების არლვევენ კომერციულ საიდუმლოებებს

discretionary * [dis'kreʃnəri *] დისპოზიციური ნორმა

enforceable * [in'fɔ:səbl *] იძულებით მისაღები, გამოსაყენებელი *(სამართლებრივი)* ნორმა

evidentiary *s [′evidenʃəri *] მტკიცებულებითი წესები

exclusionary * [ik'sklu:ʒənəri *] მტკიცებულებებიდან ამოღების წესი

felony murder * [′feləni 'mə:də *] წესი იმის შესახებ, რომ მკვლელობა ფელონიის ჩადენის პროცესში კვალიფიცირდება, როგორც მძიმე მკვლელობა

fellow-servant * [ˌfeləu-'sə:vənt *] დამქირავებლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების პრინციპი მასთან დაქირავებული მუშაკების მიერ ერთამანეთისთვის მიყენებული ზიანის გამო

firm * [fə:m *] მტკიცე წესი

first-to-file * [fə:st-tu-fail *] *პატ.* წესი პირველი განმცხადებლის უფლების შესახებ, პირველი განმცხადებლის უფლება

general * [′ʤenərəl *] ზოგადი ნორმა; საერთო, ზოგადი წესი

governmental * [ˌgʌvn'mentəl *] სამთავრობო წესი ან დადგენილება

ground * [graund *] ძირითადი ნორმა

guide *s [gaid *z] საინსტრუქციო ნორმა

hard * [hɑ:d *] მკაცრი წესი

hard and fast * [hɑ:d ænd fɑ:st *] მკაცრი წესი

harmless constitutional error * [′hɑ:mləs ˌkɔnsti'tju:ʃənəl 'erə *] *ამერ.* დოქტრინა, რომელიც არ იწვევს კონსტიტუციის დარღვევით საზიანო შედეგებს

hearsay * [′hiəsei *] სხვისი სიტყვიდან ჩვენების დაუშვებლობის პრინციპი

home * [həum *] თეითმმართველობა

House *s [haus *z] წარმომადგენელთა პალატის რეგლამენტი

House-passed * [haus-'pɑ:st *] კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული კანონპროექტი

inapplicable * [ˌinə'plikəbl *] გამოუყენებელი ნორმა

indirect * [ˌindai'rekt *] არაპირდაპირი მმაართველობის სისტემა; კოლონიების მართვა ადგილობრივი ბელადების მიერ

inherently dangerous * [in'hiərətli 'deinʤərəs *] წესი თავისი ბუნებით საშიში მოქმედების შესახებ

international * [ˌintə'næʃənəl *] საერთაშორისო ნორმა, საერთაშორისო სამართლის ნორმა

interpretative * [ˌintə'pritətiv *] განმარტებითი ნორმა

joint *s [ʤɔint *z] წარმომადგენელთა პალატისა და სენატის ერთობლივი რეგლამენტი

Judicial Committee *s [ʤu'diʃəl kə'miti *z] საიდუმლო საბჭოს სასამართლო კომიტეტის წარმოების წესები

legal * [′li:gəl *] l. სამართლებრივი ნორმა; 2. სამართლის საფუძველზე მართვის პრინციპი; სამართლის უსუნაეობის პრინციპი

legislative * [′leʤislətiv *] l. საკანონმდებლო ნორმა; 2. პრეცედენტის წარმომქმნელი ნორმა; კანონის ძალის მქონე წესები

legislatively mandated * [′leʤislətivli 'mændeitid *] კანონმდებლის მიერ დაწესებული ნორმა

local * [′ləukəl *] ადგილობრივი წესი; ადგილობრივი მოქმედების ადგილობრივი იურისდიქციის წესი

majority * [mə'ʤɔrəti *] უმრავლესობის პრინციპი, ხმების უმრავლესობით გადაწყვეტილებების მიღების წესი

mandated * [′mændeitid *] დანიშნული წესი, დაწესებული ნორმა

mandatory * [′mændətəri *] იმპერატიული ნორმა

Miranda * [mə'rændə *] *ამერ.* მირანდის წესი *(სასამართლოს მიერ პოლიციაში დაკავებულის მიერ მიცემული თვითინკრიმინირებული ჩვენების შეფასების*

თაობაზე; ამ დროს ღებინდება დაკავებულს თუ გარეშემართა მისი უფლებები: მაგ. ქურდილის უფლება, რომ მის მიერ მიტაცებული ნებისმიერი ნივთება, შეიძლება იქნას გამოყენებული მის წინააღმდეგ და სხვ.)

non-governmental * [ˌnɔn-ˌgʌvənˈmentəl *] არასამთავრობო, არასახელმწიფოებრივი ორგანოს წესები ან დადგენილებები

obsolete * [ˈɔbsəliːt *] მოძველებული ნორმა

old * [ould *] I. დიდი ხნიდან მოქმედი, ძველად მიღებული ნორმა; 2. ადრე მოქმედი ნორმა

operative * [ɔˈpɛətiv *] მოქმედი ნორმა

optional * [ˈɔpʃənəl *] დისპოზიციური ნორმა

parliamentary *s [ˌpɑːləˈmentəri *] *ინგლ.* საპარლამენტო რეგლამენტი

peremptory * [pɔˈremptəri *] იმპერატიული ნორმა

permissive * [pɔˈmisiv *] დისპოზიციური ნორმა

prison *s [ˈprizn *z] I. ციხის წესები; 2. პატიმართა შორის მიღებული საპატიმრო ცხოვრების არაფორმალური წესები

prohibitive (prohibitory) * [prəˈhibətiv (prəˈhibitəri)*] ამკრძალავი ნორმა

reference * [ˈrefrəns *] მიმათითებელი ნორმა

repealed * [riˈpiːld *] გაუქმებული ნორმა

requiring * [riˈkwaiəriŋ *] იმპერატიული ნორმა

restrictive * [riˈstriktiv *] რესტრიქციული *(შემზღუდავი)* ნორმა

selective * [siˈlektiv *] კოლიზიური ნორმა

Senate (senatorial) *s [ˈsenit (ˈsenətɔriəl)*] სენატის რეგლამენტი

Senate-passed * [ˈsenit-pɑːst *] სენატის მიერ მიღებული კანონპროექტი

seniority * [ˌsiːniˈɔrəti *] უფროსობის წესი *(რომლის შესაბამისად სენატის კომიტეტის თავმჯდომარედ ინიშნება კომიტეტში მუშაობის მეტი სტაჟის მქონე სენატორი)*

"shop book" * [ʃɔp buk *] *ისტ.* "საეკლრო წიგნის" წესი *(უფლებას აძლევს მხარეებს, სასამართლოში წარადგინონ მტკიცებულების სახით თავიანთი საანგარიშო წიგნები)*

side-bar * [said-ˈbɑː *] უშუალოდ სხდომის დროს გამოტანილი სასამართლოს დადგენილება

slip * [slap *] წესი, სასამართლო დადგენილებაში *(ქალმით)* დაშვებული შეცდომის გასწორების შესაძლებლობის შესახებ

special * [ˈspeʃl *] I. სპეციალური ნორმა; 2. კონკრეტულ საქმეზე დადგენილი სასამართლო წარმოების წესი; 3. მხარის შუამდგომლობით მიღებული სასამართლო დადგენილება

standing * [ˈstændiŋ *] მუდმივი წესი

statutory * [ˈstætʃətri *] სტატუტის სამართლის ნორმა

statutory *s and orders [ˈstætʃətri *z ænd ˈɔːdəz] დელეგირებული კანონმდებლობის აქტები

stringent * [ˈstrinʤənt *] მკაცრი წესი

tough * [tʌf *] სასტიკი, ულმობელი წესი

unanimity * [ˌjuːnəˈnimɔti *] ერთხმიანობის წესი, ერთხმიანობის პრინციპი *(გადაწყვეტილების ერთხმად მიღება)*

unit * [ˈjuːnit *] დებულება, რომლის მიხედვით შტატის მთელი დელეგაცია *(პარტიულ ყრილობაზე)* ხმას აძლევს ერთ კანდიდატს

veto * [ˈviːtəu *] ვეტოს წესი

withdrawn * [wiðˈdrɔːn *] გაუქმებული ნორმა

working * [ˈwɔːkiŋ *] მოქმედი ნორმა

rule-breaker [ˌruːl-ˈbreikə] *n.* წესის, კანონის დამრღვევი; სამართალდამრღვევი

ruleless [ˈruːlɔs *] *adj.* უკანონო; წესებს, კანონს დაუმორჩილებელი

rule-making [ˌruːl-ˈmeikiŋ] I. *n.* ნორმათშემოქმედება; 2. *adj.* ნორმათშემოქმედი

rule-proclaiming [ˌruːl-ˈprɔˈkleimiŋ] *adj.* ნორმაწარმომქმნელი, ნორმადამდგენი

ruler [ˈruːlə] *n.* მმართველი

ruling [ˈruːliŋ] I. *n.* დადგენილება, განსაზღვრება, გადაწყვეტილება *(სასამართლოსი)*; 2. *v.* ნორმების, წესების გამოცემა

adverse * [ˈædvɜːs *] სასამართლოს დადგენილება, არასასურველი იმ მხარისთვის, რომელსაც ის ეხება

conclusive * [kɔnˈkluːsiv *] სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება

court * [kɔ:t *] I. სასამართლოს დადგენილება, სასამართლოს განსაზღვრება, განჩინება, სასამართლოს გადაწყვეტილება; 2. *pl.* სასამართლო პრაქტიკა
definitive (final) * [dɪ'fɪnətɪv ('faɪnl *)] სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება
judge's * ['ʤʌʤɪz *] სასამართლოს დადგენილება
legal counsel * ['li:gəl 'kaunsəl *] სასამართლოს *(კურძო)* განჩინება ადვოკატის მისამართით
rumage ['rʌmɪʤ] *n. v.* საბაჟო შემოწმება
run [rʌn] *n. v.* I. მართვა, გაძღოლა; *v.* ექსპლუატირება; 3. *v.* მოქმედება, ამუშავება, გაშვება; 4. მიღწევა, შედეგება; 5. *v.* არჩევნებში მონაწილეობა, არჩევნებზე საკუთარი კანდიდატის წარდგენა; 6. ვადა, დროის მონაკვეთი, პერიოდი, საწარმოო ციკლი; 7. ნამდვილობა, მოქმედება, მოქმედი ძალის მქონე *(განსაზღვრულ დროში)*; სვლა, მუშაობა; 8. მიმდინარეობა, *v.* დინება *(ვადის შესახებ)*; 9. მოთხოვნა, მოთხოვნათა ნაკადი; 10. ნებართვა; გამოყენების უფლება; 10. საშუალო ხარისხი, სორტი, ტიპი, თანრიგი; 11. რეისი, გარბენა; *v.* რეისის განხორციელება, გარბენა; გასვლა; 12. იუწყება *(დოკუმენტის შესახებ)*; 13. *v.* გადალახვა, დაძლევა *(აკრძალვის, შეზღუდვის და ა.შ.)*; 14. *v.* დევნა *(სასამართლოს მუშაკობით)* ◊ **to * a risk** [tu * ə rɪsk] რისკის გაწევა, განსაცდელში ჩაგდება; **to * a war** [tu * ə wɔ:] ომის წარმოება
of office [* ɔv 'ɔfɪs] თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადა
of validity [* ɔv və'lɪdəti] მოქმედების ვადა
runaway ['rʌnəweɪ] *adj. n.* I. გაქცეული *(სახლიდან, პატიმრობიდან)*; 2. შეუნიღბებელი *(ინფლაცია)*; კონტროლიდან გამოსული *(წარმოების მართვის ორგანიზაცია)*
runner ['rʌnə] *n.* I. ჯიბის ქურდთა ბანდის წევრი; 2. ბანკის ან საბროკერო კანტორის შიკრიკი
running ['rʌnɪŋ] *n.* I. რეისი; 2. ბიჯი *(კონვეიერის)*; 3. მუშაობა; 4. დარღვევა *(ბლოკადისა)*; 5. *adj.* მიმდინარე *(ვადა)*; მუდმივი, გამუდმებული, თანმიმდევრული ◊ * **away** [* ə'weɪ] გაქცევა *(სახლიდან, პატიმრობიდან)*
* **of the statute of limitations** [* ɔv ðə 'stæʧu:t ɔv ˌlɪmɪ'teɪʃənz] ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა
rupture ['rʌpʧə] I. *n.* განხეთქილება, გაწყვეტა; 2. *v.* განხეთქილების ჩამოვარდნა
* **of relations** [* ɔv rɪ'leɪʃən] ურთიერთობის გაწყვეტა;
ruse [ru:z] *n.* I. ეშმაკობა; 2. მოტყუება, თაღლითობა
* **of war** [* ɔv wɔ:] სამხედრო ეშმაკობა
rustle ['rʌsl] *n. v. ამერ.* ქურდობა, პარვა *(პირუტყვისა და მისთ.)*

S

sabotage ['sæbətɑ:ʒ] *n.* I. საბოტაჟი; დივერსია; ძირგამომთხრელი საქმიანობა; 2. საბოტაჟის მოწყობა
foreign-inspired * [ˈfɔrən-ɪn'spaɪəd *] დივერსია საზღვარგარეთიდან წაქეზებული
inspired * [ɪn'spaɪəd *] ინსპირირებული დივერსია; დივერსია წაქეზებული
sack [sæk] *n.* I. ტომარა; 2. ტიკი; 3. პარაშუტი; 4. დათხოვნა *(სამუშაოდან)*, განთავისუფლება; *v.* 5. ტომარაში ჩაყრა; 6. გაძარცვა, დატაცება; 7. ჯიბეში ჩადება
sacrilege ['sækrəlɪʤ] *n.* მკრეხელობა, წაბილწვა, შებღალვა *(სალვთო ადგილას წინააღმდეგობის დაძლევით შეღწევა – სადაც წირვა-ლოცვა ტარდება – და იქ ფეხლონიის ჩადენა)*
sacrilegious ['sækrəlɪʤəs] *adj.* მკრეხელური
safe [seɪf] *adj.* I. უსაფრთხო, შენახული, დაცული, საიმედო; 2. პატიმრობიდან გაქცევის შეუძლებლობის უზრუნველმყოფელი

safe-conduct [ˌseɪf-ˈkɔndʌkt] *n.* 1. ხელშეუხებლობის გარანტია, უსაფრთხოების გარანტია; 2. დაუპატიმრებლობის გარანტია, დაცვის სიგელი, დაცვის მოწმობა; შეუვალობის მოწმობა; საშვები

safecrack [ˈseɪfkræk] *n.* სეიფის გატეხა

safecracker [ˈseɪfkrækə] *n.* სეიფების გამტეხი

safeguard [ˈseɪfgɑːd] 1. *n.* გარანტია, დაცვა, უსაფრთხოების ზომა; 2. *v.* გარანტირება, დაცვის უსრულველყოფა

constitutional • [ˌkɔnstɪˈtjuːʃənəl •] საკონსტიტუციო გარანტია; საკონსტიტუციო დაცვა

legal • [ˈliːgəl •] სამართლებრივი გარანტია, სამართლებრივი დაცვა

procedural • [prəˈsiːʤərəl •] პროცესუალური გარანტია

proper • [prɔpə •] სათანადო გარანტია; სათანადო დაცვა

safe-keeping [seɪf-kiˈpiːŋ •] *n.* შენახვა, დაცვა, დაფარვა

• **of offender** [• ɔv ɔˈfendə] დაცვა, დამნაშავის პატიმრობაში ყოლა

• **of prisoner** [• ɔv ˈprɪznə] პატიმრის დაცვა

• **of witness** [• ɔv ˈwɪtnəs] მოწმის დაცვა

safe-pledge [seɪf-plɛʤ] თავდებობა *(ზოგ. სასამართლოში)* გამოცხადებაზე

safety [ˈseɪftɪ] *n.* 1. უსაფრთხოება, უშიშროება; 2. დაცულობა, შენახვადობა, დაუზიანებლობა, უვნებლობა; 3. *adj.* უსაფრთხო; დამცველი

• **of life at sea** [• ɔv laɪf ɔt siː] ადამიანების სიცოცხლის დაცვა ზღვაზე

national • [ˈnæʃnəl •] ქვეყნის უსაფრთხოება: ერიუნულია უსაფრთხოება *(უშიშროება)*

occupational • [ˌɔkjuˈpeɪʃnəl •] უსაფრთხოება, უსაფრთხოების ტექნიკა საწარმოში

occupational • **and health** [ˌɔkjuːˈpeɪʃnəl • ænd helθ] შრომის დაცვა

on-the-job • [ɔn ðə ʤɔb •] სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ტექნიკა

traffic • [ˈtræfɪk •] საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება

workers • [ˈwɔːkəz •] უსაფრთხოება, წარმოებაში უსაფრთხოების ტექნიკა

said [sed] *adj.* ზემოაღნიშნული, ზემოხსენებული

salary [ˈsælərɪ] *n.* 1. ჯამაგირი, ხელფასი, ანაზღაურება; 2. *pl.* ხელფასის ფონდი; გადახდილი ხელფასის საერთო თანხა; გაცემული ხელფასი *(ერთი თვისა)*

fixed • [fɪkst •] მყარი ხელფასი

official • [əfɪʃəl •] თანამდებობრივი ხელფასი

stated • [steɪtɪd •] მყარი ხელფასი

sale [seɪl] *n.* 1. გაყიდვა, ვაჭრობა; 2. საქონელბრუნვა; 3. *pl.* გაყიდული საქონლის მოცულობა ◊ • **and (or) return** [• ænd (ɔː) rɪˈtəːn] გაყიდვა დაბრუნება *(გაყიდვა, რომლის დროსაც მყიდველს აქვს უფლება, დააბრუნოს საქონელი გარკვეული დროის განმავლობაში)*; **"as is"** • [əz ɪz •] *ამერ.* საქონლის გაყიდვა პირობით *(ნიმუშის მიხედვით)* "როგორიც არის" *(ხარისხის გარანტიის გარეშე)*; • **by auction** [• baɪ ˈɔːkʃən] გაყიდვა აუქციონით; • **by commission** [• baɪ kɔˈmɪʃən] საკომისიო გაყიდვა; • **by discription** [• baɪ dɪsˈkrɪpʃən] გაყიდვა აღწერით; • **by private contract** [• baɪ ˈ praɪvɪt ˈkɔntrækt] ვაჭრობა შეთანხმებით *(ხელშეკრულებით)*; • **by private count** [• baɪ ˈpraɪvɪt kaunt] *შოტლ.* აუქციონით გაყიდვა, საჯარო გაყიდვა; • **by sample** [• baɪ ˈsɑmpl] ნიმუშით გაყიდვა; • **for future delivery** [• fɔː ˈfjuːʧə dɪˈlɪvərɪ] ვადაში გაყიდვა; • **on approval** [• ɔn əˈpruːvəl] გაყიდვა მყიდველის მიერ საქონელზე უარის განცხადების უფლებით; • **on arriaval** [• ɔn əˈraɪvəl] გზაში მყოფი საქონლის გაყიდვა; • **on credit** [• ɔn ˈkredɪt] გაყიდვა კრედიტით; • **on trial** [• ɔn ˈtraɪəl] გაყიდვა სასინჯად; • **on arrival** [• ɔn əˈraɪvəl] *იხ.* **sale on arrival**; • **with all faults** [• wɪð ɔːl fɔːlts] გაყიდვა გამყიდველის პასუხისმგებლობის გარეშე ხელშეკრულების საგნის ხარისხზე

• **of unassembled invention** [• ɔv ˌʌnəˈsæmbld ɪnˈvenʃən] დაშლილი სახით გამოგონების ობიექტის ქვესლა ელემენტის გაყიდვა **commission** • [kɔˈmɪʃən •] საკომისიო გაყიდვა

compulsory • [kɔmˈpʌlsərɪ •] 1. იძულებითი გაყიდვა, გაყიდვა აუქციონით; 2. იძულებითი გასხვისება

credit * [ˈkredɪt *] გაყიდვა კრედიტით
direct * [daɪˈrekt *] პირდაპირი ვაჭრობა *(პრინციპალის მიერ აგენტის მონაწილეობის გარეშე)*
distress * [dɪˈstres *] აღწერილი ქონების გაყიდვა
drug * [drʌg *]ნარკოტიკებით ვაჭრობა.
exclusive * [ɪkˈskluːsɪv *] გაყიდვის განსაკუთრებული უფლება
execution [ˌeksɪˈkjuːʃən *] სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების თანახმად შოვალის ქონების გაყიდვა ვალის დაფარვის მიზნით
forced * [ˈfɔːst *] იძულებითი გაყიდვა
foreclosure * [fɔːˈkləʊʒə *] დაგირავებული უძრავი ქონების გაყიდვა
judicial * [ʤuːˈdɪʃəl *] გაყიდვა სასამართლოს გადაწყვეტილებით
memorandum * [ˌmemɔˈrændəm *] პირობითი გაყიდვა, რომელიც ითვალისწინებს მყიდველის უფლებას, მიიღოს საქონელი ან უარი თქვას მის მიღებაზე
open * [ˈəʊpən *] საჯარო გაყიდვა, ღია ვაჭრობა
private * [ˈpraɪvɪt *] გაყიდვა კერძო თანხმობით
public * [ˈpʌblɪk *] აუქციონი, გაყიდვა აუქციონით
simulated * [ˈsɪmjʊleɪtɪd *] გაყიდვა მოტყუების მიზნით; მესამე პირების მოსატყუებლად მიმართული გაყიდვის შეთანხმება
tax * [tæks *] გაყიდვა გადასახადების გადაუხდელობის გამო
wash (ed) * [wɔːʃ(d) *] ფიქციური გაყიდვა *(ფასიანი ქაღალდებისა მათი შემდგომი გაყიდვით)*

salus populi suprema lex esto *ლათ.* დაე, ხალხის კეთილდღეობა უზენაესი იყოს.

salute [səˈluːt] *n.* 1. სალუტი; *სამხ.* სალმის მიცემა სამხედრო წესით; 2. *v.* სალუტირება
international * [ˌɪntəˈnæʃnəl *] ნაციის სალუტი

salvage [ˈsælvɪʤ] *n.* 1. ქონების გადარჩენა *(ხანძრისგან)*; 2. გადარჩენილი ქონება; 3. გასამრჯელო, კომპენსაცია *(ქონების გადარჩენისთვის)*; 4. არარეალიზებული პროდუქცია; გადასამუშავებლად ვარგისი წარმოების ნარჩენები; 5. გამოსწორებადი წუნი; 6. *სამხ.* დაცლა, ტროფეი; *v.* 7. ქონების გადარჩენა; 8. ტროფეის შეგროვება ◊ * **on cargo** [* ɔn ˈkɑːgəʊ] დაჯილდოება ტვირთის გადარჩენისთვის; * **on ship** [* ɔn ʃɪp] დაჯილდოება გემის გადარჩენისთვის

salvor [ˈsælvə] *adj.* მხსნელი, გადამრჩენელი

same [seɪm] *adj.* იგივე, იმავე

sample [ˈsɑːmpl] *n.* 1. ნიმუში; სინჯი; 2. ამორჩევა, შერჩევა; 3. შერჩეული ერთობლიობა; *v.* 4. გასინჯვა; 5. გაზომვა, ათვლა; 6. გაანალიზება ◊ **by (per)** * [baɪ (pɔː) *] ნიმუშის მიხედვით
case * [keɪs *] საქმის ტიპი, სამართალდარღვევის ტიპი

sanctify [ˈsæŋktɪfaɪ] *v.* სანქციის მიცემა, დადასტურება, სანქციონირება

sanction [sæŋkʃən] *n.* 1. სანქცია, მოწონება, დამტკიცება, თანხმობა; 2. სამართლებრივი სანქცია; კანონით გათვალისწინებული სასჯელი, ზღვევინება; 3. სანქცია *(საერთაშორისო-სამართლებრივი მნიშვნელობით)*; *v.* 4. სანქციონირება, აკრძალვა; 5. სანქციის გამოყენება *(რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ)* * **of oath** [* ɔv ˈəʊθ] სანქცია სასამართლო ფიცის დარღვევისთვის
additional * [ˈəɑɪʃənəl *] ზღვევინების, სასჯელის დამატებითი ზომა
administrative * [ədˈmɪnɪstrətɪv *] ადმინისტრაციული სანქცია
administrative agency * [ədˈmɪnɪstrətɪv ˈeɪʤənsi *] სასჯელი, დაკისრებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ
civil * [ˈsɪvɪl *] სამოქალაქო-სამართლებრივი სანქცია
commuted * [kɔˈmjuːtɪd *] შეწყალების წესით შემსუბუქებული სასჯელის ზომა
criminal* [ˈkrɪmɪnəl *] სისხლისსამართლებრივი სანქცია; სისხლის სამართლის სასჯელი
custodial * [kʌˈstəʊɪəl *] თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული სასჯელი
enhanced * [ɪnˈhɑːnsd] სასჯელის გაზრდილი ზომა
legal * [ˈliːgəl *] სამართლებრივი სანქცია
non-custodial * [nɔn kʌˈstəʊɪəl *] სასჯე-

ლი, დაუკავშირებელი თავისუფლების აღკვეთასთან
penal • [ˈpi:nl •] სისხლისსამართლებრივი სანქცია; სისხლის სამართლის სასჯელი
primary • [ˈpraɪmɔri •] ზღვევინების, სასჯელის ძირითადი ზომა
reduced • [rɪˈdju:st •] შემსუბუქებული ზღვევინების, სასჯელის ზომა
sanctuary [ˈsæŋkʧuəri] *n.* თავშესაფარი
sane [seɪn] *adj.* 1. საღი, ჯანსაღი *(ფსიქიკა)*, ნორმალური; 2. შერაცხადი, კეთილგონიერი
criminally • [ˈkrɪmɪnəli •] შერაცხადი *(ჩადენილ დანაშაულთან მიმართებაში)*
mentally • [ˈmentəli •] ფსიქიკურად ჯანმრთელი
partially • [ˈpa:ʃəli •] შეზღუდულად, ნაწილობრივ შერაცხადი
sanitation [ˌsænɪˈteɪʃən] *n.* სანიტარული ზედამხედველობა, სანიტარია
sanity [ˈsænətɪ] *n.* 1. ფსიქიკური ჯანმრთელობა, საღი აზროვნება; 2. შეურაცხადობა ◊ **to recover** • [tu rɪˈkʌvə •] გამოჯანმრთელობა *(ფსიქიკურად ავადმყოფისა)*; შერაცხადობის მოპოვება
criminal • [ˈkrɪmɪnəl •] შერაცხადობა
diminished • [dɪˈmɪnɪʃt •] შემცირებული, შეზღუდული შერაცხადობა
satisfaction [ˌsætɪsˈfækʃən] *n.* 1. დაკმაყოფილება; სატისფაქცია; 2. შემხვედრი დაკმაყოფილება; 3. შესრულება *(მოვალეობისა)*; 4. აღსრულება ◊ **• for injury** [• fɔ: ˈɪnʤəri] ზიანის ანაზღაურება; **in • of** [ɪn • ɔf] გადახდაში;
• of debt [• ɔv det] ვალის გადახდა
pecuniary • [pɪˈkjunjəri •] ფულადი დაკმაყოფილება
satisfactory [ˌsætɪsˈfæktəri] *adj.* 1. დამაკმაყოფილებელი; 2. მოთხოვნილების შესაბამისი, შესაფერისი
satisfied [ˈsætɪsfaɪd] *adj.* შესრულებული, დაკმაყოფილებული, ზღვევინებული, გადახდევინებული ◊ **to be** • [tu bi: •] დადგენა, განსაზღვრა, პოვნა, აღიარება, აზრამდე მისელა
satisfy [ˈsætɪsfaɪ] *v.* 1. დაკმაყოფილება, შესაბამისობა, პასუხი *(მოთხოვნებზე)*; 2. დაფარება *(ვალისა)*; შესრულება *(მოვალეობის, შეთანხმების, გადაწყვეტილების, კანონის)*; 3. დარწმუნება, დამტკიცება ◊ **to • a debt** [tu • ə det] ვალის დაფარება; **to • an obligation** [tu • ən ɔˈbligeɪʃən] მოვალეობის, ვალდებულების შესრულება; **to • oneself** [tu • wʌnˈself] დარწმუნება *(საკუთარი თავისა)*; **to • reasonably** [tu • ˈri:zənəbli] დარწმუნება გონიერული მოსაზრებების საფუძველზე; **to • the court** [tu • ðə kɔ:t] სასამართლოს დარწმურება; **to • the jury** [tu • ðə ˈʤuəri] ნაფიცი მსაჯულების დარწმუნება
saucepen lid [ˈsɔ:spən lɪd] *კოკ.* ოფოვა, რაც **quid** [kwɪd] გირვანქა სტერლინგი
save [seɪv] *n.* 1. ხსნა; 2. მოქმედების შენარჩუნება; 3. შენიშვნის გაკეთება; გამორიცხვის გათვალისწინება; 4. გარდა; გამორიცხვით; 5. ეკონომიის გაწევა, დაზოგვა, მომჭირნეობა ◊ **• errors** [• ˈerəz] გამოტოვებებისა და შეცდომების გამორიცხვა *(შენიშვნა დოკუმენტში)*; **to • ones's bail** [tu • weɪnz beɪl] სასამართლოში გამოცხადება *(თავდებით გაშვებულის)*; **to • the statute of limitations** [tu • ðə ˈstætju:t ɔv ˌlɪmɪˈteɪʃənz] სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მსელელობის შეჩერება
saving [ˈseɪvɪŋ] *n. adj.* 1. ეკონომია, დაზოგვა; 2. შენიშვნა; 3. *pl.* დანაზოგი; 4. ეკონომიური, მომჭირნე, დამზოგი; 5. შენიშვნის შეტანა, შენიშვნის შემცველი
say [seɪ] *v.* განცხადების გაკეთება ◊ **to • in chief** [tu • ɪn ʧi:f] მთავარი დაკითხვის დროს განცხადების გაკეთება; **to • in cross** [tu • ɪn krɔs] ჯვარედინი დაკითხვის დროს განცხადების გაკეთება; **to • in dissent** [tu • ɪn dɪˈsent] განსაკუთრებული აზრის გაცხადება, თქმა
scale [skeɪl] *n.* 1. ზომა, მასშტაბი; ზვარი; 2. დონე, საფეხური *(განვითარებისა)*; 3. სკალა; 4. *pl.* სასწორი; *v.* 5. მასშტაბის შეცვლა ან განსაზღვრა; 6. გადაყვანა, გადათვლა
• of age [• ɔv eɪʤ] ასაკობრივი ზვარი
• of payment [• ɔv ˈpeɪmənt] გადახდის ნიხრი
• of wages [• ɔv ˈweɪʤɪz] ხელფასის, გასამრჯელოს სკალა
rate • [reɪt •] სატარიფო განაკეთის

სკალა *(ხელფასის, გადასახადების და ა.შ.)*, შეფასებათა სკალა
sliding * [ˈslaɪdɪŋ *] მცურავი სკალა

scandal [ˈskændl] *n.* 1. ბოროტი ჭორი; ცილისწამება; 2. საჯარო შეურაცხყოფა; 3. პირის მიერ თავისი პროცესუალური უფლებების ბოროტად გამოყენებით სასამართლოში გაკეთებული განცხადება, რომელიც საქმესთან არაა დაკავშირებული

scene [si:n] *n.* შემთხვევის ადგილი
* **of action** [* ɔv ˈækʃən] შემთხვევის, მოქმედების ადგილი
* **of crime (of offence)** [* ɔv kraɪm (ɔv əˈfens)] დანაშაულის ჩადენის ადგილი
accident * [ˈæksɪdənt *] უბედური შემთხვევის ადგილი
crime * [kraɪm *] დანაშაულის ჩადენის ადგილი

schedule [ˈʃedju:l] *n.* 1. ამერ. კატალოგი, სია, ნუსხა; 2. აღწერა, დამატება, მიმატება *(დოკუმენტს.)*; 3. ცხრილი, განრიგი, გრაფიკი, გეგმა, სკალა, სქემა; *v.* 4. კატალოგში, სიაში შეტანა; 5. დაგეგმვა, განრიგის, გრაფიკის შედგენა; 6. დართვა *(დოკუმენტთან)*, 7. პროგრამირება
* **of fees** [* ɔv fi:z] გადასახადების, ჰონორარების განაკვეთების სკალა
legislative * [ˈledʒɪslətɪv *] 1. საკანონმდებლო აქტის დანართი; 2. საკანონმდებლო აქტების სია
rate * [reɪt *] სატარიფო განაკვეთი
uniform * **of fees** [ˈju:nɪfɔ:m * ɔv fi:z] გადასახადების, ჰონორარების ერთგვაროვანი სკალა

scham [skæm] *n. სალ.* თაღლითობა

scheme [ski:m] *n.* 1. გეგმა, პროგრამა, პროექტი; 2. სქემა, დიაგრამა; 3. ოპერაციათა თანმიმდევრობა; 4. სტრუქტურა, სისტემა; 5. *pl.* ინტრიგები, ხრიკები, მაქინაცია, შეთქმულება; *v.* 6. გეგმის შედგენა, პროექტირება; 7. ინტრიგების, ხრიკების მოწყობა
fraudulent * [ˈfrɔ:djulənt *] თაღლითური მაქინაცია
illegal * [ɪˈli:gəl *] უკანონო მაქინაცია; კანონსაწინააღმდეგო შეთანხმება; შეთქმულება

schism [ˈskɪzəm] *n. საკ.* სქიზმა *(განხეთქილება, დანაშაულის შემადგენლობა ინგლისური კანონიკური სისხლის სამართლის მიხედვით)*

scholar [ˈskɔlə] *n.* 1. სწავლული; 2. სტიპენდიანტი; 3. სალ. წერა-კითხვის მცოდნე
legal * [ˈli:gəl *] სწავლული იურისტი

school [sku:l] *n.* 1. სკოლა; 2. სწავლება, გაწვრთნა
approved * [ɔˈpru:vd *] *ინგლ. ისტ.* სასამართლოს მიერ მოწონებული სკოლა *(ალმზრდელობითი დაწესებულება სამართალდამრღვევთათვის, რომელთა ასაკი არ აღწევს ჩვიდმეტ წელს)*
community * [kɔˈmju:nɔti *] *ინგლ.* სათემო სკოლა *(გამასწორებელი სკოლა არასრულწლოვან სამართალდამრღვევთათვის)*
correctional * [kɔˈrekʃənl *] გამოსასწორებელი სკოლა *(ბავშვებისთვის, რომლებიც გარიცხული არიან ჩვეულებრივი სკოლიდან)*
industrial * [ɪnˈdʌstrɪəl *] *ამერ. ისტ.* სწარმოო სკოლა *(რეფორმატორის ტიპი)*
juvenile trainig * [ˈdʒu:vɪnaɪl ˈtreɪnɪŋ *] საწარმოო მოსამზადებელი სკოლა არასრულწლოვანი დელინკვენტებისთვის
reform * [rɪˈfɔ:m *] გამასწორებელი სკოლა; სკოლა-რეფორმატორია, არასრულწლოვანი დელინკვენტებისთვის
reformatory * [rɪˈfɔ:mətərɪ *] *ინგლ. ისტ.* გამასწორებელი სკოლა არასრულწლოვანი დამნაშავეთათვის
vocational * [vəuˈkeɪʃənl *] პროფესიული *(სახელოსნო)* სკოლა
training * [ˈtreɪnɪŋ *] *ამერ.* საწარმოო მოსამზადებელი სკოლა

science [ˈsaɪəns] *n.* მეცნიერება
criminal * [ˈkrɪmɪnəl *] კრიმინოლოგია *(მეცნიერების დარგი)* *იხ.* **criminology**

scienter *ლათ.* წინასწარი შეცნობა *(მითითება იმაზე, რომ მოპასუხემ, მოქმედებდა რა, წინასწარ იცოდა შედეგების შესახებ)*

scintilla [sɪnˈtɪlə] *n.* ნაპერწკალი, გაელვება; მცირედი, ნამცეცი
* **of evidence** [* ɔv ˈevɪdəns] მინიმალური მტკიცებების არსებობა
* **of invention** [* ɔv ɪnˈvenʃən] გამოგონების მინიმალური დონის არსებობის აუცილებლობა

*** of truth** [* ɔv tru:θ] ჭეშმარიტების მარცვალი

scire facias *ლათ.* მოთხოვნათა განხორციელების წინააღმდეგ, რომელიც დაფუძნებულია საჯარო აქტზე *(განსაკ. სასამართლო გადაწყვეტილებებზე)*, შეპასუხების წარდგენის შესახებ სასამართლო ბრძანება

scold [skɔuld] *n.* 1. პირი *(ქალი)*, რომელიც მუდმივად უხეშად იგინება; ანიხლი დედაკაცი; 2. *ძ.* ლანძღვა, გინება

common * [ˈkɔmən *] ქალი, რომელიც მუდმივად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს *(უხეშში ხსუბითა და გინებით)*

scolder [skɔuldə] *იხ.* **common scold**

scope [skɔup] *n.* კომპეტენცია; გამოყენების, მოქმედების სფერო *(ნორმები და ა.შ.)*, შესაძლებლობების ზღვრები; შინაარსი, მნიშვნელობა;

*** of immunity** [* ɔv iˈmju:nəti] იმუნიტეტის საზღვრები

patent's * [ˈpeɪtənts *] პატენტის მოქმედების საზღვრები, საპატენტო მოთხოვნების მოცულობა

screen [skri:n] *n.* 1. შირმა; 2. განცხადების დაფარვა; 3. *სამხ.* დამცველი რაზმი, საფარი; *ძ.* 4. შემოწმების *(საბაჟოზე)* ჩატარება; 5. დაფარვა, დაცვა *(დარტყმისგან)*

screening [skri:niŋ] *n. (საბაჟო)* შემოწმება

scrip [skrip] *n.* სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქციების მფლობელობას

script [skript] *n.* ხელნაწერი, ორიგინალი, დედანი

scroll [skrɔul] *n.* 1. დოკუმენტზე ბეჭდის სანაცვლო ნიშანი; 2. გრაგნილი

scrutiny: [ˈskru:tini] *n.* 1. კრიტიკული განხილვა; 2. ყურადღებით შესწავლა; 3. არჩევნების შემოწმება

judicial * [ʤuˈdiʃəl *] სასამართლო გადაწყვეტილების განხილვა

sea [si:] *n.* ზღვა

enclosed * [inˈkləuzd *] 1. შიდა ზღვა; 2. დახურული ზღვა

epicontinental * [epiˈkɔntinentəl *] ეპიკონტინენტური ზღვა

high *(s) [hai *(z)] ღია ზღვა *(წყლები)*

internal * [inˈtə:nl *] შიდა ზღვა

international *(s) [ˌintəˈnæʃnəl *(z)] საერთაშორისო ზღვა *(წყლები)*

marginal * [ˈma:ʤinəl *] განაპირა ზღვა

open * [ɔupən *] ღია ზღვა

patrimonial * [ˈpætrɪməniəl *] პატრიმონიალური ზღვა

semi-(en)closed * [ˈsemi-(ɪn)ˈkləuzd *] ნახევრად დახურული ზღვა

territorial * [ˌterɪˈtɔri:əl *] ტერიტორიული ზღვა, ტერიტორიული წყალი

sea-bed [si:-bed] *n.* ზღვის ფსკერი

seal [si:l] *n.* 1. ბეჭედი, დამღა, პლომბი, ლუქი; 2. სანქციონირება *(ოფიციალურად)*; 3. საიზოლაციო ფენა; 4. *ძ.* ბეჭდით დამოწმება, ბეჭდის დასმა, დალუქვა, დაპლომბვა, დალუქვა; 5. *pl.* ძალაუფლება, უფლებამოსილება ◊ **under *** [ˈʌndə *] ბეჭდით, ბეჭდის დასმით; **under * of secrecy** [ˈʌndə * ɔv ˈsi:krəsi] საიდუმლოდ, გახმაურების აკრძალვით; **under the hand *** [ˈʌndə ðə hænd *] ხელმოწერით და ბეჭდით

*** of confession** [* ɔv kənˈfeʃən] აღსარების საიდუმლო

*** of office** [* ɔv ˈɔfɪs] თანამდებობრივი ბეჭედი

common * [ˈkɔmən *] კორპორაციის ბეჭედი, იურიდიული პირის ბეჭედი

forged * [ˈfɔ:ʤd *] ყალბი ბეჭედი

Great * (of the realm) [greɪt * (ɔv ðə relm)] დიდი სახელმწიფო ბეჭედი *(ინგლისში)*

official * [əˈfɪʃəl *] ოფიციალური ბეჭედი

private * [ˈpraivɪt *] ფიზიკური ან იურიდიული პირის ბეჭედი *(განსხვავებით სახელმწიფო დაწესებულების ბეჭდისგან)*

Privy * [ˈprivi *] მცირე სახელმწიფო ბეჭედი

public * [ˈpʌblik *] სახელმწიფო დაწესებულების ბეჭედი

Royal Great * [ˈrɔiəl greɪt *] დიდი სამეფო ბეჭედი, დიდი სახელმწიფო ბეჭედი

sealing [si:liŋ] *ძ.* ბეჭდის დასმა, დალუქვა

search [sə:ʧ] *n. ძ.* 1. ძებნა; გამოკვლევა, კვლევა, შესწავლა, დათვალიერება. შემოწმება; 2. ჩხრეკა; 3. გამოძიება ◊ *** es and seizures** [* ɪz ænd ˈsi:ʒəz] *(სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგან-*

ლების მიერ) ხრეკისა და კონფისკაციის ჩატარების უფლება; • **as to patentability** [• əz tu ˌpeɪtəntəbɪlətɪ] პატენტუნარიანობის ძიება; • **for anticipation** [• fɔ: ænˌtɪsɪˈpeɪʃən] *პატ.* სიახლის ძიება *(მაგ. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის წინ)*; • **incidental to arrest** [• ˌɪnsɪˈdəntl tu əˈrest] ხრეკა დაპატიმრებისას; • **without warrant** [• wɪˈðaut ˈwɔrənt] ხრეკა ორდერის გარეშე

• **of property** [• əv ˈprɔpətɪ] ხრეკა *(მოპარული)* ქონების აღმოჩენის მიზნით

illegal • [ɪˈlɪːgəl •] უკანონო ხრეკა

lawful • [ˈlɔːful •] მართლზომიერი ხრეკა

legal • [ˈliːgəl •] კანონიერი ხრეკა

military • [ˈmɪlɪtərɪ •] ხრეკა, წარმოებული სამხედრო ხელისუფლების მიერ

narrow • [ˈnæroʊ •] 1. დაწვრილებითი, სკრუპულოზური, გულდასმითი ხრეკა; დაწვრილებითი, გულდასმითი დათვალიერება, შემოწმება; 2. დაწვრილებითი გამოძიება

reasonable • [ˈriːznəbl •] დასაბუთებული ხრეკა

record • [ˈrekɔːd •] ხრეკაზე ოქმის შედგენა

unconstitutional • [ˌʌnˌkɔnstɪˈtjuːʃənəl •] ხრეკა პიროვნების საკონსტიტუციო უფლების დარღვევით

unreasonable • **and seizure** [ʌnˈriːznəbl • ænd ˈsiːʒə] დაუსაბუთებელი ხრეკა და კონფისკაცია *(აკრძალულია აშშის კონსტიტუციის IV შესწორებით)*

visual strip • [ˈvɪʒuəl strɪp •] ვიზუალური ხრეკა გასანხრეკის გაშიშვლებით

wrongful • [ˈrɔŋful •] მართლსაწინააღმდეგო, უკანონო ხრეკა

warrantless • [ˈwɔrəntlɔs •] 1. ხრეკა ორდერის გარეშე; 2. დაუსაბუთებელი ხრეკა.

wrongful • [ˈrɔŋful •] მართლსაწინააღმდეგო, უკანონო ხრეკა.

searcher [ˈsɜːʧə] *n.* პირი, რომელიც აწარმოებს ხრეკას, დათვალიერებას, შემოწმებას

season [ˈsiːzn] *n.* წლის პერიოდი, დრო, სეზონი; ჟამი

closed fishing • [ˌkloʊzd ˈfɪʃɪŋ •] დახურული თევზჭერის სეზონი

fishing • [ˈfɪʃɪŋ •] რეწვის სეზონი

seat [siːt] *n.* 1. ადგილი *(ყოფნის, დისლოკაციის და მისთ.)*, ადგილსამყოფელი, ადგილმდებარეობა, შტაბბინა; 2. ადგილი *(პარლამენტში და ა.შ.)*; თანამდებობა, მანდატი, სკამი; 3. ფუნდამენტი, საერდენი ზედაპირი; *v.* 4. განთავსება; განლაგება; დაყენება; 5. გაყვანა *(კანდიდატისა პარლამენტში და ა.შ.)* ◊ • **on the bench** [• ɔn ðə benʧ] მოსამართლის თანამდებობა, სავარძელი

• **of jurisdiction** [• əv ˌʤʊərɪsˈdɪkʃən] ტერიტორიული განსჯადობის რაიონი *(სასწერები)*

judgement • [ˈʤʌʤmənt] 1. მოსამართლის ადგილი; 2. სასამართლო დასწრება, სასამართლო

safe • [seɪf •] უსრუნველყოფილი ადგილი პარლამენტში *(არჩევნებზე კანდიდატ'ისთვის)*

seated [siːtɪd] *adj.* დაშვებული წევრობაზე, წევრის სახით

secede [sɪˈsiːd] *v.* გასვლა *(კავშირიდან, შემადგენლობიდან, საზოგადოებიდან)*, ჩამოცილება, გამოყოფა

secession [sɪˈseʃən] *n.* გასვლა *(კავშირიდან)*, ჩამოცილება, გამოყოფა

second [ˈsekənd] *adj.* 1. მეორე; 2. მეორეხარისხოვანი; დაქვემდებარებული, მნიშვნელობით ნაკლები, ძალით ნაკლები და ა.შ.

• **of exchange** [• əv ɪksˈʧeɪnʤ] გადასაყვანი თამასუქის მეორე ეგზემპლარი

secondary [ˈsekəndərɪ] *adj.* 1. დამატებითი, დამხმარე, აქცესორული; 2. მეორადი, წარმოებული; 3. მეორეხარისხოვანი

secrecy [ˈsiːkrəsɪ] *n.* საიდუმლოება, იდუმალება; კონსპირაცია

• **of the ballot** [• əv ðə ˈbælət] ხმის მიცემის საიდუმლოება

administrative • [ədˈmɪnɪstrətɪv •] ადმინისტრაციული ხელისუფლების უფლება თავისი საქმიანობის გასაიდუმლოებაზე

executive • [ɪgˈzekjuːtɪv •] აღმასრულებელი ხელისუფლების უფლება თავისი საქმიანობის გასაიდუმლოებაზე

government • [ˈgʌvnmənt •] მთავრობის უფლება თავისი საქმიანობის გასაიდუმლოებაზე

legislative * [ˈlecʤɪslətɪv *] საკანონმდებლო ხელისუფლების უფლება, არ იყოს ანგარიშვალდებული სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ

official * [ɔˈfɪʃəl *] სამსახურებრივი საიდუმლოება

secret [ˈsi:krɪt] I. *n.* საიდუმლო, საიდუმლოება; 2. *adj.* საიდუმლო, გასაიდუმლოებული, საიდუმლოდ შენახული

official * [ɔˈfɪʃəl *] სახელმწიფო საიდუმლო; სამსახურებრივი საიდუმლო

state * [steɪt *] სახელმწიფო საიდუმლოება

top * [tɔp *] სრულიად საიდუმლოდ *(წარწერა დოკუმენტზე)*

trade * [treɪd *] I. კომერციული საიდუმლო; 2. საწარმოო საიდუმლოება; გასაიდუმლოებული ტექნოლოგია

work * [wɔ:k *] საწარმოო საიდუმლო, საწარმოს საიდუმლოება

secretariat [ˌsekrəˈteərɪət] *n* სეკრეტარიატი, სამდივნო

secretary [ˈsekrətrɪ] *n.* I. მდივანი; 2. მინისტრი ◊ * **General (of the United Nations)** [ˈsekrətrɪ * ˈʤenərəl (əv ðə juˈnaɪtɪd ˈneɪʃənz] *(გაეროს)* გენერალური მდივანი

* **of State** [* əv steɪt] I. სახელმწიფო მდივანი *(აშშ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი)*; შტატის სახელმწიფო მდივანი; 2. *ინგლ.* მთავრობის წევრი *(რომელიც შედის კაბინეტში და პასუხისმგებელია მისდამი დაქვემდებარებულ დეპარტამენტზე. ;წ'ყება'ზე)*

Chief * **to the Treasury** [ʧi:f * tu ðə ˈtreʒərɪ] ფინანსთა სამინისტროს, უწყების მთავარი მდივანი *(ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე დიდ ბრიტანეთში, კაბინეტის წევრი)*

parliamentary * [ˌpɑ:ləˈmentrɪ *] საპარლამენტო მდივანი, მინისტრის საპარლამენტო მოადგილე

parliamentary private * [ˈpɑ:ləˈmentrɪ ˈpraɪvət *] მინისტრის პირადი საპარლამენტო მდივანი

permanent * [ˈpɜ:mənənt *] მინისტრის მუდმივი მოადგილე

secretaryship [ˌsekrəˈtrɪʃɪp] *n.* მდივნის თანამდებობა; მინისტრის თანამდებობა

secrete [sɪˈkri:t] *v.* დამალვა. დაფარვა *(დანაშაულისა, დამნაშავისა)* ◊ **to * a crime** [tu * ə kraɪm] დანაშაულის დამალვა, დაფარვა; **to * a criminal** [tu * ə ˈkrɪmɪnəl] დამნაშავის დამალვა

secretness [ˈsi:krɪtnəs] *n.* საიდუმლოობა, იდუმალება

section [ˈsekʃən] *n.* I. განყოფილება *(მაგ. დაწესებულების, კარონისა)*, ნაწილი, მუხლი, პუნქტი, პარაგრაფი, სეგმენტი, დეტალი; 2. *ამერ.* რაიონი, მონაკეთი *(ერთი კვადრატული მილის მოედანი)*; კვარტალი *(ქალაქისა)*; 3. კეთა, გაჭრა, გაკეთა; 4. *სამხ.* ათეული *(ქვეითთა ჯარში)*; ოცეული *(ცხენოსან ჯარში)*; 5. *v.* ნაწილებად დაყოფა, დანაწილება

earlier * [ˈɜ:lɪə *] *(კარონის)* მუხლი წინა რედაქციით

later * [leɪtə *] *(კანონის)* მუხლი შემდგომი რედაქციით

Sector [ˈsektə] *n.* I. სექტორი, უბანი; 2. დარგი, სფერო; 3. ნაწილი, ფართობი

polar * [ˈpəʊlə *] პოლარული უბანი

secular [ˈsekjulə] *adj.* I. მაღალი წრის; საერო, საერისკაცო; 2. საუკუნებრივი

secundum legem *ლათ.* კანონის შესაბამისად, კანონთან შესაბამისობაში

secundum regulam *ლათ.* კანონის შესაბამისად

secure [sɪˈkjuə] *v.* I. გარანტირება; უზრუნველყოფა: უსაფრთხოების, რეჟიმის უზრუნველყოფა, დაცვა; 2. მიზნის მიღწევა; 3. შეძენა, მიღება; 4. *adj.* გარანტირებული, უსაფრთხო რეჟიმის ◊ **to * a conviction** [tu * ə kənˈvɪkʃən] გასამართლების მიღწევა; **to * a creditor** [tu * ə ˈkredɪtə] კრედიტორის უზრუნველყოფის მიღწევა; **to * a debt** [tu * ə det] ვალის უზრუნველყოფა; **to * a loan** [tu * ə ləun] სესხის უზრუნველყოფა; **to * appearance** [tu * əˈpɪərəns] გამოცხადების უზრუნველყოფა; **to * custodially** [tu * kastəʊdɪəlɪ] ოზოლაციის უზრუნველყოფა; რეჟიმულობის უზრუნველყოფა; **to * indictment** [tu * ɪnˈdaɪtmənt] საბრალდებო აქტის გამოტანის უზრუნველყოფა; **to * judgement** [tu * ˈʤʌʤmənt] საქმის მოგება, გადწყვეტილების მიღება თავის სასარგებლოდ; **to * the last word** [tu * ðə lɑ:st wɔ:ld] საბოლოო

სიტყვის უფლების უზრუნველყოფა ან გარანტირება

secured [sɪ'kjuəd] *adj.* 1. უზრუნველყოფილი, გათვალისწინებული, გარანტირებული, დაცული; 2. რისკისგან დაზღვეული; 3. იზოლირებული; სარეჟიმო პირობებში ჩაყენებული

security [sɪ'kjuərətɪ] *n.* 1. უშიშროება, უსაფრთხოება; საიმედოობა, დაცვა; 2. უზრუნველყოფა, გარანტია, საწინდარი, გირაო; 3. თავდებობა; თავდები; 4. *pl.* საბრუნავი დოკუმენტი; ფასიანი ქაღალდი; 5. იზოლაცია; რეჟიმი *(კუნიტენციარული დაწესებულებისა)*; 6. რისკისგან დაზღვევა ◊ **• for a claim** [• fɔ: ə kleɪm] სარჩელის უზრუნველყოფა; **• for a loan** [• fɔ: ə ləun] სესხის გარანტია; სესხის თავდები; **• to bearer** [• tu 'beərə] ფასიანი ქაღალდი წარმომდგენზე; **to give • [tu gɪv •]** 1. უზრუნველყოფის მიცემა; 2. თავდებობის მიცემა **• of person** [• ɔv 'pɜ:sn] პირადი ხელშეუხებლობა **• of residence** [• ɔv 'rezɪdəns] ბინადრობის, ცხოვრების ხელშეუხებლობა

ample • ['æmpl •] საკმარისი უზრუნველყოფა; საკმარისი დაფარვა

bearer • [beərə •] ფასიანი ქაღალდი წარმომდგენზე

collateral • [kɔ'lætərəl •] დამატებითი უზრუნველყოფა

collective • [kɔ'lektɪv •] 1. კოლექტიური უსაფრთხოება; 2. კოლექტიური უზრუნველყოფა; კოლექტიური თავდებობა

curb • [kɜ:b •] საფონდო ბირჟაზე დაურეგისტრირებელი აქცია

government • ies ['gʌvnmənt •ɪz] სახელმწიფო ფასიანი ქარაღლები

health • [helθ •] ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომები

heritable • ['herɪtəbl •] *შოტლ.* გირავნობის სიგელი

high • [haɪ •] მკაცრი რეჟიმი *(ციხეში)*

interest bearing • ['ɪntrɪst 'beərɪŋ •] პროცენტული, პროცენტის მატარებელი ფასიანი ქაღალდი

internal • [ɪn'tɜ:nəl •] შიდა უსაფრთხოება

international • [ˌɪntə:'næʃnəl •] საერთაშორისო უსაფრთხოება

judicial • [ʤu'dɪʃəl •] სასარჩელო მოთხოვნების სასამართლო უზრუნველყოფა

maximum • ['mæksɪməm •] მკაცრი იზოლაცია, მკაცრი რეჟიმი

medium • ['mi:dɪəm •] გაძლიერებული რეჟიმი

minimum • ['mɪnɪməm •] საერთო რეჟიმი

national • ['næʃnəl •] ქვეყნის უსაფრთხოება, ეროვნული უშიშროება

negotiable • ies [nɪ'gəuʃɪəbl •ɪz] საბრუნავი დოკუმენტები; გადაცემადი ფასიანი ქაღალდები

original • [ə'rɪʤənl •] პირველადი უზრუნველყოფა

personal • ['pɜ:snl •] პირადი უსაფრთხოება

principal • ['prɪnsɪpl •] მთავარი უზრუნველყოფა

private • ['praɪvət •] კერძო პირების უზრუნველყოფა; კერძო საკუთრების უსაფრთხოება; პირადი უსაფრთხოება

public • ['pʌblɪk •] საზოგადოებრივი უშიშროება; საჯარო, სახელმწიფო უსაფრთხოება

real • ['rɪəl •] 1. ჭეშმარიტი უსაფრთხოება; 2. რეალური უზრუნველყოფა, ნივთიერი უზრუნველყოფა; 3. გირაო; იპოთეკა

special • ['speʃl •] განსაკუთრებული იზოლაცია, განსაკუთრებული რეჟიმი

tight • [taɪt •] მკაცრი იზოლაცია, მკაცრი რეჟიმი

variable dividend • ies ['veərɪəbl 'dɪvɪdend •ɪz] აქციები არამყარი დივიდენდებით, ჩვეულებრივი აქციები

sederunt *ლათ.* 1. "თათბირობდნენ", "ესწრებოდნენ" *(ჩანაწერი სასამართლო ოქმში)*; 2. სხდომა *(მაგ. სასამართლოსი)*

sedition [sɪ'dɪʃən] *n.* მოწოდება ამბოხისკენ, აჯანყებისკენ

seditious [sɪ'dɪʃəs] *adj.* ამბოხის, მეამბოხური, პროვოკაციული

seduce [sɪ'dju:s] *v.* დაყოლიება, წაქეზება, შეცდენა *(რაიმე მოქმედების ჩადენაზე)*, ცდუნება

seduction [sɪ'dʌkʃən] *n.* შეცდენა, ცდუნება *(ცოლად მოყვანის დაპირებით)* ◊ **• from duty** [• frɔm dju:tɪ] სამსახურეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობა

ზე წაქცევა
sexual • [ˈsɛkʃuəl •] შეცდენა *(სქესობრივი ურთიერთობის დამყარებაზე)*, სექსუალური ცდუნება
see [si:] *n. საქ.* 1. ეპარქია, საეპისკოპოსო; 2. ტახტი; 3. ეპისკოპოსის წოდება
Holy (Apostolic) • [həʊli (ˌæpəˈstɔlɪk) •] "უწმინდესი *(სამოციქულო)* ტახტი", პაპის ტახტი; ვატიკანი
seek [si:k] *v.* 1. ძებნა, ძიება, მოძებნა; 2. ცდა; 3. თხოვნა; მოთხოვნა; 4. მიღწევა, მოპოვება, მისაღებად მიმართვა; 5. გახრჩვა ◊ **to • a sanction** [tu • ə ˈsæŋkʃən] 1. დაკმაყოფილების მიღწევა; 2. სასჯელის, ზარალის ანაზღაურების დანიშნის მიღწევა, მოპოვება; 3. სანქციის გამოყენების მოთხოვნა *(საერთაშორისო-სამართლებრივი მნიშვნელობით)*; **to • damages** [tu • ˈdæmɪʤɪz] ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა; **to • permission** [tu • pəˈmɪʃən] ნებართვის გამოთხოვა; **to • punishment** [tu • ˈpʌnɪʃmənt] სასჯელის დანიშვნის მოპოვება; **to • redress** [tu • rɪˈdres] სასამართლოში დაკმაყოფილების ანაზღაურების მოთხოვნა; **to • relief** [tu • rɪˈli:f] 1. შემწეობის მოპოვება; 2. სასამართლო დაცვის მოთხოვნა; 3. *(გალახაბადისგან, პასუხისმგებლობისგან)* განთავისუფლების მოპოვება; 4. *(გალახაბადიდან)* შეღავათის მოთხოვნა; **to • testimony** [tu • ˈtestɪmənɪ] 1. მოწმეთა ჩვენების მოთხოვნა; 2. მოწმეთა ჩვენების მიცემის შესაძლებლობის მოპოვება
seesaw [si:n] *n.* 1. ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა; 2. ეკონომიკური პოლიტიკის არათანმიმდევრულობა
seen [si:n] *adj.* 1. ნაჩვენები *(პასპორტი)*; 2. აქცეპტირებული *(ტრასანტის წარწერა თამასუქზე)* ◊ **• or not seen** [• ɔ: nɔt si:n] დამოუკიდებლად იმისა, ნახა თუ არა მყიდველმა საქონელი *(გაყიდვის პირობა ხარისხის გარანტიის გარეშე)*
segregation [ˌsɛgrɪˈgeɪʃən] *n.* 1. გამოყოფა, განკერძოება, განცალკევება, იზოლაცია; 2. სეგრეგაცია *(მაგ. მოსახლეობისა)*
racial • [ˈreɪʃəl •] რასობრივი სეგრეგაცია
sexual • [ˈsɛkʃuəl •] სეგრეგაცია სქესობრივი ნიშნით *(თავისუფლების აღკვეთის აღგილებზე)*
seised [si:zd] *adj.* 1. კონფისკებული, დაპატიმრებული, დაყადაღებული; 2. მფლობელი, მფლობელობაში მყოფი ნივთი; 2. განმხილველი *(სასამართლოს შესახებ)* ◊ **• in demesne as of fee** [• ɪn dɪˈmeɪn əz əv fi:] მფლობელი საკუთრების შეუზღუდავი უფლებებით; **to be • of an issue** [tu bi: • əv ɪn ˈɪʃju:] საკითხის განხილვა *(სასამართლოს შესახებ)*
seisin [siˈzən] *n.* ფლობა *(უძრავი ქონებისა)*, მფლობელობაში შესვლა ◊ **• in deed (in fact)** [• ɪn di:d (ɪn fækt)] ფაქტობრივი ფლობა; **• in law** [• ɪn lɔ:] 1. უძრავ ქონებაზე ფლობის უშუალო უფლება მასზე უპირობო საკუთრების უფლებით; 2. მემკვიდრის უფლება უძრავი ქონების ფლობაზე; 3. კონსტრუქციული ფლობა
actual • [ˈæktʃuəl •] ფაქტობრივი მფლობელობა
seize [si:z] *v.* 1. შეპყრობა, დაჭერა; 2. ყადაღის დადება; 3. დაკავება; 4. *(ჩხრეკას)* ამოღების წარმოება; 5. კონფისკაცია; 6. მფლობელობაში შესვლა; 7. მითვისება, მისაკუთრება, წართმევა ◊ **to • documents** [tu • ˈdɔkjumənts] დოკუმენტების ამოღება; **to • evidence** [tu • ˈevɪdəns] 1. ჩვენების ჩამორთმევა; 2. მტკიცებულებების მოპოვება; **to • the body of a person** [tu • ðə ˈbɔdi əv ə ˈpə:sn] თვით პირის *(და არა მისი ქონების)* დაკავება; **to • the court** [tu • ðə kɔ:t] სასამართლოსთვის მიმართვა
seizin [siˈzən] *იხ.* **seisin**
seizor [si:zɔ] *n.* 1. პირი, რომელიც ყადაღას ადებს; 2. მფლობელი
seizure [si:ʒə] *n.* 1. შეპყრობა, დაპყრობა; 2. მფლობელობის ჩამორთმევა; 3. ყადაღის დადება *(ქონებაზე)*; 3. დაკავება, დაპატიმრება; 4. ამოღება *(ქონებისა, დოკუმენტისა)*; 5. კონფისკაცია; რეკვიზიცია; შემთხვევით სარგებლობა; 7. მისაკუთრება *(ქონებისა)*, მიტაცება, მითვისება ◊ **• incidental to arrest** [• ˌɪnsɪˈdəntl tu əˈrest] ამოღება დაპატიმრებისას; **• under legal process** [• ˈʌndə ˈli:gəl ˈprəusəs] სარჩელის წინასწარი

უზრუნველყოფის წესით ქონების დაყადაღება ან გამოტანილი გადაწყვეტილების აღსასრულებლად ქონების დაყადაღება ხარალის ასანაზღაურებლად

• of evidence [• ɔv 'evɪdəns] მტკიცებულებების ამოღება

• of property [• ɔv 'prɔpətɪ] ქონების ამოღება, ქონების კონფისკაცია, რეკვიზიცია

actual • ['æktʃuəl •] ქონების ფაქტობრივი დაუფლება

select [sɪ'lekt] I. *v.* გადარჩევა, შერჩევა, სელექცია; 2. *adj.* არჩეული, შერჩეული, გადარჩეული, საუკეთესო, სპეციალური

selection [sɪ'lekʃən] *n.* გადარჩევა, შერჩევა, სელექცია, გამორჩევა

judicial • [ʤu'dɪʃəl •] მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევა

self-administration [ˌselfəd-ˌmɪnɪ'streɪʃən] *n.* თვითმმართველობა

self-authenticating ['self-ɔ:'θentɪkeɪtɪŋ] *adj. n.* დამოწმების არმომთხოვნი, "თვითმოწმე"

self-authentication [ˌself-ɔ:'θentɪ'keɪʃən] *n.* თვითდამოწმება

self-collision [ˌself-kə'lɪʒən] *n. პატ.* განაცხადის კოლიზია იმავე განმცხადებლის განაცხადთან

self-constituted [ˌself-'kɔnstɪtju:tɪd] *adj.* თვითდაფუძნებული; თვითმარქვია

self-contradiction [ˌself-kɔntrə'dɪkʃən] *n.* შიდა დაპირისპირება

self-contradictory [ˌself-kɔntrə'dɪktərɪ] *adj.* შინაგანად დაპირისპირებული, შინაგანი დაპირისპირების შემცველი

self-control ['self-kən'trəul] *n.* თვითკონტროლი, თვითრეგულირება

self-defence [ˌself-dɪ'fens] *n.* თვითდაცვა, თავდაცვა

personal • ['pɜ:snl •] პირადი თავდაცვა; პირადი, კერძო ინტერესების აუცილებელი დაცვა

private • ['praɪvɪt •] კერძო ინტერესების აუცილებელი დაცვა

public • ['pʌblɪk •] საზოგადოებრიეი თავდაცვა, საზოგადოებრიეი ინტერესების აუცილებელი დაცვა

self-destruction [ˌself-dɪ'strʌkʃən] *n.* თვითმკვლელობა, თვითლიკვიდაცია

self-determination [ˌself-dɪˌtə:mɪ'neɪʃən] *n.* თვითგამორკვევა

self-employment ['self-ɪm'plɔɪmənt] *n.* დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობა *(უკანასხვაებით დაქირაებულის სამუშაოსგან)*; წერილი მესაკუთრეების ან არაკორპორაციულ საწარმოთა მფლობელების დამოუკიდებელი საქმიანობა

self-evident [ˌself-'evɪdənt] *adj.* ცხადი; თავისთავად ცხადი

self-exculpation [ˌself-'ekskʌl'peɪʃən] *n.* თვითგამართლება

self-executing [ˌself-'eksɪkju:tɪŋ] *adj. n.* თავისთავად აღმსრულებელი ძალის მქონე *(მისი აღსრულებისთვის შესაბამისი კანონის გამოცემას, რომ არ საჭიროებს)*, დაუყოვნებლივ ძალაში შემსვლელი

self-governing ['self-'gʌvənɪŋ] *adj.* თვითმმართველი

self-government [ˌself-'gʌvnmənt] *n.* თვითმმართველობა *(უცხო ქვეყნების ზეგაკლენის გარეშე)*

self-help [ˌself-help] *n. adj.* თვითდახმარება

legal • ['li:gəl •] კანონიერი თვითდახმარება

self-homicide [ˌself-'hɔmɪsaɪd] *n.* თვითმკვლელობა

self-incrimination ['self-ɪnˌkrɪmɪ'neɪʃən] *n.* თავის დადანაშაულება; თვითბრალდება, თვითცილისწამება, საკუთარი თავისთვის არახელსაყრელი ჩვენებების მიცემა

compulsory • [kɔm'pʌlsərɪ •] იძულებითი თვითბრალდება; საკუთარი თავის დადანაშაულება; საკუთარი თავის წინააღმდეგ არასაყრელი ჩვენების იძულებითი მიცემა

self-imculpation [ˌself-'ɪmkʌlpeɪʃən] *იხ.* **self-incrimination**

self-injury ['self-'ɪnʤərɪ] *n.* თვითდაზიანება, საკუთარი სხეულის დაზიანება

self-jurisdiction [ˌself-ʤuərɪs'dɪkʃən] *n.* დიპლომატიური წარმომადგენლის იურისდიქცია დიპლომატიური მისიის თანამშრომლებთან დაკავშირებით

